საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

თბილისელები®

www.tbilisebi.ge

8 –14 დეკემბერ №49(728) ფასი 1,50 ლარი

გვ. 59
რაზე აქვთ კონფლიქტი აკეს და ანას და როგორ გადაწყვიტეს „ბრავოს“ ფინალისტებმა დუეტში სიმღერა

რით ჰგავს ხატია ბრაჭული საკუთარ გმირს – თამუნას და რა ხდება მის ცხოვრებაში რეალურად
გვ. 75

გვ. 36
რატომ გადაწყვიტა გია ჯაჯანიძემ მაია ასათიანთან „ჭიდაობა“

გვ. 18
როდის აპირებს ნანუკა ჟორჟოლიანი ქორწილის გადახდას და რაზე აქვს მას ძალიან მძიმე რეაქცია

ISSN 1987-569X

როგორ ჩაცვა მარიამ გვასალიამ თბილისს თავისი შეკერილი ბოტასები და ეძახდა თუ არა ის კახა ბენდუქიძეს ბაბუას
გვ. 14

გვ. 42
რა შემოთავაზება მიიღო ბექა ელბაქიძემ „ვოგის“ ფოტოგრაფებისგან და რა საკითხზე ჰქონდა მას შეხვედრა პედრო ალმადოვარის მენეჯერთან

როდის იყო ნინი წიკლაური „ფხიზელი მთვრალი“ და ვის შესწირა მან ქერა თმა
გვ. 70

გვ. 41
როგორ დააღწიეს სნაიპერებს თავი საახალწლო მურაბის მოსაპოვებლად წასულმა მანანა კოზაკოვამ და მისმა მეგობრებმა

კვირის ფრაზები

- ხან რომელი პოლიტიკოსის საყვარელი ვარ, ხან – რომლის; თან, საინტერესო ის არის, რომ, იმ მთავრობისაც ვიყავი და ამ მთავრობისაც ვარ
- მე ისე ვიქცევი, მეეჭვება, მოიცალოს „ნაშეებისთვის“ – მე ვყავარ სადევნი
- ვილაც, ალბათ, იფიქრებს, რომ ერეკლე მეორეს ფრენა მოუნდა. არა! ერეკლეს, ამ ტრაგიკულ პიროვნებას, ამ საშუალებით უნდოდა, მტრის სტრატეგიული განლაგება დაენახა ზემოდან

რა უნდა ვიცოდეთ კანის დეტოქსის შესახებ

დეტოქსის შესახებ, ალბათ, არაერთხელ გსმენიათ, მაგრამ დღევანდელი სტატია არა ზოგადად ორგანიზმის დეტოქსს, არამედ კანის დეტოქსს შეეხება. დეტოქსი კანიდან ტოქსინებისა და სხვა მავნე ელემენტების გამოდევნას გულისხმობს, რომლებიც კანის უჯრედებში გროვდებიან და კანის ნორმალურ ფუნქციონირებას უშლის ხელს. შედეგად, კანში ნივთიერებათა ცვლის პროცესი ნელდება, ხდება სითხის შეკავება, თვალის უპეების შეშუპება და სიშავე, ჩნდება ნაოჭები და რიგ შემთხვევებში, გამონაყარიც. კანის დეტოქსიკაციის პროცედურის შედეგად კი შესაძლებელი ხდება ტოქსინების გამოდევნა სისხლით, ლიმფითა და კანით.

რა შედეგის მიღწევაა შესაძლებელი კანის დეტოქსიკაციით? – კანიდან ტოქსინების დროულად გამოდევნის შედეგად, კანი ბუნებრივ, ჯანსაღ ფერს იბრუნებს, გაცილებით ელასტიკური და მკვრივი ხდება. ამას გარდა, ნივთიერებათა ცვლის პროცესი რეგულირდება, რის შედეგადაც ტოქსინების არსებობით გამოწვეული ნაოჭები გასწორებას იწყებს. ზოგადად, დეტოქსიკაციის პროცესი მარტივი საქმე ნამდვილად არ არის. თუ ერთისთვის ტოქსინების გამომდევნი წყალმცენარეების ნიღბების გამოყენება შეიძლება, იყოს საკმარისი, მეორეს შესაძლოა, ასეთი ნიღბების კურსის გარდა სააფთიაქო პრეპარატების მიღება და საინიექციო პროცედურები დასჭირდეს. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად დიდი ხნის განმავლობაში გროვდებოდა ტოქსინები და რა მიზეზით.

თუ, მაგალითად, რამდენიმე საღამოს განმავლობაში ზედიზედ ალკოჰოლის მიღება, გვიანობამდე ფხიზლად ყოფნა და ხანმოკლე ძილი დაემთხვა, მაშინ ასეთი ტიპის დეტოქსიკაციისგან კანის უჯრედების გაწმენდა მარტივი იქნება. მაგრამ, თუ ინტოქსიკაცია ორგანიზმის ქრონიკული მდგომარეობით არის გამოწვეული, მაშინ დეტოქსიკაცია გაცილებით ხანგრძლივი და რთული პროცესი იქნება. ვიდრე კანის დეტოქსიკაციას შეუდგებით, აუცილებლად გაიარეთ კონსულტაცია ექიმ-დერმატოლოგთან, რომელიც კანის მდგომარეობის მიხედვით შეძლებს სავარაუდო მიზეზების დადგენას, დაგინიშნავთ შესაბამის მკურნალობას და გადაგამისამართებთ კონკრეტული სფეროს ექიმთან. კანის ინტოქსიკაცია ხშირად ჟანგბადის ნაკლებობით – ჰიპოქსიით – შეიძლება, იყოს გამოწვეული. ამ დროს ტოქსინები გაცილებით მარტივად აღწევენ კანში, ამიტომაც ასეთ დროს კოსმეტოლოგები პაციენტს ჟანგბადით გამდიდრებული კანის საცხის გამოყენებას ურჩევენ. კანის თვითგაწმენდას ხელს უწყობს A, C და E ვიტამინების შემცველი პროდუქტები. დეტოქსიკაციის დროს კოსმეტოლოგების საყვარელი პროდუქტია წყალმცენარეების ნიღბები, განსაკუთრებით ლამინარიისა და ფუკუსის საფუძველზე დამზადებული ნიღბები. ტოქსინების დაგროვების გამო ჩაჟამებული კანის ფერის გამოსაცოცხლებლად არაჩვეულებრივია ფერმენტული ლაქების პილინგი, რომლებიც პაპაინსა და ბრომელაინს შეიცავენ – ეს ინგრედიენტები პაპაიასა და ანანასის ხილისგან მიიღება, კანის ზედაპირის დონეზე მოქმედებს და მას ჯანმრთელ იერს უბრუნებს.

კოსმეტოლოგების თქმით, კანის დეტოქსის ჩატარებისთვის იდეალური დრო შემოდგომის დასასრული და გაზაფხულია. ყველაზე ხშირად ინტოქსიკაცია ზამთრის პერიოდში ხდება, როდესაც ორგანიზმი დასუსტებულია და უჭირს „დაბინძურებასთან“ გამკლავება. ამიტომაც შემოდგომაზე კანი სათანადოდ უნდა მოვამზადოთ, მაქსიმალურად გამოვდევნოთ კანიდან ყველაფერი ზედმეტი, გაზაფხულზე კი ჯანმრთელი მუხტის აკრეფაში დავეხმაროთ. პროფილაქტიკისთვის დეტოქსის ჩატარება მიზანშეწონილია წელიწადში ორჯერ. თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა მეტჯერაც.

და ბოლოს, არ დაგავიწყდეთ დღის განმავლობაში საკმარისი, უფრო სწორად, დიდი რაოდენობით „ბაკურიანის“ დალევა. ხომ გახსოვთ ოქროს წესი: საშუალოდ 2 ლიტრი წყალი დღის განმავლობაში.

ნინო მდივანი

დეველოპერული კომპანია m² შშმ პირებისთვის სამშენებლო პროექტების ადაპტაციის გეგმას ქმნის

სამშენებლო კომპანია m² ინოვაციური და მნიშვნელოვანი მიდგომებით, პროექტებით გამოირჩევა. ამჯერად „m² – უძრავმა ქონებამ“ და არასამთავრობო ორგანიზაციამ „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს, რაც ითვალისწინებს, ყველა კატეგორიის შშმ პირების მოთხოვნილებებისა და საჭიროებების გათვალისწინებით დაიგეგმოს სამშენებლო პროექტები, რომლებიც მაქსიმალურად იქნება მორგებული ნებისმიერი ადამიანის შესაძლებლობაზე. აღსანიშნავია, რომ ურთიერთთანამშრომლობის შედეგად შემუშავდება ადაპტირების გეგმა, რომელიც გაეროს 2006 წლის 13 დეკემბრის „შშმპ უფლებების დაცვის კონვენციის“ შესაბამისობაში იქნება. ეს გეგმა შეიქმნება სახელმძღვანელოს სახით და მის გამოყენებას ნებისმიერი არქიტექტურული კომპანია შეძლებს. გეგმა შეეხება როგორც ნაგებობის, ასევე ბინის, ეზოსა და ინტერიერის ადაპტაციას შშმ პირებისთვის.

გიორგი ვახტანგიშვილი *(„m² – უძრავი ქონების“ გენერალური დირექტორი):* თავდაპირველად, მინდა აღვნიშნო, რომ ეს არის მართლაც უპრეცედენტო შემთხვევა, როდესაც სამშენებლო კომპანია ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობების პირთა მოთხოვნილებებს, და მათი სურვილების გათვალისწინებით, პროექტის დასაწყისშივე ხდება მათზე მორგებული უნივერსალური დიზაინის შექმნა. ჩვენი კომპანია დაარსების დღიდან მუშაობს ამ კუთხით. ვაჟა-ფშაველასა და ყაზბეგის გამზირებზე მოხდა ქუჩების სრულად ადაპტირება, რომელიც „m²“-მა დააფინანსა; კერძოდ, ვაჟა-ფშაველას გამზირზე 183 პანდუსი, ხოლო ყაზბეგის გამზირზე – 107 პანდუსი დამონტაჟდა. ასევე, სიმბოლურია, რომ ეს მემორანდუმი შეზღუდული შესაძლებლობის პირების დაცვის საერთაშორისო დღეს გავაფორმეთ.

გიორგი ძნელაძე *(„კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“):* ჩვენი ორგანიზაციის სახელით, პირველ ყოვლისა, მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო „m²“-ს რომელმაც გადაწყვიტა, თავის მიერ აშენებული ყველა საცხოვრებელი კომპლექსი ადაპტირებული იყოს შეზღუდული შესაძლებლობების პირებისთვის. „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ მოახდენს კომპანია m²-ის ახალი სამშენებლო პროექტების მშენებლობის პროცესისა და დასრულებული შენობების მონიტორინგს. დასრულებულ მშენებლობას გადაეცემა კომპლექსის შშმ პირებზე სრულად ადაპტირების დამადასტურებელი სერტიფიკატი. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი და მესიჯი სხვა სამშენებლო კომპანიებისთვის.

სოფი ლორია

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

რედაქციის მისამართია:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47



გაანყოფილებები

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო ნუღუაიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაგელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაგელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა ნერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: თეგუკა კვეზერელი, ლექსო ხარიტონაშვილი
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე

დირექტორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბერჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა ჭყავანაძე
ვებ-გვერდის მოდერატორი: საბა კარანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53
დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com

ჟურნალში გამოყენებული სტატიებისა და ფოტოსურათების მთლიანი ან ნაწილობრივი გადაბეჭდვა რედაქციასთან შეთანხმების გარეშე ისჯება კანონით

ობლები

„შენ რომ ჩემთვის „მისტრალი“ არ მოგიყიდიაო?!“

გასული კვირის პარასკევს **საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა** ჟან-ივ ლე დრიანმა **განაცხადა, რომ პარიზმა, შესაძლოა, სულაც არასდროს მიაწოდოს რფ-ს ავიამზიდი „მისტრალები“, რამეთუ, პრ. პუტინი მთლად ჯეროვნადაც ვერ იქცევაო.**

ჯეროვნად კი იმიტომ ვერ იქცევა, რომ **პატივს არ სცემს უკრაინის საზღვრების ურღვევობას** და **არ ასრულებს მოსკოვში მიღწეულ შეთანხმებებს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.**

რაკი **საფრანგეთის პრეზიდენტმა** ჯერ კიდევ **ნოემბრის ბოლოს განაცხადა, რომ „მიტსრალების“ გადაცემის პროცესი შეჩერებულია**, თუმცა მანამდე, სახელდობრ, **სექტემბერში, ბრძანა, რომ უკრაინაში განვითარ-**

ებული მოვლენები აფერხებს პირველი „მისტრალის“ გადაცემას, ხოლო **ოქტომბერში დაამატა, რომ უკრაინაში ცეცხლის შეწყვეტა ერთ-ერთი პირობაა გადაცემის პროცესის გამოსაცოცხლებლადო.**

ამის საპასუხოდ, **მოსკოვი სასამართლოში ჩივილისთვის ემზადება** (საფრანგეთი ხელშეკრულებას არღვევსო). **ხელშეკრულება 1,2-მილიარდევროიანია** და **ის რფ-მ ფრანგულ კომპანიასთან 2011 წლის ზაფხულში გააფორმა**. პირველი „მისტრალი“ ამ წლის ოქტომბერში უნდა მიეღო პრ. პუტინს, მეორე – ნოემბერში. **ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში, საფრანგეთს რფ-სთვის 3 მილიარდი ევროს გადახდა მოუწევს.**

იმის გათვალისწინებით, რომ **ჩრდილოატლანტიკური ალიანსისა და მასში შემავალი ქვეყნებისთვის 3 მილიარდი ევრო თითქმის მზესუმზირის ფულია**, სავსებით რეალურია, რომ **პრ. პუტინი „მისტრალების“ გარეშე დარჩეს, თუმცა, 3 მილიარდი ევროთი გამდიდრებული.**

მაგრამ, **თუ ამ ისტორიის მთავარ ლაიტმოტივს გავიხსენებთ** (რფ.პატივს არ სცემს უკრაინის საზღვრების ურყევობასო) და **დავამატებთ, რომ ხელშეკრულება 2011 წელს გაფორმდა** (როდესაც რფ-ს საქართველოს საზღვრების ურყევობა სამი წლის დარღვეული ჰქონდა), თუმცა სულითა და გულით ვუერთდები საფრანგეთის ამჟამინდელ გადაწყვეტილებას, **იბადება ობოლი კითხვა: ანუ, საქართველოს საზღვრები არ ითვლება**?! –

„მწვანე“ ტვირთი

რფ-ის სახდუმაში კანონპროექტია შესული, რის მიხედვითაც, **რფ-ის ტერიტორიაზე აშშ-ური დოლარების ბრუნვა და შენახვა დაისჯება**. ამიტომაც, **თუ ასეთები აქვთ რფ-ის მოქალაქეებს, ისინი უნდა გადაახურდაონ სხვა ვალუტებზე**, ხოლო **მუთაქებში შენახული თუ უპოვეს, წაართმევენ**, თუმცა, 30 დღის ვადაში გადაუხურდავებენ და რუბლებში დაუბრუნებენ. –

ეს **გენიალური იდეა, ბუნებრივია, „ელ დე პე ერის“ ფრაქციის წევრის თავში მომწიფდა,** რომელიც, ასევე, მიიჩნევს, რომ **რფ-ის მოქალაქეს** (თუ, რა თქმა უნდა, მისი ინიციატივა სხვა „დუმელებმაც“ გაიზიარეს), **დოლარების შესყიდვა მხოლოდ საპატიო მიზეზით შეეძლება,** მაგალითად, **უცხოეთში გამგზავრებისთვის** (ოო, რა კეთილია!), ოღონდ, **მთლად ყველგანაც არა**, რამეთუ ბრძანებს: **„დოლარების ყიდვა უფრო ჩვევაა, ვიდრე აუცილებლობაო.“**

იქვე მოტანილია იმ ქვეყნების ჩამონათვალი, სადაც გამგზავრებისთვის დოლარების ყიდვა არ დასჭირდებათ და **სიაში ეს ჩვენი აფხაზეთი და „იუჟნაია ოსეტიაც“ ყელყელაობს.**

ფაქტია, რომ **ინიციატივას საბჭოური სუნი ასდის,** თუმცა ავტორი გვაჯერებს, რომ საბჭოეთზე ასოციაციები გადაჭარბებულია, ვინაიდან **ეს იდეა მას მოქალაქეების კეთილდღეობაზე ზრუნვამ შთააგონა,** ვინაიდან შიშობს, რომ, **თუ** ამერიკის **შეერთებული შტატების ვალი ასეთი ტემპით გაიზრდება, დოლარის კრახი გარდაუვალია**, **რაც დააზარალებს დოლარზე დამოკიდებულ ქვეყნებსო**.

მომყავს ციტატა: **„რფ-ის მოქალაქეები ენდობიან დოლარს და სახელმწიფოს ისევე მოუწევს მათი დახმარება, როგორც 1990-ანი წლების მოტყუებული მეანაბრეების,** რაც მძიმე ტვირთად დააწვება ქვეყნის ბიუჯეტს.“

ასე რომ, **თადარიგს იჭერენ და რუსეთის მოქალაქეებს ეხმარებიან, დროულად გათავისუფლდნენ „მწვანე“ ტვირთისგან**. –

სამყაროს ცენტრი

რუბლებით შეიარაღებულები

აფხაზეთის დე-ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი **ჩირიკბა ევროკავშირის დისკრიმინაციულმა სავიზო პოლიტიკამ აღგვიშფოთა** (რას მიქვიან, აფხაზეთის მოქალაქეებმა ნეიტრალური პასპორტებით ვიაროთ, მხოლოდ აფხაზური პასპორტებით უნდა შემოვუაროთ ევროპასო). თუმცა, თუ გავიხსენებთ, რომ **აფხაზი საზოგადოება ამრეზით უჭვრეტს დასავლეთს – გარყვნილების ბუდეაო**, წესითა და რიგით, **კმაყოფილები უნდა იყვნენ, რაკი ხელს ვუწყობთ მათ უმწიკვლობას**. –

ასე თუ ისე, გასულ კვირას **ჩირიკბას, ასევე დე-ფაქტო ზემდგომმა** საქართველოში **UNICEF-ისა და UNDP-ის წარმომადგენლებთან** (საშა გრაუმანთან და ნილს სკოტთან) **2015 წელს აფხაზეთში UNDP-ის საქმიანობის საკითხი განიხილა.**

„პრ.“ რაულმა განაცხადა, რომ, მართალია, **ომისშემდგომ პერიოდში გაერო ქვეყანას გადარჩენაში ეხმარებოდა, მაგრამ ამჟამად აფხაზეთში გაეროს საქმიანობასთან დაკავშირებით ბევრი პრობლემა არის გადასაჭრელი** (მაშ!!!).

საპასუხოდ **გაეროს წარმომადგენლებმა აფხაზეთის „პრ.-ს“ აგროსაწარმოო პროექტი შესთავაზეს,** რაზეც **„პრ.“ ხაჯიმბამ მიუგო, რომ „სოფლის მეურნეობის სფეროში თანამშრომლობა მნიშვნელოვანია ბევრი ადამიანის ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად** (ანუ დიდსულოვნად დათანხმდა), **მაგრამ, აი, საშა გრაუმანის შეთავაზებაზე სკოლამდელი განათლებისა და ჯანდაცვის სფეროებში პროექტების განხორციელებას ცოტა იჭვნეულად შეხვდა.**

გალის რაიონში ქართულის სწავლება დასაშვებად მიიჩნია (დასაშვებად!), ოღონდ, **მხოლოდ აფხაზური სახელმძღვანელოებით.** რაც შეეხება ჯანდაცვის სფეროს, **„პრ.“ რაული მზადაა,** მაგრამ: „პირობები **აქ ჩვენ მიერ უნდა იყოს მიღებული, ჩვენი ინტერესების ფარგლებში. სხვა შემთხვევაში თანამშრომლობა აფხაზეთისთვის არ იქნება კარგი,“** რაც გვაფიქრებინებს, რომ (იმას გარდა, ვირო მადლიო) **ენგურს გაღმა სამყაროს ცენტრი აფხაზეთი ჰგონიათ,** თუმცა, არც ისაა გამორიცხული, **ამგვარი გამამაცების მიზეზი 2015 წელს რფ-დან მისაღები 5 მილიარდი რუბლიც იყოს?!** –

თეთრი შურა

ანუ მივეგაროთ „ბოევიკებს“

მაშინ, როდესაც **ვლ. პუტინი რუსეთის ფედერაციის საბჭოს მიმართავდა,** უფრო ზუსტად, ის-ის იყო, უნდა მიემართა, ღამის პირველ საათზე **გროზნოში „ბოევიკთა“ ჯგუფი შეიჭრა.** პოსტზე მდგარ **პოლიციის თანამშრომლებს ცეცხლიც გაუხსნეს და** ,თვით რუსეთის პირველი

არხის ინფორმაციით, **ხუთი მათგანი სიცოცხლეს გამოასალმეს.**

მათივე ცნობით, **„ბოევიკთა“ ნაწილმა გროზნოს ერთ-ერთ ცენტრალურ შენობას** („დომ პეჩატი“) **შეაფარა თავი და ცეცხლიც ინტენსიური გააგრძელეს.** ჩეჩნეთის ხელისუფლებამ (თუმცა იმ მომენტში ჩეჩნეთის თავი რამზან კადიროვი გვერდს თვით მოსკოვში პრ. პუტინს უმშვენებდა) **კი კონტრტერორისტული ოპერაცია წამოიწყო.**

ოფიციალური ინფორმაციით: **ადგილზე მობილიზდა შსს-ს, ფედერალური უშიშროებისა და საგანგებო სიტუაციათა ძალები**, რომლებმაც შენობის სრული ბლოკირება მოახდინეს (თვით ჯავშანმანქანების გამოყენებით).

იმის გათვალისწინებით, რომ **რუსული ჩვენს მშობლიურზე უარეს დღეშია,** დაზუსტებით რთული სათქმელია, **რამდენი „ბოევიკი“ შეიჭრა გროზნოში და რამდენი სამართალდამცველი დასჭირდა მათ განეიტრალებას** (ისიც სათქმელია, საერთოდაც, გაანეიტრალეს თუ არა), მაგრამ, ფაქტია, რომ **თითქმის 24 საათის განმავლობაში რამდენიმე „ბოევიკმა“** (რუსული სააგენტოების ცნობით – 7-მა) **მოახერხა გროზნოს ცენტრის ბლოკირება.** ხოლო, როცა **ამის ფონზე გაიხსენებ, რომ ჩვენ ომს, ჰა და ჰა, 5 დღეს გავუძელით, ძნელია, შურმა არ დაგრიოს ხელი.** – ☹ და უნებურად არ იფიქრო: **ინსტრუქტორებად „ბოევიკები“ ხომ არ მოგვეწვია?!**

ქირის წილში

ყოფილების ცვენა

მართალია, **უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას ჯერჯერობით პირი არ უჩანს**, მაგრამ, სამაგიეროდ, **რეფორმებისთვის ემზადებიან**. სწორედ ამ მიზნით, **უკრაინის მთავრობაში უცხოელთა ცვენაა**, მათ შორის, **თვით საქართველოდან** – იმიტომ რომ, **ერთ დროს სამყაროში დემოკრატიის ობოლ შუქურად ვკიაფობდით** (თუმცა, არ გამოვრიცხავ, სხვა მიზეზიც იყოს).

როგორც უნდა იყოს, **უკრაინის „რადამ“ ამ ჩვენს ალექსანდრე კვიტაშვილს** (პროფესიით ისტორიკოსი და თავის დროზე „ნაციონალური“ ხელისუფლების მიერ შორეული აშშ-დან გამოხმობილი) **უკრაინის ჯანდაცვა ჩააბარა**, ხოლო **ამ ჩვენს ეკატერინე ზღულაძეს – უკრაინის შს მინისტრის მოადგილის პორტფელი.**

მოარული ხმებით, **ამ ჩვენს თვით მიხეილ სააკაშვილს ვიცეპრემიერობას უპირებდნენ**, მაგრამ, მან შემოთავაზებაზე უარი თქვა – **მხოლოდ საქართველოს ვეკუთვნიო** (როგორც ჩანს, შემოთავაზებას დათანხმებული ბ-ნი და ქ-ნი მთლად ასე არ ფიქრობენ).

და თუმცა **მთელი გულით ვუსურვებთ წარმატებას ჩვენს მეგობარ უკრაინას**, თუ გავიხსენებთ, რომ **ამ ჩვენმა ყოფილებმა პროფესიული გამოცდილება სწორედ ჩვენს ტყავ-ხარჯზე მიიღეს**, ან მათი **ხელფასებიდან ვიმსახურებთ წილს**, ან, სულაც, **ქირას,** ან, უკიდურეს შემთხვევაში, **ეს აქტი ჰუმანიტარულ დახმარებად უნდა ჩაგვითვალონ,** იმიტომ რომ, ასეთი კადრები **„ნა ულიცე ნე ვალიაიუტსიაო“!**

ვლადიმირ „მრისხანე“

„მე რაღაცა მაქვსო, მეფეს არა აქვსო“

გასულ კვირას რფ-ის **პრ.-მა პუტინმა რფ-ის ფედერალურ საბჭოს მიმართა** და სხვა ამბებთან ერთად, იმაშიც **დაარწმუნა, რომ არავის შეუძლია, მოიპოვოს რუსეთზე სამხედრო უპირატესობა.**

ამ არშეძლების მიზეზად კი ის დაასახელა, რომ **მის არმიას „მოულოდნელი გადაწყვეტილებები“ აქვს არსენალში.**

თუმცა არ დაუმალავს, რომ **კვლავაც გააგრძელებს დანარჩენ სამყაროსთან მხარში დგომას ტერორიზმთან ბრძოლაში** და **არც მორიგ „გონკა ვოორუჟენიაში“ ჩაბმა აქვს გუმანში,** ოღონდ (მომყავს ციტატა): „**გარანტირებულად და საფუძვლიანად უზრუნველვყოფთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას ახალ პირობებში, გვაქვს ამის შესაძლებლობებიც და არასტანდარტული გადაწყვეტილებებიც.“**

ასე და ამგვარად – **მინების შემგროვებელმა დასავლელების გასაგონად** (უფრო კი, ალბათ, **საკუთარი მოსახლეობის ყურების გასამხნევებლად**) დაარისხა, რომ **„რუსეთის არმია თანამედროვე, ბრძოლისუნარიანი და თავაზიანი“, ოღონდ, მრისხანეაო.**

ჩვენ არ ვიცით, **რა რისხვის დატეხას უპირებს იგი** (ანუ პრ. პუტინი) **დანარჩენ მსოფლიოს**, თუმცა, თუ გავიხსენებთ, რომ, თავის დროზე, ანუ **აგვისტოს ომამდე, განაცხადა, „ზაგატოვკები“ გვაქვს საქართველოს მისამართითო**, ან დანარჩენი მსოფლიოს მისამართით მომზადებული **„განსაკუთრებულ გადაწვეტილებებში“ ვითომ ბირთვული რაკეტის სროლა იგულისხმა?! –** 😉

გვერდები მოამზადა
ნინო ხაჩიძემ

ნდობის ტელეფონი
ინგოიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

როგორი დამოკიდებულებაა აფხაზეთში რუსეთ-აფხაზეთს შორის გაფორმებული ინტეგრაციის ხელშეკრულებისადმი და რატომ აბრალებენ ქართველებს მის ხელმოწერას

24 ნოემბერს ქალაქ სოჭში რუსეთის პრეზიდენტმა და მის მიერ აღიარებული აფხაზეთის „პრეზიდენტმა“ რაულ ხაჯიმბამ ხელი მოაწერეს „შეთანხმებას რუსეთის ფედერაციასა და „აფხაზეთის რესპუბლიკას“ შორის ინტეგრაციისა და თანამშრომლობის შესახებ”. მეტიც, იმავე დღეს სოხუმის ცენტრში ამ საქმის მხარდამჭერი მიტინგიც გაიმართა, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს შეთანხმება უკვე ფაქტია, მიუხედავად იმისა, რომ მისადმი საკუთრივ აფხაზი საზოგადოების დამოკიდებულება, მაინცდამაინც, ერთგვაროვანი არ არის.

აფხაზეთის დანარჩენი მრავალრიცხოვანი ეთნოსები საერთოდაც არ აქტიურობენ, სხვადასხვა მიზეზით: გალელ ქართველებს თითქმის არც აქვთ ხმის უფლება, აფხაზეთის სომხები, თუ მათი რეაქციით ვიმსჯელებთ სოციალურ ქსელებში, მხარს უჭერენ „აფხაზეთის რესპუბლიკის“ რუსეთის ფედერაციასთან ინტეგრაციას (აქვე გეტყვით, რომ სომხეთისგან განსხვავებით აფხაზეთში სომეხი მოსახლეობა გამრავლების მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა).

რაც შეეხება თავად აფხაზებს: მათი აზრი ორადაა გაყოფილი, ნაწილი მხარს რაულ ხაჯიმბას უჭერს, მეორე ნაწილი კვლავ ალექსანდრ ანქვაბს მისტირის, რადგან დარწმუნებულები არიან, ანქვაბს იმიტომაც აიძულეს წასვლა, რომ უარი თქვა იმ შეთანხმების გაფორმებაზე, რასაც არათუ უპრობლემოდ, მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერით მოაწერა ხელი ათიოდე დღის წინათ.

ჯერ კიდევ 2014 წლის გაზაფხულზე გაჩნდა მოარული ხმები, რომ ალექსანდრ ანქვაბმა მოსკოვის მიერ შეთავაზებულ რაღაც სერიოზული დოკუმენტის ხელმოწერაზე თქვა უარი. მანამდე კი მას უკვე ჰქონდა უარყოფილი მოსკოვის ორი შემოთავაზება – რკინიგზის გახსნა და ჩრდილოეთ კავკასიიდან კოდორის გავლით სოხუმისკენ მომავალი ავტომაგისტრალის მშენებლობა.

ამას გარდა, ანქვაბის სკამის მოსაყანყალებლად თავისი როლი უნებურად გალელმა ქართველებმაც შეასრულეს (ეს უფრო საბაბი იყო მასების ასაყოლიებლად ანქვაბის წინააღმდეგ) – ოპოზიციამ მას ბრალი ქართველებისადმი ლოიალობაში დასდო (პასპორტები მასობრივად დაურიგაო), რაც რეალობას არ შეესაბამებოდა, ვინაიდან გალელი ქართველების რეგისტრაციის საბუთი – „ფორმა №9“, რაც მათ აფხაზეთის ტერიტორიაზე ცხოვრების უფლებას აძლევდა, უბრალოდ გადაიცვალა აფხაზურ პასპორტებზე.

„გამარჯვება“ – აფხაზურად

საინტერესო ის არის, რომ 2014 წლის 28 მაისის საღამოს გუდაუთის სამხედრო ბაზაზე მოსკოვიდან განსაკუთრებული დავალებით ჩამოფრინდნენ რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწე ვლადისლავ სურკოვი და რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე რაშიდ ნურგალიევი. სურკოვის მისია პოლიტიკური კონსულტაციების გამართვა იყო, ნურგალიევის – სამართლებრივი საკითხების მოგვარება, დაკავებული მომიტინგეების გათავისუფლების ჩათვლით.

ერთი ერთზე საუბრისას სურკოვს ანქვაბისთვის რამდენიმე რჩევა მიუცია, როგორც ჩანს, ისინი ანქვაბმა არ გაითვალისწინა და უკვე 29 მაისს აფხაზეთის პარლამენტის 21-მა წევრმა (35-დან) ანქვაბს პოსტიდან წასვლა მოსთხოვა.

ვლადისლავ სურკოვმა შეთანხმების ტექსტი სოხუმში წინასაარჩევნო კამპანიის დროსაც ჩაიტანა და „პრეზიდენტობის“ კანდიდატებს გააცნო. რაულ ხაჯიმბა მის ხელმოწერას დათანხმდა. ხოლო აგვისტოს „არჩევნების“ გასრულებისთანავე პრეზიდენტის სკამზე დავანების შემდეგ შეთანხმება საზოგადოების სამსჯავროზე გაიტანა. მოსკოვის მიერ შეთავაზებული დოკუმენტის თავდაპირველი ვარიანტი შეიცვალა, რომელიც, მართალია, აფხაზი პარლამენტარების მიერ შემუშავებულ შემხვედრ ვარიანტს არ დაემსგავსა, მაგრამ კომპრომისი მოიძებნა, რაც აფხაზურმა მხარემ გამარჯვებად მონათლა, თუმცა ეს შეფასება რეალობისგან შორსაა.

ოპოზიციური პარტია „ამცაჰარა“ (რომელიც, ძირითადად, აფხაზი ვეტერანებითაა დაკომპლექტებული) აშკარად გამოდის შეთანხმების წინააღმდეგ (რაც, ბუნებრივია, ვინაიდან ალექსანდრ ანქვაბის მხარდამჭერად ითვლება), თუმცა მიესალმება სტრატეგიულ პარტნიორობას რუსეთსა და ფხაზეთს შორის (მუქთა ლუკმა ტკბილია?!), ოღონდ სვამს რიტორიკულ კითხვას: „ცრემლმორეულებს არაერთხელ მოგიყრიათ მუხლი ვლადისლავ არძინბას საფლავზე, ამიტომ გეკითხებით: მოაწერდა კი ის ხელს ამ დოკუმენტს?!“

ამის მიუხედავადაც, განტევების ვაცი ნაპოვნია – რა თქმა უნდა, ყველაფერში დამნაშავე ქართველი „ფაშისტები“ არიან. სოციალურ ქსელებში აფხაზების პოზიცია შემდეგნაირია.

ემა კობახია: „ქართველებს რომ ეღიარებინათ აფხაზეთის დამოუკიდებლობა, არანაირი შეთანხმების გაფორმება არ იქნებოდა აუცილებელი, მაგრამ ქართველები ყოველთვის იდიოტები იყვნენ და ამ შემთხვევაშიც ასეთებად დარჩნენ.“

თემურ აგრბა: „ვინმემ რომ გკითხოთ თქვენ (იგულისხმებიან ქართველები), ჩვენ ყოველთვის ოკუპირებული ტერიტორია ვიყავით, რუსეთიც ჩვენ მაგივრად იბრძოდა, მაგრამ კარგად დაიმახსოვრეთ: ჩვენ ყოველთვის ვიყავით სახელმწიფო, ჩვენი სისხლით მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა და არასდროს დავთმობთ ამას, სანამ ცოცხლები ვიქნებით. და სწორედ აფხაზეთისადმი ქართველების პოზიცია გვიბიძგებს ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერისკენ. ყველაფერი, რასაც თქვენ ამბობთ და აკეთებთ, ფარისევლობაა“.

„ვინმემ რომ გკითხოთ თქვენ, ჩვენ ყოველთვის ოკუპირებული ტერიტორია ვიყავით, რუსეთიც ჩვენ მაგივრად იბრძოდა, მაგრამ კარგად დაიმახსოვრეთ: ჩვენ ყოველთვის ვიყავით სახელმწიფო, ჩვენი სისხლით მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა და არ დავთმობთ ამას, სანამ ცოცხლები ვართ“

ჰარმონიზაცია შესარწყმელად

24 ნოემბერს გაფორმებული შეთანხმება ითვალისწინებს აფხაზეთის სახელმწიფო სტრუქტურებისა და პენსიის (ოღონდ მხოლოდ იმ პენსიონერთა, რომლებსაც რუსეთის მოქალაქეობა აქვთ) დაახლოებას რუსეთის ფედერაციის სამხრეთის ფედერალურ ოლქში არსებულ სახელმწიფო ხელფასთან და პენსიებთან. სავარაუდოდ, ეს ჰარმონიზაცია ნიადაგს მოამზადებს შერწყმისთვის, თუ მსგავსი მიზანი დადგა რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობის წინაშე – პუტინის, როგორც რუსეთისთვის მინების შემგროვებლის სტატუსის განსამტკიცებლად.

პენსიების ზრდა რუსეთის მოქალაქე აფხაზეთის მკვიდრი პენსიონერებისთვის 2015 წლის იანვრიდანაა დაგეგმილი, ოღონდ, თუ გავითვალისწინებთ ხელმოწერილ შეთანხმებაში ნათქვამს – რომ ხელმოწერიდან 3 თვის განმავლობაში უნდა გაფორმდეს ქვემდებარე აქტი ამ საკითხის დასარეგულირებლად, საეჭვოა, აფხაზეთის პენსიონერებმა დაპირებული მომატებული პენსია 2015 წლის იანვრიდან მიიღონ. საბიუჯეტო სტრუქტურებში დასაქმებულებს კი უფრო დიდხანს მოუწევთ ლოდინი (რამდენიმე წელი).

ხოლო, ვიდრე აფხაზეთის მოსახლეობა ხელებს იფშვნეტს იმ სოციალური სიამეების მოლოდინში, რასაც ზემოხსენებული შეთანხმება ითვალისწინებს, ვრცელდება ინფორმაცია, რომ აფხაზურ-რუსულ საზღვარზე რუსეთის მხრიდან მხოლოდ 5 ოპერატორი მუშაობს 12-დან. ამის გამო დიდი რიგებია ორივე მხრიდან, მოქალაქეები კარგავენ დროს, მაგრამ რუს მესაზღვრეებს არანაირი სურვილი არ აქვთ, დააჩქარონ პროცესი, ჩივის აფხაზეთის რუსული ფულის მომლოდინე მოსახლეობა და იმედოვნებს, რომ ვითარება ამ შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ მაინც შემსუბუქდება, რაც ნაკლებად სავარაუდოა.

იმ საკითხების ჩამონათვალს შორის, რომლის შესრულებაც, ადრე თუ გვიან, მოუწევს აფხაზეთის ხელისუფლებას, არის სოფელ აიღბას საკითხი, რომელიც რუსეთ-აფხაზეთის საზღვარზე მდებარეობს და 1993 წლიდან აფხაზებსა და რუსებს შორის დავის საგანია. აფხაზები სოფელს არ თმობენ, რუსეთს კი მიაჩნია, რომ აიღბა რუსეთის ნაწილი თვით მეჩვიდმეტე საუკუნიდანაა. რუსეთის ფედერაციამ თავის ჩვეულ სტილს არ უღალატა და აფხაზეთთან შეთანხმების ხელმოწერამდე რამდენიმე დღით ადრე (თითქოს ერთ კვირას ვერ მოითმენდა), კერძოდ, 21 ნოემბერს სოჭის მერი სადავო სოფელს ეწვია და ადგილობრივ მოსახლეობას, რომელიც საკმაოდ მძიმე პირობებში ცხოვრობს, კომუნიკაციების გაყვანას დაჰპირდა, კრასნოდარის გუბერნატორმა კი სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიებების გატარების პირობა მისცა.

აფხაზეთის „პარლამენტი“ ამან აღაშფოთა (სოჭის მერისა და კრასნოდარის გუბერნატორის ქმედებები უხეშად არღვევს რუსეთსა და აფხაზეთს შორის ადრე მიღწეულ შეთანხმებებსო), რის ნიადაგზე დადგენილება მიიღეს და აფხაზეთის შესაბამის სტრუქტურებს სასაზღვრო კონტროლის გამკაცრება დაავალეს სოფელ აიბღას მიმდებარედ.

გალი – ფორპოსტი ქართველების წინააღმდეგ?!

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის სომეხი მოსახლეობა რაოდენობით ლამის გაუტოლდა საკუთრივ აფხაზ ეთნოსს, დარტყმის ძირითა-

დი ობიექტი მაინც აფხაზეთის ქართველობაა. აფხაზური ცნობებით, 2003 წლის აღწერით აფხაზეთის ტერიტორიაზე 44 000 მეგრელი და ქართველი ცხოვრობს (უმეტესობა მეგრულენოვანია), მათ შორის, გალის რაიონში – 28 919 ადამიანი (რაიონის მოსახლეობის 99 პროცენტი), ტყვარჩელის რაიონში 8 155 (რაიონის მოსახლეობის 55 პროცენტი).

სწორედ იმის გამო, რომ გალი ძირითადად ქართველებითაა დასახლებული და მჭიდროდ ეკვრის დანარჩენ საქართველოს, ფრონტი ორი მიმართულებითაა გაშლილი.

პირველი მიმართულების მიზანია გალელების აფხაზებად გადაწერა, მეორე მიმართულებით – მათი გამოყენება ფორპოსტად სამეგრელოში არეულობის მოსაწყობად. თუმცა ამ ორივე მიმართულებას ერთი იდეოლოგიური საფანელი აქვს – მეგრელების „არაქართველობა“ და მათი ხელოვნური ასიმილაცია, ენისა და იდენტობის ძალისმიერი დაკარგვა. შესაბამისად, ტირაჟირება მოსაზრების, რომ სამეგრელოს, მინიმუმ, კულტურული ავტონომია ეკუთვნის, მაქსიმუმ – დამოუკიდებელ სახელმწიფო ერთეულად ჩამოყალიბება და საქართველოსგან გამოყოფა.

იმ ფონზე, რომ, ჯერ ერთი, სამართლებრივი თვალსაზრისით, გალელი ქართველები სრულიად დაუცველები არიან, მეორეს მხრივ, მიდის კამპანია მათთვის აფხაზური პასპორტების ჩამორთმევის ეგიდით (მოტივად მათი უკანონოდ დარიგება სახელდება, თუმცა პასპორტები მათ სწორედ აფხაზეთის შესაბამისმა ორგანოებმა დაურიგა), რამდენიმე დღის წინათ აფხაზურ სოციალურ ქსელებში გაჩნდა ინფორმაცია, რომ „სამურზაყანოელი აფხაზების საბჭოს“ 70-მა სამურზაყანოელმა მიმართა მათთვის ისტორიული გვარისა და ეროვნების დაბრუნების მოთხოვნით. იქვეა მინიშნებული, რომ ამის საშუალებას არ იძლევა აფხაზური კანონმდებლობა, ამიტომაც მიმართავენ აფხაზურ „პარლამენტს“, რომ შემუშავდეს შესაბამისი ცვლილებები, რაც „გაქართველებულ“ აფხაზებს ფესვებთან დაბრუნების საშუალებას მისცემს.

საინტერესოა, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე არ არსებობს საარქივო მონაცემები, რაც დაადასტურებდა გალელი ქართველების აფხაზურ წარმოშობას ან მათი ძალად ქართველების ფაქტს, თუმცა გამოსავალი მოიძებნა – მეხსიერება. ინიციატივის ავტორები მიიჩნევენ, რომ მცირე ზომის აფხაზეთში ყველამ ყველაფერი იცის, ყოველგვარი დოკუმენტური მტკიცებულებების გარეშე.

ჯერჯერობით აქტივობები რეალურ ქმედებებში არ გადასულა და, შესაბამისად, უცნობია, რა შედეგით შეიძლება, დასრულდეს ამ ორი მიმართულებით გაშლილი ფრონტი. დანამდვილებით მხოლოდ ერთის თქმა შეიძლება: პროქართული განწყობები აფხაზეთში არ არის და მეტიც, რუსეთის ფედერაციასთან მორიგი ფართომასშტაბიანი შეთანხმების გაფორმებამ აგრესია სწორედ ქართველების მისამართით გააძლიერა (პრინციპით: აბა, ჩემს შვილს ხომ არ მოვჭრი თავსო?!).

მოვუსმინოთ რიგით აფხაზებს:

– „თქვენ, ქართველებმა, მიგვიყვანეთ ამ მდგომარეობამდე. თქვენ გვიჩიოდით მთელ მსოფლიოსთან, თქვენ გყავდით ათი წლის განმავლობაში რეალურ ბლოკადაში. თქვენ გვატერორებდით მთელი ცხოვრება. თქვენ ერთიანი საქართველოს იდეით ხოცავდით ჩვენს შვილებს. მე ვიცი, როგორ უმკურნალეთ ჩემს ძმისშვილს და როგორ აქციეთ ეს პოლიტიკად. მასთან შედიოდნენ ქართველი ჟურნალისტები და ბავშვის დედას აიძულებდნენ, კამერების წინ წაეკითხათ წინასწარ დაწერილი ტექსტი, რომ აფხაზეთში მკურნალობა არ იციან და იქ ადამიანებს ასახიჩრებენ. ამის შემდეგ თქვენ რამეზე ლაპარაკის უფლება გაქვთ?!“

– „.გისურვებთ, მალე მოხვდეთ „ნატოსა“ და ევროკავშირში, თუმცა თქვენ იქ არ გელოდებიან, შეიძლება, მაშინ მაინც გაგინათდეთ გონება და გაიგოთ, რომ აღარ არსებობს არც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და არც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა.“

ენგურს გაღმა ექსთავდაცვის მინისტრის წიგნსაც გამოეხმაურნენ („სოხუმი – ჩემი იერუსალიმი“), რომელიც საქართველოს დედაქალაქად სოხუმის გამოცხადებას გვთავაზობს.

– „მოდი, გავიყოთ საქართველო სომხებმა, აფხაზებმა და ოსებმა, თუმცა, თუ სერიოზულად ვიტყვით: ერთმანეთზე უარეს სისულელეებს ამბობენ ქართველი პოლიტიკოსები.“

– „თბილისი მიჰყიდონ ჩინელებს, მაინც უმრავლესობა ჩინელი იქნება უკვე იქ.“

– „ვთქვათ, საქართველოს დედაქალაქი გადმოიტანა სოხუმში და როგორ განხორციელდება ეს რუსეთთან გაფორმებული შეთანხმების ფარგლებში? ქართველებს, როგორც ასეთი, ლოგიკა არ გააჩნიათ.“

ენგურს გაღმა მცხოვრები ჩვენებური სეპარატისტები დარწმუნებულები არიან, რომ საქართველოს დაშლა გარდაუვალია, მოტივით: „საქართველოს, რომელიც გაჩუქეს, უკან წაიღებენ.“ ადვილი მისახვედრია, საიდან ჩაუნერგეს მათ ეს აზრი, თუმცა ფაქტია, ისინი ისევე ელიან ამას, როგორც ჩვენ, ენგურს გადმოღმა, რუსეთის ფედერაციის დაშლას.

ნინო ხაჩიძე

– უსაცობობას არასდროს უჩიოდა ეს ქალაქი და ესტაკადების მშენებლობამაც კი, არათუ განმუხტა, დაამძიმა ვითარება. არის დღეები, როდესაც, ფაქტობრივად, გაუვალი ხდება ქალაქი. მეტი მანქანა გამოდის, ამინდის ბრალია თუ რა ხდება?

– სერპანტინები რომ გაკეთდა და ნახაზები დაიდო, როგორც კი დავხედე პირველივე ნახაზს, ვთქვი, რომ ეს, პირიქით, გააუარესებდა მდგომარეობას და იმის ახსნაც მაქვს, თუ რა იწვევს მოძრაობის გაჭედვას. ჩვენი სერპანტინების მთავარი პრობლემა არის ის, რომ კვეთება არასწორი. სერპანტინი არ უნდა იკვეთებოდეს სხვა ზოლთან. მაგალითად, როდესაც გმირთა მოედნიდან ჩადიხარ ზემოდან ან მოდიხარ საბურთალოდან, ერთი ნაკადი უხვევს დიღმისკენ, მეორე ნაკადი – ორთაჭალისკენ და ამ ნაკადების კვეთა ხდება გზის ყველაზე შენელებულ მონაკვეთში. თან, გზა იმ ადგილას ვიწროვდება, ანუ გარდაუვალია იმ მონაკვეთში მოძრაობის გაჭედვა, მით უმეტეს, ჩვენი მართვის მოწმობებიანი ადამიანების ხელში, რომლებსაც არ უსწავლიათ ასეთ პირობებში მოძრაობა.

– ანუ ცუდი მძღოლები კიდევ უფრო ამძიმებენ ვითარებას?

– ცუდი მძღოლები არა, ცუდად ნასწავლი მძღოლები, იმიტომ რომ, მათთვის არ უსწავლებიათ ასეთი მოძრაობა. ისწავლეს ის, რასაც ითხოვდა მართვის მოწმობის აღების ის მეთოდი, რაც ახლაც გვაქვს: პატარა მოედანზე გაატარებ მანქანას და აიღებ მართვის მოწმობას. არადა, გაქვს მართვის მოწმობა და არ იცი, როგორ იმოძრაო, როდესაც ნაკადები ერთმანეთს ერწყმის. მაგალითად, გერმანიაში ნაკადი ნაკადში ისე შედის, რომ მოძრაობა არ ნელდება. ჩვენთან ეს ვერ ხერხდება, რადგან არც საკუთარი თავის გჯერა, არც სხვისი, ამიტომ ნაკადები ერთმანეთს ვერ ერწყმის, მით უმეტეს, შენელებაში გადასული ნაკადები და ეს ქმნის პრობლემას.

მეორე პრობლემაა მოძრაობის კულტურის არქონა, პატივს არ ვცემთ ერთმანეთს. ამიტომ, როგორც კი შენელდება მოძრაობა, ვიწყებთ გამოსავლის ძებნას: გადავდივართ საწინააღმდეგოდ მომავალ ზოლზე, გვერდიდან შემოვუვლით, რომ გზა ჩავუჭრათ წინ მდგომებს, რაც კიდევ უფრო ამძიმებს საცობს და ყველაზე უფრო მძიმე პრობლემა არის პარკირება. მაგალითად, ლონდონში თითქმის ყველა ქუჩაზე, სადაც საცობის ალბათობაა, აკრძალულია გაჩერება. ანუ არსად არ არის პარკირება. შესაბამისად, მაღალი თანამდებობის პირებიც კი ან საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოძრაობენ, ან მომსახურე ავტომანქანებით.

ამდენად, მგონია, რომ საცობებთან ბრძოლა უნდა დაიწყოს სამი მიმართულებით: მართვის მოწმობების აღებიდანვე უნდა ასწავლონ მძღოლებს ქალაქში მოძრაობა; პარკირების საკითხი უნდა მოწესრიგდეს და, ასევე, საგზაო მონიშვნებისა და გზის გაყოფების საავტომობილო ნაკადები არავის დაუთვლია კომუნისტების შემდეგ. სერპანტინების აშენებამდე ვთავაზობდით, რომ ჩვენს მსაჯებს დავაყენებდით თბილისის სხვადასხვა ქუჩაზე საავტომობილო ნაკადების დასათვლელად და ამ ინფორმაციას უსასყიდლოდ მივაწვდიდით. მაშინ უარი გვითხრეს და დღესაც არავის მოუთხოვია. არადა, ამის დათვლა შესაძლებელია. მით უფრო, რომ ქუჩების უმეტესობა ცალმხრივი უნდა გახდეს, განსაკუთრებით, ვიწრო ქუჩები. თუ ქუჩა იქნება ცალმხრივი და არ იქნება პარკირების ადგილი, საცობი არ შეიქმნება.

– არსებულ ვითარებაში, რა შეიძლება გაკეთდეს ოპერატიულად?

– ძალიან მკაცრი უნდა გახდეს საპატრულო პოლიცია: გზის ჩაჭრაზე, საწინააღმდეგო გზაზე გადასვლაზე, თუ ზოლებში არ მოძრაობენ, მკაცრად უნდა დასაჯოს მძღოლები. მთავარია, ნაკადი არ აიჭრას, რადგან, თუ ნაკადები სწორად მოძრაობს, გზა არ იჭედება. ანუ საპატრულო პოლიცია უნდა გამკაცრდეს და სასწრაფოდ გაკეთდეს გზაზე მონიშვნები, ზოგან ზოლი საერთოდ არაა, ზოგან არ არის მკაფიო. ნებისმიერი გეტყვით საკუთარი გამოცდილებითაც, რომ, როდესაც მკაფიოდ ხატია ზოლი, გადასვლა გიჭირს და გინდა არ გინდა, ზოლში მოძრაობ. როდესაც ალაგ-ალაგაა ზოლები, ეს გაძლევს საშუალებას, რომ უგულებელყო.

– მომეწონა სიჩქარის შეზღუდვის ნიშნის უშუალოდ სავალ გზაზე დახატვა. მაშინვე აქცევ ყურადღებას.

– რა თქმა უნდა, გინდა, არ გინდა, რეაგირებ. ნებისმიერი ინსტინქტურად რეაგირებს მონიშვნაზე.

– ზოგიერთ დღეს რატომ არის საცობი განსაკუთრებულად გაუვალი და წვიმას რა დანაშაული მიუძღვის ამ საქმეში?

– იმიტომ რომ, ამინდი ძალიან მოქმედებს, როგორც კი წვიმა წამოვა, მაშინვე კატასტროფის წინაშე ვდგებით – ვაიმე, არ მოვცურდე, ცუდად ჩანს, დამუხრუჭების დროს რომ არ გაჩერდეს მანქანა?! არადა, მარტივია მძღოლების ინფორმირება, რომ ქალაქის სიჩქარეზე არსებითად არ იცვლება ავტომობილის მდგრადობა, როგორი ცუდი ამინდიც უნდა იყოს, ვგულისხმობ წვიმას.

ერთი წამით გაჩერებული ერთი მანქანა, სულ მცირე, 10 მანქანის შენელებას იწვევს, ხოლო, თუ ბოლომდე გაჩერდება, 50-ის შენელებას იწვევს

– თან, საბურავი, კარგად რომ სველდება, გამორიცხულია, მოცურდეს.

– ამიტომ ვამბობ, ინფორმირებაა საჭირო, რომ საშიშია პირველი მოსვლება, თუმცა ქალაქის სიჩქარეზე, 80 კილომეტრ-საათამდე საშიში ისიც არ არის. საშიშია მაღალ სიჩქარეზე მოძრაობისას. ისიც, მაქსიმუმ, ერთი მეტრით ან მეტრ-ნახევრით იცვლება სამუხრუჭე მანძილი.

– სპეციალურად დავაკვირდი, წვიმის დროს არა მხოლოდ ქუჩების დატბორვის გამო, უბრალოდ, სველი გზის გამო მოძრაობენ ნელა მანქანები.

თბილისური საცობები ისეთ დილემად იქცა, რომ დედაქალაქის მცხოვრებლებს თავი ლამის ნამდვილი მეგაპოლისის მოქალაქეებად აგრძნობინოს. მეორე მხრივ, ხუმრობას თუ გვერდით გადავდებთ, ფაქტია, რომ თბილისური ქუჩები ლამის 24 საათის განმავლობაშია პიკის საათის რეჟიმში. ვითარებას განსაკუთრებით ამწვავებს ამინდის გაუარესება – თვით ჟუჟუნა წვიმაც კი (რაც მთავარია, არა იმიტომ, რომ გზები იტბორება). რა მიზეზები უწყობს ხელს საცობების გაჩენას და რა ღონისძიებებია გასატარებელი ამის, თუ მთლად აღმოსაფხვრელად არა, შესამცირებლად მაინც, პრობლემას საავტომობილო სპორტის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტთან, მეევლუდ მელაძესთან, ერთად განვიხილავთ.

რა უნდა ვიცოდეთ წვიმაში მოძრაობისას, როგორ უნდა გავიაროთ სწრაფად საცობი და რა წესების დაცვა დაგვეხმარება საცობების თავიდან აცილებაში

– ეს შიშის ბრალია, იმიტომ რომ, არ უსწავლიათ და არც თავად გაუსინჯავთ მანქანა, რამდენად მდგრადია წვიმაში. უცხოეთში თავისი სურვილითაც დადის ხალხი კონტრავარიულ მომზადებაზე და ასე თუ ისე, მანქანას იცნობენ. ამასთან, იქ მართვის მოწმობის აღებამდე სავალდებულოა ავტობანზე მოძრაობა, სადაც 150-170 კილომეტრ-საათით უწევს მოძრაობა და ამ სიჩქარეზე უკვე ხვდება, რომ მანქანის დამორჩილება შეუძლია. ამიტომ ძალიან სხარტად დადიან ევროპაში და მეც კი მიჭირს იმ დინამიკაში გადაწყობა.

– გასაგებია, რატომ იჭედება მოძრაობა იუსტიციის სახლთან, იქა ნაკადები იჭრება, მაგრამ იუსტიციის სახლს რომ გასცდები, მაინც მუდმივად საცობია. იქ რა მიზეზია?

– ძალიან ბანალური მიზეზია. ჯერ ერთი, სამზოლიანი გზა გადადის ორზოლიანში, შემდეგ – ისევ სამზოლიანი ხდება და ეს ზოლების ცვლილება იწვევს მანქანების შერწყმას. ამ ნაკადში კი აუცილებლად გამოჩნდება ყოველი მეათე მანქანა, რომელსაც არ ეჩქარება.

– ან რომლის მძღოლი მობილურზე ლაპარაკობს.

– დიახ, ამას ემატება ერთი სამარშრუტო ტაქსიც, რომელიც აჩერებს და ეს საკმარისია იმისთვის, რომ დაახლოებით 50-მანქანიანი ნაკადი შეანელოს. ეს კი ნიშნავს, რომ შემდეგ 50-შიც აღმოჩნდება მძღოლი, რომელიც კიდევ 50 მანქანას შეანელებს. ამიტომ ნაკადს მიჰყვები ნელა და როდესაც ზოლზე გაიშლება მოძრაობა, ხედავ, რომ თურმე, არაფერი ხდება.

– საცობი იქ სწრაფად გადის, უბრალოდ სულ საცობია.

– დიახ, მთელი პრობლემა ისაა, რომ ბევრია ძალიან დაბალი დინამიკით მოძრავი მძღოლი. მათ ურჩევნიათ, ნელა, დაზღვეულად იარონ. მაგალითად, გერმანიაში დაგვაჯარიმეს იმის გამო, რომ დაბალი სიჩქარით ვმოძრაობდით, 50 კილომეტრით საათში, მოძრაობას აფერხებთო. არადა, ჩვენთან თვითონ პოლიციაც ცუდად დადის. მათ რომ ჯარიმები გამონერონ მოძრაობის შენელებისთვის, მოძრაობის დინამიკა გაიზრდება.

– თქვით, რომ პარკირების უფლება არ უნდა ჰქონდეთ ვიწრო ქუჩებზეო...

– არა მარტო ვიწრო ქუჩებზე. მაგალითად, პეკინზე რომ პარკირება არ იყოს, გამავალი ქუჩა იქნება. პეკინზე მაღაზიებთან არის პარკირების ადგილები, ამიტომ გამომსვლელი და შემსვლელი მანქანაც, ისიც, რომელიც ვერ დაეტია და მეორე ზოლზე გააჩერა, ძალიან დიდ საცობს ქმნის. ერთი წამით გაჩერებული ერთი მანქანა, სულ მცირე, 10 მანქანის შენელებას იწვევს, ხოლო, თუ ბოლომლე გაჩერდება, 50-ს შენელებას იწვევს. თუ პეკინზე პარკირება არ იქნება, ქუჩა გამდინარე გახდება. კიდევ ერთი პრობლემაა პირველი ზოლები: პირველი ზოლი არც ერთ ქუჩაზე არ ვარგა, ან წყლის ჭებია ისე, რომ ჩავარდები, ან ნაგვის კონტეინერები დგას, ამიტომ ყველა ცდილობს, გად-

ᲕᲘᲡ ᲐᲡᲔᲡᲮᲐ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲑᲔᲭᲣᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲖᲔᲞᲘᲠᲘ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲔᲕᲠᲝ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲝᲣᲯᲐᲜᲐ ᲒᲐᲡᲣᲚ ᲬᲚᲔᲡ ᲓᲔᲞᲝᲖᲘᲢᲔᲑᲖᲔ ᲓᲐᲠᲘᲪᲮᲣᲚᲛᲐ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲛᲐ 108 862-ᲔᲕᲠᲝᲘᲐᲜᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ

თეთრი წყაროს მაჟორიტარი დეპუტატი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ დავით ბეჭუაშვილი 1969 წელსაა დაბადებული დაბა მანგლისში. უმაღლესი განათლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო, პროფესიით ეკონომისტია, სპეციალობით – მაკროეკონომისტი. მისი სამუშაო გამოცდილება 1998 წელს იწყება „საქტრანსგაზმრეწვის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეობით (ჩვენთვის უცნობია, რატომ ვერ მოხვდა ბ-ნი ბეჭუაშვილის მიერ მანამდე დაკავებული შრომითი ადგილები, რადგან რთული დასაჯერებელია, 29 წლამდე უმუშევარი ყოფილიყო); იმავე პერიოდში (1998-1999 წლებში) იყო, ასევე, „საქგაზის“ გენერალური დირექტორიც. 1999 წელს საქართველოს პარლამენტის წევრი გახდა, იგივე გაიმეორა 2004 წლის მოწვევის პარლამენტშიც, აგრეთვე, 2008 წლისა და 2012 წლის მოწვევის პარლამენტებშიც.

შესაბამისად, ბ-ნი ბეჭუაშვილის მიერ პირველად შევსებული დეკლარაცია 1999 წლით თარიღდება, რომელიც მან შეავსო, როგორც პარლამენტის წევრმა. იმხანად ის მარტო ცხოვრობდა და ჰქონდა შემდეგი ქონება: საცხოვრებელი სახლი და მინა დაბა მანგლისში (30 000 ლარად ღირებული); საცხოვრებელი სახლი თბილისში (55 000 ლარად ღირებული); საცხოვრებელი ბინა კიევში – 25 000 აშშ დოლარად ღირებული; საცხოვრებელი ბინა მოსკოვში – 180 000 აშშ დოლარად ღირებული და 47 000 აშშ დოლარად ღირებული ავტომანქანა.

ამას გარდა, დავით ბეჭუაშვილი ფლობდა შემდეგ მოძრავ ქონებას: 15 000-დოლარიან საძინებელს, 12 000-დოლარიან სასადილოს, 8 000-დოლარიან სამზარეულოს, 27 000-დოლარიან რბილ ავეჯს, 4 000-დოლარიან ტელევიზორს და 12 000-დოლარიან კაბინეტის ავეჯს.

ბ-ნი ბეჭუაშვილს სოლიდური თანხა ერიცხებოდა საბანკო ანგარიშებზე, კერძოდ: ამსტერდამის ერთი ბანკის ანგარიშზე – 27 000 აშშ დოლარი და 15 000 გულდენი; მეორე ბანკის ანგარიშზე – 50 000 აშშ დოლარი და 37 000 გულდენი; ლიმასოლის ბანკში – 18 000 აშშ დოლარი; ლონდონის ბანკში – 32 000 აშშ დოლარი და 24 000 გირვანქა სტერგლინგი. ხოლო, დეკლარაციის შევსების მომენტში, ნაღდ ფულად ჰქონდა – 250 000 აშშ დოლარი და 80 000 ლარი. 1999 წლის განმავლობაში, როგორც პარლამენტის წევრმა, ხელფასის სახით, 2 000 ლარი აიღო.

ბოლო დეკლარაცია ბ-ნმა ბეჭუაშვილმა 2014 წელს შეავსო კვლავ, როგორც პარლმენტის წევრმა (როგორც მოგახსენეთ, ის აგერ უკვე 16 წელია, პარლამენტის წევრია) და ოჯახის წევრებად მიუთითა მეუღლე, თეა ჭეიშვილი და ორი შვილი – 2002 წელს დაბადებული ირაკლი და 2004 წელს დაბადებული ნიკა. რაც შეეხება ქონებას: დავით ბეჭუაშვილის საკუთრებაა ბინა კიევში (70 კვ. მ.), ბინა მოსკოვში (180 კვ. მ.) და მიწის ფართობი მანგლისში (629 კვ. მ.). თეა ჭეიშვილს კი ეკუთვნის მიწის ნაკვეთი საგურამოში (1 000 კვ.მ.), მასვე ჰყავს 2004 წლის „ლენდ როვერი“.

დავით ბეჭუაშვილს ბანკებში, როგორც ქართულში, ისე უცხოურში, გახსნილი აქვს მიმდინარე ანგარიშები, რომლებზეც სხვადასხვა ოდენობის თანხა ერიცხება – 60 ლარით დაწყებული და 203 000-ით დამთავრებული. თეა ჭეიშვილს კი „რესპუბლიკა ბანკის“ შემნახველ ანგარიშებზე ერიცხება: 15 080, 503 046 და 124 441 ლარი.

დეკლარაციის შევსების მომენტში კი, ნაღდი ფულის სახით ჰქონდათ: დავით ბეჭუაშვილს 200 000 აშშ დოლარი და 90 000 ევრო, მის მეუღლეს – 5 000 აშშ დოლარი, შვილებს – 5 000-5 000 ლარი.

დეკლარაციის თანახმად, დავით ბეჭუაშვილი არის 1994 წელს მარშალის კუნძულებზე, ანუ ოფშორში რეგისტრირებული CHEMEXIM INTERNATIONAL LTD-ისა და, ასევე, ოფშორში, ოღონდ კვიპროსზე რეგისტრირებული KEMBLE TRADING LTD-ის პარტნიორი. თუმცა, როგორც თავად მიუთითებს, ამ საქმიანობას მისთვის არანაირი შემოსავალი არ მოუტანია. როგორც პარლამენტის წევრმა კი, 2013 წლის განმავლობაში 55 593 ლარი აიღო, ხოლო მისმა მეუღლემ, როგორც ევროპული სკოლის დირექტორის კონსულტანტმა, 45 600 ლარი.

დეკლარაციის თანახმად, დავით ბეჭუაშვილს გასესხებული აქვს თანხა. სახელდობრ, 2011 წელს ზეპირი შეთანხმებით მან გაასესხა 335 090 ევრო (საიდანაც 2013 წელს შემოსავლის სახით მიიღო 436 252 ლარი) და 326 712 ევრო (საიდანაც 2013 წელს შემოსავლის სახით მიიღო 9 056 ლარი), ხოლო 2013-ში გაასესხა 828 103 ევრო, რამაც 2014 წელს შემოსავლის სახით 1 523 ლარი მოუტანა.

2013 წელს დავის ბეჭუაშვილს შემოსავალი ჰქონდა დეპოზიტებიდანაც – 108 862 ევრო. ჰქონდა გასავალიც – ქუთაისში ბინის ქირაობა 10 000 ლარი დაუჯდა, ფართის იჯარა – 18 720 ლარი.

ᲜᲘᲜᲝ ᲮᲐᲩᲘᲫᲔ

აეწყოს მეორე და მესამე ზოლებზე. შესაბამისად, შუქნიშანზეც კი მესამე ზოლი სრულად სავსეა და ამიტომ ვცდილობ, უკიდურეს მარცხენა ზოლზე ვიარო, სადაც ნაკლები მანქანებია.

– მეც, ძირითადად, პირველ ზოლში ვმოძრაობ, უფრო ხალვათობაა.

– იმიტომ რომ, ყველა ერიდება პირველ ზოლს. საერთო ჯამში, ეს წვრილმანები იწვევს საცობს, თორემ ჩვენ რეალურად არ გვყავს იმდენი მანქანა, რომ საცობი შეიქმნას. ინგლისელებმა ეს საკითხი ძალიან კარგად მოაგვარეს: ლონდონში ვერსად გააჩერებ მანქანას. დილის შვიდ საათამდეა ნაკლები შეზღუდვა. დილის 7 საათის შემდეგ კი, საკუთარ სახლთანაც ვერ გააჩერებ მანქანას. ვალდებული ხარ, გადააყენო. ჩვენი სასტუმროს წინ ადამიანს დარჩა მანქანა, ეტყობა, ჩაეძინა და ინსპექტორი ყოველ ნახევარ საათში ერთხელ მოდიოდა და ჯარიმას უდებდა.

– შეკითხვა ვერ დავასრულე. ამბობთ, პარკირება არ უნდა იყოსო, მაგრამ მიმდებარედ კი არის იმდენი ადგილი, რომ დაიტიოს მანქანები?

– აი, ეს არის პრობლემა.

– მაგალითად, სად უნდა წაიყვანოთ იმავე პეკინზე გაჩერებული მანქანები?

– თუ პეკინზე მუშაობს ვინმე, კეთილი ინებოს და გამოიყენოს საზოგადოებრივი ტრანსპორტი ან ტაქსი. იმიტომაც არის ლონდონში ძალიან ბევრი ტაქსი, რომ პარკირება აკრძალულია. ჩვენთანაც ბევრი ტაქსია და უკვე 3-ლარიანიც კი. ანუ მგზავრობა იმაზე ძვირი არ დაგიჯდებათ, ვიდრე საკუთარი მანქანით მოძრაობა. თუ პარკირებას აკრძალავენ, რას იზამ?! მიხვალ საზოგადოებრივი ტრანსპორტით ან ტაქსით. თუ ვინიცობაა, სხვა გზა არ გაქვს, ვინმე მიგიყვანს, დაგტოვებს, წავა და მოგაკითხავს, იმიტომ რომ, სხვანაირად ვერ განმუხტავ მოძრაობას. არადა, მოძრაობის განმუხტვა იმისთვისაც კომფორტია, ვისაც ეჩქარება, დროზე მიხვალ. ამიტომ სჯობია, განმუხტული იყოს მოძრაობა და საზოგადოებრივი ტრანსპორტით მაინც მიხვიდე დროზე, სადაც მიდიხარ.

საღამოს 7 საათის შემდეგ, როგორც ევროპაშია, შეიძლება, იყოს რაღაც ნებართვები. ამის შემდეგ შემოვა პარკინგის ბიზნესი. რამდენიმე წლის წინათ ვთქვი, რომ, ადრე თუ გვიან, მოგვინევს, როდესაც ქალაქი გაიჭედება. რამდენიმესართულიანი პარკინგები უნდა გაკეთდეს, თან გზებიც გამავალი გახდება და, თან, ეს პარკინგები ფულს შემოიტანს. პეკინზე უამრავი ძველი შენობაა და მათ მაგივრად შეიძლება, ჩადგა პარკინგის 10-სართულიანი შენობა. პარკირების შენობების აგება აუცილებელი იქნება, რადგან ყველა საცობებზე წუწუნებს. ერთი სიტყვით, მოძრაობის განმუხტვისთვის საჭიროა, რომ გაუქმდეს პარკირების ადგილები და ადამიანი იძულებული გახდება, სამსახურში საზოგადოებრივი ტრანსპორტით მივიდეს. წარმოიდგინეთ, ათიც რომ მივიდეს ტაქსით ან ავტობუსით, 10 მანქანით ნაკლები იქნება და მეტად გამტარი გახდება ქუჩა.

– და მანქანებიც უფრო მცირე ზომის უნდა შევარჩიოთ: ყიდულობენ ძვირად ღირებულ „ჯიპებს“ და გადაჰყავთ გაზზე ეკონომიის მიზნით. იყიდე, რა, იმ ზომის მანქანა, რომლის საწვავის ხარჯსაც აუხვალ და რომელიც უფრო დაეტევა თბილისის ქუჩებში?

– მოვა ეს დროც. გვინდა არ გვინდა, სამყარო იძულებულს გაგვხდის. ლონდონში ერთი ბენო მანქანები დადიან, ველოსიპედი კი ყველაზე პოპულარული ტრანსპორტია.

– არა, ველოსიპედი ვარცხნილობას გამიფუჭებს, ავტობუსი ან ტაქსი ჯობია.

– ამიტომ მცირე ზომის ტრანსპორტი უნდა შევარჩიოთ, ტაქსი, მეტრო... ჩვენთან უზარმაზარი ჰოლები რომ აქვს მეტროპლიტენს, სულაც არ არის საჭირო. დიდ ქალაქებში, ვიწრო ჩასასვლელებია მეტროში, საცხოვრებელ კორპუსთან ჩახვალ და ყველგან მიდის. მეტრო ყველაზე მოქნილი ტრანსპორტია, შენელების პრობლემა არ აქვს. ამიტომ მეტროს ქსელიც უნდა განვითარდეს.

ᲜᲘᲜᲝ ᲮᲐᲩᲘᲫᲔ

ნდობის ტელეფონი

0 9 0 2 2 0 0 2 0 0

SMS – 93094

დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან

ზარი ფასიანია

– ბატონო მურმან, როგორ ხართ, როგორ გრძნობთ თავს მარტოხელა, უპარტიო, უფრაქციო ვიცე-სპიკერის როლში?

– ძალიან კარგად, მე მინი-პარლამენტის გამოცდილება მაშინ მივიღე, როცა აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვიყავი. 2004 წლის 7 მაისს, მეორე დღეს ასლან აბაშიძის ხელისუფლების დასრულებიდან, რომლის წინააღმდეგ დაწყებული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერიც ვიყავი ოპოზიციური „რესპუბლიკური პარტიიდან," მიხეილ სააკაშვილმა ხელვაჩაურის რაიონის გამგებლად დამნიშნა. მხოლოდ 18 დღის განმავლობაში ვიყავი გამგებელი, შემდეგ გავაკეთე პოლიტიკური განცხადება, დავტოვე გამგებლის პოსტი, ვიყარე კენჭი და გავხდი უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. ასე რომ, საკანონმდებლო ტრიბუნა, გამგებლობა, ფრაქციობა და ეს მანიპულაციები ჩემთვის უცხო არ იყო.

– ორჯერ ხართ გარიცხული გუნდიდან – გაგრიცხეს პარტიიდან, ფრაქციიდან. როგორია ბორტს მიღმა დარჩენილი კაცის განცდა?

– მოქმედ პოლიტიკოსებს შორის არ მახსენდება ვინმე, ვისაც ამ მხრივ ასე „მძიმე" ბიოგრაფია აქვს. „რესპუბლიკური პარტიის" წევრი გავხდი 1990 წელს და ჩვენ ოცი წელი ერთად ვიზრდებოდით და ვვითარდებოდით, მაგრამ, მოხდა ისე, რომ 21 წლის შემდეგ გამრიცხეს ამ პარტიიდან. შემდეგ გავხდი „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" გუნდის წევრი და იქიდანაც გამრიცხეს, თუმცა, ეს უფრო მალე მოხდა. ღმერთი სამობით არის და, 2016 წელს, როცა შევეცდებით, შევცვალოთ ეს ხელისუფლება უკეთესი ხელისუფლებით, ამ საქმეს აუცილებლად დასჭირდება ახალი ძალა. მე გავხდები ამ ძალის წევრი და,, ალბათ, იქიდანაც მალე გამრიცხავენ, თუმცა, ვგეგმავ რომ აქტიურ პოლიტიკაში დავრჩე – უამრავი მომხრე მყავს. მე მაინც უფრო მარტო მოთამაშე ვარ, ჩემში კოლექტიურობა ნაკლებია, თავისუფლება – ბევრად მეტი. როცა ხარ პოლიტიკური გაერთიანების წევრი, გინდა თუ არ გინდა, უნდა დაემორჩილო გუნდის წესებს: იძულებული ხარ, გაჩუმდე იმ საკითხებზე, რაც არ მოგწონს და გაწუხებს და, ამიტომაცაა, რომ ასეთ ხმაურიან ამბებში ხშირად ვეხვევი. პოლიტიკა ისეთი საქმეა, იქ პარტერში ზიხარ თუ ლოჟაში, ყველას და ყველაფერს კარგად უნდა აკვირდებოდე და ხედავდე. თუ შენი პარტერიდან ლოჟა არ ჩანს, ესე იგი, პოლიტიკოსი არ ხარ. მე ყველაფერს ვამჩნევ: ვამჩნევ, რა ხდება კულისებში, ოთახებში, ბიუროს სხდომებზე, დერეფნებში; თვალის შევლებით ვამჩნევ ჩურჩულში, გადალაპარაკებებში, ხმის მიცემის დროს პულტს როგორ აჭერს ხელს ადამიანი, გულწრფელად თუ იძულებით – ამასაც კი ვგრძნობ. ძალიან ხშირად წინასწარმეტყველებასავით გამომდის ხოლმე ნათქვამი: ირაკლი ღარიბაშვილს ხშირად ვეუბნებოდი, კოალიციური ერთობიდან პირველად „თავისუფალი დემოკრატები" გავლენ-მეთქი – ბოლო ნახევარი წელი ეს აკვიატება მქონდა.

სულ ვფიქრობდი, რაღაც შტერული მეთქვა, რომ ტელევიზიებში მოვხვედრილიყავი: ჯერ დავიწყე მარჯვენა ხელი – მარცხენა ხელი, მერე „გავართულე" და სიმსივნეზე გადავედი

პარლამენტის ვიცე-სპიკერი მურმან დუმბაძე, მას შემდეგ, რაც ფრაქციიდან გარიცხეს, საკანონმდებლო ორგანოში მარტოხელა დეპუტატად დარჩა. გარიცხვის „ფასი" კარგად იცოდა – უფრო ადრე „რესპუბლიკური პარტიის" რიგები დაატოვებინეს, თუმცა, ეს სულ არ ნიშნავს იმას, რომ ძირძველი რესპუბლიკელი ქართული პოლიტიკის კულისებს ვერ ფლობს; მურმან დუმბაძე სხვა მხრივაც არის „რეკორდსმენი" – ოთხ მილიარდერს ბევრი არ შეხვედრია, მათგან სამს კი ხელიც ჩამოართვა. მარჯვენა თუ მარცხენა? – ეს ხომ მისი ყველაზე ცნობილი „ოინია", რომელიც, როგორც ახლა ამბობს, საარჩევნოდ გამოიგონა და მის ყველაზე ფრთიან ფრაზად იქცა.

როგორ აქვს დაცდილი პარლამენტის ვიცე-სპიკერ მურმან დუმბაძეს მილიარდერებთან შეხვედრა და როდის რჩება ის ბორტს მიღმა

– ამდენს თუ „ხედავთ" ქართულ პოლიტიკაში, საკუთარი გარიცხვა რატომ ვერ იწინასწარმეტყველეთ?

– და ვინ გითხრათ, რომ არ ვიცოდი, როგორ განვითარდებოდა მოვლენები?! მე გასარიცხი ვიყავი პარტიიდან, იმიტომ რომ, შეგნებულად დავარღვიე პარტიის წესდება, როცა მეჩეთის მშენებლობის წინააღმდეგ წავედი. ამაზე მარტო, ეულად წასვლა შედეგს ვერ მომიტანდა და დავიწყე მიტინგების გამართვა. პარტია ამის წინააღმდეგი იყო – რელიგიური ფაქტორის შეეშინდათ, თუმცა, სულ ტყუილად შეშინდნენ – რაღაცეები ვერ გათვალეს.

– თქვენზე ამბობენ, ახალგაზრდობაშიც ანარქისტი და ეპატაჟური იყოო.

– ზღვარს გადასული ონავარი არასდროს ვყოფილვარ. ფეხბურთს ვთამაშობდი კარგად, მოედანზე ვხარჯავდი მოჭარბებულ ენერგიას. სასკოლო ასაკიდან დავიწყე დისიდენტური ამბები – მე და დავით ბერძენიშვილი ბავშვობიდან ვმეგობრობდით და სხვანაირად ვერ გამოვიდოდა. სკოლაში ძალიან კარგი მოსწავლე ვიყავი, კლასში გამორჩეულად ვსწავლობდი. მეცხრე კლასში რომ ვიყავი, სკოლის ეზოში შესვლისთანავე, ბავშვები ჩანთას წამართმევდნენ ხოლმე და, სანამ მეოთხე სართულამდე ავიდოდი, სადაც ჩემი კლასი იყო, მათემატიკა გადაწერილი ჰქონდათ ჩემგან. სკოლის დამთავრებისთანავე ჩავაბარე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, შემდეგ კი წავედი მოსკოვში, სადაც დავამთავრე ცნობილი კიბერნეტიკის ინსტიტუტი, რომელსაც ივერი ფრანგიშვილი ხელმძღვანელობდა. ლომონოსოვის უნივერსიტეტი იყო სათავო ორგანიზაცია, რომელიც წერდა რეცენზიას დისერტაციის წინა დაცვაზე, რაც ურთულესი პროცესი იყო. სხვათა შორის, ჩემი ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო მილიარდერი ბორის ბერეზოვსკი – სამი წლის განმავლობაში მის კაბინეტში ვიჯექი და ვიყავი მისი ასპირანტი. ის უნიჭიერესი ადამიანი იყო, 35 წლის ასაკში ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი გახდა. საოცრად თავმდაბალი კაცი იყო, ინსტიტუტში ველოსიპედით დადიოდა. მახსოვს, ჩემი დისერტაციის დაცვის დღეს, მან სამეცნიერო საბჭოს წინაშე ჩემზე თქვა – ვწუხვარ, რომ ასეთი კარგი ასპირანტი მიდის ჩვენგანო. 1991 წელს დავბრუნდი ბათუმში, 1995 წლიდან ვიყავი ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი და ვეწეოდი პედაგოგიურ საქმიანობას. ხშირად ვხუმრობ ხოლმე, რომ სამი მილიარდერისთვის მაქვს ხელი ჩამორთმეული.

– როგორ გყავთ დაცდილი მილიარდერები? მარჯვენა ხელს ართმევდით მილიარდერებს თუ მარცხენას?

– კარგად, კარგად მაქვს დაცდილი, მათ მარჯვენა ხელს ვართმევდი *(იცინის)*. პირველი მილიარდერი იყო ბორის ბერეზოვსკი; 90-იან წლებში ბათუმში შევხვდი ბადრი პატარკაციშვილს, ხოლო მესამე მილიარდერი იყო ბიძინა ივანიშვილი. ერთ ისტორიას კიდევ გავიხსენებ: 1989 წელს დავესწარი ბილ გეიტსის ლექციას, რომელიც მოსკოვში იყო ჩამოსული, თუმცა ხელის ჩამორთმევა ამ შემთხვევაში არ გამოვიდა.

– თქვენი გამოთქმები ხელის გახმობასა და სიმსივნეზე დიდხანს იყო ხალისიანი ხუმრობების თემა.

– გეტყვით, როგორ გაჩნდა ეს თემა. მოგეხსენებათ, ძალიან დაძაბულ რეჟიმში გვიწევდა საარჩევნო კამპანია და ჩემი კონკურენტი იყო გია ბარამიძე, გამოცდილი პოლიტიკოსი. იცით, როგორ ვატყუებდი მას საარჩევნო კამპანიის დროს? შეხვედრებზე 70-100 კაცი თუ მიდიოდა მასთან, იქიდან ნახევარზე მეტი ჩემი ხალხი იყო. გიას შეხვედრების გრაფიკი საკუთარ გრაფიკზე მაგრად ვიცოდი – „მტრის" ბანაკში ჩემები მყავდა *(იცინის)*. ერთ დღესაც, აღმოვაჩინე, რომ ცენტრალური ტელევიზიების კარი გიასთვის ღია იყო, ჩემთვის – არა. სულ ვფიქრობდი, რამე ისეთი შტერული მეთქვა, რომელსაც „რუსთავი 2" აუცილებლად დაატრიალებდა. ჯერ დავიწყე მარჯვენა ხელი, მარცხენა ხელი და „რუსთავი 2-მა ეგრევე გაუშვა. აუ, მივხვდი, რომ მიზანში გავარტყი. მერე „გავართულე" და სიმსივნეზე გადავედი. მოსახლეობას რომ ვხვდებოდი, ისინიც მთხოვდნენ ხოლმე – თქვი, რა, ხელის გახმობის ამბავიო. ეს იყო ჩემი ხრიკი, რომლითაც რეიტინგულ ტელევიზიაში მოვხვდი – ასე გამომივიდა, ფაქტობრივად, უფასო რეკლამა, ბიძინა ივანიშვილისთვის კი ეს იყო დაზოგილი და გადარჩენილი ფული *(იცინის)*.

– დუმბაძეებს დიდი გვარი გაქვთ, მაგ-

15-20 კაცი რომ დავინახო ერთად შეკრებილი, ძაღლს ვეშვნები, ანქანა გაიჩერე-მეთქი – რა ვქნა, მიტინგებისკენ მიწევს გული

ექიმთა დახელოვნების, უროლოგიისა და გადაუდებელი დახმარების კლინიკა

თანამედროვე ოპერაციები თირკმელზე, შარდსაწვეთზე, შარდის ბუშტზე, პროსტატაზე, მამაკაცის სასქესო ორგანოებზე – თამაზ შიოშვილის უროლოგიურ კლინიკაში.

ექიმთა დახელოვნების, უროლოგიისა და გადაუდებელი დახმარების კლინიკას მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **თამაზ შიოშვილი** *ხელმძღვანელობს. ბატონი თამაზი საქართველოს და ევროპის უროლოგთა ასოციაციის წევრი და ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, 150-მდე სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 40 გამოგონების ავტორია. ორი წლის წინ ამერიკაში გამოიცა მონოგრაფია „თირკმლის გადანერგვა," რომელიც ეფუძნება თამაზ შიოშვილის მიერ, 32 წლის წინ, მოსკოვში დაცულ სადოქტორო დისერტაციას.*

ექიმთა დახელოვნების, უროლოგიისა და გადაუდებელი დახმარების კლინიკა მრავალპროფილური კლინიკაა. მისი ძირითადი მიმართულებებია: მიკროქირურგია, ზოგადი უროლოგია, ზოგადი ქირურგია, ტრავმატოლოგია, ქირურგიული ენდოკრინოლოგია. პროფესორ თამაზ შიოშვილის კლინიკა თბილისში ერთადერთი უროლოგიური კლინიკაა, სადაც ფუნქციონირებს რეანიმაციული განყოფილება, რომელსაც გამოცდილი რეანიმატოლოგი და ანესთეზიოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, მალხაზ კაციაშვილი ხელმძღვანელობს.

კლინიკაში, დაავადებათა კონსერვატიული მკურნალობის მეთოდებთან ერთად, წარმატებით კეთდება მიკროქირურგიული, უროლოგიური და ანდროლოგიური ოპერაციები, ასევე კეთდება თირკმლიდან დიდი ზომის ეგრეთ წოდებული მარჯნისებრი კენჭების ამოღება ჰიპოთერმიის აპარატის გამოყენებით. ეს აპარატი შექმნილია თამაზ შიოშვილის მიერ და 1982 წელს ლაიფციგის საერთაშორისო გამოფენაზე დაჯილდოებულია ოქროს მედლით. ასევე, მიღებული აქვს ამერიკის, ნორვეგიის, ინგლისის პატენტი.

– ბატონო თამაზ, რა მიმართულებით მუშაობს თქვენი კლინიკა, რომელსაც დიდი ხნის ისტორია აქვს და ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის უროლოგიის კათედრის გაგრძელებას წარმოადგენს?



– ჩვენს კლინიკაში ტარდება ყველა სახის თანამედროვე სტანდარტის ოპერაციები თირკმელზე, შარდსაწვეთზე, შარდის ბუშტზე, პროსტატაზე, მამაკაცის სასქესო ორგანოებზე; შარდის ბუშტის სრული ამოკვეთა და მისი ჩანაცვლება ნაწლავის სეგმენტით, ასევე პროსტატის რადიკალური ამოკვეთა კიბოს დროს. მიკროქირურგიის გამოყენებით, შესაძლებელი გახდა ისეთი დაავადებების მკურნალობა, რაც ადრე შეუძლებელი იყო. ამ ოპერაციებს შორისაა თესლ-სადინრის გამტარობის აღდგენა, რაც, ისევე როგორც ვარიკოცელე ხშირად ხდება მამაკაცთა უშვილობის მიზეზი. მიკროქირურგიული ჩარევა ძალიან ეფექტური და შედეგის მომცემია ვარიკოცელეს დროს, რაც ძალიან გავრცელებული დაავადებაა და აღენიშნება ახალგაზრდა მამაკაცების 10-12 პროცენტს და მათი თითქმის ნახევარი უშვილოა. სათესლე ვენის მიკროქირურგიული შუნტირება იძლევა ეფექტურ შედეგს 99, 4 პროცენტში – სამ თვეში ორმაგდება სპერმის მაჩვენებელი. ჩვენ მიერ ჩატარებულია ვარიკოცელეს 1 000-ზე მეტი წარმატებული ოპერაცია, რომელიც პაციენტებისთვის სასურველი შედეგით დასრულდა. ჩვენს კლინიკაში, ასევე კეთდება სათესლე ჯირკვლის აუტოტრანსპლანტაცია მაღალი კრიპტოქიზმის დროს. ამ ტიპის ოპერაციები საბჭოთა კავშირში და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში პირველად ჩატარდა ჩემ მიერ. პირველად მსოფლიოში ჩატარებული მაქვს სათესლე ჯირკვლის რეპლანტაცია; ჩვენს კლინიკაში ხდება პეირონის დაავადების ქირურგიული მკურნალობა. ასევე, წარმატებით კეთდება რეკონსტრუქციული პლასტიკური ოპერაციები თირკმლის მენჯზე, შარდსაწვეთზე, შარდსადენ მილზე. კლინიკაში ფუნქციონირებს დიაგნოსტიკის ლაბორატორია, სადაც სტანდარტების დაცვით კეთდება ყველა სახის ანალიზი და ლაბორატორიული კვლევა. კლინიკაში ასევე, გამოიყენება სხივური დიაგნოსტიკის თანამედროვე საშუალებები. ჩვენი გუნდი დაკომპლექტებულია მაღალი კვალიფიკაციის ექიმებით. ჩვენი მიზანია, რომ ძალიან აქტიურად ვიყოთ ჩართულები იმ ნოვაციებსა და სამედიცინო ტექნოლოგიების განვითარებაში, რომელთა გარეშეც თანამედროვე მედიცინა წარმოუდგენელია.

დეტალური ინფორმაციისთვის დარეკეთ ტელეფონებზე: 247 70 12; 5 95 53 66 10 მისამართი: თბილისი, ლუგლიანას ქ №5 (ყოფილი რკინიგზის საავადმყოფო).

თამუნა ნიჟარაძე

რამ ამხელა რა სანათესაო გყავთ, ნეპოტიზმში რომ გადანაშაულებენ?

– ყველა თვალსაზრისით ძალიან დიდი გვარი გვაქვს, ჩვენი გვარი ყველაზე მრავალრიცხოვანი გვარების პირველ ორმოცეულში შედის. ჩემი ნეპოტიზმი არის აბსოლუტური ტყუილი და, არც ვარ ვალდებული, ჩემი უდანაშაულობა ვამტკიცო. ამხელა გვარში ორი-სამი ადამიანი რომ კონკურენციას უძლებდეს და კარგი კადრი იყოს, გასაკვირია?! როგორ ფიქრობთ, ნეპოტიზმის ამბავი რომ მქონდეს ჩემი მეუღლის დასაქმებაზე არ ვიფიქრებდი?! ჩემი ვაჟი, მუხრანი, რომელსაც ჰყავს მეუღლე და შვილი, შორეული ნაოსნობის ოფიცერია. ჩემი ძმაც მეზღვაური იყო, დღეს კი ძალიან სერიოზული და წარმატებული ბიზნესმენია. აჭარაში ეროვნული მოძრაობის პატრიარქია ჩემი უფროსი ძმა – გურამ დუმბაძე, რომელიც დღეს ცნობილი სტომატოლოგია. ის წლების განმავლობაში აფინანსებდა „რესპუბლიკურ პარტაის." ჩემი ბიზნესი არის ჩემი შვილები – მუხრანი თვეებს ატარებს ზღვებსა და ოკეანეებში და უყვარს თავისი საქმე; კარგი ანაზღაურებაც აქვს – პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის ხელფასზე ორჯერ მეტი და, შეიძლება ითქვას, რომ მეც კი მინახავს. უმუშევარია ჩემი რძალი (შვილის ცოლი). ჩემი ქალიშვილი საქართველოში არ ცხოვრობს და მის ნეპოტიზმში ვერ მომედავენ, რუსიკო ამერიკაშია გათხოვილი და ამერიკის მოქალაქეა, ჰყავს ქართველი მეუღლე – ამირან ფანცულაია. ჩემი რძალი, ძმის ცოლი, რომელზეც ააგორეს ამბები, აჭარის უმაღლეს საბჭოში მუშაობს 2004 წლიდან და, ახლა, მე რომ მივედი და „დიდი კაცი" გავხდი, სამსახურიდან ხომ ვერ გავაგდებდი?!

– თქვენი ცხოვრება კადრს მიღმა როგორია?

– კადრში და კადრს მიღმა ჩემი ცხოვრება თითქმის ერთნაირია, ჩემში თეატრალურობა ძალიან ნაკლებია. ვფიქრობ, იმ წესით ვცხოვრობ დღესაც, როგორც გავიზარდე. დედაჩემი შერვაშიძის ქალი იყო და მკაცრი გადაწყვეტილებებით მას ვგავარ. ერთხელ ტელევიზიით უყურა ჩემს გამოსვლას და, სახლში დაბრუნებულს მითხრა: შენ ასეთი არ ხარ, დღეს შენ ითამაშე; თუ აწვები კაცს, ბოლომდე უნდა მიაწვეო. ჩემში არის კონსერვატიზმი და ამითაც დედას ვგავარ. იოლად ვერ ვიცვლი აზრს – რაც არ მომწონდა ექვსი თვის წინ, რატომ უნდა მომწონდეს დღეს, იმიტომ რომ, ბიძინა ივანიშვილს მოსწონს?! მიყვარს ტრადიციები, სახლში სადილი რძალმა რომ უნდა მოამზადოს, ეს ფეოდალური გადმონაშთია, მაგრამ, ასეა. ძალიან კომუნიკაბელური კაცი ვარ, ღამის 12 საათზე ვეძახი ხოლმე მეგობრებს ჩემთან. სოფელში დიდი სახლი მაქვს და მიყვარს ჩემს სახლში ფუსფუსი, ღვინის გადაღება; ასე მგონია, სახლს ქალზე უკეთესადაც კი დავალაგებ. როცა მოსკოვში ვცხოვრობდით, ბავშვებს მე თვითონ ვაბანავებდი ხოლმე. მიყვარს სტუმრები. ადრე კარგად ვუკრავდი გიტარაზე, მაგრამ, ახლა დრო არ მაქვს და „კლასიც" დაეცა. თუ შფოთი და ქაოსი არ არის, თვითონ ვეძებ – მგონია, რომ ისე ცხოვრება ინტერესს კარგავს.

თამუნა სამადაშვილი

ზაზა ოქრუაშვილი არის 44 წლის მამაკაცი, რომელსაც აქვს უმძიმესი დაავადება „დილიტაციური კარდიომიოპათია" 2008 წლიდან იტანჯება ამ დაავადებით, გაუკეთდა სამი ოპერაცია, რომელმაც შედეგი ვერ გამოიღო. ახლა იმყოფება რეანიმაციაში, მდგომარეობა არის უმძიმესი. სასწრაფოდ ესაჭიროება გულის გადანერგვა. ოპერაცია საკმაოდ სოლიდური თანხა ჯდება, რომელიც შეადგენს 100 000 დოლარს. მივცეთ ამ ადამიანს გადარჩენის შანსი. ნებისმიერი ქსელიდან შეგიძლიათ დარეკოთ ამ ნომერზე: **0901700137 ან გადმორიცხოთ ლიბერთი ბანკის ანგარიშზე GE12LB0711153204004000.**

ლიბერთი ბანკი

GE12LB0711153204004000

მაგთიდან და ბილაინიდან

0 901 700 137

როდის ხვევს ქალი შარში საკუთარ თავს და რომელ სტერეოტიპს ვერ გაუძლებს ის

ქალებისთვის გაცილებით რთულია ცხოვრება, ვიდრე მამაკაცებისთვის, მით უფრო, ისეთ საზოგადოებაში, სადაც სტერეოტიპები ძალიან ბევრ რამეს წყვეტს. გვიწევს, თვალი გავუსწოროთ უსიამოვნო რეალობას და ვიცხოვროთ ისე, როგორც არ გვინდა. ქალებს მოთხოვნებსაც ბევრს უყენებენ და ბევრსაც არ პატიობენ... თუმცა, ბევრი რამ, – მათზე რაც არის დამოკიდებული, უცვლელი რჩება. ზოგჯერ თავად ქალს არ სურს, საბოლოოდ გაახილოს თვალი და რადიკალურად შეცვალოს ცხოვრება. ეს მისთვის რისკია, რაც აშინებს. ურჩევნია, იბრძოლოს და დაიღალოს...

ელენე *(34 წლის):* მე მამაკაცის ორგულობასთან და ლოველასობასთან ბრძოლის ჩემებური მეთოდი მაქვს. გათხოვებამდე მიმაჩნდა, რომ მამაკაცს აქვს პატარ-პატარა თავგადასავლების უფლება; მთავარია, სერიოზული ურთიერთობა არ დაიწყოს, თორემ შემთხვევითი სექსი პრობლემა არ არის-მეთქი.

– პრობლემა როგორ არ არის?

– საქმეც ეგაა, რომ დიდი პრობლემაა, მაგრამ, იმაშიც ხომ დამეთანხმებით, რომ ნერვიულობა და გულის კანკალიც არ ცვლის არაფერს. რა აზრი აქვს, გადაირიო და გაგიჟდე, თუკი მაინც ვერაფერს შეცვლი? დინების საწინააღმდეგო ცურვას შედეგი არ მოაქვს. დამიჯერებთ თუ არა, არ ვიცი, მაგრამ, ვინ რა მოიგო კაცის უკან დევნით? ისინი აქეთ უნდა დაგვდევდნენ და გვეხვეწებოდნენ, არ მიგვატოვოთო.

– თქვენ ფიქრობთ, რომ ეს რეალურია?

– არარეალურიც არ არის – მთავარი ხომ მონდომება და სურვილია. რატომ არ უნდა სცადო? ცოლ-ქმრის ურთიერთობა ჩვეულებრივი ბრძოლაა და ეს უნდა ვაღიაროთ. კარგი იქნებოდა, სხვანაირად რომ იყოს, მაგრამ, სამწუხაროდ, არ გამოდის.

– ზოგიერთს ნამდვილად გამოსდის. ხომ არსებობენ გამონაკლისი წყვილები, რომლებიც ცხოვრების ბოლომდე ბედნიერები არიან ერთად?

– შეიძლება, მაგრამ, ისინი გამონაკლისები არიან. ჩვენ კი უმრავლესობაში მყოფი ქალები ვართ. მამაკაცები მუდმივად ძალადობენ ჩვენზე, გვანერვიულებენ და გვაეჭვიანებენ და, ზუსტად ასევე უნდა მოვექცეთ ჩვენც.

– ეს მართლაც ომი იქნება, თანაც, ჯიბრში ცხოვრება ძალიან დამღლელია. ამას აჯობებს, მარტო ვიყოთ.

– არა, მე ასე არ ვუყურებ საკითხს. მარტო ყოფნას ყველაფერი ჯობია. ცოტას თუ გაუძლებ და ჭკვიანურად მოიქცევი, გამოგივა. მერე ის ინერვიულებს და იეჭვიანებს და შენ კარგად იქნები.

– თანხმობით ცხოვრება რატომ არ შეიძლება?

– ვერ გეტყვით, მე ფსიქოლოგი არ ვარ. მარტო ის ვიცი, რა ცოდნაც დამიგროვდა საკუთარი გამოცდილებით. ხუთი წლის განმავლობაში ნამდვილ დიპლომატად ჩამოვყალიბდი და ამას ჩემი ქმარიც აღიარებს – მეუბნება, ბადალი არ გყავს ამაშიო.

– ჩხუბობთ?

– დიახ, ვჩხუბობთ – ამის გარეშე ცოლ-ქმარი არ არსებობს. მთავარია, როდის იჩხუბებ და რისთვის, თორემ, ჩხუბს ნამდვილად აქვს აზრი. კიდევ, მინდა, ბრძოლა და ომი განვასხვავოთ ერთმანეთისგან – ამასაც სერიოზული მნიშვნელობა აქვს. მე არ ვამბობ, რომ აუცილებლად ომი უნდა გქონდეს ქმართან – ეს უკვე მძიმე სიტუაციაა და, ძნელი სათქმელია, გაგრძელდება თუ არა ამ პირობებში ოჯახის არსებობა. ბრძოლები კი, თუ მათ ჭკვიანურად წარმართავ, პირიქით, აძლიერებს და ამყარებს ურთიერთობას, ოღონდ, მუქარით არ უნდა შემოიფარგლო. მუქარა კი – „გაგეყრები“, „წავალ შენგან“ – საერთოდ სისულელეა. კაცს პირველ ეტაპზე შეეშინდება, მერე კი, როცა ნახავს, რომ არსადაც არ მიდიხარ, მარტივად „დაგიკიდებს.” ამიტომ, აზრი არა აქვს.

ვინ რა მოიგო კაცის შკან დევნით? ისინი აქეთ უნდა დაგვდევდნენ და გვეხვეწებოდნენ, არ მიგვატოვოთო

– პირდაპირ რომ წახვიდე და მართლა გაშორდე?

– რისთვის, იმის გამო, რომ ეჭვი გაქვს, მგონი, მღალატობსო? ნორმალური იქნება ეგ? სისულელეა. ახლა, თუ აღარც ქმარი გინდა და აღარც ოჯახი, შეგიძლია, მოძებნო მიზეზი და გაშორდე. ამაზე არ ვლაპარაკობ. ორი წელი ვფიქრობდი სხვანაირად, ისე, როგორც სხვა ქალები ფიქრობენ, ანუ, სტატისტიკურად.

– „სტატისტიკურად ფიქრი“ რას ნიშნავს?

– ჩვეულებრივი ქალების უმრავლესობა როგორც ფიქრობს – რომ უნდა ინერვიულო და იეჭვიანო. გამწარებულმა თითები იმტვრიო, იტირო... ქმარი მაინც თავისას გააგრძელებს, შენ კი რა შეგრჩება ხელში? – ნაოჭები თვალების გარშემო... ორი წელი დამჭირდა ამის მისახვედრად.

– თქვენი ქმარი ქორწინების პირველივე დღეებიდან გღალატობდათ თუ რატომ დაიწყეთ მაშინვე ნერვიულობა?

– მღალატობდა – ხმამაღლა ნათქვამია, მაგრამ, ცანცარებდა, ვერ იქცეოდა სერიოზულად და არ მომწონდა მისი საქციელი, მაღიზიანებდა და მანერვიულებდა. თითქოს ჩემს ჯინაზე, სხვა ქალებს ბუღასავით უყურებდა. ჩვენ, ცოლები, სტერეოტიპების მსხვერპლი ვხდებით, ვერ გავურბივართ მათ და თავს ვიტანჯავთ, პლუს, ვიტყუებთ. მოკლედ, მამაკაცში ვტყუვდებით.

– იმის თქმა გინდათ, რომ ისეთებად ვერ აღვიქვამთ, როგორებიც რეალურად არიან?

– ეგ ერთი უბედურებაა, მაგრამ, მეორე უბედურებაც გვჭირს – მამაკაცში ვხედავთ იდეალს და, უფრო უარესი ისაა, რომ ამ იდეალს უპირობოდ ვიყვარებთ. მე გადაწყვეტილება მივიღე, საკუთარი თავი ცოტა შარში გამეხვია – გავმხდარიყავი ცოტათი ავანტიურისტი და გავქცეოდი სტერეოტიპს. ჩვენ ხომ ჯერაც ვერ გავთავისუფლდით, ვერაფრით ვერ გამოვედით იმ სტერეოტიპიდან, რომ კაცს ყველაფერი ეპატიება, ქალს კი – არაფერი; რომ კაცის „სეირნობას“ აქვს რაღაც ლოგიკა, ქალს კი პირდაპირ ეწერება გარყვნილისა და ამორალურის იარლიყი. ხომ ასეა? არ ვარ მართალი?! ისიც ხომ მართალია, რომ, როგორი საყვარელიც არ უნდა იყოს მამაკაცი, მისგან მუდმივად უნდა ელოდო უსიამოვნო სიურპრიზებს?

– რატომ?

– იმიტომ, რომ ისინი სერიოზულად არ უყურებენ თავიანთ მექალთანეობას და იმისაც სჯერათ, რომ სხვანაირი კაცები ქალებს არ უყვართ.

– ანუ, თუ კაცი მექალთანე არ არის, ის ქალებს არ მოსწონთ?

– ასე სჯერათ მამაკაცებს და, ეს ან სტერეოტიპია, ან, უნდათ, რომ ასე იყოს და იჯერებენ. რეალურად, ზოგიერთ ქალს, ალბათ, მართლაც მოსწონს ასეთი კაცი, მაგრამ, წარმოიდგინეთ, ქმარი რომ გყავს ლოველასი და ერთ აფრიალებულ კაბასაც არ უშვებს – აიტანთ? მოკლედ, საპი-

როგორ დაკარგეს მეგობრებმა ერთმანეთი წლების წინ და ვის ეძებენ ხარაგაულის რაიონში

67 წლის სილვა ბიწაძე ეძებს დაახლოებით 65-69 წლის მადლენა ცისკაძეს.

ისტორია: ვეძებ ჩემს მეგობარს, დაახლოებით 65-69 წლის მადლენა ცისკაძეს. ჩვენ ერთმანეთი დიდი ხანია, არ გვინახავს და, უკვე წლებია მას ვეძებ. ბოლოს მადლენა დაახლოებით 70-იან წლებში ვნახე. სამწუხაროდ, მისი სურათი არ გამაჩნია და აღარც მისი ზუსტი ასაკი მახსოვს, რადგან, კარგა ხანია, რაც მასთან კავშირი შემიწყდა. ძალიან გთხოვთ, დამეხმაროთ მის პოვნაში. თავად მე ჯვარში ვცხოვრობ, მადლენა კი, როგორც მახსოვს, ხარაგაულის რაიონიდან (ან თვითონ ხარაგაულიდან) იყო. გიგზავნით ჩემს ორ ფოტოს, რომლებიც იმ პერიოდშია გადაღებული და, იმედია, მადლენა მათზე მე ადვილად მიცნობს.

– გვიამბეთ თქვენი დამეგობრების ისტორიაც და ისიც, თუ როგორ დაკარგეთ ერთმანეთი.

– მე და მადლენა იმ პერიოდში თბილისში ვსწავლობდით. მან სასოფლოში მცენარეთა დაცვის ფაკულტეტი დაამთავრა, მე კი უნივერსიტეტში ვსწავლობდი. ფარმაცევტის განათლებაც მაქვს და იმ დროს პრაქტიკაზე №24 აფთიაქში მოვხვდი. იმ აფთიაქში მუშაობდა მადლენას მამიდა, მარგალიტა ცისკაძე. მარგალიტა პროვიზორი იყო და პრაქტიკას მასთან გავდიოდი. სწორედ მამიდასთან მოსვლის დროს გავიცანი მადლენა. ის მამიდასთან ცხოვრობდა – სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე იყო მათი სახლი. მე და მადლენა დავმეგობრდით და თავისუფალ დროს სულ ერთად ვატარებდით. მასთან ბევრი ტკბილი მოგონება მაკავშირებს. მადლენას მამიდას ჰყავდა გოგონა, სახელად მადონა, რომელიც მაშინ 4-5 წლის იქნებოდა.

– კიდევ რა იცით მადლენას შესახებ, და ან ძმა თუ ჰყავს?

– სამწუხაროდ, ბევრი ინფორმაცია არ მაქვს, თან, დიდი დროც არის მას შემდეგ გასული, რაც ჩვენ ერთმანეთი ბოლოს ვნახეთ; მაგრამ, დაზუსტებით მახსოვს, რომ მადლენას ინვალიდი მამა ჰყავდა – ის ხშირად ახსენებდა ხოლმე, მამა ინვალიდი მყავსო; ასევე, ვიცი, რომ მადლენა ხარაგაულის რაიონიდან იყო (შეიძლება, თვითონ ხარაგაულიდანაც).

– აქამდე თუ ეძებდით მას და როგორ?

– თუკი ვინმეზე გავიგებდი, რომ ხარაგაულიდანაა, ყველას ვაბარებდი მის პოვნას, მაგრამ, ამდენი ხნის განმავლობაში მე ის ვერ ვიპოვე. სრულიად შემთხვევით წავიკითხე თქვენი რუბრიკა და გამიხარდა, რომ მადლენას პოვნის შანსი გამიჩნდა. ძალიან გთხოვთ, დამეხმარეთ მის მოძებნაში, ძალიან მინდა მასთან შეხვედრა და მეგობრობის აღდგენა.

– თქვენ, რა თქმა უნდა, უკვე ოჯახიც გაქვთ.

– დიახ, მყავს ერთი ქალიშვილი და შვილიშვილი. დარწმუნებული ვარ, მადლენასაც აქვს ოჯახი და, ალბათ, ისიც, ჩემსავით, უკვე ბებიაა. მე ქიმიის პედაგოგად ვმუშაობ ჯვარში. მაინტერესებს, მადლენა რას აკეთებს, რას საქმიანობს, როგორ აეწყო მისი ცხოვრება. ძალიან მინდა მისი ოჯახის გაცნობა. დარწმუნებული ვარ, მისთვისაც, ისევე, როგორც ჩემთვის, ეს დიდი სიხარული იქნება.

– მაინც, რას ფიქრობთ, სად უნდა ცხოვრობდეს ის ამჟამად?

– დარწმუნებული არ ვარ, მაგრამ, თუკი ის ხარაგაულში არაა, მაშინ, შეიძლება, თბილისშიც კი ცხოვრობდეს. შეიძლება, გათხოვდა და გვარიც შეიცვალა. მე მისი პოვნის იმედს არასდროს დავკარგავ. ისეთი პიროვნება, როგორიც მადლენაა, არ უნდა დაკარგო. ის ჩემთვის ძალიან ძვირფასი ადამიანი და ნამდვილი მეგობარია. მიუხედავად იმისა, რომ წლები გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენ ერთმანეთი ბოლოს ვნახეთ, მე ის არასდროს დამვიწყებია.

თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამ ისტორიასთან დაკავშირებით ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.

ნატალია მახარაშვილი

ცოლ-ქმრის შრთიერთობა ჩვეულებრივი გრძოლაა და ეს უნდა ვაღიაროთ

რისპირო ქმედებები დავისახე მიზნად და მეც დავიწყე ცანცარი – ჩემს საქციელს სხვას ვერაფერს ვუწოდებ, ოღონდ, მიზანდასახულად ვაკეთებდი ამას. არ მკითხოთ, რატომო. იმიტომ, რომ საკუთარ საცდურებზე მეფიქრა და არა ქმრის ღალატზე. ერთი სიტყვით, თავი დავიცავი. თქვენ კი მითხარით, რომ საკუთარი თავი ჩავიგდე შარში, მაგრამ, მთლად ასეც არ ყოფილა საქმე. საკმაოდ კარგად ვერთობოდი და ჩემი ქმარიც საკმაოდ „შევაჯანჯღარე“. კიდევ, აღმოვაჩინე ის, რომ ყველა კაცი თითქმის ერთნაირია – გაუცინებ და ეგრევე ცანცარს იწყებენ, სულერთია, ცოლი ჰყავს თუ არ ჰყავს!.. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

– მხოლოდ ერთობოდით?

– დიახ. აბა, მართლა ხომ არ ვუღალატებ ვინმესთან? არ ზის ეს ჩემში და, რაც არ უნდა დააშავოს ჩემმა ქმარმა, იმავეთი არ ვუპასუხებ, გამორიცხულია. ერთმა ჩემმა თაყვანისმცემელმა მითხრა: მოფერებას მონატრებული ქალი იმდენია, სინდისი არ მაპატიებს, თითოეულ მათგანს არ გავუნაწილო ჩემი სითბო, ისეთი საწყლები და საბრალონი არიან... რა ვქნა, თუკი მათ ვჭირდებიო. დარწმუნებული ვარ, ჩემი ქმარიც ზუსტად ასე ფიქრობს და კიდევ ბევრია მისი მსგავსი. მინდა, ამ მამაკაცების გასაგონად ვთქვა: ძვირფასო „ქველმოქმედებო“! სანამ თქვენ სხვისი ცოლების „დამშვიდებას“ ცდილობთ, აუცილებლად მოიძებნება თქვენივე მსგავსი მამრი, რომელიც თავგამოდებული ეცდება თქვენი ცოლისთვის სითბოს, სიყვარულის, ყურადღების დეფიციტის შევსებას. ამ საქმეში უკვე ექსპერტი ვარ. ცუდად არ გამიგოთ, მაგრამ, უკვე მეცინება – რისთვის ვნერვიულობდი? დროა, ჩემმა ქმარმა ინერვიულოს. ვკეკლუცობ და ეს პრობლემას არ მიქმნის. ერთხელ ჩემმა ძვირფასმა მეუღლემ მითხრა, არ მინდა, იმ დაოჯახებულ მამაკაცებს დავემსგავსო, ექვსი საათის შემდეგ სახლში რომ გარბიან და შვილებს პამპერსებს უცვლიან. ცოლი ცოლის ადგილას უნდა იყოს, თავისი წილი ყურადღებითა და პატივისცემით, მაგრამ, ამით მე არ უნდა ვიყო სასაცილო მდგომარეობაშიო – ანუ, რასაც მინდა და როგორც მინდა, ისე ვიზამო... თუ ახლა ამის ხალისი აქვს – კი ბატონო... მაგრამ, მე ისე ვიქცევი, მეეჭვება, მოიცალოს „ნაშებისთვის“ – მე ვყავარ სადევნი...

დალი მიქელაძე

რედაქციაში წერილი მოვიდა

შეყვარებული ვარ. უკვე ძალიან სერიოზული ურთიერთობა გვაქვს, მაგრამ, მეშინია, ჩემი რჩეული სახლში მოვიყვანო და დედაჩემს გავაცნო, რადგან, მას საკმაოდ უცნაური მოსაზრებები აქვს და კიდევ უფრო უცნაური სტერეოტიპები. ვმეგობრობ დედასთან, თუმცა ეს საკმარისი არ იქნება იმისათვის, რომ ამ კონკრეტულ სიტუაციაში გამიგოს. ჩვენ ერთად გვინდა ცხოვრება. როგორ ავუხსნა დედას, რომ ამისთვის აუცილებელი არ არის, ვიქორწინოთ?! შევძლებ, დავარწმუნო იმაში, რომ ეს ჩემი ცხოვრებაა?

გამოხმაურება: ჯერ უნდა დააკონკრეტოთ – თქვენმა ოჯახმა არაფერი იცის, შეყვარებული რომ გყავთ?! თუ პირველი განაცხადი ახლა უნდა გააკეთოთ, პირდაპირ ფაქტის წინაშე ნუ დააყენებთ, უბრალოდ, გაიცანით და შეეცადეთ, მასზე კარგი შთაბეჭდილება შეექმნას, მერე კი, ნელ-ნელა, მთავარი საუბარიც უთხარით.

ფსიქოლოგი
მაგდა რობაქიძე

დიდი ხანი არ არის, რაც ნიჭიერმა დიზაინერმა მარიამ გვასალიამ ქართული მოდის სამყაროში შემოაბიჯა. მისი სამოსი, რომელიც საკმაოდ ორიგინალურია ლამაზად შეხამებული ფერებითა და ხარისხიანი ქსოვილისგან შეკერილი დარღვეული სილუეტებით, თბილისში მალევე გახდა პოპულარული. ამ სამოსის, ისევე, როგორც ფეხსაცმელებისა და ბოტასების მიმართ, ბევრი მანდილოსანი ვერ დარჩება გულგრილი, მით უმეტეს, რომ მარიამი სახელოსნოში კვირაში ერთხელ მაინც ახდენს კოლექციის განახლებას.

როგორ ჩაცვა მარიამ გვასალიამ თბილისს თავისი შეკერილი ბოტასები და ეძახდა თუ არა ის კახა ბენდუქიძეს „ბაბუას“

მარიამ გვასალია: ბავშვობაში რამდენიმე წლის გამავლობაში დავდიოდი ქორეოგრაფიულ სასწავლებელში – ბალეტს ვცეკვავდი. პატარაობიდან მეც ვიხატავდი ხოლმე ჟურნალებიდან მოდელების ფორმებს და შემდეგ ჩემი გემოვნებით ვაცმევდი, მერე კი სერთოდ აღარ ვხატავდი, თუმცა, კარგად ჩაცმა ყოველთვის მიყვარდა. ისეთი რაღაცეები მომწონდა, რაც ორი წლის შემდეგ ბევრს მოსწონდა თბილისში. რაც შეეხება ბალეტს, ჯერ მაკა მახარაძის სტუდიაში დავდიოდი, მერე – ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში, მაგრამ, დავანებე თავი და ეს ნაბიჯი არასდროს მინანია. შემდეგ ცოტა ხანს ფლეიტაზე ვუკრავდი, ბავშვობაში ვმღეროდი კიდეც, ბოლოს ისევ დასაწყისში დავბრუნდი და ჩავაბარე სამხატვრო აკადემიაში.

– ეს მოულოდნელი იყო ოჯახის წევრებისთვის?

– არა, რადგან მამას აკადემია ჰქონდა დამთავრებული, ბიძაჩემი კი თვითნასწავლი მხატვარია. ოჯახში ბევრი ნახატი გვაქვს, ერთი სახლი, ფაქტობრივად, გალერეაა – იმდენი ნახატია, საქართველოს ბევრ გალერეას შეიძლება სჯობდეს. რაც შემეხება მე, ჯერ ვსწავლობდი სახვით ხელოვნებაზე, თეატრის მხატვრობაზე, შემდეგ – ტექსტილზე, ბოლოს კი ტყავზე გადავედი და დავამთავრე. მეოთხეც მინდოდა, მაგრამ მითხრეს: გვასალია, დარჩი შენს ადგილზეო. თან, უგამოცდოდ გადავდიოდი.

ხშირად ნაკუწი, ნაჭერი რომ მრჩება, იმისგან ვაკეთებ და ფიზიკურად ერთზე მეტი არ გამოვა. ხელოსნები სულ ამას ჩივიან: არ შეიძლება, შეგვიკვეთო 20 ცალი ერთნაირი, რატომ გვაწვალებო

– როდის გადაწყვიტე დიზაინერობა?

– ჩემთან ყველაფერი უკუღმა არის, თავდაყირა. ფეხსაცმელები და აქსესუარები მიყვარს ძალიან. პირველად ჩემთვის შევიკერე ფეხსაცმელი, რადგან, მივხვდი, რომ აქ არ იყო ისეთი ფეხსაცმელი, რომელიც მე მომინდებოდა. მერე ვიღაცას მოეწონა... ის მომენტი ყოველთვის იყო: რა ლამაზად გაცვია, როგორი განსხვავებული, ორიგინალურია... აქედან გამომდინარე, თანაც, აკადემიაში რომ ვსწავლობდი, სამომავლოდ ისედაც ვგეგმავდი და გადაწყვეტილი მქონდა დიზაინერობა. მივხვდი: შეიძლებოდა, ჩემი თავი ამ მხრივ წარმომეჩინა. პირველი კოლექცია აკადემიის სადიპლომო ნამუშევარი იყო. შემდეგ კონკურსზე – BE NEXT-ზე გავიტანე და ერთ-ერთი პრიზი მხვდა წილად – მილანში Istituto Europeo di Design-ში ერთთვიანი სასწავლო კურსი. საინტერესოც იყო იქ სწავლა და განსახვავებულიც. გარდა ამისა, ძალიან შესამჩნევი იყო ჩემი ჩაცმულობა. ერთი თვის განმავლობაში ყოველდღე მიწევდა იმის თქმა, რომ ჩემი სამოსი იყო. ლექტორებიც აღნიშნავდნენ და ბავშვებიც: „ვაიმე, რა კარგია, რა გაცვია...“ ჩემი შეკერილი ფეხსაცმელი ძალიან მოსწონდათ და ბევრი მეუბნებოდა, იქნებ, თბილისიდან გამომიგზავნოო.

– ძალიან კარგად ახამებ ფერებს.

– ჩემთვის მთავარია, ქსოვილი ქსოვილს უხდებოდეს და ფერები – ფერებს. თარგზე იმდენს არ ვმუშაობ, რამდენსაც ქსოვილზე, ფაქტურაზე, ფერებზე. შემიძლია ქსოვილში ნებისმიერი თანხა გადავიხადო. ახლა სახელოსნოში შავი რაღაცეები კიდია, მაგრამ, ადრე სულ ჭრელები ეკიდა. ერთმა გოგონამ მკითხა – შავს არ კერავო? როგორ არ ვკერავ, უბრალოდ, ზოგჯერ პროტესტი მაქვს რაღაცეების მიმართ. ადრე თბილისში ყველა გოგოს ხომ ეცვა შავი ბათინკი, შავი ტყავის შარვალი და ქურთუკი, იმ პერიოდში სწორედ შავზე მქონდა გართულება. რაც მასობრივია და ყველა ერთნაირად აკეთებს, მე ნერვებს მიშლის.

– სამაგიეროდ, შენს სამოსს ვინც ჩაიცვამს, ის განსხვავებული და გამორჩეული იქნება. საქართველოში პირველმა დაიწყე ბოტასების შეკერვა და ახლა ლამის მთელ თბილისს აცვია.

– ფეხსაცმელებიც ძირითადად ორი-სამი არის ხოლმე. თუმცა, ბოტასებს სერიულად ვაკეთებ და თბილისში უკვე ძალიან ბევრს აცვია. მაგრამ, არის ზოგიერთი მოდელი, რომელიც მხოლოდ ორი ცალია ან ერთი. ხშირად ნაკუწი რომ მრჩება, იმისგან ვაკეთებ და არ გამოვა ფიზიკურად ერთზე მეტი. ხელოსნები სულ ამას ჩივიან: არ შეიძლება, შეგვიკვეთო 20 ცალი ერთნაირი? რატომ გვაწვალებო. ჩემთან ყველაფერი სხვანაირად არის; მაგალითად, ხომ არის მიღებული, რომ გიპიურის კაბა ტანზე მომდგარი უნდა იყოს, გულამოღებული, მოკლე სარჩულით – მე ყოველთვის უკუღმა ვაკეთებ: მოკლე გიპიური გრძელი სარჩულით.

– შენმა გიპიურის ჟაკეტმა, რომელიც ანანო დოლაბერიძეს მილანის მოდის კვირეულზე ეცვა, დიდი მოწონება დაიმსახურა.

– მერე მიყვებოდა: უკან დამდევდნენ და ფოტოებს მიღებდნენ, ძალიან მოეწონათო.

– ნორმალური ფასები გაქვს?

– ტანსაცმელი ხშირად ბევრად უფრო იაფი და ხარისხიანი მაქვს, ვიდრე სხვებს, მაგრამ, ფეხსაცმელს არ აქვს დაბალი ფასი. რომ შემეძლოს, ეს ხარისხი ხალხს მივცე უფრო იაფად, სამჯერ მეტი იქნებოდა – ამაში დარწმუნებული ვარ. ბათინკსა და ბოტასს შორის მასალაში დიდი სხვაობაა. იმის მიუხედავად, რომ ორივეში ნატურალური ტყავია გამოყენებული, ბათინკებთან შედარებით ბოტასები ნახევარი ფასი ღირს და ამიტომაც იყო ბევრი შეკვეთა. მიუხედავად იმისა, რომ, მაგალითად, მაღალყელიანი ჩექმა ღირს 550 ლარი, შეკვეთა მაინც ბევრია, რაც ძალიან მიხარია.

– ბიზნესის კეთების ნიჭი კახა ბენდუქიძისგან ხომ არ გამოგყვა?

– ხშირად გვიკამათია ამაზე ცხარედ. ბოლოს მკითხა: საშუალოდ, რა არის კაბის ფასი, ანუ, საიდან სადამდეა თვითღირებულებაო. 150-დან 400 ლარამდე შეიძლება იყოს-მეთქი. ის მიმტკიცებდა: ფასში ამხელა დიაპაზონი არაფერით არ შეიძლება იყოსო, მე კი ვუმტკიცებდი, რომ შეიძლებოდა. ბოლოს მითხრა: შენ ბიზნესში არაფერი გაგეგებაო. მტკიცების მომენტში არ მისმენდა არასდროს და მე ვუთხარი: შენ კიდევ, მოსმენის კულტურა არ გაქვს-მეთქი, რის შემდეგაც მომაძახა: სამაგიეროდ, შენ ბიზნესის კეთება არ იცი. მაგას ვნახავთ-მეთქი.

– ზუსტად ამიხსენი, როგორი ნათესავი იყო ბატონი კახა...

– მამაჩემის ბიძა იყო – ბებიაჩემის ძმა, ანუ, ბაბუად მეკუთვნოდა.

– როგორი ურთიერთობა გქონდათ ერთმანეთთან?

– დღემდე ბევრმა ახლობელმა არ იცოდა, რომ ჩვენი ბაბუა იყო. მახსოვს, ბავშვობაში ზოოპარკში გავიპარეთ სკოლიდან მე და ჩემი მეგობარი და გემზე დავსხედით. უცებ ვიღაცამ დაიწყო ყვირილი: „ბენდუქიძე იუდა!“, მაგრამ, საერთოდ არ მქონია რეაქცია. ახლაც „ფეისბუქზე“ რომ ვკითხულობდი წერილებს, გამიხარდა, რომ ამდენმა იცოდა, რა კარგი ადამიანი იყო. მე ამის დიდი აფიშირება არასდროს მომიხდენია.

– ეძახდი ბაბუას?

– არა.

– რამეზე თუ გაკრიტიკებდა ან რას გირჩევდა?

– ბავშვები რომ წერდნენ – იმდენი რამე გვასწავლა, ყველაფერი მისგან ვისწავლეთო, ჩვენ ამდენი არ აგვიღია მისგან, რასაც ახლა ძალიან ვნანობ, რადგან, შემეძლო, მისგან ბევრი რამ მესწავლა. ჩვენც ხომ ვიცოდით, რომ ძალიან ჭკვიანი იყო, განსხვავებულად და სწორად აღიქვამდა ყველაფერს; მაგრამ, როცა შენია, იმდენად ვეღარ აფასებ და ვერ იყენებ შენთვის სასიკეთოდ – ჭკვიანურად გამოყენებას ვგულისხმობ. მე კი ვუმტკიცებდი: ბიზნესის კეთება კარგად გამომივა-მეთქი, მაგრამ, ხომ შემეძლო, მისგან ბევრი რამ მესწავლა?!

– ხალხი იმასაც ამბობდა, მარიამია მისი მემკვიდრეო.

– რა სისულელეა! ხალხი, ხომ იცი, ყველაფერს ამბობს.

– ყველაზე მეტად რა გაღიზიანებდა ბატონ კახასთან დაკავშირებით?

– ყველაზე მეტად პროტესტი გამიჩინა იმ ფაქტმა, როდესაც უნივერსიტეტს ავტორიზაცია ჩამოართვეს და რის შემდეგაც პროკურატურაში დაიბარეს. აქცია იყო, მაგრამ, მე ვერ მოვახერხე წასვლა. ძალიან ვიყავი გაბრაზებული – ეს როგორ გაბედეს-მეთქი.

– როგორი იყო ოჯახურ სიტუაციებში?

– ზუსტად ისეთი, როგორიც გარეთ, თუმცა, შეიძლება, გარედან მაგინებელი ჩანდა, მაგრამ, არ იყო ასე. ბავშვებმაც კარგად დაახასიათეს თავის წერილებში, კახა ლომაიას წერილი კი განსაკუთრებით მომეწონა. ბოლოს როგორ ზუსტად აღწერს: ცმაცუნა ულვაშებით და შიშველ ფეხებზე ტოპსაიდერებითო.

ნათია უტიაშვილი

პირის სიმშრალე

პირის სიმშრალე, ქსეროსტომია, დაავადებაა, რომლის დროსაც პირის ღრუში არ არის საკმარისი რაოდენობის ნერწყვი ტენიანი გარემოს შესანარჩუნებლად. პირის სიმშრალე შეიძლება ჰქონდეს ნებისმიერ ადამიანს და გამოუცდია თითოეულ ჩვენგანს, მაგალითად, მღელვარების დროს, მაგრამ როდესაც ეს მდგომარეობა პრაქტიკულად მუდმივია, ამ არაკომფორტულმა შეგრძნებამ შესაძლოა ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები გამოიწვიოს.

მოზრდილი ადამიანის პირში დღე-ღამეში გამომუშავდება დაახლოებით ლიტრნახევარი ნერწყვი. ნერწყვს საკმაოდ ბევრი ფუნქცია აქვს: იცავს პირისა და ხახის ლორწოვანს გამოშრობისაგან, ამავე დროს იცავს კბილებს კარიესისაგან (გამორეცხავს საკვების ნარჩენებს და კბილზე ნადებს, ანელებს კბილის ემალის რღვევისა და რბილი ქსოვილების ანთების გამომწვევი პათოგენური ბაქტერიების ზრდას, ანეიტრალებს მჟავებს, რომლებიც გამომუშავდება ან ხვდება პირის ღრუში), არბილებს საკვებს, რაც აადვილებს მის გადაყლაპვას, ასევე ხელს უწყობს საკვების გემოს უკეთ შეგრძნებას, შეიცავს საკვების მომნელებელ ფერმენტ ამილაზას, რომელიც პირის ღრუშივე იწყებს ნახშირწყლების გადამუშავებას.

ნერწყვის არასაკმარისი რაოდენობა ჩვეულებრივ გამოვლინდება:

- პირის ღრუსა და ხახაში სიმშრალის შეგრძნებით;
- წყურვილის მუდმივი შეგრძნებით;
- პირის ღრუს ლორწოვანში წყლულების გაჩენით და ტუჩების დახეთქვით;
- ენის წვის შეგრძნებით;
- ღეჭვისა და ყლაპვის გაძნელებით, გემოს შეგრძნების დაქვეითებით;
- ხმის ჩახლეჩვით, ხახაში ფხაჭვნის შეგრძნებით.

როდესაც პირის სიმშრალე დილიდანვე იწყება, ამის მიზეზი შეიძლება იყოს წინა ღამით მიღებული ალკოჰოლი, აგრეთვე ცხვირით სუნთქვის გაძნელება (მაგ. სურდოს დროს), ხვრინვა.

დღე-ღამის განმავლობაში არსებული პირის სიმშრალის მიზეზებია: თამბაქოს მოხმარება, მარილიანი საკვების მიღება, სანერწყვე ჯირკვლების დაავადებები, შაქრიანი დიაბეტი, ინსულტი, ალცჰაიმერის დაავადება და ზოგიერთი სხვა მდგომარეობები, ასაკი (ასაკთან ერთად ხდება ნერწყვის გამომუშავების შემცირებაც, ამიტომაც ხანდაზმული ადამიანები უფრო ხშირად უჩივიან პირის სიმშრალეს, ვიდრე ახალგაზრდები).

დროებითი პირის სიმშრალე შეიძლება გამოწვეული იყოს ჭარბი ფიზიკური აქტივობით, რაც პირის ღრუს ლორწოვანისთვის დამატებით დატვირთვას წარმოადგენს და შედეგად ვითარდება ყელში წვის, დაჭიმულობის, სიმშრალის შეგრძნება.

როგორ შეიძლება მოვაგვაროთ ეს პრობლემა?

პირის სიმშრალის მკურნალობის ერთადერთი გზაა მისი მიზეზის დადგენა და აღმოფხვრა. უარი უნდა ვთქვათ სიგარეტზე, ალკოჰოლზე, ცხარე კერძებზე, მაგარ ყავასა და ჩაიზე; ძალიან მნიშვნელოვანია დიდი რაოდენობით წყლის მიღება; აგრეთვე პირის სიმშრალის დროს რეკომენდებულია სპეციალური საწუწნი პრეპარატები. მაგალითად: ისლა-მინტის ან ისლა-მოოსის პასტილები.

ისლა-მინტისა და ისლა-მოოსის საწუწნი პასტილები ბუნებრივი წარმოშობის პრეპარატებია და დამზადებულია ისლანდიური ხავსის ფუძეზე. ისლანდიური ხავსი შეიცავს ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, რომლებიც განაპირობებს ისლა-მინტისა და ისლა-მოოსის პასტილების ეფექტურობას პირის სიმშრალის და თანდართული სიმპტომების ხმის ჩახლეჩისა და ყელში წვის, დაჭიმულობის დროს. ისლა, როგორც ბალზამი, შემოგარსავს გაღიზიანებულ ლორწოვან გარსს და იცავს პირის ღრუს გამოშრობისაგან. ისლა-მინტისა და ისლა-მოოსის პასტილების გამოყენება ნებადართულია 4 წლის ასაკიდან.

ისლა მინტი ისლა მოოსი

- ყელის ინფექციურ-ანთებითი დაავადებები, როგორიცაა: ფარინგიტი, ლარინგიტი, მათ შორის ალერგიული წარმოშობის (მშრალი გამაღიზიანებელი ხველა, ხმის ჩახლეჩა);
- მშრალი ხველის თერაპია მწ. და ქრ. ბრონქიტებისა და ბრონქული ასთმის დროს კომპლექსური თერაპიის შემადგენლობაში;
- სახმო იოგების მეტისმეტი დაჭიმვა (მომღერლებში, მასწავლებლებში, ლექტორებში).
- პირის ღრუს და ხახის ლორწოვანი გარსის სიმშრალე და გაღიზიანება (მშრალი, არასაკმარისად ნოტიო ჰაერის ჩასუნთქვა შენობებში გათბობის პერიოდში, კონდიცირებით აღჭურვილ შენობებში, ცხვირის სუნთქვის შეზღუდვის გამო და აგრეთვე სპორტული შეჯიბრების დროს).

ხმის წასვლის, ხმის ჩახლეჩისა და მშრალი გამაღიზიანებელი ხველის დროს!

„გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს“

წელიწადში ოთხი მარხვიდან შობის მარხვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანია, თუმცა, ხშირად მისი დაცვა ბევრს უჭირს. ამის მიზეზი კი ახალი წელია. გარდა ამისა, უმეტესობა მმარხველებისა ვერ ხვდება, სწორად მარხულობს თუ არა; არ იციან, რა არის მარხვის შედეგები. ამიტომ, ამ საკითხის შესახებ გვესაურება ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა გიორგი (თევდორაშვილი):

რა სასჯელს იღებენ ადამიანები, რომლებიც სხვებს აბრკოლებენ და რატომ არ იწოდებიან ქრისტიანებად მარხვის არშემნახველები

– მარხვა თავიდან იყო უზმო, ანუ დილიდან საღამომდე არ ჭამდა არავინ არაფერს. მეოთხე საუკუნეში მონასტერში მოღვაწე ბერებმა დაადგინეს, რომ ზოგიერთი საკვები არის სამარხვო და ზოგიერთი – არა. ადამიანი, განსაკუთრებით – თანამედროვე ადამიანი, რომელიც გარკვეულ მოღვაწეობას იწყებს, ამას ქრისტიანულ ენაზე ღვაწლი ჰქვია. თუ ვინმემ დაიწყო რაღაც ბიზნესის კეთება, დიეტა თუ სხვა რამ, მას მაშინვე აინტერესებს შედეგი. ბუნებრივია, ჩვენც უნდა გვაინტერესებდეს, რა შედეგი გამოიღო მარხვამ ჩვენს ცხოვრებაში – როგორც სულიერი, ასევე ფიზიკური. უმეტესობა სარკეში იყურება და უხარია, რომ რაღაც კილოგრამები დაიკლო, ესე იგი, კარგად იმარხულა. მე ხშირად ვეკითხები ჩემს მრეველს, როგორ მარხულობენ და სულ მპასუხობენ: კარგად, დიდებულად, არ მიჭირს მარხვის შენახვა. იმდენი სამარხვო საკვებია გამოსული, რომ, ბუნებრივია, მარხვის დაცვასთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა აღარ არსებობს. მაგრამ, მარხვა რომ საკვების მოკლება იყოს, მთელი საქართველო მარხვაზე იქნებოდა. მარხვა და გაჭირვება ერთმანეთისგან უნდა გავარჩიოთ. მარხვა ხდება ნებაყოფლობით. როდესაც მთავრეული ჭაბუკის მამა მაცხოვართან მივიდა საყვედურით: შენმა მოწაფეებმა ვერ განკურნეს ჩემი შვილი, რომელიც ბავშვობიდან შეპყრობილიაო, მაცხოვარმა უსაყვედურა ებრაელ ხალხს: როდემდე ვიქნები თქვენთან და შევრისხავ არაწმიდა სულს, რომლის შედეგადაც წმიდა სული ტოვებს ჭაბუკის სხეულს. მაცხოვარი კი ამბობს: ეს მოდგმა (ეშმაკის მოდგმაზეა საუბარი) განიდევნება მხოლოდ ლოცვითა და მარხვითო, ანუ, მარხვის მთავარი მიზანია არა წონაში დაკლება, არამედ, ჩვენგან არაწმიდა სულის განდევნა, ბოროტი საქმეების დატევება, სიკეთის აღსრულება.

ბოლო ერთი საათიც რომ იმარხულოს ადამიანმა, ესეც ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენთვის მთავარი დღეების ხანგრძლივობა და შინაარსი არ არის

– როგორ უნდა მიხვდეს ადამიანი, სწორად მარხულობს თუ არა?

– მთელი მარხვის განმავლობაში უნდა ვეცადოთ, რომ დაცხრეს ჩვენი მრისხანება; არ ვიყოთ ისეთი სასტიკები, როგორებიც ვიყავით; რომ არ განვიკითხავდეთ სხვებს და ვიყოთ უფრო მეტად მიმტევებელები. ღმერთი გვთხოვს, რამდენიმე დღე შევწიროთ უფალს და ესეც ჩვენი სულის ცხონებისთვის არის საჭირო. თუ მთელი წლის განმავლობაში არ ვმარხულობდით ან არასწორად ვმარხულობდით, შეგვიძლია, ახლა ვიმარხულოთ, გარკვეული ღვაწლი გავწიოთ. თუ ჩვენ ისევ განკითხვასა და მრისხანებაში ვართ, გვიჭირს იმ ადამიანისთვის მიტევება, რომელიც ჩვენი ოჯახის წევრია, მშობელი, მეუღლე, ან ნათესავი, მეზობელი ან თანამშრომელი ამ დროს, ფარისევლებივით ვმარხულობთ. როდესაც განკაცებულმა ღმერთმა დაიწყო მოღვაწეობა, უნდა გახსოვდეთ, ვინ ამხილა მან: უპირველეს ყოვლისა, არა ცოდვილები, მეძავები და მრუშები, არამედ, იმ დროს გამეფებული კლასი, რომელსაც ერქვა სადუკეველები, ფარისევლები, ვინც პოზიორობდა ერის წინაშე და დიდი მორწმუნე ეგონა თავი. მათეს სახარების მეხუთე თავს თუ წავიკითხავთ, ვნახავთ, რომ იწყება 9 ნეტარება, როგორ ამხობს ცრუ სარწმუნოებას, როგორ ამხელს მაცხოვარი მათ და „თეთრად შეფეთქილ საფლავებს" უწოდებს. მაცხოვარი არა მხოლოდ მათ ამხელს, არამედ ჩვენც, თანამედროვე მოძღვრებს, ვინც სხვას ეუბნება, მკაცრად შეინახეთ მარხვაო და თვითონ არ მარხულობს მკაცრად; ვეუბნებით: ილოცეთო და ჩვენ არ ვლოცულობთ კარგად; თავად ვართ მრისხანები, განვიკითხავთ სხვებს, სხვა მოძღვრის ცხოვრება არ მოგვწონს... ანუ, ყველაფერი საკუთარი თავიდან უნდა დავიწყოთ. მთავარია, საკუთარი ცოდვები დავინახოთ და არა სხვების განკითხვაში ვიყოთ; მთავარი ჩვენი ცოდვების დანახვაა. ეკლესიისგან, წმიდანებისგან, მარხვისგან, უპირველეს ყოვლისა, უნდა მივიღოთ სულიერი განწმენდა, რომ ჩვენიდან გავიდეს არაწმიდა სული. თუ ჩვენიდან არაწმიდა სული გავა და სათნო ვეყოფით ღმერთს, მერე ღმერთი დანარჩენ სურვილებს შეგვისრულებს: ეძებეთ სასუფეველი თქვენი და ყველაფერი მოგეცემათ. მთელი წლის განმავლობაში ხომ ვკეკლუცობთ, მცონარე ქრისტიანები ვართ, თავი მოგვაქვს ქრისტიანებად, მაგრამ, სინამდვილეში, ასე არ არის. თუ ამ დღეებში მადლს ვერ მოვიპოვებთ, მთელი წელი ცარიელები და შიშვლები ვიქნებით. ამიტომ, მარხვაში უნდა მოვიპოვოთ მადლი, რომ მერე ის უფლის წყალობითა და ჩვენი პირადი ღვაწლით მთელი წელი გაგვყვეს. ქრისტიანები უფლის მიერ დადგენილ მარხვებს ისეთი დამშვიდებული სინდისით არღვევენ და არ ასრულებენ, თითქოს უმნიშვნელო საქმეს ეხებოდნენ. ყველამ უნდა შეიგნოს ეკლესიის განჩინება მარხვის უარმყოფელთა მიმართ (რა თქმა უნდა, ეს არ ეხება საპატიო მიზეზის მქონეთ): მარხვის დამრღვეველნი რამდენიმე წლით განიკვეთებიან ეკლესიიდან ან წმიდა საიდუმლოებებისგან, განსაკუთრებით კი – ზიარებისგან. წმიდა სერაფიმ საროველი პირდაპირ ამბობდა: „იგი, ვინც მარხვას არ იცავს, არ არის ქრისტიანი, რასაც არ უნდა უწოდებდეს თავს თვითონ". მარხვა გარეგანი კუთხით წარმოჩინდება როგორც დედაეკლესიისადმი შვილობრივი მორჩილების დასტური და არა რაიმე უარსაყოფი და ფეხქვეშ გასათელი. სულიერების თვალსაზრისით, მარხვა ყოველთვის ჯერ სულიერია და შემდეგ – ხორციელი; მარხვა არის გმირობა თავშეკავებისა და თვითშეზღუდვისა, რადგან, მისი მკაცრი დაცვა ადამიანის ნებისყოფას აწრთობს, სინდისს წმენდს და რელიგიურ მრწამსს განამტკიცებს. მარხვა მკაცრად უნდა იყოს შეფარდებული ადამიანის ჯანმრთელობასთან; მარხვის დაწყებისთვის აუცილებელია მოძღვრის ლოცვა-კურთხევა. დღეს ბევრი მარხულობს ეკლესიური ცხოვრებისა და მოძღვრის ლოცვა-კურთხევის გარეშე, რაც, უმეტეს შემთხვევაში დიეტას ემსგავსება და ხშირად მძიმე ავადმყოფობით მთავრდება.

– ზოგიერთი მარხულობას მარხვის შუაში იწყებს, ან ბოლოსკენ.

– ბოლო ერთი საათიც რომ იმარხულოს ქრისტიანმა, ესეც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან, ჩვენთვის მთავარი დღეების ხანგრძლივობა და შინაარსი არ არის. შეიძლება, ადამიანმა 127 დღე იმარხულოს, მაგრამ, მის ცნობიერებაში, პიროვნებაში არაფერი შეიცვალოს. ის უნდა შეიცვალოს მარხვით და, როდის მოხდება ეს – სამ დღეში, ერთ თვეში, 47 დღეში თუ ერთ დღეში – ეს უკვე საიდუმლოებაა. მე-12 ჟამზე ვინც მოვა, ისიც იმავეს მიიღებს, რომელიც ბავშვობიდან მარხულობდა – ეს არის ჩვენი რელიგია, რომელიც ყველას აძლევს ცხონების საშუალებას. ჩვენთვის არის კარგი მარხვა, ლოცვა, ზიარება და ეს ძალიან მნიშვნელოვანია, სხვანაირად ქვეყანა ვერ დადგება ფეხზე, ვერ გადარჩება. თუ ერში არ იქნება ზნეობა, მარხვა, ლოცვა, ერს მომავალი არ ექნება..

– ზოგიერთი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში დადის ეკლესიაში, ზოგჯერ საკუთარ თავს იმის უფლებას აძლევს, რომ სხვებს უთხრას: რატომ იცავ მარხვას, თუკი არ დადიხარ ეკლესიაში? ასეთ მარხვას აზრი არ აქვსო და ამის გამო ზოგიერთები უარს ამბობენ მარხვაზე, შუა გზაზე ანებებენ თავს მარხულობას.

– სამწუხაროდ, დღეს ბევრი, რომლებსაც ძალიან განათლებული ჰგონიათ თავი (ეს ხშირად ეხება მესანთლეებს, მგალობლებს, სტაჟიან მრევლს), ზოგჯერ მღვდლის უფლებებს „ითავსებენ" და ეღობებიან, შენიშვნას აძლევენ ქრისტიანებს და ეუბნებიან: რა აზრი აქვს, რისთვის დაიცავი მარხვაო, რითაც აბრკოლებენ მათ, იმის ნაცვლად, რომ შეაქონ. სახარებაში წერია: ერთ ადამიანსაც თუ დააბრკოლებთ, ჯობია, წისქვილის ქვა ჩამოიკიდოთ გულზეო. არ გეშინიათ, ასე რომ აბრკოლებთ ხალხს? ადამიანის ბუნება ისეთია, რაც უფრო მეტად შეაქებ, უფრო გაახარებ და მეტ სტიმულს მისცემ. შენ კი ეკლესიაში სულს აბრკოლებ და ეუბნები: რა აზრი ჰქონდა შენს მარხვასო; ან, თუ შარვალი აცვია, ეკლესიიდან აგდებ; ტუჩსაცხი უსვია და – ჰკრავ ხელს. პირიქით, საკუთარი თავი ვამხილოთ, საკუთარ თავს მოვკითხოთ პასუხი. შენ რომ სხვა ადამიანი დააბრკოლე, ის აღარ მოვიდა წირვაზე, სამაგიეროდ, შენ ყელმოღერებული დგახარ წირვაზე და, ამიტომ, კარგი ქრისტიანი ხარ? რუსული სათამაშო რომ არის, ხომ იცით – „ვანკა-ვსტანკა"?! – თუ დაეცემით, უნდა ადგეთ. ნაიქეცი?! – ადექი, წაქცეული არ უნდა დარჩეთ. ადექი, გაისწორე სამოსი, გაისუფთავე და განაგრძე მარხვა; მოდი ეკლესიაში და თქვი აღსარება – ღმერთი მოწყალეა და ის აუცილებლად მიგვიღებს.

ნათია უტიაშვილი

ქრისტიანული სასწაულები

ბიზანტიაში მიხეილ მეორისა და მისი დედის, წმიდა თეოდორას მეფობის დროს (842-856), კონსტანტინეპოლში, წმიდა მთავარანგელოზ მიქაელის მონასტერში მოღვაწეობდა ერთი ბერი, სახელად მარკიანე. როგორი მძიმე ავადმყოფობაც არ უნდა შეჰყროდა ასკეტს, ის არასდროს უხმობდა ექიმებს და არც წამლებს იღებდა, არამედ, თაყვანს სცემდა მთავარანგელოზის ხატს, განკურნებას სთხოვდა და ისიც ყოველთვის კურნავდა თავმდაბალ მოღვაწეს.

ერთხელ მარკიანე ძლიერ ავად გახდა, მაგრამ მთავარანგელოზი განკურნებას არ ჩქარობდა. მეგობრები და ნათესავები სთხოვდნენ ბერს, ექიმისთვის მიემართა, ის კი არ თანხმდებოდა. მაშინ ისინი თვითონ წავიდნენ ექიმთან, რომელიც კარგად იცნობდა ბერს. მან მისცა აუცილებელი ნელსაცხებელი და ურჩია, ავადმყოფისთვის ძილის დროს შეეზილათ. ნათესავები დათანხმდნენ და შესაფერის დროს დაელოდნენ; მათ ნელსაცხებელი მამა მარკიანეს ბალიშის ქვეშ დამალეს, რომლის საწოლიც ტაძრის კარიბჭესთან იდგა. მაგრამ, ისე მოხდა, რომ მის მეგობრებს ღამით დაეძინათ, მოსაგრე კი ფხიზლობდა. უეცრად ბერმა მთავარანგელოზი დაინახა, რომელიც წმიდა საკურთხევლიდან გამოვიდა და ორი ახალგაზრდის თანხლებით მიუახლოვდა ავადმყოფის საწოლს. მათ წამალზე მიუთითეს, მთავარანგელოზმა კი ჰკითხა:

– რა არის ეს?

– არ ვიცი, – უპასუხა მარკიანემ.

მაშინ მთავარანგელოზი ახალგაზრდებს მიუბრუნდა და უბრძანა:

– აიღეთ ეს შინაური წამლები და მის დამამზადებელ მკურნალს წაუღეთ!

მთვარანგელოზმა თავისი ხატის წინ დანთებული კანდელიდან აიღო ზეთი და სცხო მარკიანეს, რომელიც იმავე წუთს გამოჯანმრთელდა და ადიდა უფალი აღსრულებული სასწაულისთვის.

შუაღამისას ტაძარში მღვდელი შევიდა, რათა ცისკრის მსახურება აღესრულებინა და მამა მარკიანე სრულიად გამოჯანმრთელებული იხილა. როდესაც მომხდარი სასწაულის შესახებ შეიტყო, მღვდელი მკურნალის სახლისკენ გაემართა და იგი მძიმედ ავადმყოფი იხილა. როდესაც მან უამბო მკურნალს ყოველივე, რაც მამა მარკიანესგან შეიტყო, ავადმყოფი წამოდგა საწოლიდან და მღვდლის დახმარებით ძლივს მივიდა წმიდა მთავარანგელოზის მონასტერში. მან მთელი დღე ტაძრის კარიბჭესთან გაატარა, საღამოს კი სრულიად გამოჯანმრთელდა! იგი სახლში აღარ დაბრუნდა, დარჩა მთავარანგელოზის წმიდა სავანეში მოსაგრეობისთვის და მასვე გადასცა მთელი თავისი ქონება.

ჭეშმარიტი სარწმუნოება

ცდუნება ლოცვის დროს

ერთი ბერი მოძღვრის გარდაცვალების შემდეგ სულიერად დაძაბუნდა და მონაზვნურ მორჩილებას ზოგჯერ კარგად ვერ ასრულებდა. ლოცვებს თანდათან მოუკლო, ბოლოს კი მხოლოდ საღამოს ლოცვით კმაყოფილდებოდა, თუმცა, ხანდახან იმასაც უგულისყუროდ კითხულობდა. მას სინდისი ამხილებდა და ჰკარნახობდა, რომ მონაზვნური მორჩილება ბოლომდე უნდა დაეცვა, მაგრამ, ძალა და ნებისყოფა იმდენად დაუსუსტდა, რომ საკუთარ თავს ვეღარ ერეოდა.

ერთხელ დაესიზმრა, რომ ყოვლადწმიდა სამების ტაძარში იმყოფებოდა. იქაურობა ხალხით იყო სავსე და ყველა იქ მყოფი მხურვალედ ლოცულობდა. ტაძარში წმიდა ნანილებიანი სარკოფაგი იდგა. ბერს მასთან მიახლოება მოუნდა, მაგრამ, შიშმა აიტანა „ვაითუ, წმიდა მამამ მთელი ხალხის თანდასწრებით მამხილოს იმის გამო, რომ ლოცვებს მოვუკელი?“ – ფიქრობდა იგი. ამასობაში ის სარკოფაგს მიუახლოვდა. წმიდანი ცოცხალივით გამოიყურებოდა, მის სახეზე კი უსაზღვრო სიკეთე და სათნოება იყო აღბეჭდილი. ბერმა უცებ შეიგრძნო საკუთარი დანაშაული ღვთის წინაშე და თვალებიდან ცრემლები გადმოსცვივდა. იგი დაიხარა, რათა წმიდა ნანილებს მოხვეოდა. უეცრად წყნარი, მამობრივი მზრუნველობით აღსავსე ხმა მოესმა: „შვილო ჩემო, რატომ დაუტევე ლოცვები ღვთისადმი? უცებ რომ დადგეს ჟამი მწუხარებისა და ავადმყოფობისა, ვისგან მიიღებ სულის სიმშვიდეს, ძალას, მხნეობას?“

ატირებულ ბერს გამოეღვიძა.

ადამიანთა სულების დაღუპვის მოსურნე ეშმაკს სძაგს ყოველგვარი ლოცვა, განსაკუთრებით, თუ ის გულწრფელი და ღვთის შიშითა და მოყვასის სიყვარულით არის აღსავსე. იგი ყოველნაირად ცდილობს, ზიანი მოუტანოს მლოცველს და დათრგუნოს მისი სული.

ამ სიზმრის ნახვიდან არცთუ დიდი ხნის შემდეგ, გვიან ღამით, ეს ბერი მონასტრის ბიბლიოთეკის დრაბაზში ლოცვებს კითხულობდა. უეცრად მას ცხადად მოესმა, რომ სხვენზე, მის თავს ზემოთ, ვიღაც დადიოდა. შემდეგ ნაბიჯების ხმა სხვენზე მიდგმული კიბისკენ წამოვიდა, სადაც ნახშირის ყუთები იდგა. მან გაიგონა როგორ გადაცვივდა ყუთები და დაიფანტა ნახშირი. ბერი დარწმუნებული იყო, რომ სხვენზე ქურდი დადიოდა. შიშისგან თავზარდაცემული სენაკში შევარდა და კარი ჩარაზა. მას მთელი ღამე არ ეძინა – ეშინოდა, ავაზაკი სენაკშიც არ შემოვარდნოდა. როდესაც გათენდა, იგი სხვენზე ავიდა; იქ ყველაფერი წესრიგში იყო, ყუთებიც თავის ადგილას ელაგა. მაშინ კი მიხვდა ბერი, რომ ღამის ამბები ეშმაკისგან იყო და გაიფიქრა: „აი, თურმე, როგორი მლოცველი ვყოფილვარ! მტერს დიდი ძალისხმევა სულაც არ დასჭირვებია იმისთვის, რომ დავმფრთხალიყავი და ლოცვა მიმეტოვებინა. ეშმაკი, ალბათ, ზეიმობდა, რომ ასე შეაშინა ჩემი ცოდვილი სული“.

მას შემდეგ ბერს ეს შემთხვევა მუდამ ახსოვდა და ცდილობდა, ლოცვის დროს მთელი გულისყური ღვთისკენ მიემართა.

მოამზადა
რევაზ ტომარაძემ

მოძღვარი გვირჩევს

კითხვა: ზოგიერთ ტაძარში გარედან შეტანილ სანთლებს არ გვანთებინებენ. ეს სწორია თუ არა?

პასუხი: ეს, რა თქმა უნდა, არ არის სწორი. ეკლესიაში შეგვიძლია დავანთოთ ჩვენივე ხელით ჩამოქნილი სანთელიც – სანთელი ღვთისადმი შესაწირავია. მაგრამ, როდესაც ეკლესიაში იქვე შეძენილ სანთელს ვანთებთ, ეს არა მარტო შესაწირავია, არამედ მოწყალების გაღებაც არის ტაძრისა და მის მსახურთა მიმართ. ასეთ დროს უფასლაც სწირავთ და მოწყალებასაც გაიღებთ. ამიტომ, აჯობებს, თუ სანთელს ეკლესიაშივე შეიძენთ.

კითხვა: როდის ხდება ტაძარში ზარების რეკვა?

პასუხი. მართლმადიდებელ ეკლესიებში ზარებს რეკენ: ღვთისმასახურების წინ, მორწმუნეთათვის საღმრთო მსახურების დაწყების შესატყობინებლად; ლიტანიობისას, რათა მას განსაკუთრებით სადღესასწაულო ელფერი მიეცეს; გარდაცვლილთა დაკრძალვისას; სხვა მნიშვნელოვან და სადღესასწაულო მომენტებში.

კითხვა: ამბობენ, რომ საქართველოში ინახება ის ლურსმანი, რომლითაც იესო ქრისტე ჯვარზე გააკრეს. ეს მართალია?

პასუხი: ის ჯვარი, რომელზეც აცვეს მაცხოვარი იერუსალიმში ჩასულმა ელენე დედოფალმა (რომის პირველი იმპერატორის, კონსტანტინე დიდის დედა) მოიძია. იქვე აღმოჩნდა ოთხი სამსჭვალიც (ლურსმანი). მათგან ერთ-ერთი მართლაც ინახება საქართველოს საპატრიარქოში, ერთი კი, მეჩვიდმეტე საუკუნეში არჩილ მეორემ რუსეთში წაიღო.

კითხვა: როგორ მივიღოთ ის საქებარი სიტყვები, რაც ჩვენი მისამართით გამოიმეტეს?

პასუხი: როდესაც თქვენს ქებას დაიწყებენ, გაიხსენეთ თქვენი ნაკლოვანებები, რათა ხიბლში არ ჩავარდეთ.

ტელეწამყვანი და გულწრფელი რესპონდენტი, ნანუკა ჟორჟოლიანი, ყოველთვის ყურადრების ცენტრშია. ძალიან მალე „ნანუკას შოუს“ სტუდიას არაორდინარული ვიზუალი ექნება. როგორც თავად ამბობს, 17 წლიდან აგურ-აგურ ნაშენები კარიერა მესამე შვილივთ ჰყავს, რომლის გარეშე ბედნიერი ვერ იქნება. მიუხედავად ბევრი პრობლემისა, ნანუკა ცხოვრებას ყოველთვის ოპტიმისტის თვალით უყურებს.

როდის აპირებს ნანუკა ჟორჟოლიანი ქორწილის გადახდას და რაზე აქვს მას ძალიან მძიმე რეაქცია

– მთლიანად განვაახლებთ, „ნანუკას შოუს“ სტუდიას და, აქედან გამომდინარე, ნაწილობრივ შეიცვლება შოუს ფორმატიც. ახალი სტუდია მოგვცემს იმის საშუალებას, რომ დისკუსია გაიმათოს რესპონდენტებს შორის. ძალიან არაორდინარული ვიზუალი ექნება – სახლის ფორმატის მსგავსი, ანუ, დაახლოებით ისეთი, როგორიც იყო სულ თავიდან. ვფიქრობ, სახლის იერი ახლაც აქვს – საწოლი და სხვადასხვა ავეჯი ამის ასოციაციას ნამდვილად ქმნის, მაგრამ, უფრო სტუდიური ელემენტები ჭარბობს მასში. ინტერიერის შეცვლა, მომცემს საშუალებას ცოტა სხვა თემებიც შევიტანოთ გადაცემის ფორმატში. რაც შეეხება „ფრეშ ნიუსს“, ვფიქრობ, ეს არის ძალიან კარგი საშუალება სტუდენტებისთვის, რომ ნახონ, როგორ კეთდება ნიუსი. ეს არ არის მაღალბიუჯეტიანი ტელევიზია. მინდა სიამაყით გითხრათ, რომ ჩვენ ბავშვები მივიღეთ ქუჩიდან, აბსოლუტურად უცნობი ხალხი ავიყვანეთ სამსახურში. შესაბამისად, მათ შორის არცერთი ჩემი ახლობელი, მეგობარი და ნაცნობი არაა. გვინდა, რომ სოციალური მედია აქტუალური იყოს, რისთვისაც ჩვენ მაქსიმუმს გავაკეთებთ და, ვფიქრობ, რომ შედეგსაც კარგს ვაჩვენებთ. სულ ორი თვეა „ფრეშ ნიუსი“ არსებობეს და ამ ეტაპზე ძალიან კარგი რეიტინგი აქვს.

სერიოზულად ვფიქრობ, რომ ძალიან ცოტა დრო დამრჩა და ბევრ რამეს ვერ მოვასწრებ

– თქვენს რეჟიმს „ფრეშ ნიუსიც“ დაემატა. როგორ ახერხებთ დროის შეთავსებას ოჯახთან და სამსახურთან?

– საერთოდ არ მიყვარს წუწუნი, მაგრამ, მართლა ძალიან ვიღლები. ჩემი დრო მიაქვს: „ფრეშ ნიუსს“, „ნანუკას შოუს“, მონტაჟს, ანონსის კეთებას, გადაცემის დაგეგმვას, სტუმრების რედაქციას, გადაცემის ჩაწერის წინ მომზადებას, უმაგრეს შოუს – „ნიჭიერს“, მეგობრებს, პერიოდულ ფრენას; საბას, რომელსაც დიდ დროს ვერ ვუთმობ და ამისთვის ბოდიშს ვუხდი. ეს რომ დაინერება შევუნახავ და, დიდი ბიჭი რომ გაიზრდება, წავაკითხებ *(იცინის)*. ჩემი დრო მიაქვს მარიამს, რომელსაც იანვარში მისაღები გამოცდები ეწყება და, შესაბამისად, დეკემბრის დასაწყისი განსაკუთებით მძიმეა ჩემთვის. ამ ბოლო დროს სულ ვხუმრობ – თუ დავეცემი, ჩემი პანაშვიდი აუცილებლად კარგი შოუ უნდა იყოს-მეთქი *(იცინის)*. სერიოზულად ვფიქრობ, რომ ძალიან ცოტა დრო დამრჩა და ბევრ რამეს ვერ მოვასწრებ. მეუბნებიან, რომ ეს არის დეპრესიის ნიშნები, არადა, საერთოდ არ მაქვს დეპრესია, უფრო ნევროზია, ალბათ *(იცინის)*. ერთს ვიბარებ: უნდა დავიკრძალო ისე, როგორც კათოლიკეებს კრძალავენ, ანუ, უნდა იყოს სიმღერა, კადრები – მოკლედ, ლამაზი შოუ უნდა დამიდგათ *(იცინის)*. არ დავინახო მხოლოდ ტირილი და შავებში ჩაცმული ხალხი... რას დავინახავ, მაგრამ, მაინც *(იცინის)*. თუ სადღაც გულმა მიმტყუნა, ყველა ჩემმა მეგობარმა იცის, როგორ უნდა მოიქცეს და რა უნდა გააკეთოს *(იცინის)*. თუმცა ჯერ მთელი ცხოვრება წინ მაქვს. ძალიან მაინტერესებს, როგორი ვიქნები 45 წლის ასაკში. მინდა, ზუსტად ისეთი ვიყო, როგორიც ახლა ვარ. ველოდები ჩემი და ირაკლის 10 წლის იუბილეს, რომელიც ჩემთვის მნიშვნელოვანი თარიღია.

– 10 წლის აღსანიშნავად ქორწილს ხომ არ გეგმავთ?

– ვაპირებთ და, გვინდა, რომ ზუსტად 10 წელს დავამთხვიოთ. ჩვენ ოფიციალური ცოლქმარი არ ვართ, მე ჯერ კიდევ ვფიქრობ, გავყვე თუ არა ცოლად ირაკლი კოდუას *(იცინის)*. თუმცა, მინდა გითხრათ, რომ საინტერესოდ ხელი მასაც არ უთხოვია. უბრალოდ – „გამომყევი ცოლად” – არ მომწონს. თუ რამე საინტერესოს მოიფიქრებს, იმ შემთხვევაში გავყვები ცოლად. ჯერ კიდევ წელიწად-ნახევარი აქვს მოსაფიქრებლად დარჩენილი *(იცინის)*. ქორწილი აუცილებლად საქართველოში გვექნება, თეთრ კაბას ჩავიცვამ თუ არა, არ ვიცი, მაგრამ, არ გამოვრიცხავ.

– „ფეისბუქზე“ რამდენიმე ფოტო გამოაქვეყნეთ, სადაც საბას თქვენს მოლოდინში ჩასძინებია. ამაზე რა რეაქცია გაქვთ?

– ძალიან მძიმე რეაქცია მაქვს. შეიძლება მქონდეს შემდგარი კარიერა, ვიყო ძლიერი და ასე შემდეგ, მაგრამ, მეც მაქვს ადამიანური სისუსტეები, ემოციები. ამ ყველაფრის ფონზე, დასაძინებლად შვილთან მისვლას რომ ვერ ვახერხებ, მართლა ძალიან მძიმეა ჩემთვის. ვფიქრობ, რომ ბიჭების გარდატეხაში მონაწილეობას მამები იღებენ. ჩემი შვილია მარიამი, თავის ყველა საიდუმლოს მიყვება. არ არსებობს ისტორია, რომელიც მე არ ვიცი მის შესახებ; აქედან გამომდინარე, არ არსებობს თემა, რომ მარიამს ვერ გავუგო. შესაბამისად, ბიჭს მამასთან უფრო ახლო ურთიერთობა ექნება. საბა ჯერ პატარაა, მაგრამ, გარკვეული პერიოდის შემდეგ მამასთან გავუშვებ – ის მისგან უფრო მეტს ისწავლის, ვიდრე ჩემგან. ირაკლის აქვს ის თვისებები, რაც მინდა, რომ საბას აუცილებლად ჰქონდეს. უპირველეს ყოვლისა, მინდა, ისეთივე კაცური ბიჭი იყოს, როგორიც მამამისია. ქალების გარემოცვაში გაზრდილი საბა არ მომწონს – ძიძები, დედაჩემი და ჩვენ... კიდევ კარგი, ჩემს ძმას ორი ბიჭი ჰყავს და იმათთან თამაშობს ხოლმე *(იცინის)*. ერთი მამაკაცი გვყავს ოჯახში, სეპარატისტი მეგრელი *(იცინის)*. ყველაზე მეტად რაც მაკლია, შვილებთან ურთიერთობაა. ხანდახან ვფიქრობ: ხომ შემიძლია, ავდგე და წავიდე, რომ მივუსწრო საბას. მაგრამ, უმადური არ უნდა იყო. ზოგს საერთოდ არ ჰყავს მშობელი, ან, ისეთი რთული სოციალური პირობები აქვს, რომ ელემენტარული რაღაც ენატრება. ამიტომ, იმ ყველაფრისთვის, რაც მაქვს, მადლობელი ვარ ღმერთის. იმდენად მძიმედ ცხოვრობს ხალხი, იმათ ფონზე ნანუკა ჟორჟოლიანმა რომ იწუწუნოს, თავხედი უნდა იყოს. ამიტომ, ნებისმიერ შემთხვევაში, იქნება ეს ბრალწარდგენილი ქმარი თუ სხვა, ყოველთვის მადლობელი ვიქნები ღმერთის.

– მარიამს, მეგობრული ურთიერთობის მიუხედავად, ალბათ დედის „ლექციების“ მოსმენაც ხშირად უნევს.

– არა. მარიამი არის ჩემი ყველაზე დიდი საჩუქარი, რაც კი ცხოვრებაში მაქვს. ისე არ გაიგოთ, თითქოს საბა არ მიყვარს ან რამე მსგავსი. რა სისულელეა! როგორ შეიძლება, შვილები განასხვავო! უბრალოდ, მარიამს იმხელა წვლილი აქვს ჩემს ცხოვრებაში შეტანილი, რომ მისი მადლობელი ვიქნები სოცოცხლის ბოლომდე. ძალიან მაგარი გოგოა, იმიტომ კი არა, რომ ჩემი შვილია, უბრალოდ, საოცარი ადამიანური თვისებები აქვს. სულ მინდოდა, რომ ჟურნალისტი ყოფილიყო. ერთხელაც, მომიბრუნდა და მითხრა: „ჟურნალისტიკაში რა უნდა გავაკეთო ისეთი, რომ შენთან არ შემადარონ და არ მაძახონ, რომ ნანუკას შვილი ვარ. თავი დამანებე, არ მინდა ჟურნალისტობა. შენი მიმდევარი დავრჩები ბოლომდე და, არ მინდა ასე ვიყო. სულაც მკერავი რომ გამოვიდე, ვიქნები მაგარი მკერავი, ოღონდ, შენს საქმეს არ გავაგრძელებ.” მაშინ აღმოვაჩინე, რომ უკვე მყავს დიდი შვილი, შემდგარი პიროვნება, რომელიც გაცილებით უფრო სწორად ხედავს ცხოვრებისეულ საკითხებს, ვიდრე მე. შესაბამისად, მარიამს ვაძლევ სრულ თავისუფლებას: მას აქვს უფლება, სამი კვირით წავიდეს მეგობრებთან ერთად და გვიან მოვიდეს სახლში – ბოლომდე ვენდობი. არის ასაკობრივი შეცდომები, რაც გამოუცდელობის გამო გემართება, ამიტომ, მარიამი თან გაშვებული მყავს, თან – ძალიან ახლოს. ვფიქრობ, თუ რაღაც სატკენები არ მიიღო, ვერ ისწავლის ჭკუას, აუცილებლად უნდა დაარტყას ცხვირი. ისეთი ბიჭი უნდა შეუყვარდეს ცხოვრებაში, რომელიც ატკენს. მე რომ გამუდმებით ველაპარაკო დე, ეს ბიჭი ის არ არის, აზრი არ აქვს. ამიტომ, არის საკითხები, სადაც ბოლომდე ვუშვებ. ერთადერთი, რაც მან უნდა გამიკეთოს, არის ის, რომ დამიბრუნოს ჩემი ინვესტიცია, რაც მის განათლებაში ჩავდე. მაშინ დამიბრუნებს ამ ყველაფერს, როდესაც კარგ უნივერსიტეტში მოეწყობა. თუ ამას ვერ შეძლებს, ჩავთვლი, რომ აბსოლუტურად შევმცდარვარ მასში. ერთადერთი, რასაც ვთხოვ, არის განათლება. მარიამმა უნდა დამირეკოს და მითხრას, რომ მაგარ უნივერსიტეტში მოეწყო.

– მარიამის ასაკში თავად როგორი იყავით?

– ბევრად გიჟი ვიყავი. დედაჩემმა ზუსტად იცოდა, რომ პრობლემების შემქმნელი შვილი ვიქნებოდი. ბიჭივით შეჭრილი თმა მქონდა, სულ ბიჭებთან ვმეგობრობდი, ძალიან აქტიური ვიყავი, სულ ვერეოდი ჩხუბებში, წარბიც კი მაქვს გახეთქილი *(იცინის)*. ყოველთვის ყველაფრის წინააღმდეგი ვიყავი და არასოდეს არ

(გაგრძელება 23-ე გვერდზე)

მსოფლიოს ყველაზე სწრაფი ფეხბურთელები

თანამედროვე ფეხბურთში სისწრაფეს და ფიზიკურ კონდიციებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ყველა გუნდს ჰყავს ერთი ფეხბურთელი მაინც, რომელსაც შეუძლია, განავითაროს სპრინტერისთვის დამახასიათებელი სისწრაფე. გთავაზობთ მსოფლიოს ყველაზე სწრაფი ფეხბურთელების ტოპ-ექვსეულს.

დეანდრე იედლინი

„სიეტლ საუნდერსისა" და ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრების მცველი დეანდრე იედლინი ზამთრის სატრანსფერო „ფანჯრის" დროს ინგლისის პრემიერლიგის კლუბ „ტოტენჰემში" გადავა, მანამდე კი სპრინტერულ რეკორდებს ამერიკის ჩემპიონატში ამყარებს. „ფილადელფიასთან" მატჩში იედლინმა თავისზე 12 მეტრით წინ მყოფ ფეხბურთელს გაასწრო და სარეკორდო – 30-32 კილომეტრ-საათი სიჩქარე განავითარა. სისწრაფე იედლინის სავიზიტო ბარათია და უკვე ღიად საუბრობენ, რომ „ტოტენჰემმა" ახალი „გარეთ ბეილი" აღმოაჩინა.

აარონ ლენონი

27 წლის აარონ ლენონი, წესით, კარიერის პიკში უნდა იმყოფებოდეს, თუმცა, ფლანგური ნახევარმცველი ამჟამად „ტოტენჰემის" სათადარიგოა და, ის ავანსები, რაც მასზე იყო გაცემული, სრულად ვერ გაამართლა. ერთადერთი თვისება, რომელიც ლენონმა შეინარჩუნა, სისწრაფეა, მის მიერ ნაჩვენები 33,8 კილომეტრი საათი კი მისი კარიერის მაქსიმუმია.

გარეთ ბეილი

ეს შესანიშნავი უელსელი სპრინტერულ გარბენებს ესპანეთის ჩემპიონატში ახორციელებს და ცნობილია მისი „მარათონი", როდესაც მან „ბარსელონას" მცველ მარკ ბარტრას სწრაფი მატარებელივით ჩაუქროლა. ბეილი ფლანგზე მოთამაშე იდეალური ფეხბურთელის მაგალითია, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი 34,7 კილომეტრ-საათია. საგულისხმოა, რომ ბეილი, ლენონი და იედლინი „ტოტენჰემთან" ასოცირდებიან.

ანტონიო ვალენსია

ალექს ფერგიუსონი, დევიდ მოიესი და ლუი ვან გაალი – ამ სამ მწვრთნელთან მოუწია და უწევს მუშაობა ეკვადორელ ანტონიო ვალენსიას „მანჩესტერ იუნაიტედში" და მათგან ვერცერთმა ვერ მოახერხა მისი სისწრაფის მაქსიმალურად გამოყენება. ხშირი ტრავმიანობა და ხისტი ხასიათი – ის ფაქტორებია, რის გამოც ვალენსია ვერ გახდა მსოფლიოს საუკეთესო ფლანგური მცველი, მიუხედავად იმისა, რომ მისი სიჩქარე სპრინტერების შესაძლებლობებს უტოლდება.

თეო უოლკოტი

ტრავმებისგან გატანჯულმა ინგლისელმა ტალანტმა სრულად ვერ გამოავლინა თავისი შესაძლებლობები. უოლკოტი თავისი ფორმის პიკში 35,7 კილომეტრ-საათ სიჩქარეს ავითარებს, მისი გასწრება ან დაწევა პრაქტიკულად შეუძლებელია და პრემიერლიგის კლუბებისთვის ის მოუხელთებელია.

არიენ რობენი

„ზებგერითი" სისწრაფის მქონე ჰოლანდიელმა გასულ მსოფლიო ჩემპიონატზე სპრინტერული გარბენით გაარღვია ესპანეთის ნაკრების დაცვა. რობენმა რეკორდული – 37 კილომეტრ-საათი სიჩქარე განავითარა და მუნდიალის ერთ-ერთი ულამაზესი გოლი გაიტანა. „ბაიერნის" ლიდერი ხშირად იღებს ტრავმებს და, ექსპერტების აზრით, მას გაცილებით სწრაფად შეუძლია სირბილი. ცნობისთვის, იამაიკელი სპრინტერის, უსაინ ბოლტის ბოლო მსოფლიო ჩემპიონატზე ნაჩვენები სიჩქარეა 44,7 კილომეტრ-საათი.

ნეიმარი – ყველაზე მავლენიანი აღამიანი ბრაზილიაში

„ბარსელონის" 22 წლის ბრაზილიელი ვარსკვლავი ნეიმარი „ფორბსმა" ბრაზილიის ყველაზე გავლენიან ადამიანად დაასახელა. რეიტინგი სოციალურ ქსელში ხელმომწერების რაოდენობისა და პრესაში ხშირად ხსენების საფუძველზე შეადგინეს. ბრაზილიის ნაკრების ახალგაზრდა ლიდერთან ერთად პირველ ათეულში მოხვდნენ: დავიდ ლუისი, დანიელ ალვეში, პელე და რობერტო კარლოსი.

იგუაინმა რომანი ფორლანის ყოფილთან მაჯა

„ნაპოლისა" და არგენტინის ნაკრების ფორვარდს, გონსალო იგუაინს, ახალი სატრფო ჰყავს. ზაირა ნარა წარსულში ურუგვაის ნაკრების ექსლიდერის, დიეგო ფორლანის საცოლე იყო, ამჟამად კი იგუაინთან აქვს რომანი. ცნობისთვის, ზაირას და, ვანდა, ასევე ცნობილია ფეხბურთელებთან რომანებით. წარსულში ვანდა „ბარსელონისა" და „მილანის" ყოფილი თავდამსხმელის, მაქსი ლოპესის მეუღლე იყო, ამჟამად კი „ინტერის" იტალიელ ვარსკვლავ მაურო იკარდის ხვდება.

მარია შარაპოვას სამომავლო მეგმეები

მსოფლიოს მეორე ჩოგანმა ქალებს შორის, რუსმა მარია შარაპოვამ, ჟურნალისტებს სამომავლო გეგმების შესახებ გაანდო ინფორმაცია: „მსიამოვნებს თამაში, სანამ ამის უფლებას ჯანმრთელობა მაძლევს და ახლო მომავალში არ ვგეგმავ კარიერის დასრულებას. ამასთან, მსურს ოჯახი შევქმნა და შვილები მყავდეს. დედასთან ვმეგობრობ და სურვილი მაქვს, რომ ჩემს შვილებთან ზუსტად ასეთი ურთიერთობა ჩამომიყალიბდეს". შეგახსენებთ, რომ მარია შარაპოვა ამჟამად ბულგარელ ჩოგბურთელს, გრიგორ დიმიტროვს ხვდება და წყვილის შესაძლო დაქორწინებაზე ჟურნალისტები აქტიურად საუბრობენ.

მომღერალი, რომლის მამოც ბარაკ ობამამ კენი უესტს „ვირი" უწოდა

ტეილორ ელისონ სვიფტი, იგივე Tay, TAyTAy,T-Swizzle 13 დეკემბერს 34 წლის გახდება. ქერათმიანი, ცისფერთვალება, 180 სანტიმეტრი სიმაღლის ლამაზმანს, მუსიკალური ნიჭი, ალბათ, ბებიისგან გამოჰყვა, რომელიც ცნობილი ოპერის მომღერალი იყო. ტეილორი შესანიშნავად უკრავს 12-სიმიან გიტარასა და ფორტეპიანოზე. ის ძალიან მოწესრიგებული და შრომისმოყვარეა. გიტარაზე დაკვრის სწავლა 12 წლისამ დაიწყო და მანამდე ვარჯიშობდა, სანამ თითებიდან სისხლი არ წამოუვიდოდა. ამავე ასაკში, ზაფხულის არდადეგები 350-გვერდიანი რომანის წერაში გაატარა. ჯერ კიდევ მეოთხე კლასში მოიგო პოეზიის ნაციონალური კონკურსი სამგვერდიანი პოემით – „მონსტრი კარადაში".

ტეილორის პირველ სიმღერას, რომელიც სტუდიაში ჩაწერა, ერქვა lacky You, 14 წლისამ კი უკვე Sony/ATV Muzic-თან დადო კონტრაქტი როგორც მისმა პერსონალურმა ავტორმა. 2008-2009 წლებში ელისონი ყველაზე „გაყიდვადი" შემსრულებელი იყო.

თავისი ალბომის – Speak Now-ის ყველა სიმღერა თავად დაწერა.

2008 წელს ელისონმა რეკორდი დაამყარა, როდესაც Billboard Hot-100-ის ოცეულში მისი 6 სადებიუტო სიმღერა მოხვდა.

2009 წელს ტეილორი გახდა ქანთრის ყველაზე ახალგაზრდა შემსრულებელი, რომელმაც Cantry Muzik Awards-ზე „წლის კონფერანსიეს" პრემია მიიღო.

ტეილორი იყო პირველი ცნობილი სახე, რომელიც ჟურნალ Jastin-ის ყდაზე გამოქვეყნდა.

იგი ფერწერითაა გატაცებული. მისი საყვარელი მანქანაა „ტოიოტა"; საყვარელი რიცხვი – 13 და, არა მარტო იმის გამო, რომ 13-ში დაიბადა, არამედ, იმიტომაც, რომ, ყველა ჯილდოს აღების დროს, ის სიაში მეცამეტეა ან M-სტრიქონზეა, რომელიც ანბანში მეცამეტე ასოა. ამიტომაც, ხელზე ყოველთვის რიცხვ 13-ს იხატავს, ალბომ Fearless-ში 13 სიმღერა შეიტანა, 13 ივნისს კი ფანებთან ზუსტად 13-საათიანი შეხვედრა ჩაატარა.

აი, 2009 წლის 13 სექტემბერს კი მიკროფონი ჩამოართვეს, თუმცა, ეს სულაც არ იყო ტეილორისთვის ცუდი საღამო – მან მიიღო ჯილდო – „საუკეთესო ქალური ვიდეოსთვის". ბარაკ ობამა კი მას მიემხრო და კენი უესტს, რომელმაც ეს ჩაიდინა, სახალხოდ უწოდა „ვირი". ტეილორის დასაცავად ფეხზე დადგნენ მასობრივი საინფორმაციო საშუალებები, რამაც მომღერალს კიდევ უფრო მეტი პოპულარობა მოუტანა...

გვერდი მოამზადა უშანგი რუხაძემ

კვერცხი აუცილებელია მხედველობის შესანარჩუნებლად

თუ მთელ დღეს კომპიუტერთან ზიხართ ან დიდხანს უყურებთ ტელევიზორს და საღამოს თვალები გაწუხებთ და გიჭრელდებათ, დაძაბულობის მოხსნაში მარტივი კომპრესი დაგეხმარებათ: აიღეთ ბამბა, დაასველეთ ცხელ წყალში (შეგიძლიათ, ჩაის ნაყენიც გამოიყენოთ) და დახუჭულ თვალებზე დაიდეთ 20 წუთით. თუ ბამბა გაცივდა პროცედურის დასრულებამდე, ისევ დაასველეთ იმავე ტემპერატურის წყალში. შეგიძლიათ, მოსინჯოთ მეორე ხერხიც, კერძოდ: დაჯექით, მუხლებს დაეყრდენით იდაყვებით, ხელები კარგად დაიზილეთ, დახუჭეთ თვალები და ხელები ქუთუთოებზე დაიფარეთ რამდენიმე წუთით. სითბო და სიბნელე იდეალურია თვალის კუნთების მოსადუნებლად და დასასვენებლად.

მხედველობის შესანარჩუნებლად კარგია A ვიტამინი, რადგან მისი უკმარისობა იწვევს თვალის გადაღლას, აქვეითებს სიბნელეში ხედვას. დილაობით თვალების შეშუპება A ვიტამინის ნაკლებობაზე მეტყველებს.

A ვიტამინს შეიცავს ნარინჯისფერი ხილი და ბოსტნეული, კვერცხი, რძის პროდუქტები, ღვიძლი და თევზი.

B ჯგუფის ვიტამინის ნაკლებობა იწვევს თვალის სიმშრალესა და ადვილად გაღიზიანებას. ამ ვიტამინს შეიცავს სოკო, პარკოსნები, მარცვლეული, ბანანი, სტაფილო და მოცვი.

C ვიტამინით მდიდარია ციტრუსები, ასკილი, მოცხარი, ოხრახუში, კარტოფილი. ეს პროდუქტები თვალის კუნთების მოძრაობისთვის აუცილებელია.

E ვიტამინი კატარაქტისა და თვალის კუნთების დაბერების პროცესს ანელებს, რადგან მასში ბევრია ბეტა-კაროტინის ტიპის ანტიოქსიდანტები. E ვიტამინით მდიდარია მზესუმზირა, პარკოსნები, ხორბალი და ზღვის პროდუქტები.

რაც შეეხება მხედველობის ეგრეთ წოდებულ მტერს, ესენია: სიგარეტი, ალკოჰოლი, მზის სხივები, უძილობა, ორგანიზმის გაუწყლოება.

გამოკვლევებმა აჩვენა, რომ კვერცხი ძალიან მცირე რაოდენობით ცხიმს შეიცავს. გარდა ამისა, მასში არის ლუტეინი, რომელიც აუცილებელია მხედველობისთვის.

როგორ ავიცილოთ სეზონური დეპრესია

ზამთრის პერიოდში ხშირად განვიცდით, ეგრეთ წოდებულ, სეზონურ დეპრესიას. ეს ძირითადად გამოწვეულია სიცივით და მზის სხივების დეფიციტით. ამ დროს ეწყება ადამიანს სეზონური დაღლილობის სიმპტომები. კერძოდ:

* მუდმივად ძილის უკმარისობის შეგრძნება, ხოლო თუ გვარიანად გამოიძინეთ, ამის შემდეგ ჭირს გამოღვიძება და გამოფხიზლება. ეს არის სეზონური დაღლილობის ერთ-ერთი ძირითადი სიმპტომი.

* გამუდმებით ჭამის სურვილი. განსაკუთრებით გინდებათ ტკბილეული. ზოგიერთს კი პირიქით – მადა უქვეითდება.

* მუდმივად მოწყენილი და დათრგუნული ხართ.

* გაქვთ ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება. ასეთ მდგომარეობაში მსუბუქი სამუშაოც კი, დიდი სირთულეა თქვენთვის და მალე გღლით.

* გიჭირთ გადაწყვეტილების მიღება და ყურადღების კონცენტრაცია.

შესაძლოა, სეზონური დეპრესიის მიზეზი ჰორმონ სერატონინის ან მელატონინის ბრალი იყოს.

ზოგიერთი ადამიანის ტვინში, ზამთრის გრძელი ღამეების შედეგად, ხანგრძლივდება მელატონინის გამომუშავების პერიოდი. ეს ჰორმონი კი ძილის მომგვრელია.

სეზონური დეპრესიისგან თავის დასაღწევად:

* ზამთარში, რაც შეიძლება დიდხანს იყავით დღის შუქზე. მელატონინის გამომუშავებას სწორედ სინათლე უწყობს ხელს. ამიტომ, გირჩევთ, დღისით მაქსიმალურად მეტი დრო გაატარეთ სუფთა ჰაერზე. შენობაში კი, ეცადეთ, ფანჯარასთან ახლოს იყოთ, ბუნებრივი სინათლე ორგანიზმს ამშვიდებს და დეპრესიისგან იცავს.

* იძინეთ მშვიდად, რადგან უძილო ღამეები და გამოუძინებლობა დეპრესიის ალბათობას კიდევ უფრო აძლიერებს.

* ნუ მიიღებთ ზედმეტად კალორიულ საჭმელს. ეს ზედმეტი ცხიმების დაგროვებას უწყობს ხელს და წონაში მოიმატებთ.

* ივარჯიშეთ სუფთა ჰაერზე დღეში 15 წუთი მაინც.

* ნუ იტყვით უარს გართობაზე. ხშირად ესტუმრეთ მეგობრებს და იმ ადამიანებს, რომელთა წრეშიც თავს კომფორტულად და მხიარულად გრძნობთ.

თუმცა, ზამთრის პერიოდში, მოწყენილობის პირველი და მთავარი მიზეზი, მაინც, სინათლის დეფიციტია. სინათლე გადის თვალის ბადურაში და აღწევს ჰიპოთალამუსამდე ტვინში, რომელიც ენდოკრინული სისტემის მოქმედებას აკონტროლებს. სინათლის უკმარისობის დროს, ორგანიზმი ნელ-ნელა „ჭკნება" და ამის კომპენსაციას ვერც წყლით და ვერც სათანადოდ შერჩეული კვებით ვერ შეძლებთ. ამიტომ, გაითვალისწინეთ ზემოთ მოყვანილი რჩევები ცივ სეზონზე და შეუწყვეთ ხელი საკუთარ ჯანმრთელობას.

ყოველდღიურად გამოიყენეთ იოდიზებული მარილი

ფარისებრ ჯირკვალს ძალიან სჭირდება იოდი. მისი ნაკლებობის დროს ის თავის ძირითად ფუნქციას ცუდად ასრულებს. ფარისებრი ჯირკვალი ენდოკრინულ სისტემას მიეკუთვნება. ის სისხლში შესაბამის ჰორმონებს გამოყოფს და მათი საშუალებით, მთელი ორგანიზმის მოქმედებას აკონტროლებს. ფარისებრი ჯირკვლის მუშაობაზეა დამოკიდებული ყველაფერი, მაგალითად, ჩვენი გარეგნობა, განწყობა, ინტელექტი, სქესობრივი მომწიფება, გამრავლება და ტემპერამენტიც კი.

ფარისებრ ჯირკვალს, თავისი ძირითადი ფუნქციის შესასრულებლად, სპეციალური ცილა, კერძოდ, იტროზინი და იოდი ესაჭიროება. ადამიანისთვის იოდის დღიური ნორმა 5 გრამია. დღეს კი ნიადაგი იოდის ნაკლებობას განიცდის და, შესაბამისად, მას არასაკმარისი რაოდენობით შეიცავს საკვები და წყალი, რომელსაც ჩვენ ვიღებთ. აქედან გამომდინარე, ჩვენი ორგანიზმი იოდის ნაკლებობას ნამდვილად განიცდის, რის შედეგადაც ვითარდება ენდემური ჩიყვი. ეს დაავადება, თავისთავად, განსაკუთრებული სიმწვავით არ გამოირჩევა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ გარეგნულ ცვლილებას.

ადამიანებს იოდი მუდმივად გვაკლია. ამას ქრონიკული იოდდეფიციტი ეწოდება და საკმაოდ ხშირად გვხვდება.

იოდის ნაკლებობის დროს, ორგანიზმი ძალიან იტანჯება, რაც ვლინდება შემდეგი ნიშნებით: პირველ დარტყმას იღებს ადამიანის ინტელექტუალური სფერო – ქვეითდება მეხსიერება, უარესდება ინფორმაციის სმენითი აღქმა და ნელდება მისი გადამუშავების პროცესი. მათ არც ჩვენი ემოციები და ქცევითი რეაქციები ჩამორჩება. ამ სფეროში ცვლილებები აღენიშნება ადამიანთა დაახლოებით 70 პროცენტს. ამ დროს დამახასიათებელია სისუსტე, აპათია, ძილის სურვილი, მოუსვენრობა, ადაპტაციის უნარის დაქვეითება. სუსტდება, ასევე, ადამიანის ნერვული სისტემის ადაპტაციური შესაძლებლობებიც. ამიტომ, უმნიშვნელო სტრესიც კი, შეიძლება, დეპრესიის მიზეზი გახდეს. გარდა ამისა, მკაცრი დიეტის დროსაც კი, ადამიანი წონაში ვერ იკლებს, რადგან, ნივთიერებათა ცვლის პროცესი შენელებულია. კანი გამომშრალია, გამოფიტული, თმა – მტვრევადი. აღინიშნება მისი ცვენა და ქერტლი. შიდა ქალის წნევის დარღვევის გამო ხშირია თავის ტკივილი, ჰორმონული ფონის დარღვევა.

გირჩევთ, შეიძინოთ იოდიზებული მარილი და ყოველდღიურად გამოიყენოთ ის საჭმლის მომზადების დროს. შეიძინეთ, ასევე, პოლივიტამინების კომპლექსი, რომელიც შეიცავს იოდს. მიირთვით რაც შეიძლება მეტი ზღვის პროდუქტი, რადგან მათში ბევრია იოდი. ასევე, მიირთვით პური, რძე და იოდის შემცველი სხვა პროდუქტები.

ზოგადად, იოდიზებული მარილი ბევრი თქვენგანისთვის იოდის ძირითადი წყაროა. იოდი სწრაფად ორთქლდება, ამიტომ, მარილი, რომელიც მას შეიცავს, განსაკუთრებ-

ულ მოპყრობას საჭიროებს. მისი ყიდვისას ყურადღება მიაქციეთ ვადას, რადგან, ვადაგასულ მარილში იოდი აღარ არის, კერძს კი იოდიზებული მარილი დაუმატეთ მომზადების შემდეგ, რადგან, მაღალი ტემპერატურის დროს იოდი სწრაფად ორთქლდება.

გრეიპფრუტი აუმჯობესებს საჭმლის მონელებას და წვავს ორგანიზმში დაგროვილ ცხიმებს

გრეიპფრუტი შეიცავს ძვირფას ნივთიერებას – ნარინგინს, რომელიც უშუალოდ ნაყოფის კანის ქვეშ, წვნიან პარკებშია მოთავსებული. ის აუმჯობესებს საკვების ათვისებასა და მონელებას, ააქტიურებს ღვიძლის მოქმედებას, წვავს ორგანიზმში დაგროვილ ზედმეტ ცხიმს. ეს ხილი კარგია შემდეგი დაავადებების დროს:

* ქოლესტერინის მომატებული რაოდენობის შემთხვევაში გრეიპფრუტის პექტინი ისევე მოქმედებს, როგორც სისხლში ქოლესტერინის დამწევი ყველაზე ეფექტური პრეპარატი. მისი მიღების დროს ქოლესტერინის დონე საგრძნობლად მცირდება. ამ ხილში შემავალი გლუკოზიდები და ვიტამინები ხელს უწყობს, ასევე, ათეროსკლეროზის პროფილაქტიკას და ამცირებს არტერიულ წნევას.

* სისხლჩაქცევების არსებობის დროს – სისხლძარღვების ელასტიკურობისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნაყოფში ბიოფლავონოიდების მაღალ შემცველობას. ეს ნივთიერებები აძლიერებს C ვიტამინის მოქმედებას და აძლიერებს სუსტ და ნაზ კაპილარებს, რაც, სისხლჩაქცევების გაჩენის რისკს საკმაოდ ამცირებს.

* სეზონური დეპრესია – ისევე, როგორც ბევრი სხვა ყვითელი და ნარინჯისფერი ნაყოფი, გრეიპფრუტიც აუმჯობესებს ადამიანის განწყობას. გარდა ამისა, მას, აქვს გამამხნევებელ-გამახალისებელი ეფექტი, ამახვილებს სმენას და აუმჯობესებს მეხსიერებას. მიირთვით საუზმეზე.

* გადაღლა და ავიტამინოზი – გრეიპფრუტის ნაყოფი და მისი ახალგამოწურული წვენი ორგანიზმზე მატონიზებელ ეფექტს ახდენს. ის განსაკუთრებით კარგია და სასარგებლო ავადმყოფობის შემდგომ, გამოჯანმრთელების პერიოდში. ჯანმრთელ ადამიანებში გრეიპფრუტი სწრაფად ხსნის ფიზიკურ და გონებრივ გადაღლას.

* კუჭ-ნაწლავის დაავადებები – თუ გადაღლას ხშირად გრძნობთ, ესე იგი, თქვენი კუჭ-ნაწლავის იმუნური სისტემა მწყობრში არ არის. ამ პრობლემების დაძლევაში გრეიპფრუტის კურკები დაგეხმარებათ. მას ძლიერი ანტიბიოტიკური მოქმედება აქვს და, შეუძლია, დაახლოებით, 800 სახის ბაქტერიას ებრძოლოს.

* ყაბზობა – გრეიპფრუტის თეთრი გარსი შეიცავს ბევრ ბალასტურ ნივთიერებას, რომლებიც ნაწლავებში საკვების დაყოვნების დროს ამცირებს და, ამგვარად, ხელს უშლის ყაბზობას, ანუ კუჭის შეკრულობას.

ასევე, გრეიპფრუტში, ამ მწკლარტე და მომწარო გემოს მქონე ხილში შემავალი მჟავები ხელს უწყობს ადამიანის ორგანიზმიდან ტოქსინების გამოდევნას.

ექიმის რჩევები

კითხვა: ჩავაბარე tsh-ის ანალიზი. პასუხია – 5.5. მაინტერესებს, ასეთი პასუხის ფონზე, მოხდება თუ არა ორსულობა? ლამინარიის ან აპილაკის მიღებას თუ მირჩევთ?

პასუხი: უპირველესად, უმჯობესია, მოინესრიგოთ ჰორმონული ფონი და შემდეგ დაგეგმოთ ორსულობა.

კითხვა: მყავს 2,5 წლის გოგონა, გულზე შუილები აღმოაჩნდა. აქამდე არ ჰქონია აღნიშნული პრობლემა. ბავშვთა კარდიოლოგმა მხოლოდ კარტანი დაუნიშნა დასალევად. რამდენად აღმოფხვრის ეს პრეპარატი პრობლემას და საშიშია თუ არა ეს მდგომარეობა?

პასუხი: განასხვავებენ ორგანულ და ფუნქციურ შუილებს. ფუნქციური შუილი გულის პათოლოგიას არ უკავშირდება. ორგანული შუილის მიზეზი შესაძლოა, იყოს სარქვლის ნაკლოვანება ან მისი შევიწროება. ბავშვების 80 პროცენტს სწორედ ფუნქციური ხასიათის შუილი აქვთ. როგორც ჩანს, თქვენი შვილის შემთხვევაშიც ასეა და არ გაქვთ ღელვის საფუძველი. მდგომარეობა შეგიძლიათ, დაუზუსტოთ ექიმთან, რომელმაც გამოკვლევა ჩაატარა.

კითხვა: ძალიან გთხოვთ, მიპასუხოთ სისხლის გათეთრების შეწყვეტა თუ შეიძლება ზურგის ტვინის გადანერგვით?

პასუხი: ეგრეთ წოდებული სისხლის გათეთრება, ანუ ლეიკემია დღეს აღარ ითვლება უკურნებელ დაავადებად. მისი სხვადასხვა ფორმა არსებობს და უმრავლეს შემთხვევაში, დაავადება ემორჩილება მკურნალობის ამა თუ იმ მეთოდს. მკურნალობის ერთ-ერთი გზა გახლავთ ძვლის ტვინის (და არა ზურგის ტვინის) გადანერგვა. თუმცა, ეს ოპერაცია ყოველთვის არ არის აუცილებელი. მის საჭიროებას ჰემატოლოგები განსაზღვრავენ.

კითხვა: ბავშვს აწუხებს მუცელი, არის ერთი თვის. მირჩიეს დათვის ნაღველი მიეცი და გაუვლისო. იქნებ თქვენ მირჩიოთ რაიმე ეფექტური, რომ ტკივილმა გაუაროს?

პასუხი: ამ ასაკში პედიატრის გარეშე ნებისმიერი მედიკამენტის თუ სამკურნალო საშუალების თვითნებური მიღება დაუშვებელია. აჩვენეთ პატარა პედიატრს.

კითხვა: 12 წლის ასაკში დაახლოებით ფრჩხილისხელა ადგილზე გამცვივდა თმა. მკურნალობის შედეგად ამოვიდა. შემდეგ ისევ გამცვივდა, ოღონდ სხვა ადგილას და მკურნალობის გარეშე ამოვიდა. ახლა გამცვივდა ოდნავ დიდ ადგილზე, ანუ თმა არ არის – კანია მხოლოდ. ხალხური მეთოდები სულ მშველოდა, ახლა კი შედეგი არ ჩანს. რის ბრალია და როგორ ვიმკურნალო, რომ საბოლოოდ განვიკურნო?

პასუხი: თქვენი დიაგნოზია თმის ბუდობრივი ალოპეცია (გამელოტება). უნდა ჩაიტაროთ კვლევები: ფარისებრი ჯირკვლის ექოსკოპია და ჰორმონებზე ანალიზი; უნდა ინახოს კბილები, ყელი - უნდა დადგინდეს, ხომ არ გაქვთ სადმე ქრონიკული ჩირქოვანი კერა. ბუდობრივი ალოპეცია სხვადასხვა სახისაა. მაგალითად, ანდროგენული, არსებობს მისი ნაირსახეობებიც. ყველა მათგანი თავისებურ მკურნალობას საჭიროებს. უნდა მიმართოთ დერმატოლოგს, რომელიც გამოგიკვლევთ და დაგინიშნავთ შესაბამის მკურნალობას.

რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი
მაია ნუცუბიძე

შეკრულობას ისპანახის წვენი შველის

ისპანახი აუცილებელია საჭმლის მომნელებელი ტრაქტისთვის, კერძოდ, დაწყებული კუჭით, დამთავრებული მსხვილი ნაწლავით.

თუ ისპანახის 500 გრამ წვენს მიიღებთ რამდენიმე დღის განმავლობაში, განიკურნებით შეკრულობისგან. მეორე მისი არაჩვეულებრივი უნარია ის, რომ კურნავს კბილებისა და ღრძილების დაავადებებს. ორგანიზმის ისეთი მოშლილობები, როგორიცაა: ნაწლავთა წყლულები, ანემია, კრუნჩხვები, ნერვიული აშლილობები, თირკმელზედა და ფარისებრი ჯირკვლების მოშლილობა, ნეფრიტი, ართრიტი, ფურუნკულები, კიდურების შეშუპება, სისხლდენები, ნევროტული და სხვა სახის ტკივილები, გულის ფუნქციის მოშლა, მაღალი და დაბალი წნევები, მხედველობის დარღვევა, თავის ტკივილები და ასე შემდეგ, გამოწვეულია ნაწლავთა დაბინძურებით და ორგანიზმში ზოგიერთი ელემენტის ნაკლებობით, რომელსაც დიდი რაოდენობით შეიცავს ისპანახი. მასში ბევრია E ვიტამინი, რომლის ნაკლებობაც იწვევს თვითნებურ აბორტს, სექსუალურ უძლურებას, უშვილობას, დამბლის სხვადასხვა ფორმას.

გვერდები მოამზადა
ნონა დათეშიძემ

როგორ დაუდგა წინ ტანკების კოლონას აგვისტოს ომის დროს თენგიზ არჩვაძე და რა საიდუმლო წიგნს ინახავდა ის მამის თხოვნით

ქართულ კინოსა და თეატრს მრავლად ჰყოლია და ჰყავს არა მხოლოდ ნიჭიერი, არამედ, ძალიან მომხიბლავი და, ამავე დროს, მორიდებული მამაკაცი მსახიობები, რომლებიც, სწორედ ამ თვისებით, საზოგადოებაში გაკვირვებასაც იწვევდნენ, უყურებ მათ ეკრანსა თუ სცენაზე და ფიქრობ, რაოდენ არ შეესაბამება თავმდაბალი კაცის ბუნება მსახიობის სითამამეს; მაინტერესებს, როგორ გახდნენ ისინი მსახიობები, რა უძღოდა მათ პოპულარობას წინ და როგორი იყო მათი ცხოვრება ეკრანს მიღმა... დღეს ჩვენი რუბრიკის სტუმარია ერთ-ერთი მათგანი – თენგიზ არჩვაძე, რომელმაც თავისი დღიურებიდან ყველაზე ტკბილი ხანა – ბავშვობა ამოირჩია.

„პირველად რომ ჩამიყვანეს რაჭაში, 8 თუ 9 წლის ვიყავი. ბებია-ბაბუა მყავდა იქ, დედულეთის მხრიდან. იქ მომისწრო ომის გამოცხადებამ. ბებიას პატარა წისქვილი ჰქონდა. დავყავდი ღამით, საფქვავს რომ წაიღებდა. მეორე ბებიასაც ჰქონდა წისქვილი. წისქვილთან, როგორც სულიერ არსებებთან, ისე მივდიოდი ხოლმე. მე საგზლად წისქვილის სითბო და სიყვარული მომქონდა. რატომ წისქვილის?! ყველაფრის ახსნა რა საჭიროა. მთელი სამყარო უნდა ამოვატრიალო, ამის ახსნა რომ დავიწყო. ჩემთვის წისქვილი პატარა სამყაროა თავისი სარეკელათი... „და სარეკელას მადლიან ენით წისქვილი ჰყვება მოსავლ-



ის ამბავს...” – გახსოვთ ლადო ასათიანის ეს სიტყვები? წისქვილი ათას რამეს ჰყვება. ფქვავს... სარეკელა აკაკუნებს. ჩემი პირველი მოგონებებიც წისქვილიდან იწყება. მართალია, თბილისში ყოფნის დროიდანაც მახსოვს რაღაცეები, მაგალითად, მამას რომ დავყავდი კოჯორში, წაღვერში, მაგრამ, ასეთი მძაფრი მოგონებები არ დამრჩა.

რევოლუციამდე მამა ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა, ჭიათურაში გაზეთშიც თანამშრომლობდა – ქვრივიშვილის ფსევდონიმით იბეჭდებოდა. დედამისი ქვრივად დარჩა და მაშინ მოდაში იყო ასეთი ტიპის ფსევდონიმები – მაშაშვილი, მუშიშვილი... მერე ბოლშევიკებმა დააშინეს და მიანება ყველაფერს თავი.

მამა მკაცრი თუ იყო? არა... არც არაფერს ვაშავებდი და, მკაცრი რატომ უნდა ყოფილიყო?.. დედა დიასახლისი იყო, ბაქოში ქართველების კოლონია რომ იყო, იქ ცხოვრობდა.

მამა შუატანის კაცი იყო, ძალიან მომხიბვლელი. მე დედას უფრო ვგავდი... 3 წლისას მისწავლია წერა-კითხვა. მამასთან ძალიან ახლოს ვიყავი. ლიტერატურაზე ვსაუბრობდით. თავდავიწყებით მიყვარდა ლიტერატურა. ჯავახიშვილი და რობაქიძე აკრძალული რომ იყო, ჩვენ შინ გვქონდა 1914-1916-1917 წლებში გამოცემული წიგნები, გალაკტიონის „არტისტული ყვავილები”... მამა მარიგებდა, ამაზე კრინტი არ დაძრაო და მეც გარეთ სიტყვა არ მითქვამს...

კარგად ვხატავდი და სკოლის გაზეთებს მაფორმებინებდნენ. IX კლასში რომ ვიყავი, გადავწყვიტეთ გამოგვეცა არალეგალური გაზეთი, მასალები დაწერილიც კი გვქონდა. ერთ-ერთი მეგობრის დედის ძმამ, კვასხვაძე იყო გვარად, გადაგვარჩინა – ეგ არ გაბედოთ, თავს დაილუპავთო... კიდევ კარგი, თორემ, ომის შემდგომ წლებში ამას რა მოჰყვებოდა, ხომ იცით...

ვორონცოვზე დავიბადე და გავიზარდე. ჩვენ გვერდით გერმანელი ებრაელის – მიხეილ როიტენბერგის ოჯახი ცხოვრობდა. ბრწყინვალე ხალხი იყო. მათი წყალობით რუსულიც ადრე ვისწავლე.

ერთადერთი ვაჟი ჰყავდათ, ომში წაიყვანეს და აღარ დაბრუნებულა. რომ წამოვიზარდე, თავიანთი სითბო და ყურადღება ჩემზე გადმოიტანეს. დიდი საერთო აივანი და საერთო სამზარეულო გვქონდა. იქ გვედგა ნავთქურები და ერთად მზადდებოდა სადილი.

მაშინ თბილისში თითო-ოროლა მანქანა დადიოდა. მიხეილს შავი „ემადინი” ჰყავდა. მოაყენებდა ამ მანქანას, ჩაგვსვამდა ბავშვებს და გვასეირნებდა, მუშტაიდში წაგვიყვანდა, ფუნიკულიორზე აგვიყვანდა, კანფეტებს გვიყიდდა... მერე სურამში გადავიდნენ საცხოვრებლად, იქ ცხოვრობდნენ პატარა სახლში და ჩავდიოდი ხოლმე მათთან. თუ გასვლითი სპექტაკლი იყო და აფიშებზე ჩემს გვარს ნახავდნენ, დიდი სიხარულით მეგებებოდნენ. ამ ურთიერთობას სიტყვები აღარც სჭირდებოდა... ბავშვობა კარგია, მაგრამ, ის პერიოდი მირჩევნია, როცა ცნობიერება უკვე ჩამომიყალიბდა და წიგნის ფასი გავიგე. ჯერ ყმაწვილობაა, მერე მოდის ჭაბუკობა. ჭაბუკობა მირჩევნია ყველა დროს. მამას არ უნდოდა ჩემი მსახიობობა, მერე შეეგუა – რა უნდა ექნა... სპექტაკლებზე მოდიოდა, ერთ ბილეთს აიღებდა, დაჯდებოდა და მიყურებდა. რატომ არ ვეპატიჟებოდი? როგორ დავპატიჟებდი – ჩემს სპექტაკლზე მოდი და მიყურე-მეთქი? ვერავის ვეტყოდი. საერთოდ, არც დაბადების დღეზე, არც საღამოზე არ დამიპატიჟებია არავინ. ვინც მოვიდოდა, ყველას სიხარულით ვიღებდი, სახლის კარიც ღია მქონდა და გულის კარიც. ჩემს სოფელშიც, კლიტე კი არ მაქვს, პატარა ჩხირს ვუყრი ურდულში და ისე ვტოვებ. ინსტიტუტში ცოტანი ვიყავით – კურსზე ათი კაცი. სარეჟისოროზე სულაც ხუთი კაცი სწავლობდა. თბილისიც პატარა იყო, ახლა გახდა უშველებელი ქალაქი.

მამა 51 წლის რომ შესრულდა, ძალიან მეშინოდა, რამე არ დამართნოდა, მაგრამ, ამას როგორ ვიტყოდი ახლობლებში... ბაბუაჩემი მოკლეს 51 წლისა და შიში ამეკვიატა, მამასაც იგივე ხომ არ მოელის-მეთქი. მას მერე კიდევ 40 წელი იცოცხლა მამამ. ჩრდილოეთში ვიყავი და, იქიდან რომ დავბრუნდი, თან შამპანური ჩამოვიტანე. მამა უკვე მოხუცი იყო. რად გინდოდა, რომ მოიტანე, ხომ იცი, შინ კახური ღვინო გვაქვსო – ველისციხიდან უგზავნიდნენ მეგობრების შვილები. თითო ბოთლი ღვინო მივირთვით ვახშამზე... მამამ – მე მოვისვენებო და წავიდა თავის ოთახში. ცოტა ხანში დედას ვთხოვე, არ გაცივდეს, გადააფარე რამე-მეთქი. მამამაც გვერდზე იცოდა წოლა და არ დაიფარებდა ხოლმე, მეც

ასე ვიცი. შემობრუნდა დედაჩემი და დაიწყო სუფრიდან ხორცის ალაგება. მივხვდი, ცუდად იყო საქმე. აღესრულა-მეთქი? თავი დამიქნია... – აი, ასე წავიდა მამა.

ხელმოკლედ ვცხოვრობდით, რანაირად გაგვქონდა თავი, არ ვიცი. ქართველიშვილის 1888 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსანი,” აბრეშუმის ყდითა და ზიჩის ილუსტრაციებით, ერთ „ბუხანკა” პურზე გადაცვალა მამამ, სხვა რომ აღარაფერი გვქონდა გასაყიდი. მაშინ კარგად გამოვკითხე მამას, ვის მიჰყიდა წიგნი და ჩავიწერე, რომ არ დამვიწყებოდა. უკვე ფეხზე კარგად რომ დავდექი და შემოსავალი გამიჩნდა, მოვძებნე ის კაცი. სოლიდური თანხა მთხოვა – მანქანის ფული იყო მაშინ. გადავუხადე უსიტყვოდ – მამაჩემის ფაქსიმილეთი იყო ის წიგნი... საოცარი კალიგრაფია ჰქონდა.

მიყვარდა კარგი ტანსაცმელი, ვხატავდი და იმის მიხედვით ვაკერინებდი მკერავს. ქსოვილს მამა ყიდულობდა ჩემთვის...

25 წლისა მამა გავხდი... მაგრამ, როგორც უნდა გაგიკვირდეთ, განსაკუთრებით უფროს-

ის კი არა, უმცროსი ქალიშვილის – ნათიას დაბადება მახსოვს: კამოზე, დათიკო ბიბილეიშვილთან მივიყვანეთ ჩემი მეუღლე. გარეთ მე და მისი ძმა – 14 წლის ყმაწვილი ველოდებით. დიდი დერეფანი იყო, იქით შესვლა არ შეიძლებოდა. მოდის დერეფანში დათიკო და მეძახის: მომილოცავს, თენგიზ-ბატონო, გოგოა, გოგოო! ისე მილოცავ, დავით-ბატონო, თითქოს პირველი შვილი გიორგი სააკაძე მყავდეს-მეთქი. ჩემი ცოლისძმა მოვიდა, რა ხდებაო... გოგოა-მეთქი და, ისე მომიქნევია ხელი, ყბა ამოუვარდა... მეგონა, ხელი მოვუთათუნე და, თურმე, რა მიქნია – ნათიას დაბადების სიხარულმა შეგრძნება დამიკარგა.

დავადგებოდი გზას და სამ საათში გადავდიოდი კოჯორში, 12 კილომეტრს გავივლიდი, მუხლს არ ჩავიხრიდი. დავჯდებოდი და მზის ამოსვლას ვუყურებდი. თუ დრო მქონდა, მივიდოდი რაჭველ ხაბაზებთან და ძველ ამბებს ვაყოლებდი. პური იმათ ჰქონდათ, ღვინო მე ამქონდა, იმათაც უხაროდათ და მეც.

ერთხელ ჩემს მეგობრებთან ერთად კოჯორში ვქეიფობდი. თამადა ვიყავი. ზამთარი იყო. გამაბრაზეს – არ დაწყნარდნენ. გაჩერდით, თორემ წავალ-მეთქი... სად წახვალო, – არ გაჩერდნენ. გამოვედი ღამით და წამოვედი. გამოვიარე უძო. კიდევ კარგი, მთვარიანი ღამე იყო... დავადექი გზას და ჩამოვედი ბაგების სასაფლაოზე. ჩემი მეგობრის, სპარტაკ ჯეჯელავას ვაჟი იყო დასაფლავებული ბაგებში. გავედი მის საფლავზე, დავკრიფე ყვავილები, აქა-იქ თოვლში რომ ამოეყოთ თავი და დავაწყვე საფლავზე. მერე ფეხით წამოვედი ვარაზისხევში და ჩავედი სპარტაკის სახლამდე.

ხომ მშვიდობაა – გაგიჟდა სპარტაკი. ვუამბე, კოჯრიდან მოვდივარ-მეთქი. გიჟი ხარო... საქციელი კი არის გიჟური, მაგრამ ასე იყო-მეთქი.

ბევრს ვუყვარდი? რა მოგახსენოთ, არაფერი ვიცი... წერილები კი მომდიოდა, მაგრამ, არ ვხსნიდი. მეუღლე კითხულობდა, მე არ ვიცი, რა ეწერა იმ წერილებში...

...იყო დრო, მარჯანიშვილის ქუჩაზეც კი არ დავდიოდი – არ შემეძლო. ახლა ასე აღარაა... თეატრის დღეზეც კი ვიყავი. პატივი მოგვაგეს რამდენიმე პიროვნებას და მარჯანიშვილის სახელობის პრემია მოგვცეს. ჯიუტი ვიყავი, ახლაც ჯიუტი ვარ. შინაგან მრწამსს არ ვღალატობდი და არც არაფერს ვთმობდი. ახლაც, „რა გინდ რომ ავი მომკერძონ, ბილწთ არ შავეკვრი ზავითა"... თუ თავისუფალი არ ვარ, რასაც ვაკეთებ, იმ საქმეში, დაუმორჩილებელი ვხდები, განზე გადგომა ვიცი. ისეთ უბანში ვცხოვრობდი, ნათესავებივით ვიყავით ყველანი. დიდი გაჭირვება იყო, მაგრამ, ადამიანური სითბო მეტი გვქონდა. არ ვიცი, ახლა მე განვკერძოვდი და მარტო დავიტოვე ჩემი თავი, თუ, აღარ მესმის ამ ქვეყნისა... ერთ ოჯახს რომ სტუმარი ეყოლებოდა, მთელი ეზოს სტუმარი ხდებოდა ის. ახლა სურვილიც აღარ არის, გავიგო, ვინ ცხოვრობს ჩემს სადარბაზოში...

...უმეტესად უგუნებოდ ვარ. აგვისტოს ომმა სულ გამანადგურა. სოფლად ვიყავი, რომ გავიგე, რაღაც ამბავიაო. იმ დღეს გამოვისტუმრე შვილები. რომ მითხრეს, იგოეთიდან აქეთ მოდიან რუსის ტანკებიო, მანქანით წამოვედი. ღამით არ დავდივარ ხოლმე – განათება არ უვარგა მანქანას... ცხადია, აღარ დაგიდევდით არაფერს და წამოვედი. ჩაშავებული იყო ყველაფერი, ჩვენი ტანკების კოლონა მოდიოდა უკან. დაველაპარაკე... ხმა არ გამცა არცერთმა, ახრჩობდათ ბოლმა. უხმოდ მოდიოდნენ... ეს იყო ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდი მწუხარება, შავი დღე, ხერხემლის გადალეწვის ტოლფასი..."

ეკა პატარაია

(მე-18 გვერდიდან)

როდის აპირებს ნანუკა ჟორჟოლიანი ქორწილის გადახდას და რაზე აქვს მას ძალიან მძიმე რეაქცია

მომწონდა, რასაც მეუბნებოდნენ, სულ რაღაც განსხვავებულს ვეძებდი. ძალიან რთულად აღსაზრდელი ბავშვი ვიყავი *(იცინის)*. ბავშვობიდან ჩემს სახლში აქტუალური ფრაზა იყო: „კიდევ კარგი, ეს ბიჭად არ დაიბადა". ჩემი ძმა რადიკალურად განსხვავებული, უფრო დინჯი და წყნარია.

- ალბათ, მეუღლისგან შორს ყოფნა რთულია...

– საერთოდ, ყველა ურთიერთობას აქვს ეტაპები, რომლებიც აუცილებლად საინტერესო უნდა იყოს. თუ ურთიერთობა არ არის საინტერესო, მაშინ ყველაფერი ხანმოკლეა. ჩემთვის ქორწინება და კაცთან ყოფნა არის ის, რომ მის ცხოვრებაზე აიღო პასუხისმგებლობა. მნიშვნელობა არ აქვს, რა პროფესიის ადამიანს აირჩევ მეგზურად, უბრალოდ, ეს კარგად უნდა გქონდეს გააზრებული. მე რომ ეს გააზრებული არ მქონოდა, ვერ გავუძლებდი იმ ზეწოლას, რაც საზოგადოებისგან იყო. რაღაცეები გათავისებული რომ არ მქონოდა, ამდენს ვერ შევძლებდი. როცა ზუსტად იცი, ვისი ცოლი ხდები, ძალიან კარგად იტან ირგვლივ არსებულ პრობლემებს და აღარ გიჭირს. სნორედ იმიტომ, რომ ირაკლის ცხოვრება კარგად მქონდა გააზრებული, ძალიან კარგად ავიტანე ის პრობლემები, რაც მის ირგვლივ ტრიალებდა და ტრიალებს. მე რომ ვყოფილიყავი ცოლი, რომელსაც ეს არ მეცოდინებოდა და უცებ აღმოვაჩენდი, რომ, ვაიმე, რა ყოფილა, მაშინ ყველაფერი დამთავრდებოდა. ეტაპები ყველა ცოლ-ქმრის ცხოვრებაშია. თუ ჩემთვის პიროვნება არაა საინტერესო, ვერ შევძლებ მასთან ყოფნას. უინტერესო ურთიერთობის დროს ვნება და ყველაფერი ქრება. ცხოვრება საინტერესოა, მერე რა, რომ პრობლემებია, ვის არ ჰქონია პრობლემა. ეს ყველაფერი მივიღე, როგორც გამოწვევა და, ასე ცხოვრება, დამიჯერეთ, ბევრად საინტერესოა. რომანტიზმი რომ შემოგეპარება წლების შემდეგ კარგია. ადრე არ ვემზადებოდი ირაკლისთან შეხვედრის წინ, ახლა კი, როცა მასთან მივდივარ, ყურადღებას ვაქცევ ჩაცმულობას, ვარცხნილობას და ასე შემდეგ.

– ხშირად ნახულობთ?

– ხან ორ კვირაში ერთხელ, ხან კი უფრო დიდხანსაც ვერ ვნახულობ. ყველაზე დიდხნიანი შუალედი იყო თვე-ნახევარი. წელს უნდოდა საბას წაყვანა, მაგრამ, არ დავთმე შვილი *(იცინის)*. არავითარ შემთხვევაში-მეთქი, ბავშვს ის ტრავმაც ეყოფა, რომ ერთად იშვიათად გვხედავს. სამაგიეროდ, ირაკლის ვაჩუქე ძაღლი – ლაქი, ლაბრადორი, რომელიც ჩემმა მაყურებელმა მაჩუქა. მას თავის შვილთან ერთად ჩავუყვან. გიჟდება ირაკლი ძაღლებზე და ჩემგან ეს საჩუქარი ეენება. თვითონაც ხშირად მიკეთებს სიურპრიზებს, ახლა უფრო ხშირად, ვიდრე ადრე *(იცინის)*.

– „კარუზოს" ინტერვიუმ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. როგორ იმოქმედა ამ ამბავმა თქვენზე?

– როდესაც რესპონდენტი ამბობს, რომ შვილს დაბადების დღეს ვერ უხდიდა, ეროვნულ ჰიმნს ვერ ასრულებდა, ჯარში ვერ მიდიოდა და კიდევ ბევრ სხვა რამეს, არ მაქვს უფლება, რომ ვთქვა – „ბნელა?!" ისინი, ვინც მარტო მართმადიდებელ მამაოებს აკრიტიკებენ და სხვა რელიგიაში რაც არ უნდა მოხდეს, არ ერევიან, ვფიქრობ, არ არის სწორი მიდგომა. უმცირესობა არ ნიშნავს ხელშეუხებლობას, მნიშვნელობა არ აქვს, ეს იქნება სექსუალური, რელიგიური თუ ეთნიკური. გასაგებია, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში ცვხოვრობთ და უფრო მეტად უნდა იყოს მათი უფლებები დაცული, მაგრამ, იმის გამო, რომ ისინი უმცირესობას წარმოადგენენ, ჩვენ არ უნდა შევეხოთ, აბსოლუტურად მცდარი პოზიციაა. ამიტომ, ჩვენ არ ვიღებთ ამ შენიშვნას. ჩემი გადაცემა არის ადამიანებსა და მათ ისტორიებზე, თუ ჩემთან მოვა პიროვნება, რომელიც მეტყვის, რომ ეკლესიის მიღმა დარჩა, ვინაიდან მისი მამაო იყო ძალიან კატეგორიული და რადიკალური; თუ მეტყვის, რომ მამაოს კურთხევის გარეშე ვერ იწყობს პირად ცხოვრებას და ასე შემდეგ, მე მას ვკითხავ: ბნელა?! ისევე, როგორც ვკითხე „კარუზოს". ნებისმიერი ადამიანი რომ მოსულიყო ჩემთან და მოეყოლა პირადი ისტორია, ეთქვა, რომ ქმარი სცემდა, ემუქრებოდა და ასე შემდეგ, მაშინ ვეტყოდი: ისეთებს ყვები, ხომ არ მომიცვივდებიან-მეთქი. ეს იყო იუმორში ნათქვამი. ბოლოს, ვიცინი მაგრამ, ჯანდაბას, იყოს შეცდომა, ამის იქით კი არ ვიღებ არცერთ შენიშვნას, რადგან, ეს ადამიანები მიეჩვივნენ ორმაგ სტანდარტს. მარტო უმცირესობა არაა ქვეყანა; მათი ასეთი დაცვით, მგონი, ჩვენ უფრო გამოვდივართ უმცირესობის მდგომარეობაში. პატივს ვცემ ნებისმიერი აღმსარებლობის ადამიანს, მყავს უამრავი კათოლიკე მეგობარი, მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩემს გადაცემაში მოსულ პიროვნებას, იმის გამო, რომ უმცირესობას წარმოადგენს, კითხვა არ დავუსვამ.

ეთო ხურციძე

ეზოთერიკოსებისა და პარაფსიქოლოგების ნაწილი ამტკიცებს, რომ გენებსა და ბედისწერას შორის პირდაპირი კავშირი არსებობს. ამ აზრს ქართველი ეზოთერიკოსი, ბატონი დათოც ეთანხმება და ამბობს, რომ აზრისა და ფიქრის დონეზე, ასევე, გაუაზრებელი საქციელითაც, ბედის ცვლილება ნამდვილად შესაძლებელია. როგორ მოვიქცეთ, რომ თავი საფრთხეში არ ჩავიგდოთ, ცხოვრება სურვილისამებრ დავალაგოთ და სწორი არჩევანი გავაკეთოთ, ამაზე თავად ბატონი დათო გვესაუბრება და რჩევებსაც მოგვცემს.

არსებობს თუ არა პირდაპირი კავშირი გენებსა და ბედისწერას შორის და შესაძლებელია თუ არა გაუაზრებელი საქციელით ბედის ცვლილება

– როგორც ეზოთერიკოს-პარაფსიქოლოგები განმარტავენ, ყველა ადამიანი ინდივიდუალურ ენერგიას ატარებს, რომლის არასწორი ხარჯვა და სხვა ადამიანებთან გაცვლა-გამოცვლა, თუ ეს სწორად არ ხდება, უამრავ პრობლემას წარმოშობს. იქნებ, ამ საკითხზე მოგვაწოდოთ ინფორმაცია?

– დიახ, თითოეული ჩვენგანი გარკვეულ ენერგეტიკას ატარებს. გვერდიგვერდ მყოფი ადამიანები, უნებურად ურთიერთქმედებენ ერთმანეთზე მაშინაც კი, როცა სძინავთ ან ჩუმად არიან. ენერგიის გაცვლა მიმდინარეობს პერმანენტულად. ქალისგან განსხვავებით, მამაკაცი გაცილებით მეტ ენერგიას იღებს და ნაკლებს გასცემს; თუ ქალი მამაკაცის მიმართ დადებითად არის განწყობილი და თავს მის გვერდით კომფორტულად გრძნობს, მაშინ ენერგიების გაცვლა ნორმალურად მიმდინარეობს. მაგრამ, თუ რომელიმე მათგანს არასასურველი განწყობა აქვს, ესე იგი, მეორემ ცოტა ენერგია მიითვისა. სხვისი ენერგია ძალიან ადვილად ასათვისებელია. ენერგიის არასწორმა გაცვლა-გამოცვლამ კი, შესაძლოა, შეყვარებული წყვილი ან ცოლ-ქმარი დააშოროს. ჯერ იწყება კონფლიქტები, გაუგებრობები, კამათი, ჩხუბი და ამის შემდეგ წყვილი ხვდება, რომ მათ შორის რაღაც რიგზე ვერაა, თუმცა, პასუხი არ აქვთ. მე კი ასეთ წყვილს ვეტყვი, რომ ეს, შესაძლოა, მათ შორის ენერგიების არასწორმა გაცვლამ გამოიწვია. ამიტომ, სანამ ურთიერთობას დააკანონებთ, კარგად დააკვირდით, იღებთ თუ არა სასურველი ადამიანისგან ენერგიას და კმაყოფილია თუ არა ის თქვენგან გაცემული ენერგიით.

– ბედისწერასა და გენეტიკას შორის რომ პირდაპირი კავშირია, ამაზე რას გვეტყვით?

– ბოლო დროს საკმაოდ დიდი კამათი გამოიწვია ეზოთერიკოსებსა და პარაფსიქოლოგებს შორის საკითხმა, არსებობს თუ არა კავშირი ადამიანის ბედისწერასა და გენებს შორის. ამაზე ბევრი მოსაზრება გამოითქვა და დადგინდა, რომ ადამიანის ბედისწერასა და გენებს შორის უდიდესი კავშირი არსებობს; ასევე, არის გარკვეული პერიოდები, როცა საშიშია საკუთარ ბედზე ჩივილი, წყევლა, გაუაზრებელი ქცევა თუ საუბარი. ერთმა უაზროდ გაელვებულმა და გაუაზრებელმა ფიქრმაც კი, შესაძლოა, თავდაყირა დააყენოს და რადიკალურად შეცვალოს მთელი თქვენი ცხოვრება.

– გამიგია, რომ, როგორც ბედისწერა, ასევე წინაპართა ცოდვები, შთამომავლობით გადადის. ეს მართალია?

– ბედისწერაც და წინაპართა ცოდვებიც ნამდვილად გადადის გენეტიკურად შთამომავლებზე და სწორედ ამიტომაა საჭირო სიფრთხილე, კონტროლი და წინდახედულობა თითოეული ქცევის დროს თუ სიტყვის წარმოთქმისას, რომ აღარაფერი ვთქვათ გაცნობიერებულ საქციელზე. ბევრს ამ საკითხთან დაკავშირებით აბსოლუტურად განსხვავებული აზრი და შეხედულება გააჩნია, მაგრამ, აბა, დაფიქრდით, თუ შეიძლება, ადამიანმა გენეტიკურად მიიღოს წინაპრისგან ნიჭი, გარეგნობა, ხასიათი, მანერა და ასე შემდეგ, რატომ უნდა გამოვრიცხოთ, რომ ბედისწერაც გენეტიკურად გადავიდეს შთამომავლობაზე?

– ზოგს რომ არ სჯერა ბედისწერის?

– დიახ, ზოგს საერთოდ არ სჯერა ბედისწერის და ამაში მწარედ ცდება. მე ამ საკითხით დიდი ხანია, დავინტერესდი და საკმაოდ ბევრი გამოცდილება დავაგროვე. გენური კოდის საშუალებით ჩვენ მართლაც ვიღებთ მემკვიდრეობით გარეგნობას, ხასიათს, ნიჭს და, ამასთან ერთად, ბედისწერასაც; შედეგად კი, წინაპართა არასწორი ცხოვრების წესი შთამომავლის ბედისწერაზე აისახება. არცერთი ჩვენგანი არ დაბადებულა უცოდველი, რადგან გენების საშუალებით მიღებული პროგრამა შთამომავლობით დაგვყვა და, სწორედ ეს არის ბედისწერა, რაშიც უდიდესი წვლილი ჩვენს წინაპრებს მიუძღვით – მათი კარმული დავალიანება, არასწორი თუ სწორი საქციელი, ცხოვრების წესი და ასე შემდეგ, სწორედ ჩვენს გენებშია ჩაწერილი. თითოეული ჩვენგანი გენური ინფორმაციის მატარებელი და გადამტანია.

არცერთი ჩვენგანი არ დაბადებულა უცოდველი, რადგან გენების საშუალებით მიღებული პროგრამა შთამომავლობით დაგვყვა და, სწორედ ეს არის ბედისწერა, რაშიც უდიდესი წვლილი ჩვენს წინაპრებს მიუძღვის

– გამოდის, რომ ჩვენმა შთამომავალმა ჩვენი არასწორი ცხოვრების წესის გამო უნდა ზღოს და საკუთარი ბედისწერა ამით დაამძიმოს?

– სწორედაც! შთამომავალთა წარუმატებლობა, შესაძლოა, მათი ბრალი იყოს და, ამიტომ, უნდა ეცადოთ, სწორი საქციელითა და ცხოვრების სწორი წესით შეუმსუბუქოთ მათ ბედისწერა. თუ გსურთ, თქვენი შთამომავალი წარმატებული იყოს ცხოვრებაში, ასე უნდა მოიქცეთ და, თუ ამის არ გჯერათ, ეს თქვენი ნებაა. ჩვენი საქციელით შვილების ბედსაც განვსაზღვრავთ. გენეტიკურ ცოდვაზე დიდი ცოდვა დედამიწაზე არ არსებობს და, თუ ის ადამიანს შთამომავლობით გადაეცა, იგი წარუმატებელია, უამრავი პრობლემის წინაშე დგება და პირადი ცხოვრებაც გამწარებული აქვს. თუმცა, არ მინდა, ისე გაიგოთ ჩემი ნათქვამი, თითქოს თავს დამტყდარი ყველა უბედურება ჩვენი წინაპრის კისერზეა და მხოლოდ ისინი არიან დამნაშავენი ჩვენს უიღბლობა-წარუმატებლობაში. თითოეული ჩვენგანი, ცხოვრების განმავლობაში, თავის პროგრამასაც ქმნის და იწერს გენებში, მაგრამ, როცა მემკვიდრეობითი პრობლემების დამუშავებაგადახედვა შეუძლებელი ხდება გენეტიკური ხაზით, ამ დროს გვარი არსებობას წყვეტს, ანუ, ასეთ ოჯახში აღარ იბადება გვარის გამგრძელებელი. როცა დედა შვილს გაბრაზებულ გულზე წყევლის, ესეც საკუთარი გენის დაწყევლა და შთამომავლის ბედში გაუაზრებელი, მაგრამ საშიში ჩარევაა. ამ დროს გენური კოდი აქტიურდება და უფრო მეტად იწყებს მოქმედებას. გაბრაზებულ გულზე ერთმა ცუდმა გაფიქრებამაც კი, კონკრეტული ადამიანის მიმართ, შესაძლოა, მისი გენური პროგრამა შეცვალოს და ბედში ნეგატიური ცვლილებები შეიტანოს.

– ბატონო დათო, იქნებ, წინაპართა ცოდვების გამო ვისჯებით შთამომავლები?

– როცა საქმე წინაპრისგან გადმოცემულ ბედისწერას და გენებს ეხება, სწორი განმარტებაა ტანჯვა და არა დასჯა. შვილები იტანჯებიან იმიტომ, რომ მათმა მშობლებმა ცოდვის ჩადენით დაიზიანეს სული და სხეული, შემდეგ კი არ მოინანიეს და ეს ფაქტი მათ შთამომავლებზე აისახა. სული უხილავი მაგნიტივით აკავშირებს ერთმანეთთან ჩვენი ორგანიზმის ატომებსა და მოლეკულებს, სტიმულს აძლევს ცილების სინთეზს ცოცხალ უჯრედებში, დებს მასში სიცოცხლისუნარიანობის პროგრამას, უზრუნველყოფს ნივთიერებათა ცვლასა და თვითრეგულირებას. სულისა და სხეულის ერთმანეთთან დაცილებისას, ცილების სინთეზი უცბად წყდება, ენერგიას მოკლებული სხეული ცივდება; მისი ელემენტები კი, როგორც კი მაკავშირებელ ძალას კარგავს, იშლება და სიკვდილით ავადდება. ამიტომ, საკუთარ სულში უნდა ვეძებოთ იმ ყველაფრის მიზეზი, რაც ჩვენ და ჩვენს შვილებს გვჭირს, მათ შორის იმ დაავადებებისაც, რომელთა მიმართაც გვაქვს მიდრეკილება.

ნონა დათეშიძე

ცოტ-ცოტა ყველაფერზე

როგორია ჭეშმარიტი ქალი? – რა თქმა უნდა, ქალური... მაგრამ ეს კიდევ არ არის საკმარისი. მოდი, ცოტა გავართულოთ საკითხი. მაგალითად, ჭეშმარიტ ქალს არ შეუძლია, გაძლოს სამი რამის გარეშე. ესენია: მობილური ტელეფონი, ოჯახი და კარგი ფეხსაცმელი. გნებავთ, ხუმრობად მიიღეთ ეს, გნებავთ, ეჭვი შეიტანეთ, მაგრამ ფაქტები სხვაზე მეტყველებენ...

რას შეუძლია აატიროს ჭეშმარიტი ქალი?

დავიწყოთ იმით, რომ ჭეშმარიტ ქალს კარგად შეუძლია საკუთარი თავის ფლობა. ყველაზე საშინელ ამბავსაც უემოციოდ მოისმენს... მაგრამ, შეიძლება, სრულიად უმნიშვნელო რაღაცამ აატიროს... პროგნოზირება ძნელია.

იცავს თუ არა ჭეშმარიტი ქალი დრეს-კოდს და როგორ ირჩევს ელიტურ წვეულებებს – რა თქმა უნდა, ჭეშმარიტი ქალისთვის დრეს-კოდი ძალიან მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია – ტანსაცმელს მანქანაშიც კი გამოიცვლის, ოღონდ ფინჯან ჩაიზე მიპატიჟებული, ჯინსითა და ბოტასით არ გამოცხადდეს. ამიტომ, ელიტურ წვეულებებს არ მიელტვის. სახლშიც გვიან არ ბრუნდება. უფრო ხშირად მიდის იქ, სადაც მეგობრების და საქმიანი პარტნიორების გარემოცვაში იქნება.

ანიჭებს თუ არა ჭეშმარიტი ქალი მამაკაცის გარეგნობას მნიშვნელობას?! – არანაირად. მისთვის კაცში სხვა ღირსებები გაცილებით პრიორიტეტულია. მაგალითად, რას წარმოადგენს მამაკაცი პიროვნულად, რით არის დაკავებული. ზოგადად, ჭეშმარიტი ქალი დარწმუნებულია – იყო მამაკაცი, გაცილებით ადვილია. მთავარია, კარგი კოსტიუმი ეცვას და გარეცხილ მანქანაში იჯდეს... ჭეშმარიტი ქალის შესაფერისი მამაკაცი დიდ დროს უთმობს პიროვნულ განვითარებას და დიდ დროს ატარებს ბავშვებთან – ეს უკანასკნელი უმთავრესია.

მარჯვნივ და მარცხნივ...

ვინმეს მოეწონება მამაკაცი, რომელიც თვალებს დაუსრულებლად აქეთ-იქით აცეცებს? – ლოგიკური პასუხია – არა! არც ისაა მამაკაცისთვის სასახელო, იდგეს და ყვებოდეს საკუთარი სასიყვარულო თავგადასავლების შესახებ. ღირსეული მამაკაცი ღირსეულად დუმს... მით უმეტეს, ცუდია, როცა კაცი ხმამაღლა ყვება იმ „ტრიუკების“ შესახებ, რომლითაც ქალებს „აბამს.” არ არის საჭირო, შექმნა მითი საკუთარი პიროვნების გარშემო... ჭკვიანმა ქალმა იცის, რომ სიყვარულში წარმატებულ მამაკაცს ტრაბახი არაფერში სჭირდება. ამიტომ, ისინი მხოლოდ იღიმებიან კაცის ყოყოჩურ განცხადებებზე. მხოლოდ სულელი ქალი ვერ მიხვდება, რატომ ცდილობს მამაკაცი მოიტყუოს და თავი იმად წარმოაჩინოს, რაც რეალურად არ არის. თქვენ თავად დაფიქრდით – წარმატებულ მამაკაცს დასჭირდება ბევრი ლაპარაკი საკუთარ წარმატებებზე? რა თქმა უნდა, არა!

ქალის გულის დასაპყრობად ლაპარაკი საერთოდ არც არის აუცილებელი. მთავარი ქმედებებია და მამაკაცმა სწორედ საქმით უნდა დაგიმტკიცოთ თავისი გრძნობა. ბედნიერებას კი, თუ მართლაც შენია – გაფრთხილება სჭირდება: შურიანი თვალისგან დამალვა და მუდმივად ზრუნვა ურთიერთობის იმ ფორმით შესანარჩუნებლად, რა ფორმითაც მას ეს ბედნიერება მოაქვს. მგონი, ყველაფერი ნათელია... არც მარჯვნივ, არც მარცხნივ – საყვარელმა მამაკაცმა თქვენ უნდა გიყუროთ პირდაპირ და თვალის მოუშორებლად.

ცოტა თერაპია

ქალს ძალიან სჭირდება მეგობრები და თანამოაზრეები... ოღონდ არ მითხრათ, რომ იგივე მამაკაცებსაც სჭირდებათ. რა თქმა უნდა, მაგრამ დაქალებთან წაჭორავება ქალისთვის ნამდვილი თერაპიაა. მამაკაცებს რატომღაც ჰგონიათ, რომ, როცა ქალები ერთმანეთს ხვდებიან, ისინი მხოლოდ ძლიერ სქესზე, საკუთარ ქმრებსა და შეყვარებულებზე საუბრობენ. ნამდვილად არ არის ასე. „თერაპიული“ ეფექტი სულ სხვა რამეშია. ქალები სხდებიან ერთად და განიხილავენ ყველაფერს – დაწყებული მსოფლიო მოდის ტენდენციებიდან, პირად გარდერობზე, სტილზე, მანიკიურის ოსტატზე და ახალ ვარცხნილობაზეც კი. საუბრობენ ქვეყანაში პოლიტიკურ მდგომარეობაზეც... რატომაც არა?! მთავარი ხომ საუბარია? ტყუილუბრალოდ დასცინებთ ქალებს და დაადანაშაულებთ მათ ლაპარაკის სიყვარულში. ამას სერიოზული სარგებელი მოაქვს ჯანმრთელობისთვისაც და გუნება-განწყობასაც აუმჯობესებს. ერთი სიტყვით, კარგია ქალის ორგანიზმისთვის, მაგალითად, ხსნის სტრესს, დაძაბულობას, ანეიტრალებს აგრესიას... მოკლედ რომ ვთქვათ, არაფრით არ შეიძლება, ქალს მეგობრებთან შეხვედრა და საუბრები აუკრძალოთ. ეს იგივეა, ჟანგბადი გადაუკეტოთ. ფსიქოლოგებმა დაადგინეს, რომ ქალები, რომლებიც რეგულარულად ხვდებიან მეგობრებს და ლაყბობენ – ამ სიტყვის კარგი გაგებით, ბედნიერები არიან... სასწრაფოდ გაიქეცით მეგობართან გულის მოსაოხებლად. ეს დამამშვიდებელი აბების მიღებას ნამდვილად ჯობია, ის მამაკაცი კი, რომელიც ამას ვერ გაიგებს, ძალიან წააგებს, რადგან საბოლოოდ, ქალი უფრო მას შეელევა, ვიდრე საყვარელ, სასიამოვნო ჩვეულებას.

თავდაცვის მექანიზმები

ქალს ძალიან სჭირდება ისეთი ნიუანსების ცოდნა, რაც ცხოვრების სწორად წარმართვაში დაეხმარება. მაგალითად, უნდა იცოდეს, როგორ გაემიჯნოს მათ, ვინც მის პირად სივრცეში შეღწევას ცდილობენ. დისტანცია საყვარელ ადამიანთანაც კი აუცილებელია. თითოეულ ჩვენგანს გვაქვს პირადი, ინტიმური ზონა...

შეეცადეთ, ყოველთვის იყოთ იმ ადამიანების გარემოცვაში, რომლებიც თქვენ წინსვლას შეუწყობენ ხელს. ცხოვრება ისედაც სავსეა დაბრკოლებებით და რაში გჭირდებათ ადამიანი, რომელიც უკან დაგხევთ და დეპრესიაში ჩაგაგდებთ. ყოველთვის უნდა იფიქროთ იმაზე, რას მოგცემთ ის, ვინც თქვენს გვერდითაა. ეს არ არის ცუდი. ნდობა ჩნდება რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით: ერთია სიყვარული, მეორე – ხანგრძლივი გამოცდა დროში. დროში გამოცდას ყველა ვერ ელოდება და უფრო სიყვარულის კარნახს მიჰყვებიან. შეცდომებსაც, ბუნებრივია, უშვებენ... ქალს მაშინ ერთვება თავდაცვის მექანიზმი, როცა ძალიან ეტკინება... ამიტომ ისწავლეთ, თქვათ – „არა“, როცა ამისი თქმა აუცილებელია. ჩართეთ თავდაცვის მექანიზმი უფრო ადრე, ვიდრე ძალიან მაგრად გეტკინებათ. მაგალითად, როცა კოლეგა, შეყვარებული, ან ოჯახის წევრი ცდილობს თქვენით მანიპულირებას, თქვენს გამოყენებას, გაუწიეთ მას წინააღმდეგობა, თბილი სიტყვით, მაგრამ მტკიცედ. არსებობენ ადამიანები, რომლებსაც საერთოდ უნდა მოერიდოთ. გაუღიმოთ და უთხრათ, მშვიდობით – თავდაცვის მექანიზმი ამას გიკარნახებთ! ენდეთ მას.

გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

დაიწყეთ დილა სწორად!

ყოველ დილით მოამზადეთ არა მსუყე, არამედ, სასარგებლო საუზმე და, მაშინ, საკვები არა მარტო მთელი დღის განმავლობაში შეგმატებთ ენერგიას, არამედ, დაგეხმარებათ ზედმეტი წონისგან გათავისუფლებაშიც. ასე რომ მოხდეს, მთავარია, დაიცვათ მარტივი წესი: დილით მიირთვით ცილების დღიური ნორმის ერთი მესამედი, ცხიმების ერთი მეხუთედი და ნახშირწყლების ორი მესამედი. ყველა ეს ნივთიერება იდეალურად არის ბალანსირებული ხაჭოში. ესაა ყველაზე ადვილად ასათვისებელი რძემჟავა პროდუქტი და, ამიტომ, იდეალური ვარიანტია საუზმისთვის.

ხაჭოს გარდა, გახდომის თვალსაზრისით, უნიკალური პროდუქტია კომში; ის შეიცავს დიდი რაოდენობით უჯრედისს, რომელიც აჩქარებს საკვების გადამუშავებას. ამ ხილს აქვს მორომლავი ნივთიერებებისა და პექტინების დიდი მარაგი, და სწორედ ამიტომ, მისი მიღება რეკომენდებულია კუჭის პრობლემების დროს. ახლახან კი მეცნიერებმა დაადგინეს, რომ კომში ხელს უწყობს კუჭის წყლულის შეხორცებას.

კიდევ ერთი უნიკალური დიეტური პროდუქტია ბროკოლი. გარდა იმისა, რომ ის ხელს უწყობს ორგანიზმში ცხიმების წვას და თრგუნავს შიმშილის გრძნობას. ცნობილია, რომ დიდი რაოდენობით შეიცავს იოდს და, ასევე, გამოირჩევა ანტისიმსივნური თვისებებით. მეცნიერთა კვლევების შედეგად დადგინდა ბროკოლის კიდევ რამდენიმე უნიკალური თვისება: ის ეხმარება ორგანიზმს იმუნური ფუნქციების აღდგენაში და ანელებს დაბერების პროცესს; მასში შემავალი ბეტა-კაროტინი, ფოსფორი და B ჯგუფის ვიტამინების კომპლექსი კი აუმჯობესებს მხედველობას.

თუ დიეტის დროს გაგიძლიერდათ ტკბილის მოთხოვნილება, ამ სურვილს დათრგუნავს ვაშლისა და ბანანის ან ციტრუსის სმუზი, რომელიც უნდა მოამზადოთ შემდეგნაირად:

ვაშლისა და ბანანის სმუზი: დააბლენდერეთ 1 ჩაის ჭიქა დაჭრილი მწვანე ვაშლი, ნახევარი ჩაის ჭიქა ვაშლის წვენისგან დამზადებული ყინულის კუბიკები (დამტვრეული), ნახევარი ბანანი და მწიკვი დარიჩინი.

ამ სასმლის 100 მილილიტრი შეიცავს 162 კილოკალორიას.

ციტრუსის სმუზი აძლიერებს იმუნიტეტს და განსაკუთრებით სასარგებლოა ზამთრის პერიოდში. 100 მილილიტრი შეიცავს 150 კილოკალორიას. მისი დალევა რეკომენდებულია დილით, უზმოზე ან ლანჩზე.

მომზადების წესი: დააბლენდერეთ 1 ჩაის კოვზი გახეხილი კოჭა, 1 ცალი (დიდი ზომის) გაფცქვნილი ფორთოხალი და 150 მილილიტრი ახალგამოწურული გრეიპფრუტის წვენი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თუ გსურთ, რომ ნებისმიერი დიეტა მაქსიმალურად შედეგიანი იყოს, აუცილებლად შეიტანეთ რაციონში ეს პროდუქტები და წონაში უპრობლემოდ და ჯანმრთელად დაკლება გარანტირებული გექნებათ.

პატივი ეცით საკუთარ სხეულს

არ გაგეცინოთ, მაგრამ, ამ შემთხვევაში ზედგამოჭრილია რუსთაველის აფორიზმი: „რასაცა გასცემ – შენია, რაც არა – დაკარგულია“. დიახ, ეს თქვენ და თქვენს სხეულს გეხებათ: გინდათ, გქონდეთ სრულყოფილი და ლამაზი სხეული? მარტო სურვილი არ კმარა, ამის მისაღწევად ცოტა მონდომება და თავის შეწუხებაა საჭირო, ანუ, არ უნდა დაგეზაროთ და დღის სხვადასხვა მონაკვეთში სხეულის სხვადასხვა მონაკვეთის მიმართ განსაკუთრებული ზრუნვა უნდა გამოიჩინოთ. დაგეზარებათ და „დაიკიდებთ“? მაშინ, ისიც „დაგიკიდებთ“ – აღარ ეცდება, გამოიყურებოდეს ჯანმრთელად, იყოს ლამაზი და მოხდენილი და, დაზარების გამო იმით გადაგიხდით სამაგიეროს, რომ შეგარცხვენთ, საბოლოოდ კი დეპრესიასაც გამოჰკრავთ ხელს. ეს რომ არ მოხდეს, ჩვევად აქციეთ საკუთარი თავის მოვლა, მოვლა კი აუცილებელია თმის ღერიდან ფეხის ფრჩხილამდე, უფრო სწორად, ფეხის ფრჩხილების ჩათვლით; ოღონდ, ცხადია, სხეულის თითოეულ „უბანს“ განსხვავებული, განსაკუთრებული და ინტენსიური მიხედვა სჭირდება. მაგალითად, თმის რამდენი ტიპიც არსებობს, იმდენგვარია მისი მოვლის მეთოდები, თუმცა, არის ყველა ტიპისთვის საერთო საშუალებებიც, მაგალიად: ჭინჭრის ან გვირილის ნახარშითა და კვერცხის გულით დაბანა; ანადუღარი წყლის გამოყენება; ფენის გარეშე გაშრობა, მცენარეული ნიღბები და ასე შემდეგ.

იგივე შეიძლება ითქვას სახის კანზეც, ანუ, მას უნდა მოვუაროთ იმის გათვალისწინებით, თუ რომელი ტიპის კანი გვაქვს; ასევე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ წლის სხვადასხვა სეზონზე განსხვავებულია მოვლის საშუალებებიც.

ხელები ჩვენი სხეულის ყველაზე მშრომელი ნაწილია, ამიტომ, მას განსაკუთრებული პატივი უნდა მივაგოთ და დილას და საღამოს მაინც გავანებივროთ კანის დამარბილებელი და ნოჭების დამთრგუნავი კრემებით. სხვათა შორის, ხელების კანს ძალიან უხდება გლიცერინი, რომელშიც უშუალოდ წასმის წინ უნდა შეურიოთ ახალგამოწურული ლიმონის წვენი; ან, ასევე ლიმონის წვენგარეული ზეითუნის ზეთი, თაფლის, კვერცხის გულის ან არაჟნის ნიღაბი და ასე შემდეგ. შესაბამისი მოვლა სჭირდება ხელისა და ფეხის ფრჩხილებს, რათა არ განვითარდეს სოკო და ვიზუალურადაც ლამაზად გამოიყურებოდეს.

კატეგორიულად არის აკრძალული ეგრეთ წოდებული საკუთარი რეცეპტით ექსპერიმენტების ჩატარება – ეს აუცილებლად მიგიყვანთ გამოუსწორებელ შედეგამდე. ამიტომ, მიმართეთ გამოცდილ სპეციალისტს, გაითვალისწინეთ მისი რჩევები და, რაც მთავარია, არ დაიზაროთ საკუთარი სხეულის პატივისცემა.

კოსმეტოლოგის რჩევები

კითხვა: ვიცი, რომ ჯანმრთელობისთვისაც და კანისთვისაც ძალიან სასარგებლოა კონტრასტული შხაპის მიღება. ერთი-ორჯერ ვცადე, მაგრამ, არ მესიამოვნა და ძალიან არაკომფორტულად ვიგრძენი თავი. როგორ უნდა მივიღო კონტრასტული შხაპი ისე, რომ ეს არ მოხდეს?

პასუხი: როგორც ჩანს, თქვენი ორგანიზმი არ არის შეჩვეული წყლის პროცედურებს, ამიტომ, კონტრასტული შხაპის მიღება დაიწყეთ კომბინაციით – „ცხელი, თბილი, ცხელი“. რიგრიგობით მოუშვით ცხელი და თბილი წყალი (თითოეული 15-20 წამით, 3 წუთის განმავლობაში). როცა ამას შეეჩვევით (შეჩვევა, შესაძლოა, რამდენიმე დღეს გაგრძელდეს), გადადით მეორე კომბინაციაზე – „თბილი, გრილი, თბილი“; ბოლოს კი – „თბილი, ცივი (20 გრადუსი), თბილი“.

კითხვა: მართალია თუ არა, რომ მზის სხივების აბაზანები საუკეთესო საშუალებაა სახესა და სხეულზე გამონაყრის საწინააღმდეგოდ (როგორიცაა, მაგალითად, აკნე)?

პასუხი: გარუჯული კანი მართლაც უფრო საღად და ჯანმრთელად გამოიყურება და ეს ულტრაიისფერი სხივების დამსახურებაა – გარუჯვის დროს კანი ოდნავ შრება და გამონაყარი ნაკლებად შესამჩნევი ხდება; მაგრამ, ეს ნუ გაგათამამებთ. ამ მიზნით მზეზე ხანგრძლივად ყოფნამ, შესაძლოა, გამოიწვიოს უკურეაქცია: კანის არათანაბარი გაწითლება, გაღიზიანება, ფერისმჭამელების გაჩენა და ანთებითი პროცესი და ამ ყველაფერში ისევ და ისევ ულტრაიისფერი სხივები იქნება დამნაშავე, რადგან მათი გადაჭარბებული ზემოქმედებით, კანის უჯრედები კვდება და მათი რაოდენობა იზრდება და, შედეგად, ჭედავს ფორებს, რითაც საუკეთესო პირობები იქმნება ბაქტერიების გასამრავლებლად და ახალი გამონაყრის წარმოსაქმნელად.

კითხვა: გადავწყვიტე, ცელულიტებს „შევებრძოლო“, ოღონდ, სახლის პირობებში. რას მირჩევთ, რა საშუალებები გამოვიყენო?

პასუხი: „მიშვებული“ ცელულიტის წინააღმდეგ უნდა შეიძინოთ ის საშუალებები, რომელთა შემადგენლობაში შედის: სუროს, ცხენის ნაბლის ექსტრაქტები, კოფეინი, მენთოლი.

მოამზადა
თამრიკო ზამთარაძემ

ინტიმური საუბრები

ᲛᲝᲫᲐᲚᲐᲓᲔᲔᲑᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲡᲐᲯᲠᲝᲜ!

12 წელია, გათხოვილი ვარ. ოჯახი რომ შევქმენით, მე 19 წლის ვიყავი, ჩემი ქმარი – 20-ის. ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი. გიჟდებოდა ბავშვებზე და ამიტომაც გავაჩინე ხუთი შვილი. ხუთი გოგონა გვყავს: 11 წლის სალომე, 9 წლის ნინი, 4 წლის მარიამი, 2 წლის ბარბარე და 6 თვის ნია. ჩემი მეუღლის ხელფასი მეტ-ნაკლებად გვყოფნიდა, ყოველ შემთხვევაში, არ მოგვშიებია. დაახლოებით ერთი წლის წინ, ბოლო შვილზე რომ ვიყავი ორსულად, შოთამ ინტერნეტით გაიცნო ვიღაც ქალი და იმის შემდეგ შეეცვალა ხასიათიც და ფსიქიკაც: ჩემ მიმართ ისეთი აგრესიული გახდა, რამდენჯერმე მუცელში ფეხის ჩარტყმაც კი სცადა. ბავშვების თანდასწრებითაც დაურტყამს ხოლმე. ორჯერ პატრულიც გამოვიძახე და ხელწერილი დააწერინეს. აშკარად ჭკუიდან იყო გადასული, რადგან, ამის შემდეგ ვენები გადაიჭრა იმ ქალის გამო. ისევ მე ვუშველე – სასწრაფოდ წავიყვანე საავადმყოფოში, მაგრამ მაინც წავიდა იმ გათახსირებულთან. აბა, სხვა რა სიტყვა ეკუთვნის ქალს, რომელმაც თავისი ქმარი და ორი შვილი დატოვა და სხვის ქმართან ცხოვრება ამჯობინა?! ახლა სადღაც ქირით ცხოვრობენ და იმ ქუჩის ქალს თან ჰყვება, თავის შვილებს კი ტელეფონითაც არ კითხულობს.

ძალიან მიჭირს. ლილოში ნაქირავებში ვცხოვრობ მცირეწლოვან შვილებთან ერთად. ფონდი „იავნანა“ გვეხმარება, საჩუქრებსაც გვიგზავნის ხოლმე, მაგრამ, ჩვენი ყველაზე დიდი პრობლემა უბინაობაა. ლილოს გამგებელს მივწერე და ვთხოვე, საცხოვრებელი ფართი გამოეყო ჩვენთვის, მაგრამ, უარი მივიღე.

ამ ცოტა ხნის წინ ხუთივე შვილი ინფექციურში მეწვინა. ტიროდნენ, მამა გვინდაო. უფროსმა დაურეკა და უთხრა, გვინახულეო. ორი დღის შემდეგ ფანჯრიდან დავინახე, რომ იმ ქალთან ერთად მოდიოდა და გადავძახე, ეგ ქალი აქ არ დავინახო-მეთქი, მაგრამ, მაინც ამოიყვანა. ისე გავმწარდი, ორივე გავლანძღე, მან კი ყველას თანდასწრებით გამარტყა სახეში ხელი. ექიმებმა ძლივს დამაწყნარეს წამლებით, სანიტრებმა კი ორივე გააგდეს იქიდან. რაც მთავარია, ეს ყველაფერი ბავშვებმაც დაინახეს.

დედაჩემის მეტი არავინ მყავს დამხმარე, თუმცა თვითონაც არაფერი აბადია იმ საწყალს – სოციალურად უმწეოა, მაგრამ, უკანასკნელ ლუკმას გვიყოფს.

ყველაზე მეტად კი იმის გამო მტკივა გული, რომ იმ ქალის გაცნობამდე სანიმუშო მამა და ქმარი იყო. არასდროს მჯერდა ჯადოების, მაგრამ, იმის შემდეგ, რაც ჩემი ქმარი ასე რადიკალურად შეიცვალა და წყნარი და მოსიყვარულე კაცისგან ურჩხულად იქცა, უკვე მჯერა, რომ ნამდვილად ჯადო აქვს გაკეთებული.

ამას წინათ ისიც კი ვიფიქრე, ამდენჯერ მშობიარობის შემდეგ რომ გავსუქდი, იქნებ იმიტომ გადამიყვარა-მეთქი, მაგრამ იმ ქალის გაცნობამდე არც სიტყვით უთქვამს და არც ისე უგრძნობინებია, ისევ ძველებურად ვუყვარდი და კარგად იყო ჩემთან. ჩემმა მეზობელმა მითხრა, ცოტაც მოითმინე და, ნახავ, მუხლებზე დამხობილი თუ არ მოხოხდეს და შერიგება არ გთხოვოსო. გაჭირვების მიუხედავად, არ შევურიგდები. მე დიდხანს ვცდილობდი, სიყვარულით შექმნილი მრავალშვილიანი ოჯახი არ დამენგრია, მაგრამ, ვერ მოვახერხე. ახლა კი, რადგან ეს მაინც მოხდა, ნამდვილად აღარ მინდა, უკან დავბრუნდე. როგორმე გავზრდი ჩემს შვილებს ისე, რომ ხუთივე საამაყო ადამიანი გამოვიდეს. ეს კი არ გამომივა, თუ ისევ ვაყურებინებ შვილებს დედაზე ძალადობის სცენებს და ბავშვობიდანვე შეეჩვევიან იმ აზრს, რომ ცემითა და სხვა სახით ქალის დამცირება ჩვეულებრივი ამბავია.

დარწმუნებული ვარ, უამრავი ქალია ჩემს და, შესაძლოა, უარეს მდგომარეობაშიც და მინდა მათ მივმართო: იცოდეთ თქვენი უფლებები! ნუ დააჩაგვრინებთ თავს თქვენზე მხოლოდ ფიზიკურად ძლიერ მამაკაცებს და ნუ გაზრდით შვილებს თქვენი დამცირების ცქერაში! თუ თვითონ ვერ მოახერხებთ თავის დაცვას, იცოდეთ, რომ არსებობს სპეციალური ორგანიზაციები, რომლებიც დაგიცავენ და ამით იხსნიან თქვენს შვილებს ფსიქიკური დამახინჯებისგან. ქალბატონებო, იცოდეთ, რომ თქვენ მარტო არ ხართ. ნუ იცხოვრებთ „არავინ გაიგოს“ პრინციპით. პირიქით, ყველას გააგებინეთ, რათა დაისაჯონ მოძალადეები და ვეღარავინ გაბედოს ქალზე ხელის აღმართვა.

ᲗᲘᲜᲐ, 31 ᲬᲚᲘᲡ.

ᲒᲐᲓᲐᲕᲬᲧᲕᲘᲢᲔ, ᲨᲔᲧᲕᲐᲠᲔᲑᲣᲚᲡ ᲓᲐᲕᲨᲝᲠᲓᲔ

მყავს მეცხრეკლასელი ძმა, რომელსაც ხუთი წელია, უყვარს თავისი თანაკლასელი გოგონა და, პატარაობიდან მოყოლებული, არ ელევა ფანტაზია, რომ თავისი შეყვარებული გაახაროს და გამორჩეულად აგრძნობინოს თავი. მეხუთე კლასში იყო, ზაფხულში სახლიდან რომ გაიპარა და დაბადების დღეზე წითელი ვარდებით სავსე კალათით ჩააკითხა აგარაკზე მარტო (ვარდებიც თავისი ნაგროვები ფულით უყიდა); მერე და მერე სულ უფრო მაგარ სიურპრიზებს უკეთებდა და, მარტო იმ გოგოს კი არა, მის მშობლებსაც აგიჟებს. მთელ სკოლაში და მთელ ჩვენს უბანში ლეგენდებს ჰყვებიან ჩემი ძმის საოცარ სიყვარულზე და ყველას, დიდსა და პატარას, იმ გოგონასი შურს, ასეთ ბიჭს რომ უყვარს. ლამის არის, სხვა ბიჭები მტრებად მოიკიდოს, რადგან, ისინი არ თუ ვერ იწუხებენ თავს, რომ განსხვავებულად და აღმატებულად მოექცნენ თავიანთ შეყვარებულებს და, სიმართლე რომ ითქვას, არც გამოსდით (როცა ძალიან მოინდომებენ, მაშინაც კი), იმიტომ, რომ ასეთი რამეების კეთება არ არის მაგათი სულის თვისება. ცხადია, ყველა ერთნაირი ვერ იქნება, მაგრამ, ჩემმა უმცროსმა ძმამ, თავისდაუნებურად, ძალიან ცუდი სამსახური გამიწია, რადგან, ჩემი შეყვარებულის ნებისმიერ სიტყვას თუ საქციელს, ჩემდაუნებურად, ჩემი ძმის საქციელს ვადარებ და ის ჩემს თვალში მაშინვე ნულის ტოლი ხდება. ჩამომაკითხოს და ვარდები მომართვას კი არა, ამ ბოლო დროს ისეა შემძვრალი კომპიუტერში, პაემანზე გამოსვლა ეზარება. ერთი თვის წინ მანქანით პატარა ავარია მომივიდა და, რომ დავურეკე და ვთხოვე, მომაკითხე-მეთქი, მითხრა, რადგან მირეკავ, ესე იგი, არაფერი გიჭირს და, გეხვეწები, ნუ მომაცდენ, ძლივს ბოლო ეტაპზე გავედიო (რაღაც იდიოტურ თამაშზე ჩაიციკლა ამხელა კაცი და სხვა არავინ და არაფერი აღარ აინტერესებს); მაშინ კი თვითონ როცა სცალია და დამირეკავს, გამოდიო, თავპირისმტვრევით უნდა გავიქცე და შევხვდე. ამ ყველაფრის გარდა, არანაირი ფანტაზია, არანაირი ინიციატივა... მოკლედ, თვითონაც არ ვიცი, რატომ არ ვშორდები. რამდენჯერმე მოვუყევი ჩემი ძმის შესახებ და სიცილი აუტყდა – მაგარი შტერი ძმა გყოლია, მეტი საქმე არ აქვს, ვიღაც გოგოსთვის ამდენს რომ წვალობსო? არადა, რომ ჰკითხო, ვუყვარვარ და უჩემოდ ვერ იცოცხლებს. მაპატიეთ უზრდელობისთვის და, ასეთი სიყვარულის დედაც არ ვატირე? სწორედ ახლა, ამ წერილის წერისას გადავწყვიტე, რომ თავიდან უნდა მოვიშორო. იჯდეს მერე და ითამაშოს ის რაღაც კრეტინობა და ეგდოს მარტო.

ᲛᲐᲜᲩᲝ, 24 ᲬᲚᲘᲡ.

რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ ისტორიები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@gmail.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.

ეძიე კაცი

● გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №31-48(727)

სოფო გოგოებს რომ აღარ შეეხმიანა, მათ შორის ყველაზე ცნობისმოყვარეები – მია, ნათია და ქეთა წამოდგნენ და ფეხაკრეფით გაემართნენ შემოსასვლელისკენ, თან დანარჩენებს ანიშნეს, გაჩუმდითო, მაგრამ, ღია კარში ჩამდგარი ჩახუტებული წყვილი რომ დაინახეს, აღარ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ; მერე ისევ ფეხაკრეფით დაბრუნდნენ ოთახში და დანარჩენებს ჩურჩულით უთხრეს:

– მოვიდა...

– ვინ მოვიდა? – ვერ მიხვდა რუსა.

– კიანუ რივზი... – ისევ ჩურჩულით უპასუხა ქეთამ.

– რა?! – სულ მთლად დაიბნა რუსა.

– რა მოგივიდა, რით ვეღარ მიხვდი? იმ ტიპმა მოაკითხა...

– ქურდმა?! – კინაღამ იკივლა სალომემ.

– ჩუმად! გაგიჟდი? – შეშფოთდა ქეთა, – არ გაიგოს, სირცხვილია!

– რა ვქნათ? – იკითხა მირანდამ.

– უნდა წავიდეთ, – წამოდგა ლიკა, – ჩვენ ახლა ნამდვილად ზედმეტები ვართ.

– ჰო, მაგრამ, როგორ უნდა გავიდეთ, როცა ღია კარში დგანან გაშეშებულები და არც კი იძვრიან? – თქვა მიამ.

– მაშინ, სხვა გზა არ გვაქვს, უნდა დაველოდოთ, როდის შეიცვლიან დისლოკაციის ადგილს, – გაუხარდა ნათიას, რადგან, ძალიან აინტერესებდა სოფოს თაყვანისმცემლის ნახვა, – თან, ბარემ, გავიცნობთ კიდეც.

– სხვა დროს ვერ გავიცნობთ? – იუხერხულა კატომ, – რაღაც, აშკარად არ ვიქცევით მაინცდამაინც ტაქტიანად. მეორე ოთახში ხომ არ გავიდეთ და ჩუმად დავსხდეთ? მერე კი, როცა გონზე მოვლენ და გასასვლელს გაათავისუფლებენ, სათითაოდ გავიპაროთ.

– რას ამბობ! არსადაც არ წავალ. ერთი სული მაქვს, იმ ბიჭს როდის გავიცნობ! – შეძლებისდაგვარად ჩუმად თქვა ნათიამ, – ძალიან მაინტერესებს, როგორი ტიპები არიან ქურდები. ცხოვრებაში არ მყოლია ქურდი ნაცნობი, მით უმეტეს – პოტენციური სასიძო!..

– ნათია, შენ ცოტა ფრთხილად იყავი, დაქალი არ დაკარგო, – გააფრთხილა რუსამ.

– რატომ, რა ვთქვი ასეთი?

– რაც თქვი! მე გამიფრთხილებიხარ.

– კარგი, ხმას აღარ ამოვიღებ, მაგრამ, აქედანაც არ წავალ.

– ვინ გიშვებს, თორემ, კი, – გაეცინა მიას, – მგონი, არც ისე სახუმაროდ გვაქვს საქმე.

– ყავა მაინც მოგვედუღებინა, სანამ ეგენი ხვევნა-კოცნას მორჩებიან, – თქვა ელისომ და თავისი ფინჯანი აიღო, მაგრამ ნათიამ ხელით ანიშნა, არ გაინძრეო.

– რა მოხდა? – გაუკვირდა ელისოს.

– შეარგეთ ამ გოგოს პირველი კოცნა! – ჩურჩულით უბრძანა ნათიამ, – რა ყავა აგიტყდა, რამდენი ჭიქა უნდა დალიო?

გოგოები ჩაჩუმდნენ და მოთმინებით დაიწყეს ლოდინი, როდის გაახსენდებოდა სოფოს, რომ სახლში მარტო არ იყო.

ლოდინი დიდხანს აღარ დასჭირვებიათ – თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ სოფომ ხელჩაკიდებული შეიყვანა ოთახში თავისი სტუმარი და სახეზე ბედნიერღიმილგადაფენილმა გამოაცხადა:

– გაიცანით, ეს გიორგია, – მერე კი კაცს მიუბრუნდა: – ესენი ჩემი უახლოესი და უერთგულესი მეგობრები არიან. თანდათან ყველას უფრო ახლოს გაიცნობ.

– რა ცოტანი ყოფილხართ, – თქვა გიორგიმ და ისე უშუალოდ გაიცინა, ყველას უცბად მოეხსნა უხერხულობა და დაძაბულობა.

– აკი, ალეკოო?! – იკითხა სალომემ და პოტენციური სასიძო თავიდან ფეხებამდე კრიტიკული მზერით შეათვალიერა.

– ეს ისე ვუთხარი მაშინ... – გიორგიმ უხერხულად ჩაახველა.

– გიორგიც „ისე“ ხომ არ თქვი? – ცალი წარბი ასწია რუსამ.

– არა, მართლა გიორგი მქვია.

– დაჯექი, გიორგი, – შესთავაზა მიამ შინაურულად, – ახლა სახელები რომ ჩამოგითვალოთ, ერთბაშად მაინც ვერ დაიმახსოვრებ, ამიტომ, ნელ-ნელა გაგეცნობით, თანდათანობით... მე მია მქვია.

გიორგიმ, თავისდა გასაკვირად, ძალიან მყუდროდ და კომფორტულად იგრძნო თავი ამდენ უცხო ქალს შორის, უცბად მოეხსნა დაძაბულობა და შვებით ამოისუნთქა, მაგრამ, ეს ამოსუნთქვა ისე ხმამაღლა გამოუვიდა, რომ გოგოები მიხვდნენ, რისი ნიშანიც იყო და სიცილი აუტყდათ. გიორგისაც გაეცინა, მერე სოფოს გახედა და ღიმილით უთხრა:

– ძალიან მაგარი მეგობრები გყოლია.

სოფომ თავი დაუქნია და შიშით გადახედა გოგოებს – აინტერესებდა, მათაც იგივე აზრი თუ შეექმნათ გიორგიზე და, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ჯერ კიდევ გამომცდელად ათვალიერებდა მის კავალერს, მაინც მიხვდა, რომ პირველმა გამოცდამ წარმატებით ჩაიარა.

– როგორც ხვდები, გიორგი, ჩვენ შორის ხელის ჩამორთმევა უკვე მოხდა, – განაგრძო მიამ.

– როდის? – დაიბნა კაცი.

– რომ ამოიქშინე, მაშინ, – კეთილი ღიმილით უთხრა მიამ, – ეს კარგი დასაწყისია, მაგრამ ყველაფერი არ არის.

– კიდევ რა არის საჭირო? – ისე უშუალოდ იკითხა გიორგიმ, რომ მიამ გულში მაშინვე დაასკვნა, კარგი ტიპიაო, ხმამაღლა კი უპასუხა: – კიდევ, თავიდანვე უნდა შეეგუო იმ აზრს, რომ შენ მუდმივად დაგაკვირდება და გაგაკონტროლებს ცხრა წყვილი თვალი და ამდენივე წყვილი ყური. გაუძლებ?

– მგონი, მაგარ შარში გავყავი თავი... – ხმამაღლა გაეცინა გიორგის.

„სიცილი ძალიან უხდება“, – თითქმის ერთდროულად გაიფიქრეს გოგოებმა და, თანხმობის ნიშნად, ყველამ ერთად, მრავალმნიშვნელოვანი ღიმილით დაუქნია თავი.

– მაგრამ, იმედია, გავუძლებ, – განაგრძო გიორგიმ, მერე პატარა პაუზა გააკეთა და იკითხა: – ანუ, გამოდის, რომ ცხრა სიდედრი მეყოლება?

„ოჰო! როგორც ჩანს, ამ ყმაწვილს შორს მიმავალი გეგმები აქვს“, – გაიფიქრა მიამ და ყველას მაგივრად უპასუხა:

– გააჩნია, როგორ განვითარდება მოვლენები. ისე კი, ცნობისთვის, ცხრა კი არა, ათი სიდედრი გეყოლება: ერთი – ნაღდი, „ღვიძლი” სიდედრი, ანუ, სოფოს დედა, დანარჩენი ცხრა კი შენ წინ ზის.

– მიყვარს არაორდინარული სიტუაციები და ვერ ვიტან სტანდარტებს, – თქვა გიორგიმ და წამოდგა.

– უკვე მიდიხარ? – სასოწარკვეთილი ხმით ჰკითხა სოფომ და სკამიდან წამოხტა.

– ზუსტად ათ წუთში დავბრუნდები, თქვენ უჩემოდ არ მოიწყინოთ.

– არ მოგეწონათ ჩვენი საზოგადოება? – „უიაზვა“ მირანდამ.

– პირიქით, ძალიან მომეწონა, მაგრამ, სულ ათიოდე წუთით დაგტოვებთ, – გიორგი ჰოლისკენ გაემართა, – რაღაც პატარა საქმე მაქვს მოსაგვარებელი და ახლა გამახსენდა.

– აუცილებელია, წახვიდეთ? – ჰკითხა ელისომ გულდაწყვეტილი ხმით, რაც იმას მოწმობდა, რომ მოეწონა სოფოს კავალერი.

– აუცილებელია, – გაეღიმა გიორგის.

– რატომ? – ცოტა არ იყოს, გაღიზიანდა ნათია.

– თუნდაც იმიტომ, – შეთქმულის ღიმილით უპასუხა კაცმა, – რომ საშუალება

მოგცეთ, ერთმანეთს გაუზიაროთ აზრები ჩემ შესახებ, თორემ, რა მოითმენს მანამდე, სანამ მე აქედან წავალ, – და შემოსასვლელი კარი გააღო.

– მართლა დაბრუნდები? – ჩუმად ჰკითხა სოფომ გასვლისას.

გიორგი მობრუნდა, ქალს თავზე აკოცა და კარი გაიკეტა.

– რას ერჩი, კარგი ტიპი ჩანს.

– გარეგნობითაც მაგარი კაცია.

– არც სიტყვა-პასუხი ეშლება.

– მგონი, სერიოზულად არის შეყვარებული.

– ჰო, სიდედრებიო, თვითონ არ თქვა?

– ერთადერთი, მაგისი „პროფესია“ მაფიქრებს, თორემ...

– იუმორის გრძნობაც აქვს.

– გოიმი ტიპი აშკარად არ არის.

– აღნაგობაც კარგი აქვს.

– ნეტავი, ცოლი თუ ჰყავს?

– არა მგონია, მაგრამ, უნდა დავადგინოთ.

– ჩაცმის გემოვნებაც ჰქონია... – ერთმანეთს არ აცდიდნენ გოგოები, მხოლოდ სოფო და კატო ისხდნენ ჩუმად და დანარჩენების შეფასებებს ისმენდნენ.

– შენ რატომ არაფერს ამბობ? – ეცნენ უცებ კატოს, – არ უნდა თქვა, რა აზრი შეგექმნა?

– ჯერ ერთი, ვის აცდით რამის თქმას; მეორეც, რაღა უნდა ვთქვა, უკვე ისედაც ყველაფერი თქვით და მე აღარაფერი დამიტოვეთ.

– მაინც? – ჩაეკითხა ქეთა, – როგორც ყოველთვის, შენ რამე განსხვავებული მოსაზრება გექნება.

– ჩემი აზრით, – დარწმუნებით თქვა კატომ, – ჩვენი ახალი ნაცნობი ძალიან კარგი ფსიქოლოგია.

– ფსიქოლოგი რა შუაშია? – დაიძაბა ნათია, – სოფოსთან დაკავშირებით?

– არა, ჩვენთან დაკავშირებით, – წარბები ასწია კატომ, – არ მოისხა კაცმა ჩვენი მადლი, რომ წავიდა?!

გოგოებს ისტერიული სიცილი აუტყდათ.

გიორგი დაახლოებით ნახევარ საათში დაბრუნდა ნამცხვრებითა და შამპანურებით და დიდი ოვაციებიც გამოიწვია.

– გამოგიტყდებით და, შემეშინდა, ვაითუ გადაგვაგდო-მეთქი, – თქვა ორაზროვნად რუსამ.

– გადაგდებები არ მიყვარს, – უშუალოდ, წყენის გარეშე უპასუხა გიორგიმ და სოფოს შემოტანილი ფუჟერები შეავსო.

– სულ სხვანაირი ტიპები მეგონა ქურდები, – თქვა ნათიამ რამდენიმე ჭიქის დალევის შემდეგ და ფუჟერი გიორგის ჭიქას მიუჭახუნა, – თქვენ შეცვალეთ ჩემში ფესვებგადგმული სტერეოტიპი.

უხერხული დუმილი ჩამოვარდა. სოფოს კინაღამ გული წაუვიდა. წამით გიორგიც შეცბა, მაგრამ, მერე თავს ძალა დაატანა და ყველას ერთად მიმართა:

– არ ვიცი, შესაძლოა, თქვენთვის ეს, გარკვეულწილად, რომანტიკაა, მაგრამ, თუ ეს მართლაც ასეა, იმედი უნდა გაგიცრუოთ, – მე ქურდი აღარ ვარ.

– როდიდან? – ჩაეკითხა ნათია. ის უკვე კარგად მთვრალი იყო და თავს ვეღარ აკონტროლებდა.

– ამას აღარ დაუსხათ, ხომ ხედავთ, გონზე აღარ არის, – თქვა გაბრაზებულმა მიამ და ნათიას ფუჟერი წაართვა ხელიდან, – ახლა ყავა დალიე, იქნებ ცოტა გამოფხიზლდე! – მერე გიორგის მიუბრუნდა და ბოდიშის მოხდით უთხრა: – არ გეწყინოთ, ძალიან გთხოვთ. უბრალოდ, ცუდი სიმთვრალე აქვს.

– ნუ ნერვიულობთ, არ მწყინს, თანაც, მზად ვარ, ნებისმიერ კითხვას გავცე პასუხი, – მერე ნათიას გახედა და სერიოზულად თქვა: – იმ დღიდან, რაც სოფოს შევხვდი...

– ცოტა არ იყოს, ზღაპარს ჰგავს ეს ამბავი, – თქვა ელისომ და ეჭვით გახედა გიორგის.

– რა ამბავი? – ვერ მიხვდა სალომე.

– საერთოდ ყველაფერი: გაქურდული ქალის მოვლა, ნაქურდალის დაბრუნება, ერთი ნახვით შეყვარება, ბოლოს – ცხოვრების წესის რადიკალურად შეცვლა და, ეს ყველაფერი სულ რაღაც ერთ-ორ საათში... რაღაც დაუჯერებლად მეჩვენება.

ისევ უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა, რადგან გოგოებმა უკვე მეორედ და, თან, გაცილებით უფრო უტაქტოდ ახსენეს გიორგის „პროფესია“. სოფომ კინაღამ ტირილი დაიწყო. ჯერ ელისოს გახედა საყვედურით, მერე კი შეშინებული თვალებით შეაჩერდა გიორგის – არ გაიქცესო, მაგრამ გიორგიმ მშვიდი ღიმილით მოისმინა ელისოს ტირადა და აუღელვებლად გასცა პასუხი:

– მესმის თქვენი და ვერ გამტყუნებთ, თქვენს ადგილას, ალბათ, მეც ასევე ვიფიქრებდი; მაგრამ, თურმე, ცხოვრებაში ყველაფერი ხდება. რაც შეეხება ზღაპრებს, იქაც ცხოვრებიდან აღებული სიუჟეტები და სიტუაციებია გამოყენებული. მე თვითონაც არასდროს ვიფიქრებდი, რომ ოდესმე ასეთი რამ დამემართებოდა, მაგრამ, თქვენი მეგობრის დანახვამ, აბსოლუტურად მოულოდნელად და ელვისებური სისწრაფით, მთლიანად შეცვალა ჩემი ცხოვრება. მე არ ვიცი, რა მოხდება ხვალ, მაგრამ, ვიცი ის, რომ უზომოდ ბედნიერი ვარ დღეს და სიცოცხლის ბოლომდე არასდროს ვინანებ ჩემს ნაბიჯს.

– ბოდიშს გიხდით, მართლა ცუდად გამოგვივიდა, მაგრამ, ჩვენც უნდა გაგვიგოთ... – უხერხულად თქვა ქეთამ.

– სულაც არა, – გაეცინა გიორგის, – ჩემთვის უკეთესი იქნება, თავიდანვე თუ შევეგუები „სიდედრულ“ შეტევებს თუ შენიშვნებს და, შესაბამისად, შევეცდები, ნაკლები შეცდომა დავუშვა სოფოსთანაც და თქვენთანაც.

– რას ვერჩით ამ ბიჭს, არ ვიცი. პირადად მე ძალიან დიდი სიმპათიით განვეწყვე, – თქვა მიამ, – მაგრამ, ერთი-ორი კითხვა მაინც მაქვს...

– აღარ დაგღლით შეკითხვებით და უფრო დაწვრილებით გაგაცნობთ ჩემს წარსულს – ხომ სწორად მივხვდი, რის შესახებაც გინდოდათ კითხვების დასმა?

მიამ თავი დაუქნია და მოსასმენად მოემზადა.

– ნამდვილად არ მიკვირს, – განაგრძო გიორგიმ ისევ მშვიდად, – წარმომიდგენია, რა არ შეთხზა თქვენმა ფანტაზიამ ჩემ შესახებ. ვარ 37 წლის. ჩემი ბიოგრაფიით აღტაცებას ნამდვილად ვერ გამოვიწვევ თქვენში, მაგრამ, არ შევეცდები, თავი გმირად ან მსხვერპლად მოგაჩვენოთ. რაც დამემართა, ყველაფერი მხოლოდ ჩემი ბრალია – დაუკვირვებლობის, ზედმეტად ნდობის თუ ახალგაზრდული უჭკუობის, – რაც გინდათ, დაარქვით.

– ცოლი გყავდა? – ნათიამ შეგნებულად დაუსვა კითხვა წარსულ დროში.

– არა. საცოლე მყავდა, მაგრამ, ციხიდან რომ გამოვედი, გათხოვილი დამხვდა და იმის მერე დაოჯახებაზე აღარ მიფიარია... – გიორგი ცოტა ხანს ჩაფიქრდა და განაგრძო: – აკადემიას რომ ვამთავრებდი, ჩემს ძმაკაცს ვიღაც ტიპებთან გავყევი. იქ მაგარი ჩხუბი მოგვიხდა, ყველა გაიქცა და მე შევრჩი ხელში პოლიციას, რადგან, ფეხი ვიღრძე და გაქცევა ვეღარ მოვახერხე. ცხადია, დამიჭირეს, სამი წელი მომისაჯეს და ციხეში გამომამწყვდიეს. ის ჩემი ძმაკაცი საერთოდ აღარ გამოჩენილა, არც ციხეში მიპატრონა. ჩემი მშობლები იძულებულები გახდნენ, ბინა გაეყიდათ და დაახლოებით წელიწად-ნახევარში გამომიშვეს. რომ გამოვედი, მშობლები ნაქირავებ ბინაში დამხვდნენ. მალე მამაჩემი გარდაიცვალა, დედას კი ნერვიულობისგან დიაბეტი დაემართა, თან გულიც ძალიან აწუხებდა. ვცხოვრობდით ნაქირავებში, რადგან ბინა ჩემ გამო გაიყიდა. მცხეთაში კი გვაქვს სახლი, მაგრამ, იქ ვერ გადავედით. დავიწყე სამუშაოს ძებნა, რომ დედასთვის მიმეხედა, მაგრამ ნაციხარი ვიყავი და, როგორც კეთროვანს, ისე გამირბოდა ყველა, ახლო ნაცნობებიც კი. ყველაფერი ვცადე, ყველაფერი მოვსინჯე და, არაფერი რომ არ გამომივიდა, ქურდობა დავიწყე. ვიცი, ეს გამართლება არ არის, მაგრამ, რაღაცით ხომ უნდა გვეარსება...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

როგორ მოუხადა ბოდიში სტალინმა თავისი შვილის სკოლის დირექტორს ვასიას უდისციპლინობის გამო

ყველაფერი, რასაც სტალინზე ვწერ, მხოლოდ საკუთარი თვალით მაქვს ნანახი და საკუთარი ყურით გაგონილი. არასდროს მიმიცია თავისთვის იმის უფლება, რომ დიდ ბელადზე ვარაუდებით მელაპარაკა.

ოცი წელია, რაც სტალანი გარდაიცვალა (ჩანაწერი გაკეთებულია 1973 წლის აპრილში) და, რაც უფრო ვშორდებით ამ თარიღს, მით უფრო გასაგები და ახლობელი ხდება ჩემთვის დიდი ბელადი, მის მიერ გაკეთებული დიადი საქმეები და, რაც მთავარია, ის უდიდესი წვლილი, რაც მას კაცობრიობის ისტორიაში მიუძღვის უბრალო, მშრომელი, პატიოსანი ადამიანების წინაშე. ასეთები კი ამქვეყნად უმრავლესობაა და სწორედ ამ უმრავლესობის ლიდერი და წინამძღოლი იყო იოსებ სტალინი.

ამ ბოლო წლების განმავლობაში, არაერთი ბროშურა, სტატია და წიგნი მაქვს წაკითხული სტალინზე, რომლებიც დასავლეთშია გამოცემული და, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ყოველი მათგანი უნამუსო სიცრუითაა სავსე; ხოლო სტალინის, ეგრეთ წოდებული, პიროვნების ფსიქოანალიზი, იმდენად აბსურდულია, რომ ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. მათში დიდი ბელადი გამოყვანილია როგორც ზარმაცი, სასტიკი და ფსიქოპატი მმართველი. ეს კი ძალიან სასაცილოა და დასავლეთის მიერ წარმოებული ანტისტალინური პროპაგანდის შემადგენელი ნაწილია.

სტალინი მკაცრი მმართველი იყო და, განა, შეიძლებოდა, საბჭოთა ქვეყნის მეთაურს რბილად ემართა? რა თქმა უნდა, არა! თუმცა, პიროვნულად დიდი ბელადი ძალიან უბრალო და კეთილგანწყობილი ადამიანი იყო, უყვარდა ცოლ-შვილი, დიდ პატივს სცემდა მეგობრებს. მაგრამ, დაუნდობელი იყო მტრების მიმართ. რომელ სიზარმაცეზეა ლაპარაკი, როდესაც ის დღე-ღამის განმავლობაში ოცი საათი მუშაობდა, ომის დროს კი სამოთხ დღეში ერთხელ იძინებდა და, ისიც, ოთხი-ექვსი საათის განმავლობაში. თვით სტალინის ყველაზე დიდი მტერი და ცილისმწამებელი ლევ ტროცკიც კი აღნიშნავდა, რომ სტალინი იყო უდიდესი ნებისყოფის, შრომისუნარიანი, კომფორტის არამოყვარული პიროვნება. უდიდესი სიყვარულის მიუხედავად, სტალინი არანაირ შეღავათს არ აძლევდა თავის შვილებს და, პატარა ვასია და სვეტა ჩვეულებრივ მოსკოვურ სკოლაში სწავლობდნენ. მისმა მეუღლემ, ნადეჟდა ალილუევამ კი ისე დაამთავრა „მუშფაკის“ სკოლა, დირექტორმაც კი არ იცოდა, რომ მისი სტუდენტი დიდი სტალინის მეუღლე იყო. ნადეჟდა სერგეევნას გამოსაშვებ საღამოზე ერთი კურიოზი მოხდა: 1928 წლის 6 ივლისს ნადეჟდა ალილუევა ზუბალოვოს აგარაკზე ჩამოვიდა. სტალინი იმ დროს თავის ბავშვობის მეგობარს, გორელ ვასო აბუაშვილს მასპინძლობდა.

– იოსები სადაა? – მკითხა ნადეჟდამ.

– ბაღში. მეგობარი ეწვია გორიდან და სუფრასთან სხედან, – მივუგე მე.

– კარგი, მოგვიანებით ვნახავ, – თქვა ნადეჟდამ და სახლში შესვლა დააპირა, მაგრამ შევაჩერე:

– ნადეჟდა სერგეევნა, ამხანაგმა სტალინმა თქვენზე მითხრა, როგორც კი ჩამოვა, შემოგვიერთდესო.

სტალინის მეუღლე ბაღისკენ გაემართა და უკან გავყევი. დიდმა ბელადმა მეგობარს მეუღლე გააცნო და სამივემ საუბარი გააგრძელა. შუა ქეიფის დროს ნადეჟდამ სტალინს უთხრა:

– იოსებ, შენთან ერთი თხოვნა მაქვს.

– გისმენ.

– ხვალ „მუშფაკის“ გამოსაშვები საღამოა. გათხოვილები და ცოლიანები მეუღლეებით უნდა მოვიდნენ და წამომყევი.

– უხერხული არ იქნება? – გაეცინა სტალინს.

– უხერხული რატომ?

– საღამო არ ჩაგიშხამო. რომ დამინახავენ, შეიძლება, დაიძაბონ და იმიტომ.

– რას ამბობ, ძვირფასო, პირიქით.

– მაშინ, წავიდეთ, – გაუღიმა სტალინმა მეუღლეს.

7 ივლისს სტალინი და მისი მეუღლე კრემლიდან „კრასნაია პრესნიაზე“ გაემგზავრნენ, სადაც „მუშფაკი“ მდებარეობდა. დიდმა ბელადმა მხოლოდ მე გამიყოლა თან. გასვლის წინ პოსკრებიშევმა ჩამჩურჩულა: „ძალიან ყურადღებით იყავი. იცოდე, საკუთარი სიცოცხლით აგებ პასუხს. ჩვენი სპეციალური ოპერრაზმი მთელ პერიმეტრზე საიდუმლოდ იქნება განლაგებული და, რამე რომ იყოს, ნომერ პირველი ინსტრუქციით იმოქმედე“.

მისმა მეუღლემ, ნადეჟდა ალილუევამ ისე დაამთავრა „მუშფაკის“ სკოლა, დირექტორმაც კი არ იცოდა, რომ მისი სტუდენტი დიდი სტალინის მეუღლე იქო

ნომერ პირველი ინსტრუქცია სტალინის ელვისებურ ევაკუაციას ნიშნავდა.

მივედით. მე მანქანის კარი გავუღე წყვილს, ისინი დინჯად გადმოვიდნენ და შენობისკენ გაემართნენ. ნადეჟდას სტალინისთვის ხელკავი ჰქონდა გაკეთებული და მხიარულად ემასლაათებოდა. მე მათ ორი ნაბიჯის დაშორებით მივდევდი, თან ძალიან გაფაციცებული ვიყავი. სასწავლებლის ჰოლში უამრავი წყვილი ირეოდა. ისინი მხიარულად, ხმამაღლა საუბრობდნენ, იმპროვიზირებულ სცენაზე კი სასულე ორკესტრი უკრავდა. დაინახეს თუ არა სტალინი, ყველამ ლაპარაკი შეწყვიტა, მუსიკოსები კი დადუმდნენ და ირგვლივ სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა...

– აი, ხომ გითხარი, ნადიუშა, – ღიმილით გადაუჩურჩულა სტალინმა მეუღლეს.

ამ დროს „მუშფაკის“ მარმარილოს კიბეებზე სასწავლებლის დირექტორი, იური პროხორენკო ჩამოდიოდა, რომ საზეიმო საღამოს დაწყება ოფიციალურად გამოეცხადებინა. მას ორიოდე საფეხური ჰქონდა დარჩენილი, რომ, უცებ, დიდი ბელადი შენიშნა და ისე დაიბნა, ფეხი აერია, კიბეზე აუცდა და სტალინის წინ დაეცა... თავზარდაცემული დირექტორი თავად სტალინმა წამოაყენა ფეხზე და ჰკითხა:

– იტკინეთ რამე, იური ანტონოვიჩ?

– არა, ამხანაგო სტალინ. მაპატიეთ, – მიუგო პროხორენკომ.

სტალინმა ხელი ჩამოართვა დირექტორს და უთხრა:

– იოსებ სტალინი. ვიცნობდეთ ერთმანეთს.

პროხორენკომ ნებისყოფა მოიკრიბა და დაბნეულობა მოთოკა. მუსიკოსებმა დაკვრა განაახლეს. წყვილებმა კვლავ „ენა ამოიდგეს” და საზეიმო საღამომ ჩვეული ელფერი მიიღო. ყველაფერი კალაპოტში ჩადგა და შუაღამისთვის ზუბალოვოში დავბრუნდით. საზეიმო საღამოზე სტალინი ძალიან გახალისდა. ნადეჟდა სერგეევნას თხოვნით, ვალსიც კი იცეკვა მასთან და თავადაც კმაყოფილი დარჩა.

განა შეიძლება, რომ სასტიკი, ამპარტავანი და ბოროტი ადამიანი, როგორსაც სტალინს ხატავენ, თუნდაც საყვარელი მეუღლის თხოვნით, „პლებეებში“ გაერთოს?!.

ანალოგიური რამ მოხდა ვასილი სტალინთან დაკავშირებითაც. პატარა ვასია ძალიან ცელქი ბავშვი იყო და, მილიონობით თავისი თანატოლების მსგავსად, სკოლაში დისციპლინასაც არღვევდა ხოლმე. ისევე, როგორც ნადეჟდა სერგეევნას შემთხვევაში, არც სვეტას და ვასიას სკოლაში იცოდნენ, თუ ვინ იყო მათი მამა. ერთ მშვენიერ დღეს, თერთმეტი წლის ვასია სკოლიდან კრემლის ბინაში დაბრუნდა, დაცვის ოთახიდან გამომიხმო და დერეფანში ჩურჩულით მითხრა:

– ძია მიშა, თქვენთან ერთი თხოვნა მაქვს, მაგრამ, მამას არ უნდა უთხრათ.

– მოხდა რამე? – ვკითხე ვასიას.

– ხვალ დილით სკოლაში უნდა წამომყვეთ. მშობელია დაბარებული და, არ მინდა, რომ მამამ გაიგოს. ვერც დედას ვეტყვი.

– რა დააშავე ისეთი?

– სკოლის დერეფანში მამას სურათს ბურთი მოვარტყი შემთხვევით, ჩამოვაგდე და შუშა გავტეხე. ცოტა ჩარჩოც დაზიანდა.

– დერეფანში ბურთით რატომ თამაშობდი?

– ფიზკულტურაზე მივდიოდით და ჩემს მეგობარს გადავუგდე. დირექტორს კი არაფრის გაგონება არ უნდა. მე მითხრა, მშობელი მოიყვანე, სკოლიდან გრიცხავო.

– მერე ვერ უთხარი, ვისი შვილი ხარ?

– რას ამბობთ, ძია მიშა, მამამ ეს მკაცრად ამიკრძალა. წამომყვებით?

– რა გაეწყობა, წავიდეთ, – მივუგე აღელვებულ ვასიას და თავზე ხელი გადავუსვი.

– საით გაგიწევიათ, არწივებო? – მომესმა

როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

ᲕᲐᲜᲐᲫᲔ

გვარი **ვანაძე** ორი ფორმით გვხვდება: **ვანაძე** და **ვანიძე**. გვარის ფუძედ გამოყენებული ჩანს გეოგრაფიული სახელწოდება **ვანა**, რომელიც მერე გვარად იქცა.

ვანაძე ჰქვია სოფელს შუახევის რაიონის ბარათეულის საგამგებლოში. **ვანაძეები** ჰქვია ხულოს რაიონის ღორჯომის საგამგებლოს სოფელს, ხოლო ხელვაჩაურის რაიონის აჭარის აღმართის საგამგებლოს **ნავანები** ეწოდება. **ვანი** ჰქვია სათეს ადგილს ცხმორისში, შუბანის საგამგებლოში, დიდაჭარაში. არის, ასევე, სოფელი დღვანი.

ამ ძირით ნანარმოებია გვარები: **ვანაძე, ვანიძე, ღვანიძე, ჯივანიძე, სარდივანიძე, ხოზრევანიძე.**

ასევე, ვიდრე საქართველოში დამკვიდრდებოდა ტერმინი სახლი, იხმარებოდა **ვანი**. აჭარაში შემორჩენილია **თვანის** სახელწოდებით, რაც ჭურს ნიშნავს.

გადმოცემის მიხედვით, სამ ძმას ბატონი მოუკლავს, რისი მიზეზიც გამხდარა ბატონის მიერ პირველი ღამის წესის მოთხოვნა. ძმებს შეურაცხყოფა ვერ მოუთმენიათ და სოფლიდან აყრაც მოუსწრიათ. ისინი ოზურგეთის სოფელ შემოქმედიდან ბაღდათის რაიონის სოფელ ობჩამდე მისულან, იქ ერთ გლეხთან მოწყობილან და მევენახეობისთვის მიუყვიათ ხელი. თურმე, კარგ ღვინოს აყენებდნენ და სწორედ ამის გამო **ვანაძეები** ცოტა ხანში **ღვანიძეები** გამხდარან.

არსებობს მეორე ვერსიაც: ძმები სოფელ დღვანიდან ყოფილან და იმერეთში გახიზნულან. მდევარს რომ არ მიეგნო, ასო **დ** ჩამოუშორებიათ და **ვანიძეებად** დაწერილან.

ღვანიძე, ვანაძე და **ვანიძე** ერთი ძირიდან წარმოქმნილი გვარები უნდა იყოს.

საქართველოში 210 **ვანაძე** ცხოვრობს: ზესტაფონში – 134, თბილისში – 45, ქუთაისში – 19. არიან სხვაგანაც.

ᲯᲐᲜᲧᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ჯანყულა**. **ჯან** ინდურ-სპარსული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს სულს.

1721 წელს მოიხსენიება ზურაბა სოლოღაშვილის ყმა – პაპაჯანა **ჯანყულაშვილი**.

საქართველოში 47 **ჯანყულაშვილი** ცხოვრობს: გარდაბანში – 39, თბილისში – 7, დედოფლისწყაროში – 1.

ᲧᲐᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ყაზა**.

დიდ ენაგეთში დროებით მცხოვრები მიხეილ **ყაზიშვილი** ნათლავს ვაჟს – პორფირეს. მიმრქმელი ყოფილა გოლთელი ნიკოლოზ თოგიშვილი.

საქართველოში 343 **ყაზიშვილი** ცხოვრობს: გორში – 174, თბილისში – 116, ქუთაისში – 14. არიან სხვაგანაც.

ᲮᲐᲮᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ – ᲮᲐᲮᲣᲢᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ხახუტა**.

„ზაქარია **ხახუტაშვილი** მოიხსენიება 1817 წლის გათავისუფლების წიგნში, რომელიც გოგია ბეგიაშვილს მიუცია პეტრე წიფლაშვილისთვის“.

ამავე ძირისაა გვარი **ხახუტაიშვილი.**

ხახუტაშვილები ტბისში მოიხსენიებიან 1721 წლიდან.

საქართველოში 576 **ხახუტაშვილი** ცხოვრობს: ყვარელში – 159, თბილისში – 107, თელავში – 70. არიან სხვაგანაც.

676 **ხახუტაიშვილი**.

ᲨᲐᲑᲔᲠᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ

გვარის ფუძეა მეტსახელი **შავბერუა.**

ასევე, გვხვდება მსგავსად ნაწარმოები მეტსახელები: **შავდათუა, შავდემეტრე, შავზაქარა, შავტუხა, შავმატია, შავდარჩუა** და ასე შემდეგ.

1721 წელს საკარისის დოკუმენტებში მოიხსენიება ვახუშტი **შავბერუაშვილი**.

საქართველოში 48 **შავბერუაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 29, ბოლნისში – 6, დმანისში – 5. არიან სხვაგანაც.

ᲑᲐᲑᲐᲯᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ

გვარის ფუძეა მამაკაცის საკუთარი სახელი **ბაბაჯანა.**

1545 წელს **ბაბაჯანა** მოხსენიებულია სანასარას მიერ ვეტიკაძისთვის მიცემულ მამულის ნასყიდობის წიგნში.

1546 წელს ვარდისუბნელი **ბაბაჯანა** როსტომ მამაგულაშვილისთვის კახაბერის მიერ მიცემული ნასყიდობის წიგნის მოწმეა.

ახაშენში მცხოვრები ესაია **ბაბაჯანაშვილი** გიგოლა ფილიპეშვილის მიერ სამნუა თევდორაშვილისთვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნის მოწმეა.

დაღეთში მცხოვრები სტეფანა **ბაბაჯანაშვილი** 1651 წელს, შადუხაშვილის ნაცვლად, წილში ერგო ყორჩიბაღ ციციშვილს.

საქართველოში 31 **ბაბაჯანაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 18, ლაგოდეხში – 8, გარდაბანში – 5.

ᲭᲐᲑᲣᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ

გვარის ფუძეა სიტყვა **ჭაბუკი** (ახალგაზრდა ვაჟი), რომელიც შემდგომში საკუთარ სახელად იქცა. ამან დაუდო სათავე გვარს – **ჭაბუკაშვილს.**

1568 წლის ყმისა და მამულის წყალობის წიგნში, რომელიც სოლომონ მეფეს ანდერმან და სხვა ჩოლოყაშვილებისთვის მიუცია, მოხსენიებულია **ჭაბუკა** ჩხენკელი.

მეჩვიდმეტე საუკუნის პირველ ნახევარში ამილღაბარ გოსტაბაშვილის ყმების ნუსხაში მოიხსენიება შერმაზანა **ჭაბუკაშვილი.**

ამავე ძირისაა გვარები – **ჭაბუკაძე** და **ჭაბუკიანი.**

საქართველოში 130 **ჭაბუკაშვილი** ცხოვრობს: ქარელში – 46, ახმეტაში – 33, თბილისში – 23. არიან სხვაგანაც.

24 **ჭაბუკაძე**.

970 **ჭაბუკიანი.**

ᲪᲣᲪᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ცუცუნი.**

ცუცუნაშვილი გიორგი მოიხსენიება 1738 წელს თავდახსნილობის წიგნში მოწმედ, რომელიც მებატონე ზაზა სოლოღაშვილმა მისცა ბადღუა და ბერელა ზურაბიშვილებს.

საქართველოში 175 **ცუცუნაშვილი** ცხოვრობს: კასპში – 88, თბილისში – 60, თელავში – 19. არიან სხვაგანაც.

ᲕᲐᲩᲐᲫᲔ

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ვაჩე, ვაჩა.**

ამავე ძირისაა გვარები: **ვაჩეიშვილი, ვაჩნაძე, ვაჩინაძე, ვაჩენიძე, ვაჩაბერიძე, ვაჩიბერიძე.**

1700 წელს მოიხსენიება ვინმე **ვაჩაძე.**

ზემოთ ჩამოთვლილი ყველა გვარი დამოუკიდებლადაა გაჩენილი, მათ ნათესაური კავშირი არ აქვთ კახეთის თავადურ გვართან – **ვაჩნაძესთან**.

საქართველოში 525 **ვაჩაძე** ცხოვრობს: თბილისში – 195, ამბროლაურში – 124, ქუთაისში – 71. არიან სხვაგანაც.

აკადემიკოს ᲘᲐᲙᲝᲑ ᲐᲮᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ მასალების მიხედვით მოამზადა
ᲜᲝᲜᲐ ᲓᲐᲗᲔᲨᲘᲫᲔ

სტალინის ხმა უკნიდან, რომელიც ამ დროს დერეფანში უხმოდ მოაბიჯებდა.

მე გამეცინა და ხმა არ ამომიღია, ვასიას კი ცრემლი მოადგა თვალზე და მამამისს ყველაფერი მოუყვა.

– კეთილი. მე წამოგყვები. რადგან დამიბარეს, მივალ, – თქვა სტალინმა და თავის კაბინეტში შევიდა.

მეორე დღეს მამა-შვილს სკოლაში გავყევი და დირექტორთანაც ვეახლე მათ.

საცოდავმა სკოლის დირექტორმა უმალ ყველაფერი გააცნობიერა და სტალინის დანახვისთანავე მკვდრის ფერი დაედო. ენა ჩაუვარდა და გაქვავდა...

სტალინმა თავისი ანცი ვაჟი დირექტორის წინაშე დატუქსა და ბოლოს უთხრა:

– ბოდიშს გიხდით ჩემი შვილის საქციელის გამო და ერთი თხოვნა მაქვს: რადგან ვასიამ ჩემი სურათი დააზიანა, იქნებ, აპატიოთ და სკოლიდან არ გარიცხოთ. ზიანს კი მე ავანაზღაურებ და ახალ სურათს გამოგიგზავნით.

ენაჩავარდნილი დირექტორი შოკიდან ძლივს გამოვიდა, ფერი დაუბრუნდა და სტალინს უთხრა:

– იოსებ ბესარიონოვიჩ, ჩვენ უკვე დავკიდეთ ახალი სურათი და გამოგზავნა არ არის საჭირო. ნუ შეწუხდებით. მეც ერთი თხოვნა მაქვს თქვენთან.

– გისმენთ, – მიუგო სტალინმა.

დირექტორმა დამტვრეული ჩარჩოდან ამოღებული დიდი ბელადის პორტრეტი უჯრიდან ამოიღო და სტალინს სთხოვა:

– ამ სურათს სახლში დავკიდებ და თქვენს ავტოგრაფს ხომ ვერ დამიწერთ?

დიდმა ბელადმა ზედ სურათზე წითელი კალმით მიაწერა: „სახსოვრად ოლეგ ვასილიევს იოსებ სტალინისგან – ვასილი ჯუღაშვილის უდისციპლინობის მოსაგონრად“...

მიხეილ თევდორაძის ჩანაწერების მიხედვით მოამზადა
ᲜᲘᲙᲐ ᲚᲐᲨᲐᲣᲠᲛᲐ

თეატრები

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
რუსთაველის გამზირი №17. ტელ.: 272-68-68

10 დეკემბერი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„პირველი სიყვარული"** - (ბილეთის ფასი - 6, 8 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), რეჟისორი: ნიკოლოზ ჰაინე-შველიძე. მონაწილეობენ: ლევან ბერიკაშვილი, ზვიად პაპუაშვილი, ქეთი ხიტირი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;***

11 დეკემბერი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„ქარი მწყურია მე პირდაპირი"** - (ბილეთის ფასი - 6, 8 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), ავტორი, რეჟისორი, ინსცენიერების ავტორი, მხატვარი, მუსიკალური გამფორმებელი - მურმან ჯინორია. ერთადერთი მთავარი როლის შემსრულებელი - მურმან ჯინორია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;***

12 დეკემბერი, **პარასკევი** 19.00 - **„ელექტრა"** - (ბილეთის ფასი - 6, 7, 8, 9, 10, 14 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ნიკოლოზ ჰაინე-შველიძე. მონაწილეობენ: დავით გოცირიძე, ბესო ზანგური, თამთა ინაშვილი, ნინო კასრაძე, ირაკლი მაჭარაშვილი, ეკა მოლოდინაშვილი, გაგი სვანიძე, ლაშა ჯუხარაშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

13 დეკემბერი, **შაბათი** 19.00 - **„თორმეტი განრისხებული მამაკაცი"** - (ბილეთის ფასი - 6, 7, 8, 9, 10, 14 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: რევაზ ჩხაიძე. მონაწილეობენ: სოსო აბრამიშვილი, დავით კვირცხალია, მურმან ჯინორია, თემიკო ჭიჭინაძე, ლევან ხურცია, ირაკლი მაჭარაშვილი, დავით დარჩია, ზურა ინგოროყვა, დავით პაპუაშვილი, ტრისტან სარალიძე, ბაჩო ჩაჩიბაია, ვანო გოგიტიძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

14 დეკემბერი, **კვირა** 19.00 - **„ნადირობის სეზონი"** - (ბილეთის ფასი - 6, 7, 8, 9, 10, 14 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: რობერტ სტურუა. მონაწილეობენ: ია სუხიტაშვილი, გოგა ბარბაქაძე, ლევან ბერიკაშვილი, ზუკა პაპუაშვილი, ზაზა ბარათაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი.***

კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ.: 295-59-66

9 დეკემბერი, **სამშაბათი** 20.00 - **„კაცები"** - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ციცინო კობიაშვილი. მონაწილეობენ: დიმიტრი ტატიშვილი, თემო კილაძე, ზაზა გოგუაძე, ზურა ბერიკაშვილი, ონისე ონიანი, ვასიკო ოდიშვილი, ლელა მებურიშვილი, ანა სანაია; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

9-10, 14 დეკემბერი, **სამშაბათი-ოთხშაბათი, კვირა** 20.00 - **„უცნობი ქალის წერილები"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: ნათია ბალაძე. მონაწილეობენ: ეკატერინე კვირკელია, გიორგი ტატიშვილი, ნიკოლოზ მანაგაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

11 დეკემბერი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„საზღვრები"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი და ქორეოგრაფი: გიორგი ოსეფაშვილი. მონაწილეობენ: ქეთევან ქიტიაშვილი, ბექა გოდერძიშვილი, გიორგი ოსეფაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;***

11-12 დეკემბერი, **ხუთშაბათი-პარასკევი** 20.00 - **„თამაში მაგიდასთან"** - პრემიერა - თითების თეატრი - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ბესო კუპრეიშვილი. მონაწილეობენ: ელენე ფირცხალავა, ზაზა კაკაბაძე, ლუკა ზირაქაძე, სპეციალური მოწვევით - ქეთევან კანტიძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

12 დეკემბერი, **პარასკევი** 20.00 - **„სასიყვარულო ბარათები"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (მცირე სცენა), დამდგმელი რეჟისორი: თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ნანი ჩიქვინიძე, გია ბურჯანაძე. ***ხანგრძლივობა: 120 წუთი;***

13 დეკემბერი, **შაბათი** 20.00 - **„ბრმა მხედველი (მოლი სუინი)"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ნანი ჩიქვინიძე, გოგა პიპინაშვილი, ალეკო მახარობლიშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;***

14 დეკემბერი, **კვირა** 20.00 - **„ჰაჯი-მურატი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: გიზო ჟორდანია. მონაწილეობენ: გივი ჩუგუაშვილი, პაატა ინაური, რატი გოგუაძე, გიორგი შავგულიძე, გაგა შიშინაშვილი, ზაზა იაქაშვილი, თემურ კილაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

მარჯანიშვილის თეატრი (ახალი სცენა)
მარჯანიშვილის ქუჩა №5. ტელ.: 2 955-966.

9 დეკემბერი, **სამშაბათი** 20.00 - **„თავისუფალი პეპლები"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი: ანი ხიდეშელი. მონაწილეობენ: კოკო როინიშვილი, ანუკა გრიგოლია, თაკო ბერიაშვილი, ირაკლი ჩხიკვაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

10 დეკემბერი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„შთაგონების რეცეფტი"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი: ნინო ახვლედიანი. მონაწილეობენ: ქეთევან ცხაკაია, მანანა კოზაკოვა, დავით ხურცილავა. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი.***

თავისუფალი თეატრი
რუსთაველის გამზირი №2. ტელ.: 298-58-21.

8 დეკემბერი, **ორშაბათი** 19.00 - **„ვალსი ძილის წინ"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი: ავთანდილ ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: ქეთა ლორთქიფანიძე, მაია დობორჯგინიძე, მარიამ ჯოლოგუა, თამუნა ნიკოლაძე, თიკო კორძაძე, სალომე ჭულუხაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

9 დეკემბერი, **სამშაბათი** 19.00 - **„მერე რა რომ სველია სველი იასამანი"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი: გოგი თოდაძე. მონაწილეობენ: გიორგი ბახუტაშვილი, ოთარ ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ ფაიქრიძე, მედეა ჯიბლაძე, თამარ თავხელიძე, თამარ აზნარაშვილი, მარიამ ქარქაშაძე, დავით კოლელიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

10 დეკემბერი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„მგზნებარე შეყვარებული"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი: თიკო ქათამაშვილი. მონაწილეობენ: სალომე ჭულუხაძე, მარიამ ნადირაძე, თიკო კორძაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

11 დეკემბერი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„ღმერთო! დაგვიფარე ჩვენ და ადამიანები"** - (ბილეთის ფასი - 6, 12 ლარი), რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: აპოლონ კუბლაშვილი, კახა მიქიაშვილი, თიკო კორძაძე, სალომე ჭულუხაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი, დიმა მერაბიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

12 დეკემბერი, **პარასკევი** 19.00 - **„მიყვარხარ! მიყვარხარ! მიყვარხარ!"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), პიესის ავტორი და რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: მარიამ ჯოლოგუა, აპოლონ კუბლაშვილი, ანი ალადაშვილი, გიორგი ჯიქია, კახა მიქიაშვილი, მამუკა მუმლაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

13 დეკემბერი, **შაბათი** 19.00 - **„წვიმის გამყიდველი"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი: ნუგზარ ლორთქიფანიძე. მონაწილეობენ: ქეთა ლორთქიფანიძე, სანდრო მარგალიტაშვილი, მამუკა მუმლაძე, გიორგი ჯიქია, ლაშა გურგენიძე, შაკო მირიანაშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

14 დეკემბერი, **კვირა** 19.00 - **„რიჩარდ III"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: გოგა ბარბაქაძე, აპოლონ კუბლაშვილი, თიკო კორძაძე, მარიამ ჯოლოგუა, გიორგი ჯიქია, თამუნა ნიკოლაძე, ჯაბა კილაძე, სანდრო მარგალიტაშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

საბეჭდო უბნის თეატრი
გ. აბესაძის ქუჩა №10. ტელ.: 292-38-70, 299-61-71

11 დეკემბერი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„ბეჩავი"** - (ბილეთის ფასი - 10, 15 ლარი), რეჟისორი: მიხეილ ჩარკვიანი. მონაწილეობენ: გაგა შიშინაშვილი, კატო კალატოზიშვილი, მაგდა ლებანიძე, იაკო ჭილაია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

13 დეკემბერი, **შაბათი** 20.00 - **„სტრიპტიზი"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: ნიკა თავაძე. მონაწილეობენ: პაატა ინაური, დათა თავაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი.***

ახმეტელის თეატრი
ვეკუას ქუჩა №8. ტელ.: 262-59-73, 262-61-97.

9, 11 დეკემბერი, **სამშაბათი, ხუთშაბათი** 19.00 - **„მოძღვრის აღსარება"** - (ბილეთის ფასი - 10, 15 ლარი), რეჟისორები: ირაკლი გოგია, ბექნუ ქაფიანიძე. მონაწილეობენ: ბექნუ ქაფიანიძე, მარინა ხარჩილავა, გიორგი გასვიანი, ანდრია გველესიანი, ჯაბა ჯაფარიძე გიორგი ჭუმბურიძე, გიგი მიგრიაული. ***ხანგრძლივობა: 1სთ.;***

10 დეკემბერი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„ნავიგატორი"** - (ბილეთის ფასი - 5, 7 ლარი), კ. გამსახურდიას სახელობის სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი. რეჟისორი: დავით საყვარელიძე. მონაწილეობენ: ლილი ხურითი, ბადრი ბეგალიშვილი, გიორგი გასვიანი, ნანა ხურითი, ედემ ხვიჩია, ნიკოლოზ წერედიანი, დავით ბერაძე, ბესარიონ ქარჩავა, იზოლდა ბოკუჩავა. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი.***

ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრი
დავით აღმაშენებლის გამზირი №99/1. ტელ.: 295-78-74, 295-39-27.

9 დეკემბერი, **სამშაბათი** 12.00, 15.00 - **„კუკარაჩა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: შალვა გაწერელია. მონაწილეობენ: თამარ მამულაშვილი, ნინო ლეჟავა, კოტე თოლორდავა, ნინო არჩაია, ბერტა ხაფავა, ბადრი გვაზავა, ნინო ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ კვანტალიანი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;***

10 დეკემბერი, **ოთხშაბათი** 11.00, 14.00 - **„ხუთკუნჭულა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: თამარ მამულაშვილი, დავით ხახიძე, მარიამ ჩუხრუკიძე, ნიკოლოზ კვანტალიანი, ნიკა ნანიტაშვილი, მაია ხორნაული, ნინო ანდრიაძე, ზურაბ ავსაჯანიშვილი, მამუკა ბოგვერაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

11-12 დეკემბერი, **ხუთშაბათი-პარასკევი** 12.00 - **„ხუთკუნჭულა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: თამარ მამულაშვილი, დავით ხახიძე, მარიამ ჩუხრუკიძე, ნიკოლოზ კვანტალიანი, ნიკა ნანიტაშვილი, მაია ხორნაული, ნინო ანდრიაძე, ზურაბ ავსაჯანიშვილი, მამუკა ბოგვერაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

12 დეკემბერი, **პარასკევი** 19.00 - **„რექვიემი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: ლილი ბურბუთაშვილი. მონაწილეობენ: ნინო არჩაია, ვანო დუგლაძე, გიორგი კაჭახიძე, იოსებ მოლოდინაშვილი, პაატა კიკვაძე, ლაშა გრძელიძე, ცოტნე საგინაძე, ნუგზარ ყურაშვილი, ვასილ ამურველაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

13 დეკემბერი, **შაბათი** 12.00 - **„იავნანა რა ჰქმნა?!"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ოთარ ბაღათურია. მონაწილეობენ: ვამეხ ჯანგიძე, ხატია მელქაძე, იოსებ მოლოდინაშვილი, ნინო ლორთქიფანიძე, პაატა კიკვაძე, მარიამ ჩუხრუკიძე, ნიკოლოზ კვანტალიანი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;***

13 დეკემბერი, **შაბათი** 13.00 - **„ნაცარქექია"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: ხატია მელქაძე, ბადრი გვაზავა, ლევან კაციაშვილი, გიორგი კაჭახიძე, პაატა მხეიძე, ვახტანგ ნოზაძე, ნინო ლორთქიფანიძე, პაატა კიკვაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

13 დეკემბერი, **შაბათი** 16.00 - **„ხუთკუნჭულა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: თამარ მამულაშვილი, დავით ხახიძე, მარიამ ჩუხრუკიძე, ნიკოლოზ კვანტალიანი, ნიკა ნანიტაშვილი, მაია ხორნაული, ნინო ანდრიაძე, ზურაბ ავსაჯანიშვილი, მამუკა ბოგვერაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

13 დეკემბერი, **შაბათი** 19.00 - **„კარებს აჯახუნებენ"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: მაია ჩართოლანი. მონაწილეობენ: ნინო ლეჟავა, ნინო არჩაია, ხატია მელქაძე, ბერტა ხაფავა, იოსებ მოლოდინაშვილი, პაატა კიკვაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

14 დეკემბერი, **კვირა** 12.00 - **„სათაგური"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ოთარ ბაღათურია. მონაწილეობენ: დავით ხახიძე, ხატია მელქაძე, ბადრი გვაზავა, პაატა კიკვაძე, სალომე წურწუმია, გიორგი გოგიშვილი, მერაბ შარიქაძე, ხათუნა ბერძენიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

14 დეკემბერი, **კვირა** 16.00 - **„სამეფო ძროხა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: გურამ ბრეგაძე. მონაწილეობენ: ნინო კიკაჩეიშვილი, ედმონ გაბედავა, ნიკოლოზ დონი, ალექსი ლობოვი, ნინო მუმლაძე, სერგო შვედკოვი, თამარ ცქვიტინიძე, დენ ხლიბოვი, ანა ლეჟავა. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

14 დეკემბერი, **კვირა** 19.00 - **„ჩვენ გველის დიდება"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: მანანა ბერიკაშვილი. მონაწილეობენ: დავით როსტომაშვილი, ნინო ლეჟავა, ნათია კუპატაძე, სოფიო ებრალიძე, ია ჭილაია, ნინო ანდრიაძე, ნიკა ნანიტაშვილი, გიორგი ჯიქურიძე, ვახტანგ ჩაჩანიძე, დენ ხლიბოვი, ნიკა ფაიერიძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

საქართველოს სახელმწიფო პანტომიმის თეატრი
რუსთაველის გამზირი №37.
ტელ.: 99-63-14.

9 დეკემბერი, **სამშაბათი** 19.00 - **„სტუმარ-მასპინძელი"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: ამირან შალიკაშვილი. ***ხანგრძლივობა: 50 წუთი;***

12 დეკემბერი, **პარასკევი** 19.00 - **„სარკე"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: ლუკა ჩხაიძე. ***ხანგრძლივობა: 50 წუთი.***

გრიბოედოვის თეატრი
რუსთაველის გამზირი №2
ტელ.: 293-11-06.

13 დეკემბერი, **შაბათი** 18.00 - **„უფროსი ვაჟი"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: გიორგი (გოგი) მარგველაშვილი. მონაწილეობენ: აპოლონ კუბლაშვილი, ლაშა გურგენიძე, დიმიტრი მერაბიშვილი, ვალერი ხარიუტჩენკო, ალექსანდრე ლუბინეცი, ივანე ქურასბედიანი, მარიამ კიტია, სოფიო ლომჯარია, ინა ვორობიოვა, მედეა მუმლაძე, ნინა კალატოზიშვილი, ქრისტოფორე ფილიევი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

14 დეკემბერი, **კვირა** 18.00 - **„მდგმური"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: ნუგზარ ლორთქიფანიძე. მონაწილეობენ: დიმიტრი სპორიშევი, მიხეილ არჯევანიძე, ნინო მელაძე, ზურაბ ჭიპაშვილი, მედეა მუმლაძე, ოლეგ მჭედლიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

გ. მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი
კუს ტბის ქუჩა №2; კულტურის ცენტრი მუზა. ტელ.: 568 14-51-99.

14 დეკემბერი, **კვირა** 12.00 - **„დათუნია დრუნჩა და მისი მეგობრები"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: მაია ლორთქიფანიძე. მონაწილეობენ: თამთა ბაქრაძე, მალხაზ გაბუნია, თეა კიწმარიშვილი, მაია მაზიაშვილი, მაია მალხაზიშვილი, გიორგი მეძმარიაშვილი, მარიკა ძაგნიძე, მანანა წიკლაური, ნათია ხმიადაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ.***

ცნობარი

1. ავიაბილეთები ყველა
მიმართულებით 215-80-80; 236-40-11
2. ავტომანქანის გაქირავება, ტურები საქართველოში, სასტუმროს რეზერვაცია 218-22-44; 599 33-33-53
3. ავტოსადგური „ოკრიბა" 234-26-92
4. ადამიანის უფლებათა ცენტრი 237-69-50; 245-45-33
5. ავტომანქანების გაქირავება 595 33-21-00
6. აღსრულების ეროვნული ბიუროს
საინფორმაციო სამსახური 274-96-49
7. გარემოს ეროვნული სააგენტო 243-95-32
8. აეროპორტის საინფორმაციო
ბიურო 231-04-21
9. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო
ცენტრი 599 11-57-44
10. გაზი გამოძახებით 292-32-46; 292-10-08
11. შპს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 253-06-32
12. საქ. მთავარი პროკურატურის
ცხელი ხაზი 240-52-22
13. გაზის საავარიო (ქალაქის) 14; 238-40-65, 238-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო)
14. განათლების სამინისტროს კომუტატორი 231-89-40; ცხელი ხაზი: 220-02-20
15. გზებზე ტექნიკური დახმარება 599 25-42-54
16. ჯანდაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი) 251-00-33
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 220-62-32
18. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი" 221-21-84; 221-25-84
19. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 250-60-06
20. ეკონომიკური განვითარების
სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 299-10-58; 299-11-21
21. „თელასის" საინფორმაციო ცენტრი 225-52; 225-52-11; 277-99-77
22. „თელასის" ცხელი ხაზი 277-99-99
23. შპს იმუნიზაციის ცენტრი 231-22-78
24. იუსტიციის სამინისტრო 240-52-02
25. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება სტაციონარებიდან 231-13-20; 231-13-21; 595 33-18-03; 0 790 50-10-50
26. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების
კომისია 238-61-40 (პრესსამსახური); 231-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი)
27. კონტროლის პალატა 243-81-81 (ცხელი ხაზი)
28. კანალიზაციის საავარიო სამსახურის
ცხელი ხაზი 293-11-11
29. ლტოლვილთა და განსახლების
სამინისტრო 243-11-00 (ცხელი ხაზი)
30. მერიის ცხელი ხაზი 272-22-22
31. ნავთლულის ავტოსადგური 274-83-03; 274-63-23 599 39-35-35
32. სახალხო დამცველი 291-38-14(15)
33. ვაგზლის ცნობათა ბიურო: 219-90-10
34. საგანგებო სიტუაციების მართვის
სამსახური 112
35. საპატრულო პოლიცია 112
36. სასწრაფო სამედიცინო დახმარება 112
37. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 577 42-42-38, 235-32-33
38. საქართველოს მთავრობის კანცელარია 298-92-73 (ფაქსი), 228-22-88 (მისაღები)
39. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 294-50-00 შიდა 24 (02, 03)
40. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური 226-11-15 (კანცელარია)
41. სადღეღამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 218-01-01; 210-30-50; 599 57-64-12
42. სოფლის მეურნეობის სამინისტროს
კანცელარია 237-80-44 (13)
43. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 261-30-90; 261-30-21
44. საყოფაცხოვრებო და საამშენებლო ნარჩენების (ნაგვის) გატანა; შპს „თბილსერვის ჯგუფის" დასუფთავების სერვისი, სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაცია 261-18-37, 261-18-11
45. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 225-22-33 (საინფორმაციო); 225-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა)
46. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 291-91-67 (68)
47. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქ-პატენტი 292-31-66; 291-71-80 (ცხელი ხაზი)
48. საქართველოს მომხმარებელთა
ფედერაცია 299-78-57
49. ტაქსი გამოძახებით 293-91-00
50. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – 210-02-29; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ცხელი ხაზი – 230-99-03.
51. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი
ხაზი 241-10-66 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება)
52. ფინანსთა სამინისტრო 226-14-12; 226-14-10 (კანცელარია); 226-24-09
53. ქორწინების რეგისტრაცია
სიღნაღში 595 24-77-77
54. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 225-01-45; 222-54-17
55. „ყაზტრანსგაზი" 220-04-04 (გაზიფიცირების სამსახური)
56. „ყაზტრანსგაზის" სადისპეტჩერო 231-04-04

ორშაბათი 8 დეკემბერი

07.30 "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.15, 01.30** "პირადი ექიმი" მარი მალაზონიასთან ერთად **11.00** "სამოთხის ვაშლები" **12.40** "სადილის დრო" **13.20** ტ/სერ. **"დღეები ლეონესთან ერთად"** **14.20** "პოპ-კულტურა" **15.00, 21.00** ტ/სერ. **"ფრანგული სოფელი"** **17.00** "ქართული ჯარი" **17.30** დ/ფ "ბედნიერება თეფშზე" **18.30** ტ/სერ. **"ნუ შეწყვეტ ოცნებას"** **19.30** "სიტყვების თამაში" **22.00** "არენა" **23.30** მხ/ფ **"წმინდა ვალენტინის დღე"**.

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ბედისწერა"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"ბედთან მებრძოლი"** **18.45** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.45** სერ. **"ქარადაი"** **22.00** ნიჭიერი **00.30** სპორტ ტაიმი **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი.

7.00, 1.30 ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **"დრაკონებზე მონადირე"** **7.55** საქმიანი დილა დილის პროგრამა **9.40** ბიზნესკონტაქტი დილის გამოშვება **9.55** უცხოური პრესის მიმოხილვა **10.00 სერიალი "არასდროს დაგივიწყებ"** **11.50** ქართული პრესის მიმოხილვა **12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **12.00, 15.00, 18.00** (ახალი ამბები) **12.30** ბიზნეს კონტაქტი **13.30 სერიალი "კარმა"** **14.45** ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა **15.35** გადაცემა **"60** კითხვა ინტერიერში" **16.00 სერიალი "სიყვარულის იმპერია"** **17.40, 22.00, 1.50** "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან **18.40, 23.25** ინ-ფაქტი **18.45 სერიალი "სხვისი სხეული"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) პ/ე **22.15 სერიალი "ქუზები და გუნები"** **23.30 სერიალი "მდუმარენი"** **2.10** ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა **2.30** მხ. ფილმი **"გენერალი"**.

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.00** ქრონიკა. **10.05** სერ. **"სიცოცხლის სიყვარული"** **11.20** სერ. **"სილა"** **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. **"უდანაშაულო"** **17.35** სერ. **"ბოშა ქალი"** **5** სერ. **18.45, 19.03** სერ. **"ღირსების საქმე"** **20.55** სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი"** **22.00** მხ/ფ **"უკანასკნელი ტამპლიერი"** (ო.შარიფი) **01.10** მხ/ფ **"ფედერალური დაცვა"** (ა.ასანტე).

06.10 საგალობელი **06.15** ეთნოგრაფიული ჩანახატი **06.40** დ/ფ "არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე" **07.00** მხ/ფ **"ბელურების გადაფრენა"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 21.05** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.05** მხ/ფ **"ზერეკილები"** **13.25** კონცერტი - თეძურ მათურელისადმი მიძღვნილი საღამო **14.55** შვიდგზის ლოცვა **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.05** ღვთის სახლი (აფხაზეთი) **15.25** სპექტაკლი **"სამანიშვილის დედინაცვალი"** **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ **"ლომა"** **20.40** ძილი ნებისა **21.20** პატერიკი **21.25** ღვთის სახლი **21.40** დ/ფ "წმინდა დიდმოწამე ქეთევანი" **22.25** დ/ფ "კაპელანი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "წმინდა დავითი და კონსტანტინე" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"გრაფი მონტე-კრისტო"** / სერ.

სამშაბათი 9 დეკემბერი

07.30 "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.15, 03.30** "პირადი ექიმი" მარი მალაზონიასთან ერთად **11.00** "სამოთხის ვაშლები" **12.40** "სადილის დრო" **13.20** ტ/სერ. **"დღეები ლეონესთან ერთად"** **14.20** "პოპ-კულტურა" **15.00, 21.00** ტ/სერ. **"ფრანგული სოფელი"** **17.00** დ/ფ "ლურჯი სამყაროს საოცრებანი" **18.00** "ტელებლოგი" **18.30** ტ/სერ. **"ნუ შეწყვეტ ოცნებას"** **9.30** "სიტყვების თამაში" **22.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **22.40** ქართ. ტ/ფ **"ოთხი ფარული და ერთი ჩითის კაბა"**, **"ბზიანები"** **23.40 ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. **"ლივერპული"** – **"ბაზელი"** შესვენებისას: "ვიქტორინა" **01.30** მხ/ფ **"საბოლოო დანიშნულების ადგილი-3"**.

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ბედისწერა"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"ბედთან მებრძოლი"** **18.45** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.45** სერ. **"ქარადაი"** **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** არჩევანი **23.30** გააცინე და მოიგე **00.30** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი.

7.00, 1.30, ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **"დრაკონებზე მონადირე"** **7.55** საქმიანი დილა დილის პროგრამა **9.40** ბიზნესკონტაქტი დილის გამოშვება **9.55** უცხოური პრესის მიმოხილვა **10.00 სერიალი "არასდროს დაგივიწყებ"** **11.50** ქართული პრესის მიმოხილვა **12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **12.00, 15.00, 18.00** (ახალი ამბები) **12.30** ბიზნესკონტაქტი **13.30 სერიალი "კარმა"** **14.45** ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა **15.35** გადაცემა "თეკუნას კულინარიუში" **16.00 სერიალი "სიყვარულის იმპერია"** **17.40, 22.00, 1.55** ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან **18.40, 23.25** ინ-ფაქტი **18.45 სერიალი "სხვისი სხეული"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) პ/ე **22.15 სერიალი "ქუზები და გუნები"** **23.30 სერიალი "მდუმარენი"** **2.15** ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა **2.35** "*ID*" **3.25 სერიალი "მდუმარენი"**.

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00** ქრონიკა. **10.05** სერ.**"სიცოცხლის სიყვარული"** **11.20** სერ. **"სილა"** **12.30** დღის შოუ **14.40** სერ.**"უდანაშაულო"** **17.35** სერ. **"ბოშა ქალი"** **6** სერ. **18.45, 19.03** სერ. **"ღირსების საქმე"** **20.55** სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი"** **22.00** ცეკვავენ ვარსკვლავები **00.00** მხ/ფ **"ქალთევზა"** **02.10** მხ/ფ **"საბედისწერო მოგზაურობა"** (ტრტ.).

06.10 საგალობელი **06.15** მხ/ფ **"გრაფი მონტე-კრისტო"** / სერ. **07.45** ღვთის სახლი (აფხაზეთი) **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** დ/ფ "წმინდა დიდმოწამე ქეთევანი" **10.50** პატერიკი **10.55** დ/ფ "წმინდა დავითი და კონსტანტინე" **11.35** ღვთის სახლი **12.10** მხ/ფ **"ლომა"** **13.30** კონცერტი - ნიკა რაჭველი,ნაკარიაკოვი **15.05** სახლი ღვთისა (აფხაზეთი) **15.30** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **15.50** მხ/ფ **"თოვლის დედოფალი"** / ნაწ. **17.20** დ/ფ "შორია გურჯისტანამდე" **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მოკ./ფ **"ბამბასელი პაიკი"** **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ისტორიის გაკვეთილი **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** "ჩვენი საგანძური" - პეტრიწონის ღვთისმშობლის ხატი (ნ.ბურჭულაძე) . გვანცელაძე **23.30** დ/ფ "მრავალთათვის საკეთილო" მერაბ ელიოზიშვილი **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"გრაფი მონტე-კრისტო"** // სერ.

გაგრძელება 43-ე გვერდზე

კინოთეატრები

კინოთეატრი „რუსთაველი"
რუსთაველის გამზირი №5.
ტელ.: 293-22-53, 255-50-00.

8 – 14 დეკემბერი

დარბაზი 1

12.00, 14.30, 17.30, 20.00 - „**მადაგასკარის პინგვინები**" 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;*

22.30 - „**ინტერსტელარი**", *ხანგრძლივობა: 2სთ. 50 წუთი;*

დარბაზი 2

12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.10, 22.15 - „**ნაღვი**", *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*

დარბაზი 3

12.00, 14.15 - „**ფუტკარი მაია**" 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;*

16.30 - „**ინტერსტელარი**", *ხანგრძლივობა: 2სთ. 50 წუთი;*

20.00 - „**აუტანელი ბოსები 2**", *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*

22.30 - „**შიმშილის თამაშები**", *ხანგრძლივობა: 2სთ. 05 წუთი;*

დარბაზი 5

12.00, 14.45, 22.30 - „**აუტანელი ბოსები 2**". *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*

17.15, 20.00 - „**შიმშილის თამაშები**", *ხანგრძლივობა: 2სთ. 05 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

კინოთეატრი „ამირანი"
კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.

დარბაზი 1

12.00, 14.00, 16.00, 18.00 - „**მადაგასკარის პინგვინები**" 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;*

20.00 - „**აუტანელი ბოსები 2**", *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*

22.30 - „**ინტერსტელარი**", *ხანგრძლივობა: 2სთ. 50 წუთი;*

დარბაზი 2

12.00, 14.00 - „**ფუტკარი მაია**" 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;*

17.00, 22.30 - „**აუტანელი ბოსები 2**", *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*

19.15 - „**ინტერსტელარი**", *ხანგრძლივობა: 2სთ. 50 წუთი;*

დარბაზი 3

12.00, 14.45, 17.15 - „**შიმშილის თამაშები**", *ხანგრძლივობა: 2სთ. 05 წუთი;*

19.45 - „**შიმშილის თამაშები**" (ინგლისურად), *ხანგრძლივობა: 2სთ. 05 წუთი*

22.15 - „**აუტანელი ბოსები 2**" (ინგლისურად), *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com. ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

მოწევა კლავს
მოწევა იწვევს კანის ნაადრევ დაბერებას

გია ჯაჯანიძის ტელედებიუტს ტელეკომპანია „იმედში" და მის ახალ საავტორო გადაცემას „სხვა რაკურსით გია ჯაჯანიძესთან ერთად" რეიტინგი და ხმაურიანი სკანდალი ერთად მოჰყვა. არაორდინარული სტუმრების გულწრფელმა საუბრებმა საკმაოდ უხერხულ თემებზე, გია ჯაჯანიძე სოციალური ქსელების მთავარი „სამიზნე" გახადა. სკანდალები ცნობილ ტელესახეს არც წარსულში აკლდა, თუმცა ამჯერად ამბობს, რომ ხმაური და სკანდალები მისი მიზანი არ ყოფილა.

რატომ გადაწყვიტა გია ჯაჯანიძემ მაია ასათიანთან ჭიდაობა

გია ჯაჯანიძე: ამ გადაცემის დაწყებამდე, ძალიან მძაფრი განცდები მქონდა. ყველაფერი ერთმანეთში იყო არეული – პასუხისმგებლობა, სითბო, სიყვარული, ცოტა შიშიც. როდესაც მიდიხარ ისეთ ტელევიზიაში, როგორიცაა „იმედი" და იწყებ ისეთი ფორმატის თოქ-შოუს გაკეთებას, რაც ჩვენ გავაკეთეთ, ბევრი რამ გაქვს საფიქრალი. ყველამ, ვინც მიცნობს, იცის, რომ ამ ტელევიზიის მიმართ სხვა დამოკიდებულება მქონდა. ეს ჩემი პირადი სენტიმენტებია, რომელზედაც აქ საუბარს ვერ დავიწყებ. მგონია, რომ „იმედში" უნდა დავასრულო ჩემი სატელევიზიო კარიერა. შესაბამისად, პასუხისმგებლობა, რომელსაც ვგრძნობ, ასმაგად მძაფრია. იმის მიუხედავად, რომ დავბერდი ტელევიზიაში, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს დებიუტანტი ვიყავი და ცხოვრების ახალ ეტაპს შევუდექი.

– არ გეშინია იმ კონკურენციის, რაც, როგორც თავად ამბობ, ყველაზე ასაკოვანს, ახალგაზრდა თაობასთან მოგინევს? მით უმეტეს, რომ იმ დროს „რუსთავი 2-ზე" მაია ასათიანის „სტაჟიანი" „პროფილი" გადის?

– ეს არ ყოფილა ჩემი გადაწყვეტილება. მე მაიას მიმართ კარგად ვარ განწყობილი. მას მართლაც კარგი და რეიტინგული შოუ აქვს, რომლის სტუმარიც მე არაერთხელ ვყოფილვარ. როგორც მაიასაც უთქვამს, მე ყოველთვის მისთვის სასურველი რესპონდენტი ვიყავი. მაიას ჰყავს თავისი მაყურებელი. მეც დარწმუნებული ვარ, მეყოლება ჩემი მაყურებელი და ჩვენ ძალიან დახვეწილად „ვიჭიდავებთ" *(იცინის)*. ისე, მეც ვაპირებ მაიას მოწვევას ჩემს შოუში, თუ „რუსთავი-2" გამოუშვებს. მე არასდროს მშინებია კონკურენციის და არც ახლა არ მეშინია. გახსნილად ვამბობ, მე ვარ ადამიანი, ვინც შექმნა საკუთარი ინდივიდუალური სახე და არავის ჰგავს. შესაბამისად, არ მაქვს კონკურენციის შიში. ორივე გადაცემამ მაღალი რეიტინგი დადო – გადაცემა შედგა. თემები, რომელსაც ჩემი გადაცემა განიხილავს, არის იმ პრობლემების სხვა რაკურსით მიტანა მაყურებლამდე, რაც ჩვენი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია. ეს იყო ჩემი მიზანი. ახლა, როცა ის ჯოჯოხეთი უკან დარჩა, რაც წინ უძღოდა გადაცემის მომზადების პროცესს, ცოტა მოვდუნდი – თავს ამის უფლება მივეცი. იქ, სადაც არიან მაია სტეფნაძე და მანონი ოქრუაშვილი, არ არსებობს „ჩეპე". ისინი თავისი საქმის ისეთი ვირტუოზები არიან, მათ გვერდით მუშაობა, მათ „ტყვეობაში" ყოფნა, კომფორტულიც არის და სასიამოვნოც. ამაზეა ნათქვამი, მათთან ერთად თავისუფლად წავალ „რაზვეტკაშიო" *(იცინის)*.

– პირველივე გადაცემებს საკმაოდ დიდი ხმაური მოჰყვა. არაორდინარული ისტორიების სტუმრები – კაცი გამოძახებით... ლამის, გარყვნილების პროპაგანდაში დაგდეს ბრალი, ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას ზომების მიღებას სთხოვდნენ. ღირდა მაღალი რეიტინგი ამ ტიპის აჟიოტაჟად?

– ეს კიდევ უფრო სხვა რამ იყო, ვიდრე – სკანდალი. თუმცა, ეს თემები რეიტინგისთვის ნამდვილად არ გაკეთებულა. გადაცემაში არ ყოფილა გარყვნილებისა და ბოზობის პროპაგანდა. მე მინდა დავანახო საზოგადოებას, სად ვცხოვრობთ. დავანახვო ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებს, რა ხდება ჩვენ ირგვლივ. პროპაგანდა არის მოწოდება: მოდი, გააკეთე ასე, რაც გადაცემაში არ ყოფილა. რაც შეეხება ჟურნალისტურ ქარტიას, მე ვფიქრობ, თუ რომელიმე ორგანიზაციას ტელესივრცის განვითარებაზე აქვს პრეტენზია, ერთი ამბავი კი არ უნდა ატეხოს, პირიქით – თუ პრობლემაა, ბატონო, უნდა შემხვდე, ამიხსნა, თუ რამე არ ვიცი, მასწავლო. მაგრამ, საქმე ისაა, რომ ყველას უნდა მუშაობა, გრანტი, ფული. თუ არასამთავრობო ორგანიზაციის მუშაობა არ იქნება ხმაურიანი, ისე გრანტებს ვერ მიიღებს. ამიტომაც, იხმაურონ და იყვნენ, ბატონო.

ეს ფათური არ იყო, უბრალოდ, მომეწონა მისი ტატუ და თითი შევახე. იმისთვის ჩემი ხელის დადება, გგონია რამეს ნიშნავდა?!

– ფიქრობ, რომ ამ საზოგადოების №1 პრობლემა ეს თემებია?

– არა, ბატონო, ასე არ ვფიქრობ. ვიცი, რომ ჩვენს საზოგადოებას ბევრი პრობლემა აქვს და ჩვენი შემდგომი გადაცემები ყველა ამ თემას მიეძღვნება. სოციალურს, კულტურულს. თუმცა, მე მაინც მგონია, რომ ჩვენი საზოგადოების № 1 პრობლემა არის მორალი. საკუთარ თავზეც ვიტყვი, ადამიანებს ყველაზე მეტად მორალი სჭირდებათ. ვინმემ ისე არ გამიგოს, რომ სულხან-საბას და მოძღვრის როლში ვარ, არა! შეცდომების და გადაცდომების მეტი რა მქონია. მაგრამ, მგონია, რომ უკვე გავიზარდე და ახლა ვიცი, რა არის სწორი, და რა – არა, სად დავუშვი შეცდომა და სად – არა. ადრე სულ ვამბობდი, ადამიანი უნდა იყოს პროფესიონალი, ინტელექტუალი. ახლა უკვე ვფიქრობ, რომ თუ არ ხარ ადამიანი, არც შენი პროფესიონალიზმი მინდა და არც შენი ინტელექტი. იმ ასაკში ვარ, როცა ვიცი, რომ თუ მორალი გაქვს, პურსაც იშოვი, ფულსაც და საქმესაც. უმორალოდ არაფერს არ აქვს ფასი და ყველა ერთად ჩავიძირებით. იმის მიუხედავად, რომ უამრავი სხვადასხვა ჯგუფის ადამიანთან მქონია ურთიერთობა, კაცი გამოძახებით პირველად ვნახე. შესაბამისად, უხერხულობას ვგრძნობდი, მერიდებოდა.

– სამაგიეროდ, „სტრიპტიზიორშას" საჯდომზე ხელის ფათური არ მოგერიდა.

– თქვენისთანები მივრცელებენ ამ ხმებს, ეს ფათური არ იყო, უბრალოდ, მომეწონა მისი ტატუ და თითი შევახე. იმისთვის ჩემი ხელის დადება, გგონია რამეს ნიშნავდა? *(იცინის)* ბოზებს ბევრს ვიცნობ და ვიცი მათი ფსიქოლოგია. შემიძლია გითხრათ, რომ ბევრი ბოზი უფრო კეთილი, სუფთა და ადამიანურია, ვიდრე გრძელკაბიანი პატიოსანი, ვინც სულ მორალზე ლაპარაკობს. როგორ არ უნდა განიცადო იმ ქალის ცხოვრება, ვინც ამბობს, რომ 20 წელია, ტრასაზე ვდგავარო. პროპაგანდას როგორ გავუწევ ამას? უბრალოდ, ერთს გეტყვით, ჩვენი სტუმრები მძაფრად იმით გამოჩნდნენ საზოგადოების თვალში, რომ ჩემს რესპონდენტებს დაჭერილი პოზა და „ბაფთები" არ აქვთ – როგორებიც არიან, ისე ჩანს ეთერშიც. მეც მათ მიმართ არ ვარ აგრესიული, შესაბამისად, არც მათგან ველი „თავდასხმას".

– რა შეცვალა ახალმა გადაცემამ შენს ირგვლივ?

– შეცვალა ცხოვრების წესი. მე ხომ ღამეებს ვათენებდი და მერე დღის ორ საათამდე მეძინა. დღეს საკუთარი თავი ობამა მგონია, ისეთი პუნქტუალობით ვცხოვრობ. საღამოს თერთმეტ საათზე ვიძინებ და დილით სამსახურში მივდივარ *(იცინის)*. ეს გადაცემა ჩემთვისაც აღმოჩნდა „სხვა რაკურსი". სოციალურ ქსელში მწერენ და მეუბნებიან: „უი, როგორ პატიოსნად გაცვიაო. ყველას ეგონა, რომ მე ისე ჩაცმული დავდიოდი გარეთაც, როგორც შოუებში ვჩანდი.

– შენი გარეგნული სტილი არ არის პროდიუსერებთან „ბრძოლის" თემა?

– არა, ძალიან მორჩილი ვარ. ისე მჯერა ჩემი პროდიუსერების – მაია სტეფნაძემ რომ მითხრა, ჩიტი ხარ და გაფრინდებიო, გავხსნი ფანჯარას და გავფრინდები *(იცინის)*. ვერ გეტყვით, რომ გარეგნულ სტილში რაიმეს განსაკუთრებულად შეველიე. ვცდილობ, მეცვას თემის შესაფერისად. ჯარზე რომ გადაცემას გავაკეთებთ, ხავედრის კოსტიუმითა და ბრეშკებით არ გამოვალ. მაყურებელი ჩემს სატელევიზიო შოუებსა და პირად ცხოვრებას აიგივებდა და რატომღაც ეგონათ, რომ ცხოვრებაშიც ისეთი ვიყავი, როგორიც შოუში – ქუჩაშიც არაორდინარულად დავდიოდი.

– არ დადიოდი?

– სად გინახივარ ქუჩაში თავზე ფაფახით? ცოტა განსხვავებულად ყოველთვის მეცვა, მაგრამ არა ისე, როგორც ეთერში. როგორც იქნა, დადგა დრო, როცა მაყურებელმა ერთმანეთისგან გაყო გია ჯაჯანიძე და მისი გაკეთებული შოუები.

– ამას წინათ გავიგე, ეთიოპიაში მიდისო – თან თოქ-შოუ და თან ეთიოპია?

– ახლა რაღა გეგმებზეა საუბარი, მაგრამ მართლაც მქონდა შემოთავაზება ეთიოპიიდან საინტერესო პროექტზე. ეს პროექტი მოითხოვს ჩემს „გადასახლებას" ეთიოპიაში, რასაც ამ ეტაპზე ვერ გავაკეთებ. თუმცა, როგორც ქართველი და მით უმეტეს, იმერელი, რა თქმა უნდა, ჩავერთე მოლაპარაკებებში. ისე, ჩემთვის კი ვხუმრობ კიდეც, ეთიოპიაღა აკლდა ჩემს ცხოვრებას *(იცინის)*. თუმცა, მე ხომ სტიქიური ვარ, ექსპერიმენტებზეც იოლად მივდივარ. ასე რომ, ჩემგან გამორიცხული არაფერია.

თამუნა ნიჟარაძე

გურმანთა მეგზური

თევზის ჩაშუშული

საჭირო ინგრედიენტები: 700 გრამი ცხიმიანი თევზი (ნებისმიერი), 150-200 გრამი სტაფილო, 3 ცალი სხვადასხვა ფერის ბულგარული წიწაკა; წითელი ცხარე წიწაკა – გემოვნებით; 2 ცალი პომიდორი, 7 კბილი ნიორი, ნახევარი კონა ქინძი, ნახევარი კონა ოხრახუში, ზეითუნის ან სიმინდის ზეთი – შესაწვავად, წყალი, ლიმონი, მარილი, პილპილი.

მოამზადების წესი: სასურველია, თევზი ფილეს სახით გქონდეთ. დაანაწილეთ ის ულუფებად – ექვსი ან შვიდი ნაჭერი უნდა გამოვიდეს.

სტაფილო გახეხეთ, ნიორი დაჭერით წვრილად. წიწაკა კი (ტკბილიც და მწარეც) – ძალიან თხელ ფირფიტებად. ეს კერძი საკმაოდ ცხარეა და იმიტომაც ჰქვია „მაროკოული.” პომიდორს გადაავლეთ მდუღარე, გადააცალეთ კანი და დაჭერით იმდენ ნაჭრად, რამდენი თევზის ნაჭერიც გაქვთ, დანარჩენი კი მომცრო კუბიკებად დააქუცმაცეთ. მწვანილი ცოტა მსხვილად დაჭერით. მცირე რაოდენობის ზეთში მობრაწეთ მსხვილად დაჭრილი ნიორი, დაუმატეთ გახეხილი სტაფილო და ჩაშუშეთ. დაუმატეთ წიწაკა, კუბიკებად დაჭრილი პომიდორი და კიდევ შუშეთ. უყავით ცოტა მარილი. ჩაშუშული ბოსტნეული გადაანაწილეთ თევზის ნაჭრებზე, ზემოდან დაალაგეთ პომიდვრის ნაჭრები. მოაყარეთ ცოტა მარილი და პილპილი და დაასხით იმდენი თბილი წყალი, რომ თევზს სანახევროდ მოადგეს. ტაფას დაახურეთ თავსახური და შუშეთ 10-15 წუთი, თანაბარ, საშუალო სიძლიერის ცეცხლზე, შემდეგ თავსახური მოხადეთ და, როცა სითხე მთლიანად ამოშრება, კერძს მოაყარეთ მწვანილი და კიდევ ცოტა ნიორი. ისევ დაახურეთ თავსახური, ორი წუთი ასე გააჩერეთ და – მზად არის. ცივი უფრო გემრიელია. გარნირად მოუხდება მოხარშული ბრინჯი ან კუსკუსი. სუფრაზე მიტანის წინ კერძს მოასხით გაწურული ლიმონი ან მორთეთ ლიმონის ნაჭრებით.

კარტოფილის „გამომცხვარი“

საჭირო ინგრედიენტები: 6 ცალი კარტოფილი, 400 გრამი შერეული ხორცის ფარში (ღორის და საქონლის), 200 გრამი ქამა სოკო, 2 ცალი სტაფილო, 2 თავი ხახვი, 100 გრამი კეფირი, 4-5 სადილის კოვზი მაიონეზი (ან არაჟანი), 2 სადილის კოვზი თეთრი მშრალი ღვინო (ამის გარეშეც შეიძლება), 150 გრამი მაგარი ყველი; მარილი, შავი პილპილი.

მოამზადების წესი: კარტოფილი უნდა დაჭრათ ძალიან თხელ ნაჭრებად. ფარშში ჩაუმატეთ მარილი, შავი პილპილი, დაახლოებით 100 მილილიტრი რძე ან წყალი და ყველაფერი ძალიან კარგად ამოურიეთ. სოკო დაჭერით და დაჭრილ ხახვთან ერთად ზეთში მოხრაკეთ. ცალკე მოშუშეთ სტაფილო ცოტა ხახვთან ერთად, დაასხით ღვინო, 1 სადილის კოვზი მაიონეზი და შუშეთ 2-3 წუთი. ფორმას წაუსვით ცხიმი და ფენებად მოათავსეთ ყველა ინგრედიენტი: ფსკერზე – რგოლებად დაჭრილი კარტოფილი (მთლიანი რაოდენობის ნახევარი), შემდეგ გადაუსვით ფარში; მომდევნო ფენა იქნება ჩაშუშული სოკო, მერე – სტაფილო და ბოლოს – ისევ კარტოფილი. ცალკე შეურიეთ ერთმანეთს მაიონეზი, კეფირი, გახეხილი ყველი და ეს მასა თანაბრად მოასხით კარტოფილს. აცხვეთ აირღუმელში 200 გრადუს ტემპერატურაზე, 40-50 წუთის განმავლობაში. ძალიან მოგეწონებათ.

* ცხიმი, კარაქი და მარგარინი – საკმაოდ რთული ლაქებია. დაზიანებული ადგილი ჯერ კარგად გაწმინდეთ სპირტში დასველებული ბამბით, ოღონდ, ლაქას წინასწარ პერგამენტის ქაღალდი ან ხელსახოცი დააფარეთ, შემდეგ კი ნივთი კარგად გარეცხეთ.

ტორტი ხაჭოთი და თაფლით

საჭირო ინგრედიენტები: 4 სადილის კოვზი თაფლი, 3 ჭიქა ფქვილი (2 ჭიქა – ცომში, 3 სადილის კოვზი – კრემისთვის), 1 ჭიქა შაქარი (1/2 ჭიქა ცომში + 1/2 ჭიქა – კრემში); მწიკვი მარილი, ტკბილი ვანილი, 2 სადილის კოვზი ხსნადი ყავა, 1 ჩაის კოვზი სოდა, 180 გრამი კარაქი (ცომისთვის); 4 კვერცხი (2 ცალი – ცომში + 2 ცალი – კრემში); 2/3 ჭიქა ლიმონის წვენი, 200 მილილიტრი იოგურტი, 100 გრამი ტკბილი ხაჭო; ცოტა ნუში ან ნიგოზი, ნებისმიერი ხილის წვენი.

მომზადების წესი: ჯერ მოამზადეთ ბისკვიტი: თასში ერთმანეთს შეურიეთ დარბილებული კარაქი, თაფლი, 1/2 ჭიქა შაქარი, მარილი და ტკბილი ვანილი. ამოურიეთ კარგად თასი ჩადგით ცხელი წყლის აბაზანაში და ურიეთ, სანამ კარაქი და თაფლი ბოლომდე გადნება. დაუმატეთ სოდა და ორი კვერცხის გული, თან გამუდმებით ურიეთ. (მასამ მოცულობაში ორჯერ მაინც უნდა მოიმატოს და გათეთრდეს), შემდეგ დაუმატეთ ყავა, ისევ კარგად ამოურიეთ და გადმოდგით. ცალკე ძალიან კარგად ათქვიფეთ კვერცხის ცილა, ნელ-ნელა შეურიეთ თაფლიან მასას, დაუმატეთ ფქვილი და თქვიფეთ მანამ, სანამ ერთგვაროვან მასად იქცევა. გამოსაცხობ ტაფაზე დააფინეთ პერგამენტი ან გამოსაცხობი ქაღალდი, წაუსვით ცოტა მარგარინი ან ზეთი და დაასხით ცომი; ნაპირები გაუსწორეთ და აცხვეთ 200 გრადუსზე, 25-30 წუთის განმავლობაში.

მოამზადეთ კრემი: პატარა ჯამში ჩაასხით ლიმონის წვენი, ჩაახალეთ კვერცხი, ფქვილი, ჩაუმატეთ შაქარი, ვანილი, იოგურტი და ურიეთ, სანამ შესქელდება; შემდეგ გადმოდგით და შეაზილეთ ხაჭო. ყველაფერი ძალიან კარგად აურიეთ. ბისკვიტი გაჭერით სიბრტყეზე, ორ ტოლ ნაწილად, გვერდები კი ჩამოაჭერით (ზემოდან მოსაფხვნელად გამოგადგებათ). ბისკვიტის ორივე ნაწილი კარგად დანამეთ წვენით, ორივე ფირფიტას წაუსვით კრემი, დადეთ ერთმანეთზე. ზემოდან მოაყარეთ დაფხვნილი ნაპირები, ნიგოზი და ცოტა ხანს მაცივარში გააჩერეთ. გემრიელია.

სალათა – „ზღაპრული შემოდგომა“

საჭირო ინგრედიენტები: 1 ნაჭერი ქათმის ფილე (მოხარშული), 1 ცალი კიტრი, 6 სადილის კოვზი დაკონსერვებული სიმინდი, ნახევარი თავი წითელი ხახვი, კამა, მაიონეზი, მარილი, შავი პილპილი – გემოვნებით, ნიახური – მსხვილი ღერო.

მომზადების წესი: სასალათეში მოათავსეთ სიმინდი, წვრილ ჩხირებად დაჭრილი კიტრი და დაკეპილი ნიახური. დაუმატეთ წვრილ კუბიკებად დაჭრილი მოხარშული ქათმის ფილე. მოაყარეთ მარილი და შავი პილპილი. მაიონეზში შეურიეთ ძალიან წვრილად დაჭრილი ხახვი და კამა. აურიეთ და მოასხით სალათას. მოგეწონებათ.

ბრინჯის სალათა წიწაკით – არჩილ სოლოლაშვილისგან

ზოგადად, მიმაჩნია, რომ ადამიანი ჯანსაღად უნდა იკვებებოდეს და ორგანიზმს აწვდიდეს იმ საჭირო მინერალებსა და ვიტამინებს, რაც აუცილებელია. პირადად მე მსუბუქად დანაყრება მიყვარს. ბრინჯის სალათა წიწაკით, რომლის რეცეპტსაც ახლა გთავაზობთ, საკმაოდ გემრიელი, მსუბუქი და, ამავდროულად, ჯანსაღი კერძია.

საჭირო ინგრედიენტები: 50 გრამი გრძელი ბრინჯი, 1 ცალი სტაფილო, 1 ცალი პატარა წითელი ბულგარული წიწაკა, 1 ცალი ვაშლი, 2-3 ღერი ოხრახუში, 1 სადილის კოვზი ლიმონის წვენი, 150 გრამი უცხიმო იოგურტი, 0,5 სადილის კოვზი კარის ფხვნილი, მარილი და პილპილი – გემოვნებით.

მომზადების წესი: ბრინჯი მარილიან მდუღარე წყალში მოხარშეთ და დაწურეთ. სტაფილო გათალეთ, სიგრძეზე გაჭერით და თხელ ფირფიტებად დაჭერით, წიწაკა კი – წვრილ ჩხირებად. ვაშლი ოთხად გაყავით, ამოაცალეთ კურკები და კიდევ შუა-შუა გაჭერით. მოასხით ლიმონის წვენი. მომზადებულ ინგრედიენტებს კარგად ამოურიეთ, დაუმატეთ მარილი, კარი და პილპილი. სალათა მორთეთ ოხრახუშით.

სომელიე
თეიმურაზ ბენიძე

ფორთოხლის კრუშონი

საჭირო ინგრედიენტები: 3 ცალი ფორთოხალი, 6 ღერი პიტნა, 75 გრამი შაქარი, 1 ლიტრი მანგოს წვენი, 1 ლიტრი ფორთოხლის წვენი, 1 ლიმონის წვენი, 3 ბოთლი მშრალი ღვინო „ცქრიალა."

მოზადების წესი: ფორთოხალი გაფცქვენით, მოაშორეთ თეთრი რბილობი და კანი, დაჭერით, დააყარეთ დაჭრილი პიტნა, შაქარი, დაასხით ლიმონის, მანგოსა და ფორთოხლის წვენი, კარგად ამოურიეთ და შემდეგ დაამატეთ მშრალი ღვინო. 1 საათი გააჩერეთ მაცივარში და შემდეგ გაიტანეთ სუფრაზე.

ხახვის წვნიანი ფრანგულად

საჭირო ინგრედიენტები: 5 დიდი თავი თეთრი ხახვი, 100 გრამი კარაქი, 1,5 ჩაის კოვზი შავი პილპილი, 2 სადილის კოვზი პაპრიკა, 2 ცალი დაფნის ფოთოლი, 3/4 ჩაის ჭიქა ფქვილი, 2 ლიტრი საქონლის ხორცის ბულიონი, 1 ჭიქა თეთრი მშრალი ღვინო, 50 გრამი სულგუნი, 1 ცალი ფრანგული „ბაგეტი", ზეითუნის ზეთი – საჭიროებისამებრ, პარმეზანი და მარილი – გემოვნებით.

მომზადების წესი: ხახვი დაჭერით ალყა-ალყა. ქვაბში გაადნეთ კარაქი და დაბალ ტემპერატურაზე მოშუშეთ ხახვი. დაუმატეთ მარილი, პილპილი, პაპრიკა და დაფნის ფოთლები. 2-3 წუთში დაასხით ბულიონის უმეტესი ნაწილი. დარჩენილ ბულიონში გახსენით ფქვილი და ჩაუმატეთ ქვაბში, თან ურიეთ. დაასხით ღვინო და 2 საათის განმავლობაში ხარშეთ დაბალ ცეცხლზე. წვნიანი რამდენიმე საათით შედგით მაცივარში. ამასობაში, საშუალო ტემპერატურაზე გაახურეთ ღუმელი. პური დაჭერით, წაუსვით ზეითუნის ზეთი, მოაყარეთ გახეხილი ყველი და ღუმელში გახუხეთ. წვნიანი შეათბეთ. ზემოდან დააწყვეთ პურის ნაჭრები და იმდენი ყველი მოაყარეთ, რომ ფენა გაიკეთოს. ქვაბი 3-5 წუთით შედგით კარგად გახურებულ ღუმელში, სანამ ყველი დადნება.

ყოველკვირეული ჟურნალი
ობილისელები

ვემზადებით საახალწლოდ!

საახალწლო სამზადისი დღესასწაულს განსაკუთრებით მხიარულს ხდის. შეგიძლიათ, სამშვენისები და სათამაშოები საკუთარი ხელით დაამზადოთ – ამით განწყობასაც შეიქმნით და ფულსაც დაზოგავთ.

მოიმარაგეთ ნემსი, ძაფი, მძივები და სხვადასხვა ფერის თასმები (ძველი ზონარებიც გამოგადგებათ). შემდეგ დააკვირდით სურათებს და ააწყვეთ „ნაძვის ხე“. თუ ფერად და მბზინავ მძივებს შეარჩევთ, ნაძვის ხე უფრო ეფექტური გამოვა.

მოიმარაგეთ გამჭვირვალე „საწრუპი“ ჩხირები და ოქროსფერი აეროზოლი საღებავი... თუ ოქროსფერი „ფიფქები“ გინდათ. თუ ვერცხლისფერი გირჩევნიათ, მაშინ ვერცხლისფერი საღებავიც დაგჭირდებათ. შეხედეთ, როგორ არის სურათზე ნაჩვენები, რაც უნდა გააკეთოთ. საკმაოდ ადვილია. შეღებავთ და როცა გაშრება, მზად არის.

ყვავილები ძველი გაზეთებიდან

ძალიან ლამაზი და ორიგინალური მოსართავის დამზადება შეიძლება ჩვეულებრივი, ძველი გაზეთის ფურცლებისგან. შეეცადეთ მხოლოდ წარწერებიანი ფურცლები გამოიყენოთ. გაზეთის ფურცელი კვადრატული ფორმის უნდა იყოს. შემდეგ ისე დაკეცეთ, როგორც სურათებზეა ნაჩვენები. შიდა ფურცლები ლამაზად გაუშალეთ და შუაგულში მბრწყინავი ფურცლის, ფოჩებიანი „გული“ დაუმაგრეთ. ფერი თქვენ თავად შეარჩიეთ. ოქროსფერი, ვერცხლისფერი, ფოსფორისფერი, მბრწყინავი – ლურჯი... მიეცით ფანტაზიას გასაქანი...

როგორ დაალწიეს სნაიპერებს თავი საახალწლო მურაბის მოსაპოვებლად წასულმა მანანა კოზაკოვამ და მისმა მეგობრებმა

ჩვენს რუბრიკაში ერთი და იმავე კითხვებით მივმართავთ სხვადასხვა სფეროში მოღვაწე და სხვადასხვა სოციალურ საფეხურზე მდგომ ცნობილ ადამიანებს.

– ვინ ხართ? გაგვეცანით.

– მანანა კოზაკოვა, მსახიობი.

– ყველაზე მძაფრი შეგრძნება ბავშვობიდან

– ბაბუა რომ გარდამეცვალა. ძალიან მიყვარდა. მეგონა, რომ სამყარო დამთავრდა, მნიშვნელოვანი ეტაპი დასრულდა და ეგრეც იყო – რაღაცა ნაწილი ბავშვობის მართლაც დავტოვე. მაშინ 10 წლის ვიყავი.

– დაახასიათეთ საკუთარი თავი.

– რთულია საკუთარი თავის შეფასება, იმიტომ რომ, ხშირად ის რაღაცნაირი გვეჩვენება, მაგრამ ეს ასე არ არის. ადამიანი მაინც ყველასთან სხვადასხვანაირია: ვთქვათ, ჩემი შვილისთვის სხვა ვარ, ქმრისთვის – სხვა, თანამშრომლებისთვის – სხვა და ასე შემდეგ. ალბათ, როგორი მინდა, ვიყო, უფრო ამას ვიტყოდი. მინდა უფრო მოთმინებით ვუყურებდე რაღაცეებს, ვიდრე ახლა აღვიქვამ, რადგან ხშირად გაგვირბის ხოლმე აზრი, გადაწვეტილება. მერე კი, დრო რომ გავა, გაცილებით ჭკვიანურ გადაწყვეტილებას ვიღებთ და ვნანობთ, ზოგჯერ უკვე გვიანია. ფსიქოლოგებსაც აქვთ – ტრენინგივითაა: როცა გაბრაზდები, დაითვალე რაღაც რიცხვამდე. სწორია ეს დათვლა, მართალია არა ბუკვალურად, მაგრამ, დრო რომ გადის, უფრო სწორ შეფასებებს აკეთებ და მერე ნანობ რაღაც საქციელებს.

– ყველაზე სასაცილო და არარეალური, რაც საკუთარ თავზე გსმენიათ.

– რომ გითხრათ, რაღაც განსაკუთრებული ჭორები მსმენია, ან დავინტერესებულვარმეთქი... არასდროს მაინტერესებდა, არც ვაგროვებდი და არც ვიღვწოდი იმისთვის, გამეგო რაიმე. როცა ბავშვობაში პირველად განვიცადე ეს, ბებიაჩემმა მითხრა, ვისიც ძალიან მჯეროდა: რა გატირებს, რადგან ჭორაობენ, ესე იგი, არც ისეთი მახინჯი ხარ და არც ისეთი სულელიო.

– სწორი არჩევანი გააკეთეთ ცხოვრებაში?

– ვფიქრობ, რომ კი. უკვე შემიძლია რაღაცეები შევაფასო. ახლა ზუსტად 22 წელი გავიდა მე და ლევანის ქორწინებიდან და პრინციპში, რაც შეეხება პირად ცხოვრებას, ვფიქრობ, სწორი გადაწყვეტილება, არჩევანი გავაკეთე, ხოლო რაც შეეხება პროფესიაში – რაც ძალიან მინდოდა, ზუსტად ის მივიღე.

– როგორი ჰგონიხართ სხვებს და სინამდვილეში როგორი ხართ?

– ალბათ, სხვადასხვა ადამიანს სხვადასხვანაირი ვგონივარ. მივხვდი, რომ ყველასთვის მოსაწონი ვერ იქნები. რაღაც ასაკს აქვს რაღაც პლუსები. ვთქვათ, ჩემი შვილის ასაკი – გადასარევია, რა თქმა უნდა, ახალგაზრდობა. მაგრამ, კომპლექსებით სავსე ხარ – ფიქრობ, ვის თვალში როგორი გამოჩნდები, რაღაცას უმტკიცებ საკუთარ თავს, სამყაროს და ასეც არის. ჩემს ასაკში კი, უკვე იცი, რომ რაღაცეებზე არც უნდა დახარჯო ენერგია, რადგან ვიღაცისთვის აუცილებლად ძალიან ცუდი ვარ, ვიღაცისთვის – ძალიან კარგი და ვიღაცას საერთოდ არ ვაინტერესებ. ამასაც მერე იგებ და იღებ აბსოლუტურად ორგანულად.

– ვინ გინდოდათ, ყოფილიყავით და ვინ ხართ რეალურად დღეს?

– ვინ მინდოდა ვყოფილიყავი? – ალბათ ის, ვინც ვარ რეალურად.

– რა მოგწონთ და რა არ მოგწონთ საკუთარ თავში?

– მომწონს ალბათ ის, რომ შემიძლია საკუთარ თავთან მარტო ყოფნა და ეს არ მწყინდება. არ მომწონს, რომ ამდენმა ინფორმაციამ და სოციალურმა ქსელებმა ცოტათი ბავშვებს საკუთარ თავთან დარჩენის მუღამი წაართვა. მე მომწონს, რომ საკუთარი თავი შემიძლია, მშვენივრად გავართო. მაგალითად, დავრჩე ბეთანიაში, ჩვენს აგარაკზე სრულიად მარტო და 3-4 დღე ისე ვიყო, საერთოდ არ მომწყინდეს.

ისწავლე სიტყვა: არ შემიძლია და არ მინდა!

რაც არ მომწონს? – ბევრი ისეთი თვისება მაქვს, რაც არ მომწონს...

– ყველაზე დიდი სისულელე, რაც ცხოვრებაში ჩაგიდენიათ?

– სისულელე ბევრი ჩამიდენია, განსაკუთრებით, რაღაც ასაკში. ეტყობა, სწორად არის გათვლილი, რომ, მაგალითად, 21 წლამდე ალკოჰოლს არ მიჰყიდიან, ან ბარში არ უშვებენ უცხოეთში. იმიტომ რომ, ასაკია ისეთი, როცა თავში გიქრის, უშიშარი ხარ. ერთხელ, მაგალითად, რუსთაველზე რომ ომი იყო, ისროდნენ და სნაიპერები იყვნენ, ახალი წელი მოდიოდა, ახალგაზრდობა თავისას შვრება და გვინდოდა, აღგვენიშნა. ვიცოდით, რომ ჩვენი ერთ-ერთი მეგობრის ბებიას სახლში მურაბები ჰქონდა და ასე, გადარბენებით, სახლში რომ შევედით, ნასროლი ტყვიების გილზები ნოხივით იყო იატაკზე დაფენილი. ეს მურაბები ავიღეთ... მოკლედ, ახალი წლისთვის მოვიპოვეთ მურაბა და კომპოტი. ახლა საერთოდ ვერ წარმომიდგენია, რა გავაკეთე, რა ჭკუით... ეს, ეტყობა, ასაკის ერთ-ერთი თანმდევი ნაწილია.

– ყველაზე მეტად მიყვარს...

– ჩემი შვილი.

– რომელ ეპოქასა და ცივილიზაციაში იცხოვრებდით და რას გააკეთებდით?

– ალბათ მეცხრამეტე საუკუნის ბოლო მეოცის დასაწყისი. უფრო რომანტიკული და უფრო... მიყვარს ის პოეზია, ჩაცმულობა... ალბათ, იგივეს გავაკეთებდი, რასაც დღეს, ხელოვნებასთან ვიქნებოდი კავშირში.

– დღეს, იქ ხართ, სადაც თქვენი ადგილია?

– კი, მე ძალიან მიყვარს საქართველო. შეიძლებოდა, ჩემს ცხოვრებაში, მით უმეტეს, ეს ძალიან რეალური იყო, რომ სხვაგან ვყოფილიყავი. ვერც წარმომიდგენია, იმ ქვეყანაში მეცხოვრა, რომელშიც საერთოდ არც მაინტერესებს ცხოვრება.

– საერთოდ ფიცხი ხართ? როგორი ხართ გაბრაზებული?

– ალბათ ცუდი, ავი... გააჩნია სიტუაციას, ავი ვხდები, ავი აზრები მომდის *(იცინის)*...

– რა შემთხვევაში კარგავთ თავს?

– ძალიან იშვიათად. საერთოდ, არ ვარ მოჩხუბარი. მაგალითად, მძღოლი ვარ და თითქმის არც არასდროს ვასიგნალებ ზედმეტად და არც ცუდ სიტყვებს ვამბობ. მაგრამ, როცა „ხამსტვას", უზრდელობას ვაწყდები, ვერ ვიტან. იმას ვითხოვ, რასაც გავცემ.

– კომფოტულად მაშინ ვგრძნობ თავს, როცა...

– კომფორტულად მაშინ ვგრძნობ თავს, როცა ჭკვიან ადამიანებთან მაქვს ურთიერთობა.

– ხშირად თუ დამთვრალხართ და როგორი ხართ ამ დროს?

– დავმთვრალვარ, მაგრამ... არ ვიცი, დიდად არ გამოვირჩევი, ვიძინებ. ჩემი სიმთვრალე არის ძილი.

– როგორ გამოიყურება თქვენი ოთახი ჩვეულებრივ, ანუ მაშინ, როცა არავის ელით?

– არეულად.

– ვის ეკუთვნოდა რჩევა, რომელიც ცხოვრებაში გამოგადგათ და რა იყო მისი შინაარსი?

– სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა რჩევები იყო, რომელიც დღემდე მახსოვს. დედაჩემი მარიგებდა: შენი არჩევანი ყოველთვის იყოს შენი „ოპერის" ხალხი, ანუ ოპერა გადატანითი მნიშვნელობით – ნუ იქნება შენზე მეტი და ნურც ნაკლები. შეგეძლოს რეალური შეაფასება საკუთარი თავის და შენი გარემოცვის. კიდევ მირჩია, ისწავლე სიტყვა: არ შემიძლია და არ მინდა! ნუ ეჭიდავები საკუთარ თავს, რადგან, იმას, რაც ძალიან არ გინდა, მაინც არ გააკეთებ. საკუთარ თავს დაეძალებ და მერე მაინც სადღაც... ამიტომ, ისწავლე დროზე ამის თქმა და შინაგანად გადაწყვიტე, რა არ შეგიძლია და რა არ გინდა.

– ცხოვრებამ მასწავლა, რომ...

– დიდი მოთმინებით ავიღოთ რაღაცა გეზი და ისე გავაგრძელოთ ცხოვრება.

– მინდა, ყველამ იცოდეს, რომ...

– ძალიან მიყვარს სამშობლო.

– რისთვის ღირდა ცხოვრება?

– იმისთვის, რომ რაღაცა შექმნა, დატოვო. როგორც მამაკაცები ამბობენ: უნდა ააშენო სახლი, დარგო ხე, გააჩინო შვილი და შექმნა პროფესიაში რაღაც. მე ხე არ დამირგავს, სახლი ავაშენე, პროფესიაც მაქვს და შვილიც გავაჩინე – ამისთვის კი ღირდა ცხოვრება *(იცინის)*. ხეც თითქმის დამირგავს, ვეხმარებოდი.

– როგორი წარმოგიდგენიათ საკუთარი თავი სიბერეში?

– სიბერეში საკუთარი თავი წარმომიდგენია ძალიან მსუქანი *(იცინის)*, ბევრ შვილიშვილებში ჩაფლული ბებია.

– რას დაწერენ თქვენზე 22-ე საუკუნეში?

– არაფერსაც არ დაწერენ, ზუსტად ვიცი. ამისი ამბიცია არც მაქვს.

ეკა სალაღაია

რთულად მოიძებნება ადამიანი, რომელსაც მოგზაურობა და უცხო ქვეყნების გაცნობა არ უყვარს. თუმცა, არსებობენ ისეთებიც, ძალიან ხშირად რომ უნევთ „ცაში ყოფნა“. სწორედ, ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება ბექა ელბაქიძე, რომელსაც სხვადასხვა დროს, პირადი თუ პროფესიული მიზნებით, უამრავი ქვეყნის მონახულება მოუხდა. თუმცა, როგორც თავად ამბობს, კიდევ ბევრი დარჩა სანახავი. ბოლო პერიოდში კი, ძირითად დროს მეორე სამშობლოში – იტალიაში ატარებს, სადაც სწავლასთან ერთად, კარიერაშიც წინ მიიწევს. გარდა კარიერული წინსვლისა, სიახლეა მის პირად ცხოვრებაშიც.

რა შემოთავაზება მიიღო ბექა ელბაქიძემ „ვოგის“ ფოტოგრაფებისგან და რის თაობაზე ჰქონდა მას შეხვედრა პედრო ალმადოვარის მენეჯერთან

ბექა ელბაქიძე: ბოლო სამი წელი სამსახიობოზე ვსწავლობ რომში, თეატრის აკადემიაში, რომელსაც სამ თვეში ვამთავრებ და ვიქნები დიპლომირებული მსახიობი. პარალელურად, სხვადასხვა სპექტაკლსა და ფილმზე ვმუშაობ. უკვე მყავს აგენტი – ტიციანა დეოდატო, რომელიც ჩემს სამსახიობო კარიერაზე ზრუნავს. ახლა, ცოტა ხნით დავბრუნდი ტელევიზიაში. გარდა ამისა, ვწერ. დასაბეჭდად მზადდება ჩემი მესამე რომანი და ვმუშაობ მეოთხეზე.

– ცოტა ხნის წინ დაბრუნდით საქართველოში, სად იყავით და რისთვის?

– ამჯერად ვიყავი ესპანეთსა და პორტუგალიაში. ეს იყო საქმიანი ვიზიტი – ფოტოგადაღება, რომელშიც გართიანებულია ევროპის სხვადასხვა ფოტოგრაფი. ისინი მუშაობენ, როგორც „ვოგისთვის“, ისე სხვა გლამურული ჟურნალებისთვის. იყო ასეთი პროექტი – „სული და სხეული“, რომელიც კეთდება მოდის სხვადასხვა სახლისთვის. სხვადასხვა ფოტოგრაფი ადგენს თავის პორტფოლიოს და ირჩევს პერსონაჟებს. მე ბრიუსელში მივიღე შემოთავაზება, ცნობილი ესპანელი ფოტოგრაფების – ვალერო რიოხასა და ფრანკო დე ესპესაგან. ესენი არიან „ვოგის“ ფოტოგრაფები. მათ შემომთავაზეს, რომ ამ ფოტოგადაღებაში ვყოფილიყავი მათი მოდელი. გარდა ამისა, მქონდა შეხვედრა პედრო ალმადოვარის მენეჯერთან მომავალი გადაღების თაობაზე, რომლის დეტალების გახმაურებაც ჯერ არ მინდა. ამას დაემთხვა ასევე, ჩემი დაბადების დღე, რომელიც პორტუგალიაში გავატარე.

– ინტერვიუმდე აღნიშნეთ, სულ ცაში ვარო და საინტერესოა, რა ასოციაციას იწვევს თქვენში სიტყვა მოგზაურობა?

– როცა უკვე აეროპორტში ვარ, გავივლი კონტროლს და ტრაპზე ავდივარ, აი, იქიდან იხსნება ფილტვები. როგორი დაღლილიც არ უნდა ვიყო და როგორი ცუდი განწყობაც არ უნდა მქონდეს, ამის შემდეგ კარგად ვხდები. ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ჩემზე იტალიამ მოახდინა. ის ჩემთვის მეორე სამშობლოა, გამომდინარე იქიდან, რომ ბებია იტალიელი იყო. იტალიური ყველაფერი მომწონს. პირველი კულტურული შოკი აზიაში მოგზაურობისას მივიღე. თავიდან, სიბინძურის, მძიმე სუნისა და 45-გრადუსიანი სიცხის გამო, ჩავვარდი შოკში. აეროპორტიდან რომ გამოვედი, სუნთქვა შემეკრა, მაგრამ მერე, ქალაქს რომ ვათვალიერებდი, მივხვდი, რომ ძალიან ეგზოტიკური ქვეყნებია ფერებით, ბედნიერი ხალხითა და ძალიან ღრმა ფილოსოფიით.

– რომელიმე ქვეყანას მოლოდინი თუ გაუცრუებია?

– ყველა ქვეყანას თავისი ხიბლი აქვს. თუმცა, იმედი გამიცრუვდა, როცა პარიზში სულ პირველად ჩავედი. ველოდი 20-30-იანი წლების პარიზს, რომელიც ლიტერატურიდან და კინოდან მახსოვდა და უცებ ვნახე, რაღაც შავი კვარტლები, ბინძური ქუჩები. ბევრი ისეთი რამ შემხვდა, რამაც იმედები ცოტა გამიცრუა. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ პარიზს რამე სჭირს ჩემი გასაკრიტიკებელი *(იცინის).*

– სახიფათო მომენტი თუ შეგქმნია მოგზაურობისას?

– *(იცინის)* ზოგადად, ძალიან ხიფათიანი ვარ და ხშირად ვვარდები ასეთ სიტუაციაში. ძალიან მიყვარს ველოსიპედი და როცა ქვეყანაში ჩავდივარ, ვცდილობ, ვიქირავო და ეს არის ჩემი ტრანსპორტი. ერთხელ, ამსტერდამში, ფაქტობრივად, სიკვდილს გადავურჩი. ძალიან დიდი სისწრაფით მივდიოდი და ტრამვაის შევასკდი. ამსტერდამში ხომ სულ წყალია და უამრავი ხიდი, რომლითაც ქუჩები ერთმანეთს უკავშირდება. ტრამვაის შევასკდი და ზუსტად ხიდთან დავვარდი, ორი ნაბიჯი მაშორებდა წყალთან. ჩემი ველოსიპედით რომ გადავფრენილიყავი, სავარაუდოდ, ვერ გადავრჩებოდი. შეიძლება ითქვას, ტრამვაიმ მიხსნა, ხელი მქონდა მოტეხილი და ასე გემრიელად დავასრულე ჩემი მოგზაურობა... ერთხელ, ლოს-ანჯელესში ვიყავი ტელევიზიიდან გადაღებაზე. „იმედზე“ გადიოდა რუბრიკა „ქრონიკა ნიუსი“ და ვიღებდით ამერიკაში მყოფ წარმატებულ ქართველებს. ოპერის მომღერალმა ნინო მაჩაიძემ, პლასიდო დომინგოსთან ერთად გახსნა სეზონი ლოს-ანჯელესის ოპერაში და ამაზე რეპორტაჟი გავაკეთე. ამერიკასა და საქართველოს შორის რვა-ცხრა საათია დროში განსხვავება. უცებ დამირეკეს და მითხრეს, რეპორტაჟთან ერთად უნდა ჩაერთოო. ტექნიკურად ისე ხდება, რომ ტელევიზია პირდაპირ ჩართვას უკვეთავს, ამაში ფულს იხდიან და ყოველი წუთი გაწერილია. შესაბამისად, სასწრაფოდ მომიწია ქალაქის ერთი ბოლოდან მეორეში წასვლა. ლოს-ანჯელესი დიდია და ბუნებრივია, ძალიან ვჭქარობდით. როგორც იქნა, საცობებს გამოვცდით, ტაქსით მივვარდით ლოს-ანჯელესის ადგილობრივ ტელევიზიასთან, საიდანაც უნდა გამეკეთებინა ჩართვა. ღამე იყო, ბნელოდა. ტელევიზიის შენობა მთლიანად შემინულია და განათებული. კიბეებზე სწრაფად ავრბოდი და სასწრაფეში კარი თავით გავიტანე. „ტომი და ჯერიში“ რომ არის, დაახლოებით ისე ჩამოვვარდი ძირს *(იცინის).* არ გავთიშულვარ, მაგრამ ძალიან ძლიერი დარტყმა მივიღე. ცხვირიდან სისხლმა გამოასხა *(იცინის).* გარედან რომ უყურებ, ხომ ჩანს, რომ შემინულ შენობაში ძალიან ბევრი ადამიანი მუშაობს. უცებ, ამ ხმაზე, არ ვიცი, ალბათ, ასამდე ადამიანი შემობრუნდა ჩემკენ. რაღაც წუთები იყო დარჩენილი ჩართვამდე და ერთი ოცი კაცი მეხვია თავს. ზოგი ყინულებს მადებდა, ზოგიც გრიმს მიკეთებდა და ასე, გაბერილი ცხვირით, გავედი ეთერში.

მასთან ერთად ბრიუსელში ვითამაშე ერთ-ერთ სპექტაკლში, სასიყვარულო სცენებში და მერე ეს ურთიერთობა გაგრძელდა

– როგორც ვიცი, იტალიელ ქალბატონზე იყავით შეყვარებული, როგორ განვითარდა ეს ურთიერთობა?

– ეს იყო იტალიელი მსახიობი – ანა რიცი ბოგდანი. ჩვენ ერთი წელი ვიცხოვრეთ ერთად. შეიძლება, ჩავთვალოთ, რომ ის იყო ცოლი, მხოლოდ ფორმალობების გარეშე. საერთოდ, ფორმალობები არ მიყვარს.

– ფორმალური ურთიერთობა და ოჯახი საერთოდ მიუღებელია თუ ამ ეტაპზე?

– ახლა არ ვარ იმ ეტაპზე, რომ ოჯახის შექმნაზე ვიფიქრო. ჩვენ ერთად ვითამაშეთ ფრანჩესკო ძეკას სპექტაკლში და იქიდან გავიცანით ერთმანეთი. მერე ერთად ცხოვრება გადავწყვიტეთ, თუმცა სამი თვის წინ, ეს ურთიერთობა დასრულდა.

– ზოგადად, თუ გიტაცებთ მოგზაურობისას სასიყვარულო-რომანტიული ურთიერთობები?

– კი, თითქმის ყოველთვის. მაგალითად, ახლა, ასევე უცნაურად და დაუგეგმავად დაიწყო ჩემი ურთიერთობა ფრანგ მსახიობ ქალთან – დებორა ამსესთან. მასთან ერთად ბრიუსელში ვითამაშე ერთ-ერთ სპექტაკლში სასიყვარულო სცენები და მერე ეს ურთიერთობა გაგრძელდა.

– ეს, ალბათ, ბოლო სამი თვის განმავლობაში ხდება, რაც იტალიელ მსახიობს დაშორდით?!

– ბოლო ორი თვეა. ორი-სამი თვე *(იცინის).*

– ურთიერთობის რა ეტაპზე ხართ ახლა?

– ერთად გავატარეთ ჩემი დაბადების დღე. *(იცინის).* ეს საწყისი ეტაპია და როგორ განვითარდება, არ ვიცი. თუმცა, ორი ადამიანის მხრიდან ერთად ყოფნის სურვილი, არსებობს. ჩვენი საქმიანობა ჩვენ შორის მანძილს აფართოებს – ორივეს ხშირად გვიწევს მოგზაურობა და ეს ძალიან რთულია.

– ბევრს ჭორაობდნენ ნუცა კოპალიანისადმი თქვენს სიყვარულზე.

– ეს იყო აბსურდული სისულელე, რომელიც გაავრცელეს. ნუცა კოპალიანი არის ჩემი მეგობარი. ძალიან დიდი ხანია, რაც ერთმანეთს ვიცნობთ. ნუცას ჰყავს საქმრო, ძალიან კარგი ბიჭი, რომელსაც მეც კარგად ვიცნობ და ვმეგობრობ. რაც მთავარია, ეს სულელური ჭორი გავრცელდა მაშინ, როცა ნუცასაც საქმრო ჰყავდა და მეც – მეგობარი გოგო. ეს ფოტო, ალბათ, რომელიმე სოციალური ქსელიდან აიღეს – ერთ-ერთი ეგვიპტური ვოიაჟის დროსაა გადაღებული, სადაც მეგობრებთან ერთად ვისვენებდით. აუზზე გადავიღეთ და ბუნებრივია, იქ ჩოხით არ ვიქნებით, საცურაო კოსტიუმები გვაცვია.

ქეთი კაპანაძე

34-ე გვერდიდან

ოთხშაბათი 10 დეკემბერი

07.30 "ჩვენი დილა" **08.00**, **09.00**, **10.00**, **12.00**, **16.00**, **19.00**, **20.00** "მოამბე" **10.15**, **03.00** "პირადი ექიმი" მარი მალაზონიასთან ერთად **11.00** "სამოთხის ვაშლები" **12.40** "სადილის დრო" **13.20** ტ/სერ. **"დღეები ლეონესთან ერთად"** **14.20** "პოპ-კულტურა" **15.00**, **21.00** ტ/სერ. **"ფრანგული სოფელი"** **17.00** დოკ/ფილმი: "ბერლინი **1885** წელი იერიში აფრიკაზე" **18.30** ტ/სერ. **"ნუ შეწყვეტ ოცნებას"** **19.30** "სიტყვების თამაში" **22.00** მხ/ფ **"უცოლო"** (რ.ზელვეგერი) **23.40 ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. **"ბარსელონა"** – **"ასუ"** შესვენებისას: "ვიქტორინა" **01.30** მხ/ფ **"კარნავალი"**.

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ბედისწერა"** **12.00**, **15.00**, **18.00**, **21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"ბედთან მებრძოლი"** **18.45** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.45** სერ. **"ქარადა"** **22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **23.00** "ნანუკას შოუ" **01.00**, **03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი.

7.00, **2.00** ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **"დრაკონებზე მონადირე"** **7.55** საქმიანი დილა დილის პროგრამა **9.40** ბიზნესკონტაქტი დილის გამოშვება **9.55** უცხოური პრესის მიმოხილვა **10.00 სერიალი "არასდროს დაბინდეს"** **11.50** ქართული პრესის მიმოხილვა **12.00**, **15.00**, **18.00** მაესტრო **12.00**, **15.00**, **18.00** (ახალი ამბები) **12.30** ბიზნესკონტაქტი **13.30 სერიალი "კარმა"** **14.45** ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა **15.35** უცნობი ისტორიები **16.00 სერიალი "სიყვარულის იმპერია"** **17.40**, **22.30**, **1.50** "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან **18.40**, **23.55** ინ-ფაქტი **18.45 სერიალი "სხვისი სხეული"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) **22.45 სერიალი "ქუზეი და გუნეი"** **0.00**, **3.25 სერიალი "მდუმარენი"**.

07.30, **08.05**, **09.10** იმედის დილა **08.00**, **09.00**, **10.00**, **11.00**, **14.00**, **17.00**, **19.00**, **20.00**, **00.45** ქრონიკა. **10.05** სერ."**სიცოცხლის სიყვარული**" **11.20** სერ."**სილა**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ."**უდანაშაულო**" **17.35** სერ."**ბოშა ქალი**" **7** სერ. **18.45**, **19.03** სერ."**ღირსების საქმე**" **20.55** სერ. "**დიდი სახლის პატარა დიასახლისი**" **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.00** სტუმრად იუმორინასთან **00.00** *EMERGENCY* **00.55** მხ/ფ "**კარგი ქალი**" (ს.იოჰანსონი).

06.10 საგალობელი **06.15** მხ/ფ **"ბრაფი მონტე-კრისტო"** *II* სერ. **07.45** ღვთის სახლი (აფხაზეთი) **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10**, **19.00**, **22.00**, **00.05**, **02.30** სიახლენი **10.35** თეთრიდან თეთრამდე **10.40** ქრისტიანული ხელოვნება **11.25** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია **13.00** მოკ./ფ **"ბამსვლელი პაპკი"** **13.30** კონცერტი - ანს. "ურმული" **14.40** "ჩვენი საგანძური" - პეტრიწონის ღვთისმშობლის ხატი (ნ.ბურჭულაძე) . გვანცელაძე **15.05** სახლი ღვთისა (აფხაზეთი) **15.25** მხ/ფ"თოვლის დედოფალი" *II* ნაწ. **16.50** კვირიაკე **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"ლომა, დავიწყებული მებობარი"** **20.40** ძილი ნებისა **21.20** "ივერიის ეკლესია" **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "მთის მადლიანი საუნჯე" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"ბრაფი მონტე-კრისტო"** *III* სერ.

ხუთშაბათი 11 დეკემბერი

07.30 "ჩვენი დილა" **08.00**, **09.00**, **10.00**, **12.00**, **16.00**, **19.00**, **20.00** "მოამბე" **10.15**, **03.10** "პირადი ექიმი" მარი მალაზონიასთან ერთად **11.00** "სამოთხის ვაშლები" **12.40** "სადილის დრო" **13.20** ტ/სერ. **"დღეები ლეონესთან ერთად"** **14.20** "პოპ-კულტურა" **15.00**, **21.00** ტ/სერ. **"ფრანგული სოფელი"** **16.55 ფეხბურთი**. საქართველოს სუპერთასი: **"დინამო"** – **"ჩიხურა"** **19.30** "სიტყვების თამაში" **22.00** თოქ-შოუ – "რეალური სივრცე" **23.30** "უცნობი მუსიკა" **01.00** მხ/ფ **"დაპირება არ ნიშნავს დაქორწინდე"** (ჯ.ენისტონი).

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ბედისწერა"** **12.00**, **15.00**, **18.00**, **21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"ბედთან მებრძოლი"** **18.45** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.45** სერ. **"ქარადა"** **22.00** პროფილი **23.55** აჭარა ბეთის გათამაშება **00.30** ვინ დაამარცხებს ვასოს **01.00**, **03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი.

7.00, **1.30**, ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **"დრაკონებზე მონადირე"** **7.55** საქმიანი დილა დილის პროგრამა **9.40** ბიზნესკონტაქტი დილის გამოშვება **9.55** უცხოური პრესის მიმოხილვა **10.00 სერიალი "არასდროს დაბინდეს"** **11.50** ქართული პრესის მიმოხილვა **12.00**, **15.00**, **18.00** მაესტრო **12.00**, **15.00**, **18.00** (ახალი ამბები) **12.30** ბიზნესკონტაქტი **13.30 სერიალი "კარმა"** **14.45** ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა **15.35** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **16.00 სერიალი "სიყვარულის იმპერია"** **17.40**, **22.00**, **1.55** "ყოველ-დღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან **18.40**, **23.25** ინ-ფაქტი **18.45 სერიალი "სხვისი სხეული"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) პ/ე **22.15 სერიალი "ქუზეი და გუნეი"** **23.30 სერიალი "მდუმარენი"** **2.15** ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა **2.35** უცნობი ისტორიები **3.25 სერიალი "მდუმარენი"**.

07.30, **08.05**, **09.10** იმედის დილა **08.00**, **09.00**, **10.00**, **11.00**, **14.00**, **17.00**, **19.00**, **20.00**, **00.45** ქრონიკა. **10.05** სერ."**სიცოცხლის სიყვარული**" **11.20** სერ. "**სილა**" **12.30** დღის შოუ **14.00** ქრონიკა **14.40** სერ."**უდანაშაულო**" **17.35** სერ. "**ბოშა ქალი**" **8** სერ. **18.45** სერ."**ღირსების საქმე**" **18.45**, **19.03** სერ. "**ღირსების საქმე**" **20.55** სერ. "**დიდი სახლის პატარა დიასახლისი**" **22.00** გია ჯაჯანიძესთან ერთად – თოქ შოუ **23.45** შალვა რამიშვილის შოუ **00.55** მხ/ფ **"ოსტატი"** (ფ.ს.ჰოფმანი).

06.10 საგალობელი **06.15** მხ/ფ **"ბრაფი მონტე-კრისტო"** *III* სერ. **07.45** ღვთის სახლი (აფხაზეთი) **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10**, **19.00**, **22.00**, **00.05**, **02.30** სიახლენი **10.40** "ჩვენი საგანძური" - პეტრიწონის ღვთისმშობლის ხატი (ნ.ბურჭულაძე) . გვანცელაძე **11.05** ქართული ალბომი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ **"ლომა,დავიწყებული მებობარი"** **13.35** ივერიის ეკლესია **13.50** კონცერტი - საგუნდო მუსიკის ფესტივალი **15.05** სახლი ღვთისა (აფხაზეთი) **15.20** დ/ფ "მესაზღვრე ბერები" **17.20** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.20** "პორტრეტები" **20.10** მოკ./ფ **"კაცები"** **20.40** ძილი ნებისა **20.55** შვიდგზის ლოცვა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** მწვანე არქიტექტურა **22.25** დ/ფ "ავთო ვარაზი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "ჯიხეთი - დედათა მონასტერი" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"ბრაფი მონტე-კრისტო"** *IV* სერ.

პარასკევი 12 დეკემბერი

07.30 "ჩვენი დილა" **08.00**, **09.00**, **10.00**, **12.00**, **16.00**, **19.00**, **20.00** "მოამბე" **10.15**, **01.40** "პირადი ექიმი" მარი მალაზონიასთან ერთად **11.00** "სამოთხის ვაშლები" **12.40** "სადილის დრო" **13.20** ტ/სერ. **"დღეები ლეონესთან ერთად"** **14.20** "პოპ-კულტურა" **15.00**, **21.00** ტ/სერ. **"ფრანგული სოფელი"** **17.00** სოციალური თოქ-შოუ – "რეალური სივრცე" **18.30** ტ/სერ. **"ნუ შეწყვეტ ოცნებას"** **19.30** "სიტყვების თამაში" **22.00** პოლიტიკური თოქ-შოუ **23.30** მხ/ფ **"მიწისძვრა"**.

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ბედისწერა"** **12.00**, **15.00**, **18.00**, **21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"ბედთან მებრძოლი"** **18.45** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.45** სერ. **"ქარადა"** **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** ვანოს შოუ **23.00** ქერის უბანი **23.30** ბრავო **00.30** მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად **01.00**, **03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი? დაიჯესტი.

7.00, **1.30**, ახალი ამბები **7.20** მულტფილმი **"დრაკონებზე მონადირე"** **7.55** საქმიანი დილა დილის პროგრამა **9.40** ბიზნესკონტაქტი დილის გამოშვება **9.55** უცხოური პრესის მიმოხილვა **10.00 სერიალი "არასდროს დაბინდეს"** **11.50** ქართული პრესის მიმოხილვა **12.00**, **15.00**, **18.00** მაესტრო **12.00**, **15.00**, **18.00** (ახალი ამბები) **12.30** ბიზნესკონტაქტი **13.30 სერიალი "კარმა"** **14.45** ქართული და უცხოური პრესის

მიმოხილვა **15.35** გადაცემა "*ID*" **16.00 სერიალი "სიყვარულის იმპერია"** **17.40, 22.00, 1.55** "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან **18.40, 23.25** ინ-ფაქტი **18.45 სერიალი "სხვისი სხეული"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) პ/ე **22.15 სერიალი "ქუზეი და გუნეი"** **23.25** ინ-ფაქტი (იუმორისტული გადაცემა) **23.30, 3.25 სერიალი "მდუმარენი"** **2.15** ქართული და უცხოური პრესის მიმოხილვა **2.35** სამედიცინო გადაცემა "პულსი".

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00** ქრონიკა. **10.05** სერ."**სიცოცხლის სიყვარული**" **11.20** სერ. "**სილა**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ."**უდანაშაულო**" **17.35** სერ."**ბოშა ქალი**" **9** სერ. **18.45, 19.03** სერ."**ღირსების საქმე**" **20.55** სერ. "**დიდი სახლის პატარა დიასახლისი**" **22.00** რეაქცია **00.00** მხ/ფ "**ერთი დღე**" (ჯ.სტერჯესი) **02.10** მხ/ფ "**ოსტატი**" (ფ. ს.ჰოფმანი).

06.10 საგალობელი **06.15** მხ/ფ "**გრაფი მონტე-კრისტო**" *IV* სერ. **07.45** ღვთის სახლი (აფხაზეთი) **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** მწვანე არქიტექტურა **10.05** ღვთის სახლი **11.20** ისტორიის გაკვეთილი **12.10** პორტრეტები **14.00** მოკ./ფ "**კაცები**" **13.30** კონცერტი -ახალგაზრდული ორკესტრი ლევ მარკიზის დირიჟორობით **15.05** სახლი ღვთისა (აფხაზეთი) **15.30** მხ/ფ "**ნერგები**" **17.00** კვირიაკე **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**თემო**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "წმინდა დიდმოწამე აბიბოს ნეკრესელი" **23.35** დ/ფ "ქვათახევის მონასტერი" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ "**მოხუცი და ზღვა**".

შაბათი 13 დეკემბერი

08.00 ან/ფ "კრიპტო სუპერ ძაღლი" **09.00** ან/ფ "ორი ლოთხენი" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. "**დღეები ლეონესთან ერთად**" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "სპექტაკლის დრო" **14.00** მხ/ფ "**ოცნების მოედანი**" **16.30** ქართ. მხ/ფ "**ფიროსმანი**" **18.00** დ/ფ "რევოლუცია და მოდა" **19.00** "ეტალონი" **21.00** ტ/სერ. "**ფრანგული სოფელი**" **22.00** "შეხვედრები მწერალთა სახლში" **23.00** "წითელი ზონა" **00.00** მხ/ფ "**ჯუდი**" **02.10** "ეტალონი" **03.10** მხ/ფ "**ოცნების მოედანი**" (კ.კოსტნერი).

08.00 კურიერის დაიჯესტი **08.30** მხ/ფ. **10.30** კომედი შოუ **11.00** ექიმები **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.00** კურიერი **12.30** ბიზნეს კურიერი **14.00** ვინ დაამარცხებს ვასოს **15.30** ნიჭიერი **19.00** იღბლიანი ბორბალი **20.00** გააცინე და მოიგე **22.30** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **23.30** რა? სად? როდის? **01.00** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა გ/ჩ **03.30** მხ/ფ.

7.00, 2.00 ახალი ამბები **7.20** მულტფილმი "**მაგიის რაინდები**" **9.00 სერიალი "ასი"** **10.00** *NX* სპიკერი ტელეპრეზენტაცია **10.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **11.00** ბიზნესკონტაქტი ანალიტიკა **11.50, 14.50, 18.35** კვირის აზრები **12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **12.00, 15.00, 18.00** (ახალი ამბები) **12.30** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **12.50** გადაცემა "**60** კითხვა ინტერიერში" **13.05 სერიალი "10 წლის შემდეგ"** **15.30** გადაცემა "ფული და სურვილები" **16.00 სერიალი "სიყვარულის იმპერია"** **17.00** ოთარ ტატიშვილის შოუ **18.45 სერიალი "სხვისი სხეული"** **20.30** გადაცემა "უცნობი ისტორიები" **21.00** თოქ-შოუ სუბიექტური აზრი **23.00** გადაცემა "მუსიკალური საღამოები მაესტროზე" **0.00 სერიალი "მდუმარენი"**.

07.30 ან/ფ "ლეგენდა მძინარე მზეთუნახავზე" **08.00** მხ/ფ "**ყველა ამბობს" რომ მიყვარხარ**" **10.15** ეკოვიზია **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა. **11.15** ვაკანსია **12.00** სერ. "**რობინ ჰუდის თავგადასავალი**" **5** სერ. **13.00** კულინარიული დუელი **14.40** სერ."**უდანაშაულო**" **17.35** სერ."**ბოშა ქალი**" **18.45, 19.03** სერ."**ღირსების საქმე**" **20.55** სერ. "**დიდი სახლის პატარა დიასახლისი**" **22.00, 23.00, 00.00** სერ. "**შუა ქალაქში – 6**" **1-2-3** სერ. **01.00** მხ/ფ "**ლამაზი მერის ამბავი**".

06.10 მხ/ფ "**მოხუცი და ზღვა**" **07.20** მოგზაურობა სამშობლოში **07.45** ღვთის სახლი (აფხაზეთი) **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "ჩვენი საგანძური" - პეტრიწონის ღვთისმშობლის ხატი (ნ.ბურჭულაძე) . გვანცელაძე **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ქართ. მულტფილმი **10.55** კვირიაკე **12.10** მხ/ფ "**თემო**" **13.35** "წმინდანთ ცხოვრება" ვახტანგ გორგასალი **14.00** ღია აუდიტორია **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05** ოპერა - "ნაბუქო" **17.30** დ/ფ "მთასაყდარი" **18.10** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ევრომასტერი **19.35** ქართული ალბომი **20.00** "ერთსულოვნების სალონი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** ქრისტიანული ხელოვნება **22.25** დ/ფ "წმინდა მეფე ვახტანგ გორგასალი" **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "დიდი ანდიას ნაკვალევზე" **00.35** დროის ჩანაწერები **01.20** მხ/ფ "**გვირაბი**" **/** სერ.

კვირა 14 დეკემბერი

08.00 ან/ფ "კრიპტო სუპერ ძაღლი" **09.30** ან/ფ "ვან ჰელსინგი: დავალება ლონდონში" **10.30** "ყოჩაღების ქუჩაზე" **11.00** ტ/სერ. "**დღეები ლეონესთან ერთად**" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "ვაშინგტონი დღეს" **13.00** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **13.30** მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი თელავში **14.00** მხ/ფ "**ჯუნიორი**" **16.30** ქართ. მხ/ფ "**ხევსურული ბალადა**" **18.00** მხ/ფ "**ბორნის ინდეტიფიკაცია**" (მ.დეიმონი) **20.00** "ტელებლოგი" **21.00** ტ/სერ. "**ფრანგული სოფელი**" **22.00** "მშვიდობით იარაღო" **23.00** მხ/ფ "**სიყვარულის ზღვა**" (ა.პაჩინო) **01.00** მხ/ფ "**ფიფი**" **02.40** "შეხვედრები მწერალთა სახლში" **03.40** მხ/ფ "**ჯუნიორი**".

08.00 კურიერის დაიჯესტი **08.30** მხ/ფ. **10.30** "სახლი" **11.00** ეკი ვოკი **12.00, 15.00, 18.00, 03.00** კურიერი **12.30** ვანოს შოუ **14.00** იღბლიანი ბორბალი **15.30** ქერის უბანი **16.00** ბრავო **18.40** ექიმები **19.40** კომედი შოუ **21.00** *P.S.* **22.30** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **23.30** სოციალური ცელი **01.00, 03.30** მხ/ფ.

7.00, 2.00 ახალი ამბები **7.20** მულტფილმი "**მაგიის რაინდები**" **9.00 სერიალი "რვაფეხა"** **10.00** *NX* სპიკერი ტელეპრეზენტაცია **10.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **11.00** დოკუმენტური სერიალი "ქალაქი და ადამიანი" **11.30** უცნობი ისტორიები **11.55, 14.50, 17.50** კვირის აზრები **12.00, 15.00, 18.00, 21.00** მაესტრო **12.00, 15.00, 18.00, 21.00** (ახალი ამბები) **12.30** გადაცემა „თეკუნას კულინარიუმი" **13.10** გადაცემა "იდ" **13.35** "*XLUB* **11**" **15.30** "ინ-ფაქტი" (კვირის კოლაჟი) **16.00 სერიალი "სიყვარულის იმპერია"** **17.00** გადაცემა "მუსიკალური საღამოები მაესტროზე" **18.30** "მონიტორი/ჟურნალისტური გამოძიება **19.00 სერიალი "სხვისი სხეული"** **20.00** გადაცემა "ფული და სურვილები" **20.30** "აბების" კვირის ანეკდოტები **21.30 სერიალი "10 წლის შემდეგ"** **23.00** ოთარ ტატიშვილის შოუ **0.00 სერიალი "მდუმარენი"**.

07.30 სერ. "**სონის შანსი**" **1** სერ. **08.00** მხ/ფ "**უკვდავები**" **10.00** სტუმრად იუმორინასთან **11.00, 14.00, 17.00** ქრონიკა **11.15** ბასტი ბუბუ **12.00** სერ. "**რობინ ჰუდის თავგადასავალი**" **6** სერ. **13.00** *EMERGENCY* **14.35** იმედის გმირები **15.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **17.35** ცეკვავენ ვარსკვლავები **20.00** იმედის კვირა **22.00** შალვა რამიშვილის შოუ **23.00** ქ/სერ. "**ფსიქოპათთა თამაშები**" **7** სერ. **00.00** მხ/ფ "**ქლოი**" **01.40** მხ/ფ "**ლამაზი მერის ამბავი**" (ბ.სტილერი).

06.10 საგალობელი **06.15** დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.40** მულტფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** საკვირაო სახარების განმარტება **08.40** ღვთის სახლი **08.55** შვიდგზის ლოცვა **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.15** სიახლენი **10.40** ივერიის ეკლესია **10.55** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **11.25** ქართული ალბომი **12.10** მხ/ფ "**ლაქა**" **13.25** ქრისტიანული ხელოვნება **14.10** ისტორიის გაკვეთილი **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05, 18.05, 21.05, 00.05** პატრიარქის ქადაგება **15.20** მგზავრები წუთისოფლისა **15.50** ევრომასტერი **16.05** ერთსულოვნების სალონი **17.00** ეპოქის სახელები **17.25** დ/ფ "წმინდა მეფე ვახტანგ გორგასალი" **18.30** დროის ჩანაწერები **19.20** "ჩვენი ამბავი" **19.30** მხ/ფ "**პარასერიოზული კაცი**" **21.40** კვირიაკე **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "უაილდ ვესთის მხედრები" **00.30** პორტრეტები **01.20** მხ/ფ "**გვირაბი**" // სერ.

რᲝᲛᲔᲚᲘᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲐᲡᲢᲠᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠ-ᲛᲐᲒᲘᲣᲠᲘ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ ᲓᲐ ᲠᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲘᲡ



რუᲑᲠᲘᲙᲐᲡ უᲫᲦᲕᲔᲑᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ, ᲐᲡᲢᲠᲝᲚᲝᲒᲘ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲪᲐᲒᲐᲠᲔᲚᲘ

ᲐᲡᲢᲠᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲘ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲛᲐ ᲒᲐᲘᲒᲝᲡ, ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲐᲛᲥᲕᲔᲧᲜᲐᲓ, ᲠᲐ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ ᲐᲙᲘᲡᲠᲘᲐ, ᲠᲘᲡᲙᲔᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲡᲬᲠᲐᲤᲝᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲠᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲡᲬᲠᲝᲗᲡ ᲐᲛ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ. ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲪᲜᲝᲑᲐᲓ ᲙᲘ, ᲠᲘᲪᲮᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲐ ᲓᲐᲒᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲗ. ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲨᲔᲘᲪᲜᲝᲗ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲗᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲔᲠᲙᲕᲔᲕᲘᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲑᲔᲓ-ᲘᲚᲑᲐᲚᲨᲘ. ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲘᲡ, ᲗᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲯᲐᲛᲔᲑᲐ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲗᲣ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ 15 ᲛᲐᲠᲢᲘ, 1974 ᲬᲚᲘᲡ, ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲛᲐᲒᲘᲣᲠᲘ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲘᲦᲝᲡ, ᲐᲡᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲙᲠᲘᲑᲝᲡ ᲠᲘᲪᲮᲕᲔᲑᲘ: 1+5+0+3+1+9+7+4=30=3+0=3. ᲐᲛᲠᲘᲒᲐᲓ, ᲐᲛ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲣᲠᲘ ᲪᲘᲤᲠᲘᲐ 3.

ᲒᲐᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲜᲣᲛᲔᲠᲝᲚᲝᲒᲘᲐ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐᲕᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲜᲘᲨᲜᲐ ᲪᲘᲤᲠᲔᲑᲡ, ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲙᲚᲘᲡᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲔᲑᲘ 10, 11, 12 ᲓᲐ 13 ᲠᲘᲪᲮᲕᲔᲑᲘ. ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲔᲑᲡ, ᲐᲛᲐᲡ ᲥᲕᲔᲛᲝᲗ ᲓᲐᲐᲙᲕᲘᲠᲓᲘᲗ:

1 – გიყვართ საზოგადოებაში ყოფნა და ყურადღების მიპყრობა. ეძიეთ ახალი გზები, რათა დაიკავოთ ლიდერის პოზიცია. მუდმივი წინსვლა, როგორც პირად, ისე სოციალურ სფეროში, იმის მანიშნებელია, რომ თქვენ სწორი, ევოლუციური გზით მიდიხართ. მეტად გამოავლინეთ სამართლიანობა, დიპლომატია და გქონდეთ გადაწყვეტილების დროულად მიღების უნარი. თქვენი პოტენციალის რეალიზება შეგიძლიათ სხვადასხვა სახელმწიფო სამსახურში, პოლიტიკაში, მედიცინაში, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, ავიაციაში, სამთო-ქიმიასა და ავანგარდულ ხელოვნებაში.

2 – ორიენტირებული უნდა იყოთ მატერიალური და სულიერი სიმდიდრის დაგროვებასა და შემდეგ, მის სწორად გამოყენებაზე. თქვენი ამოცანაა, ისწავლოთ გარემოზე ჰარმონიული მორგება. გჭირდებათ მეტი მოთმინების უნარი, შრომისმოყვარეობის გამოვლენა და შეუპოვრობა. ადვილად შეგიძლიათ, საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება ფინანსურ სფეროში, საარქივო და სამუზეუმო საქმიანობაში, ვაჭრობაში, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში, დიეტოლოგიაში, კვების მრეწველობასა და მოდის სამყაროში.

3 – მეტი დრო დაუთმეთ ინფორმაციის მოპოვებას. ბევრი ისწავლეთ და ირგვლივ შემოიკრიბეთ ერთგული ადამიანები. თქვენი ვალია, დაამყაროთ კონტაქტები, უხელმძღვანელოთ ადამიანებს, განავითაროთ დიპლომატიური ურთიერთობები, გაანეიტრალოთ უნდობლობა კოლექტივში. ადვილად მიაღწევთ წარმატებას ხელოვნებაში, დიპლომატიაში, ბიზნესში, ჟურნალისტიკაში, რეჟისურაში, მუსიკაში, ქორეოგრაფიაში, მეწარმეობაში.

4 – თქვენი უმთავრესი ამოცანაა, დაეხმაროთ სხვებს. მართალია, ცხოვრებაში ბევრი წინაღობა და ბარიერი გხვდებათ, მაგრამ, ამასთან შეგუება და გამკლავებაც უნდა შეგეძლოთ. ისწავლეთ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება. წარმატებებს კი ადვილად მიაღწევთ: ისტორიაში, არქეოლოგიაში, სასტუმროების ბიზნესში, სამუზეუმო საქმიანობაში, არქიტექტურაში, საკვები პროდუქტების წარმოების სფეროში.

5 – გამოავლინეთ მეტი შემოქმედებითი უნარი. მეტი წინდახედულება გმართებთ. ისწავლეთ არასტანდარტული გადაწყვეტილებების მიღება და ნუ შეგეშინდებათ სიახლეების. სადაც საჭიროა, თქვენი ნიჭი და უნარი თამამად გამოავლინეთ. ასევე, თქვენი ნიჭი საშუალებას მოგცემთ წარმატებული იყოთ: საიუველირო სფეროში, პლასტიკურ ქირურგიაში, კარდიოლოგიაში, სტომატოლოგიაში, ესტრადაზე, კინოსა და ტელევიზიის სფეროებში. თქვენ სანაქებო ხელმძღვანელი ხართ და ამას გარშემო მყოფებიც აფასებენ.

6 – მთავარია, ისწავლოთ შეგუება არსებულ სიტუაციასთან. იყავით შინაგანად თავისუფალი, დაემორჩილეთ მოვლენებს. ისწავლეთ საქმეების მშვიდად კეთება. თქვენი შესაძლებლობები შეგიძლიათ, გამოიყენოთ იქ, სადაც საჭიროა დისციპლინა, მოთმინება, შრომისმოყვარეობა და ამტანობა. ასევე, კარგია ძალების მოსინჯვა ანალიტიკურ და ფილოსოფიურ სფეროებში, ეკონომიკაში, ფიზიკა-მათემატიკაში, მხატვრობაში, სააფთიაქო ბიზნესში.

7 – ხშირად გიწევთ მოწინააღმდეგეებთან ურთიერთობის გარკვევა. ეცადეთ, შეინარჩუნოთ შინაგანი სიმშვიდე და არ გამოხვიდეთ წყობიდან. ისწავლეთ საერთო ენის გამონახვა, ნუ ეცდებით, გამარჯვების ნებისმიერი გზით მოპოვებას. იყავით კეთილსინდისიერი, დიპლომატიური მოლაპარაკებების გზით მოაგვარეთ საქმე და იზრუნეთ სხვებზე. თქვენგან კარგი ორატორი და სცენარისტი დადგება, ამიტომ, გირჩევთ, ამ სფეროში დახარჯოთ ძალები.

8 – ისწავლეთ ცვლილებების დროს ორიენტირება გარემოებებზე, მიიღეთ სწორი გადაწყვეტილებები და აიღეთ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა. თქვენთვის რისკი აუცილებელია და ამაში ხშირად გიმართლებთ კიდეც. ყველაზე მეტად წარმატებული კი სამედიცინო სფეროში იქნებით.

9 – მთავარია, არ ჩაიკეტოთ საკუთარ თავში. გახდით სულიერად უფრო ძლიერი. გათავისუფლდით სტერეოტიპებისგან, შეხედეთ სამყაროს ახლებურად, შეცვალეთ ხედვა. სცადეთ ბედი: ფილოსოფიაში, სოციოლოგიაში, პედაგოგიკაში, რელიგიასა და სხვადასხვა საზოგადოებრივ საქმიანობაში.

10 – მეტად გამოავლინეთ ლიდერული თვისებები. გააცნობიერეთ ყველა მოვლენა, რაც თქვენ გარშემო ხდება. მთავარია, არ შეცდეთ არჩევანში. სწორი გზის მაჩვენებელია წინსვლა კარიერაში, აღიარება კოლეგების მხრიდან. თუ ეს ასე არ ხდება, ესე იგი, თქვენ არასწორი ცხოვრების გზა აირჩიეთ. შეცვალეთ კურსი და სცადეთ ბედი სახელმწიფო სამსახურში, ფსიქოლოგიაში, სამხედრო სტრუქტურებში – აქ ნამდვილად გაგიღიმებთ ბედი.

> *„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*
>
> **ᲙᲣᲠᲢ ᲕᲝᲜᲔ�გᲣᲢᲘ**

11 – იყავით მეტად მომთმენი, შრომისმოყვარე და მიაღწიეთ ჰარმონიას ადამიანებთან ურთიერთობებში. უნდა ეცადოთ, იმუშაოთ თანამოაზრეებთან ერთად, სოციალურ და საქველმოქმედო საქმიანობაში. იპოვეთ არაფორმალური ლიდერის ადგილი, რომლისთვისაც კოლექტივის ინტერესები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საკუთარი. თქვენი პოტენციალის რეალიზება შეგიძლიათ საზოგადოებრივ საქმიანობასა და საქველმოქმედო ორგანიზაციებში. ამიტომ, ორიენტირება ასეთ სფეროებზე გააკეთეთ.

12 – ისწავლეთ ორგანიზებულობა და მეტად ენდეთ ადამიანებს. თქვენი პოტენციალის სრული გამოვლენისთვის საჭიროა, ემსახუროთ სიკეთესა და კეთილშობილებას. თქვენთვის საჭიროა მუშაობა ისეთ სფეროში, სადაც შეძლებთ სხვებს დაეხმაროთ, მაგალითად, საავადმყოფოში, კლინიკებში, ასევე, პოლიტიკაში. მთავარია, გამოავლინოთ ამტანობა, მოთმენა და ნებისყოფა.

13 – თქვენს პოტენციალს კარგად წარმოაჩენთ შემოქმედებით სფეროებში, პოლიტიკაში. მთავარია, არ იყოთ ამპარტავანი და არ მიგაჩნდეთ თავი გმირად. ნუ მოექცევით ჩარჩოში, უფრო მეტად გამოავლინეთ თქვენი ნიჭი და უნარი. ეცადეთ, ყველა გზით დაიმკვიდროთ ადგილი ცხოვრებაში და გახდეთ ცნობილი, წარმატებული პიროვნება. ეს თქვენ ნამდვილად გამოგივათ და ამაში თქვენი ზომაზე მეტად განვითარებული ინტუიციაც დაგეხმარებათ.

ᲜᲝᲜᲐ ᲓᲐᲗᲔᲨᲘᲫᲔ

ვერძი

ეცადეთ მთელი ენერგია საქმეებს დაახარჯოთ. თუმცა, ეს დრო არ არის წარმატებების მისაღწევად ხელსაყრელი. ჯობია, ადრე დაწყებული საქმეები დაასრულოთ. სამსახურში მოერიდეთ სასიყვარულო ურთიერთობის დაწყებასა და საკუთარ პირად თემებზე საუბარს.

კურო

საყვარელი ადამიანი დიდ როლს შეასრულებს თქვენს ცხოვრებაში. ის შეგიქმნით ოპტიმისტურ განწყობას და გიბიძგებთ, ნაყოფიერად იმუშაოთ. წინასწარ დააწყვეთ გეგმები და მშვიდად იმოქმედეთ. იყავით მეტად თამამი.

ტყუპები

კარგი დროა პროფესიონალური საქმიანობისთვის და სამსახურში ავტორიტეტის ასამაღლებლად. თქვენი ცხოვრება მრავალფეროვანი გახდება, რაც განწყობას აგიმაღლებთ. წარმატებულად ივლით მიზნისკენ. ახალი ნაცნობობა კი ბევრ რომანტიკულ წუთს გაპირდებათ.

კირჩხიბი

ეცადეთ, ბევრი იშრომოთ და დაამყაროთ ახალი კავშირები. თუ კარგად დაგეგმავთ ნაბიჯებს, წარმატებებს ადვილად მიაღწევთ. ნუ იმოქმედებთ ფარულად და კანონის დარღვევით. სასიყვარულო სფეროში მშვიდი დამოკიდებულება შეინარჩუნეთ.

ლომი

თავს კარგად იგრძნობთ და ბევრ დროს დაუთმობთ მხიარულებასა და დროსტარებას. წარმატებული აღმოჩნდება საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობაც. ფინანსურ მოგებას მოგიტანთ ვაჭრობა, გარშემო მყოფები კი ყველაფერში მხარში დაგიდგებიან. არ არის გამორიცხული, ფარული სასიყვარულო გრძნობაც გაჩნდეს.

ქალწული

დაინტერესდებით კარიერული წინსვლით და ამის გამო ოჯახს თქვენი ყურადღება მოაკლდება. არ გაგიჭირდებათ სამომავლო გეგმების დასახვა, რაშიც ახალი კავშირები შეგიწყობთ ხელს. სასიყვარულო ურთიერთობაში იყავით მეტად რომანტიკული.

სასწორი

კარგია ძველი საქმეების დასრულება და ავტორიტეტის ამაღლებაზე ზრუნვა. ნუ დაიწყებთ ახალ საქმეს, თუ ყველა დეტალს კარგად არ გათვლით. საყვარელ ადამიანთან მოერიდეთ კონფლიქტს. ხშირად დაისვენეთ და აღიდგინეთ ძალები.

მორიელი

კარგია ახალი საქმის დაწყება. თქვენი კომუნიკაბელურობის წყალობით, ბევრ მოლაპარაკებას დასრულებთ. ასევე, კარგია ახალი კავშირების დამყარება. მთავარ მიზნად დასახეთ სტაბილური ფინანსური შემოსავალი. სასიყვარულო სფეროში კი, დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერაფერს შეცვლით.

მშვილდოსანი

მოხდება თქვენი ცხოვრებისეული შეხედულებების ტრანსფორმაცია. საქმეში გონივრულად გადადგმული ნაბიჯები კარგ ფინანსურ შემოსავალს გპირდებათ. კარგია პარტნიორებთან მოლაპარაკებები და ოჯახში მშვიდი გარემოს შექმნა. მოერიდეთ ხალხმრავალ ადგილებს.

თხის რქა

ფინანსებთან დაკავშირებული ოპერაციების წარმართვა მომავალში მოგებას მოგიტანთ. მოერიდეთ ფარულ გარიგებებს და ნუ დაარღვევთ კანონს. ინტუიცია დაგეხმარებათ სწორი არჩევნის გაკეთებაში. ეცადეთ, მეტი დრო დაუთმოთ ჯანმრთელობას. ნუ დატოვებთ უყურადღებოდ საყვარელი ადამიანის მოთხოვნებს.

მერწყული

გაგიფუჭდებათ გუნება-განწყობა, რაც საქმეშიც შეგიშლით ხელს. სასიცოცხლო ენერგეტიკა დაქვეითებას იწყებს, ამიტომ, მოერიდეთ ზედმეტ ემოციურობას და აკონტროლეთ სიტყვები და ქცევები. კარგია სწავლა, სამომავლო გეგმების დაწყობა. არ არის გამორიცხული, ახალ სასიყვარულო გრძნობას ჩაეყაროს საფუძველი.

თევზები

ინტენსიური შემოქმედებითი პერიოდია, რომელიც სავსე იქნება ახალი საქმეებითა და გართობით. მოგებას მოგიტანთ გარიგებები. სასიყვარულო სფეროში კი, ჯობია, ნაკლებად იეჭვიანოთ, რათა საყვარელი ადამიანი არ გააღიზიანოთ. კარგია მკურნალობის დაწყება.

ახალმთვარეობა – 22 დეკემბერი, 01:50 სთ.

კვირის დღეების ასტროპროგნოზი

ორშაბათი
გეომაგნიტური დღე

ისწავლეთ სხვისი აზრის მოსმენა. კარგია სწავლა, სამეცნიერო კვლევა, ინტელექტუალური საქმიანობა, სასიყვარულო კავშირები. მოერიდეთ სესხის აღებას, ნუ გასცემთ დაპირებებს. დაეყრდენით ინტუიციას. ატარეთ ვერცხლისფერი, ცისფერი, იისფერი, მწვანე, თეთრი ან ნაცრისფერი სამოსი; ქვებიან კი – ზურმუხტი, ოპალი, მარგალიტი, ამეთვისტო ან რუხი ტოპაზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა ფინანსური გარიგებები, კაპიტალდაბანდება. სუსტდება მკერდი, კუჭი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი.

პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის;

ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ლომებისთვის, სასწორებისთვის, მერწყულებისთვის.

სამშაბათი

მოერიდეთ ქედმაღლობას, ტრაბახსა და ეგოიზმის გამოვლენას. ნუ იქნებით ზედმეტად ეჭვიანი. ატარეთ მწვანე, თეთრი, იისფერი, ვერცხლისფერი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ზურმუხტი, ლაბრადორი, მალაქიტი, მარჯანი ან აქატი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა სასიყვარულო შეხვედრები, სახლის მშენებლობის დაწყება, ადგილსამყოფლის შეცვლა, სესხის აღება. კარგია საოჯახო ურთიერთობები. სუსტდება კუჭი, მკერდი, ღვიძლი.

პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თევზებისთვის;

ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის.

ოთხშაბათი
გეომაგნიტური დღე

გაამახვილეთ პასუხიმგებლობა. ნუ იქნებით აგრესიული და ზედმეტად მომთხოვნი. ატარეთ წითელი, ყვითელი, შინდისფერი, ლურჯი, ჩალისფერი ან ნარინჯისფერი სამოსი; ქვებიდან – ბრილიანტი, მთის ბროლი, ქარვა ან სარდიონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. არ ვარგა ფინანსური გარიგებები, ხელშეკრულებების დადება, ადგილსამყოფლის შეცვლა. კარგია იურიდიული საქმიანობა, მშენებლობის დაწყება. სუსტდება გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი.

პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, სასწორებისთვის;

ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის.

ხუთშაბათი
გეომაგნიტური დღე

კარგია იურიდიული საქმიანობა, ხელმძღვანელ პირებთან ურთიერთობა, გართობა, მეგობრული კონტაქტები, თმის შეჭრა, მშენებლობის დაწყება. ატარეთ წითელი, შინდისფერი, ყვითელი, ლურჯი ან ნარინჯისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ბრილიანტი, მთის ბროლი, ქარვა ან სარდიონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა ფინანსური გარიგებები, სასიყვარულო შეხვედრები. სუსტდება გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი.

პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის, ლომებისთვის;

ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, თევზებისთვის.

პარასკევი

კარგია ინტელექტუალური საქმიანობა, ოპტიმიზმის გამოვლენა, უცხოელებთან ურთიერთობა, მოგზაურობა, იურიდიული საქმიანობა, ახალი სამსახურის დაწყება. ატარეთ წითელი, ყვითელი, ნარინჯისფერი, ლურჯი, შავი, მწვანე, ყავისფერი, ვერცხლისფერი ან ოქროსფერი სამოსი; ქვებიდან კი – ბრილიანტი, მთის ბროლი, ქარვა ან სარდიონი. ყურადღებას ნუ მიაქცევთ სიზმრებს. არ ვარგა სასიყვარულო შეხვედრები, ფინანსური გარიგებები. სუსტდება გულ-სისხლძარღვთა და ნაწლავთა სისტემები.

პოზიტიური დღეა: მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის;

ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის.

შაბათი

ნუ აჰყვებით საეჭვო გარიგებებს. გაგიჭირდებათ სწორი არჩევნის გაკეთება. არ ვარგა სასიყვარულო შეხვედრები, გამოცდების ჩაბარება, ახალი ნაცნობობა, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. ატარეთ ყავისფერი, კრემისფერი, ყვითელი, მწვანე, ნაცრისფერი ან ნარინჯისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ყვითელი ან მწვანე იასპი, ოპალი, ონიქსი ან ამაზონიტი. ყურადღებას ნუ მიაქცევთ სიზმრებს. კარგია ვაჭრობა, სწავლა, დიეტის დაწყება, თმის შეჭრა. სუსტდება ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი.

პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის;

ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, სასწორებისთვის.

კვირა
გეომაგნიტური დღე

კარგია უცხოელებთან კონტაქტი, გართობა. მოიმატებს რომანტიკულობა. ატარეთ ყავისფერი, ჩალისფერი, მწვანე, ნაცრისფერი ან ნარინჯისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ყვითელი ან მწვანე იასპი, მალაქიტი, ოპალი, ქრიზოპრაზი ან რუხი ტოპაზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა სასიყვარულო ურთიერთობები, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. კარგია ვაჭრობა, სწავლა, დიეტის დაწყება, თმის შეჭრა. სუსტდება ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი.

პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, მორიელებისთვის;

ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.

გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.

შეგიძლია მოსმენა

შეიძლება, ფიქრობთ, რომ მოსმენა ყველას შეუძლია. ნამდვილად არ არის ასე და სწორედ ამიტომაც ხდება ამდენი კონფლიქტი. შეამოწმეთ საკუთარი თავი.

1. როცა ვინმესთან საუბარს ვიწყებ, აუცილებლად გვერდზე გადავდებ ხოლმე საქმეს; ტელევიზორსაც კი ვთიშავ:

ა) არასდროს ვაკეთებ ასე – 0 ქულა;
ბ) ზოგჯერ ასეც ვაკეთებ – 1 ქულა;
გ) ყოველთვის – 2 ქულა.

2. მე ყოველთვის ახლოს ვჯდები იმ ადამიანთან, ვისაც ვესაუბრები – პირისპირ მიყვარს საუბარი:

ა) არასდროს ვიქცევი ასე – 0 ქულა;
ბ) ზოგჯერ ასეა – 1 ქულა;
გ) ყოველთვის ასე ვიქცევი – 2 ქულა.

3. მუდმივად ვაკონტროლებ, როგორ ეცვლება მოსაუბრეს ინტონაცია, რათა უკეთესად გავუგო მას:

ა) ამას არასდროს ვაკეთებ – 0 ქულა;

ბ) ზოგჯერ მართლაც ასეა – 1 ქულა;
გ) დიახ, ასეც უნდა იყოს – 2 ქულა.

4. საუბრისას პარტნიორს ყოველთვის სახეში ვუყურებ და თვალს არ ვაშორებ:

ა) არა, ასე არ ვიქცევი – 0 ქულა;
ბ) ზოგჯერ ეს აუცილებელია – 1 ქულა;
გ) რა თქმა უნდა, ყოველთვის ასე ვიქცევი – 2 ქულა;

5. მოსაუბრეს არ ვაწყვეტინებ ლაპარაკს:

ა) არასოდეს ვიქცევი ასე – 0 ქულა;
ბ) ზოგჯერ ამას ვცდილობ – 1 ქულა;
გ) ხშირად ასეც მომხდარა – 2 ქულა.

6. საუბრისას ვანიშნებ, რომ ვუსმენ, ვუქნებ თავს, ვუღიმი:

ა) ასე არასდროს ვიქცევი – 0 ქულა;
ბ) მინდა, ასე მოვიქცე, მაგრამ, იშვიათად, გამომდის – 1 ქულა;
გ) აუცილებლად – 2 ქულა.

7. საუბრისას მე არ ვპასუხობ ტელეფონის ზარებს და არაფერს არ ვაქცევ ყურადღებას:

ა) რატომ მოვიქცე ასე? არა – 0 ქულა;
ბ) ზოგჯერ კი – 1 ქულა;
გ) მუდამ ასე ვიქცევი – 2 ქულა.

8. როგორიც არ უნდა იყოს საუბრის თემა, მაინც ყურადღებით ვუსმენ:

ა) არა, არასოდეს – 0 ქულა;
ბ) ზოგჯერ ასეც ვიქცევი – 1 ქულა;
გ) მუდმივად – 2 ქულა.

9. დროდადრო ჩემი სიტყვებით ვახერხებ მისი სათქმელის ჩამოყალიბებას:

ა) არა. რისთვის? – 0 ქულა;
ბ) ზოგჯერ კი – 1 ქულა;
გ) დიახ, ასეც უნდა იყოს – 2 ქულა.

10. საუბრისას ხშირად ვუსვამ შეკითხვებს საკითხის დასაკონკრეტებლად:

ა) არა. მეზარება – 0 ქულა;
ბ) ზოგჯერ ასეც ხდება – 1 ქულა;
გ) დიახ, ყოველთვის – 2 ქულა.

11. არასდროს ვბრაზობ, თუკი მოსაუბრეს უჭირს სათქმელისთვის თავის მობმა:

ა) პირიქით, ვბრაზდები – 0 ქულა;
ბ) ვცდილობ, არ გავბრაზდე – 1 ქულა;
გ) არა, რა თქმა უნდა – 2 ქულა.

12. არ ვაწყვეტინებ მოსაუბრეს, როცა ის დაუსრულებლად იმეორებს ერთსა და იმავეს:

ა) არ ვიქცევი ასე – 0 ქულა;
ბ) ზოგჯერ ასეც ხდება – 1 ქული;
გ) დიახ, სულ ასეა – 2 ქულა.

13. თუ მოსაუბრე ნერვიულობს, მე მის გამხნევებას ვცდილობ:

ა) არა – 0 ქულა;
ბ) ზოგჯერ – 1 ქულა;
გ) დიახ, ყოველთვის – 2 ქულა.

14. ვერ ვითმენ, მოსაუბრეს ხშირად ვაწყვეტინებ სიტყვას და მის ფრაზებს ვამთავრებ:

ა) დიახ, ზუსტად ასე ვიქცევი – 0 ქულა;
ბ) ზოგჯერ ასეც ხდება – 1 ქულა;
გ) არა, ასე არ ვიქცევი – 2 ქულა.

15 საუბრისას არ ვაცეცებ თვალებს და ხშირ-ხშირად არ ვიყურები საათზე:

ა) ასე არ ვიქცევი – 0 ქულა;
ბ) ზოგჯერ ასე მემართება – 1 ქულა;
გ) დიახ, სულ ასე ვიქცევი – 2 ქულა.

16. საუბრისას ხმას არასდროს ვუწევ:

ა) ასე არ ვიქცევი, პირიქით – 0 ქულა;
ბ) ზოგჯერ ვახერხებ – 1 ქულა;
გ) დიახ, ვახერხებ ამას – 2 ქულა.

17. პატივს ვცემ მოსაუბრის ემოციებს და თანავუგრძნობ მას:

ა) არ გამომდის – 0 ქულა;
ბ) ზოგჯერ – 1 ქულა;
გ) დიახ, რა თქმა უნდა – 2 ქულა.

18. თუ პარტნიორი საუბრისას თან რაღაცას მეკითხება, მაშინვე გულწრფელად ვპასუხობ:

ა) არა – 0 ქულა;
ბ) იშვიათად – 1 ქულა;
გ) დიახ, მუდმივად – 2 ქულა.

19. არ მეშინია, ვთქვა: „არ ვიცი“ და „ეს ასე არ არის“!

ა) ამას ვერ ვახერხებ – 0 ქულა;
ბ) ზოგჯერ – 1 ქულა;
გ) დიახ, ყოველთვის – 2 ქულა.

შედეგები:

0-15 ქულა: ძალიან გიჭირთ მოსაუბრეს მოუსმენოთ. ეს თქვენთვის ტანჯვაა.

15-28 ქულა: ძალიან მონდომებული მსმენელი ხართ.

28-38 ქულა: მოსმენის იშვიათი ნიჭი გაქვთ. ყველა ცდილობს, თქვენ მოგიყვეთ თავისი ამბავი. მაგრამ, თუ ზომიერებას არ მოუხმობთ, უბრალოდ, ცოდვა ხართ – ყველა სათავისოდ გამოიყენებს იმას, რომ ფანტასტიკურად გეხერხებათ მოსმენა და თანაგრძნობა და ძალიან „დაგგრუზავენ“.

ელენე წულუკიძე

რა მოხდა ამ დღეს

8 დეკემბერი

1938 – საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად დაინიშნა ლავრენტი ბერია.

1980 – ჯონ ლენონის მკვლელობა.

1987 – ჰელსინკში მიხეილ გორბაჩოვმა და რონალდ რეიგანმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ბირთვული იარაღის შემცირების შესახებ.

1987 – დაიწყო ინტიფადა – პალესტინელთა დიდი აჯანყება ისრაელის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე.

1991 – დაიშალა საბჭოთა კავშირი.

9 დეკემბერი

1842 – ინგლისში გამოუშვეს პირველი საშობაო ღია ბარათი.

1884 – ლევანტ რიჩარდსორმა ამერიკის შეერთებულ შტატებში დააპატენტა გორგოლაჭებიანი ციგურები.

10 დეკემბერი

1520 – მარტინ ლუთერმა სახალხოდ დაწვა რომის პაპის ბულა და გამოაცხადა, რომ აღარ ემორჩილება ვატიკანს.

1799 – საფრანგეთში შემოიღეს ათვლის მეტრული სისტემა.

1901 – შედგა ნობელის პრემიების გადაცემის პირველი ცერემონიალი.

1948 – „გაერომ“ მიიღო ადამიანის უფლებათა მსოფლიო დეკლარაცია.

1953 – ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოვიდა ჟურნალ „ფლეიბოის“ პირველი ნომერი.

11 დეკემბერი

1816 – ინდიანა გახდა ამერიკის შეერთებული შტატების მეცხრამეტე შტატი.

1866 – სტარტი აიღო იახტების პირველმა შეჯიბრებამ, რომლის მიზანიც იყო ატლანტის ოკეანის გადაცურვა.

1894 – პარიზში გაიხსნა მსოფლიოში პირველი ავტოსალონი – მონაწილეობდა 9 საავტომობილო ფირმა.

1936 – ინგლისის მეფე ედუარდ მერვე გადადგა და ტახტი დაუთმო თავის ძმას – ჯორჯ მეექვსეს.

1994 – დაიწყო ჩეჩნეთის პირველი ომი.

12 დეკემბერი

1792 – ვენაში 22 წლის ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი მოწაფედ დაუდგა იოზეფ ჰაიდნს.

1901 – იტალიელმა გამომგონებელმა გულიელმო მარკონიმ, წარმატებით განახორციელა პირველი ტრანსატლანტიკური რადიოკავშირი.

1913 – საფრანგეთში პოლიციამ იპოვა 1911 წელს ლუვრიდან გატაცებული „მონა ლიზა“.

1946 – პირველად გამოიტანეს გასაყიდად სარეცხი საშუალება „ტაიდი“.

13 დეკემბერი

1577 – დაიწყო ფრენსის დრეიკის ფლოტილიის მოგზაურობა დედამიწის გარშემო.

1642 – ჰოლანდიელმა ზღვაოსანმა აბელ ტასმანმა აღმოაჩინა ახალი ზელანდია.

2003 – ერაყში, ქალაქ თიქრითში, ამერიკელებმა ტყვედ იგდეს ერაყის ყოფილი დიქტატორი – სადამ ჰუსეინი.

14 დეკემბერი

1900 – გერმანელმა ფიზიკოსმა მაქს პლანკმა პირველად ჩამოაყალიბა კვანტური თეორია.

1901 – ლონდონში ჩატარდა პირველი ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში.

1911 – ნორვეგიელმა ბუნების მკვლევარმა რუალ ამუნდსენმა პირველმა მიაღწია სამხრეთ პოლუსს.

1920 – მოხდა პირველი სერიოზული ავიაკატასტროფა ევროპაში – ლონდონში სამგზავრო თვითმფრინავი დაეჯახა შენობას; დაიღუპა 4 ადამიანი.

როცა ქალს უყვარს...

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №27-48(727)

თვითმფრინავი ნელა შეეხო ასაფრენ ბილიკს, მაგრამ კოტეში მაინც უსიამოვნო შეგრძნება გამოიწვია. მთელი გზა ფიქრებში იყო ჩაფლული და მთლიანად მოსწყდა რეალობას. დათოვლილ მთებში დიანას გვერდით გატარებულმა სამმა დღემ მისი ცხოვრება რადიკალურად შეცვალა – მხატვრულად რომ ვთქვათ, კოტეს არსებაში მიწისძვრა და ვულკანის ამოფრქვევა ერთდროულად მოხდა. საკუთარ თავს აღარ ეკუთვნოდა. უკვირდა, რომ პატარა ბიჭივით დაიმორცხვა დეასთან; უკვირდა ისიც, როგორ სძლია გოგოს მოფერების, გულში ჩახუტების სურვილს და გააოცა იმანაც, რომ საერთოდ არ გასჩენია უხამსი ვნება... დეასთან ყოფნა მასში მხოლოდ ძალიან პოზიტიურ, დადებით ემოციებსა და გრძნობებს აღძრავდა... ფიქრიდან სტიუარდესას წიკვინა ხმამ გამოარკვია:

– შეგიძლიათ, ღვედი მოიხსნათ და ჩასასვლელად მოემზადოთ. თბილისში ვართ!

– დიახ, ახლავე, – კოტე წამოდგა და თაროდან ჩანთა ჩამოიღო. სხვა დროს აუცილებლად შენიშნავდა სტიუარდესას გრძელ ფეხებსა და ღრმა დეკოლტეს და ალბათ, კომენტარის ან კომპლიმენტის გარეშეც არ დატოვებდა, მაგრამ ამჯერად მხოლოდ ნახვამდისო, ჩაიბურტყუნა და გასასვლელისკენ გაემართა. ფეხებს უხალისოდ დგამდა ერთმანეთის მიყოლებით... რას არ მისცემდა, დიანასთან ერთად შვეიცარიაში დარჩენის შესაძლებლობა რომ ჰქონოდა. დაუფიქრებლად გააკეთებდა არჩევანს თავისი ახალი და ყოვლის მომცველი სიყვარულის სასარგებლოდ, ისე, რომ არც კი დასწყდებოდა გული თავის ამჟამინდელ ყოფაზე და, საერთოდ არაფერზე. თუმცა, იმასაც ხვდებოდა, რომ ამის გაკეთებას ვერ შეძლებდა – მისი წარსული და აწმყო ისე მჭიდროდ იყო გადახლართული ერთმანეთთან და ისეთ გავლენას ახდენდა მომავალზეც, რომ ვერაფრით დააღწევდა თავს ამ ობობის ქსელს, მაგრამ ვეღარც დიანას დავიწყებას და მის გარეშე ცხოვრებას შეძლებდა...

კარი თავისი გასაღებით გააღო. უხმაუროდ მოძრაობდა – არ უნდოდა, ზედმეტი ყურადღება მიექცია. ცოლთან შეხვედრას ვერ გაექცეოდა – ეს გარდაუვალი იყო, მაგრამ, მასთან საუბრისთვის სერიოზული მომზადება იყო საჭირო, რასაც ჯერ ვერაფრით მოახერხებდა.

კოტეს დაბრუნება პირველად მარიკამ გაიგო. ლენუკას საძინებელი ბინის სიღრმეში იყო და იქამდე ხმა ძნელად აღწევდა, მით უფრო, რომ ლენუკას მჭიდროდ კარდახურულ და ჩაბნელებულ ოთახში უყვარდა ძილი.

მარიკამ ხალათი შეიკრა და კოტეს ღიმილით მიეგება:

– არ გელოდებოდით. ლენუკას დაავიწყდა, გავეფრთხილებინე.

– არა, მისთვის არაფერი მითქვამს. ვეღარ მოვახერხე, დამერეკა. უცებ გადავწყვიტე დაბრუნება... – დაღლილი ხმით ჩაილაპარაკა კაცმა და ქალს ჩანთა გაუწოდა, – კაბინეტში შეიტანე და მეც იქ გამიშალე. ძალიან დაღლილი ვარ და უნდა დავიძინო. ლენუკას კი, თუ გაეღვიძა, მეეჭვება, ამის საშუალება მომცეს.

– როგორც მეტყვით. მოგიმზადოთ რამე? ყავა, ჩაი, სალათაც გვაქვს, ბუტერბროდებსაც გაგიკეთებთ.

– არაფერი არ მინდა ძილის მეტი...

კოტეს ერთი სული ჰქონდა, ოთახში განმარტოებულიყო და ისევ დეაზე ეფიქრა... გაურკვეველი მომავალი თან აშინებდა, თან სიხარულსაც ჰგვრიდა... ვერ ხვდებოდა, როგორ შეძლებდა სიტუაციის ისე დალაგებას, რომ სერიოზული სკანდალი აერიდებინა თავიდან და იმ ქალის გვერდითაც ეცხოვრა, რომელმაც მისი გული სიყვარულით აავსო.

ლენუკამ მხოლოდ სააბაზანოდან გამოსვლისას შენიშნა სავარძელზე ჩანთა და მაშინვე სამზარეულოში გავარდა.

– მარიკა, ვისი ჩანთაა იქ, კოტე ჩამოვიდა?

– დიახ. გამთენიისას მოვიდა. აღარ გაგაღვიძეთ. თვითონ მთხოვა, არ გააღვიძოო.

– ახლა სად არის?

– კაბინეტში. ძალიან დაღლილი იყო და მაშინვე დაწვა. ჩაიც კი არ დაულევია...

ლენუკას აღარ გაუგონია, რას ელაპარაკებოდა ქალი. ხალათის კალთების ფრიალით და აჩქარებული ნაბიჯით გაეშურა კაბინეტისკენ და მძინარე ქმარს თავზე წამოადგა.

– როგორ მოხდა, ოჯახი რომ გაგახსენდა? გაიღვიძე და დამელაპარაკე! კოტე, არ გესმის?

კაცმა, ისე, რომ თვალი არ გაუხელია, ბალიში დაიდო თავზე და უკმაყოფილოდ დაიზმუვლა.

– არ მესმის, რას ამბობ, გაიღვიძე...

– ცოტა ხანს მაცადე და გავიღვიძებ ჩემით... ლენუკა, ორი ღამეა არ მძინებია.

– ეგ არ არის ჩემი ბრალი. არც მე მძინავს წესიერად რამდენიმე ღამეა, მაგრამ, ფიქრობს ამაზე ვინმე? ახლავე გაიღვიძე და დამელაპარაკე!

კოტემ დაიგმინა, ბალიში იატაკზე მოისროლა და წამოჯდა, თან თვალებს ისრესდა.

– აჰა, გავიღვიძე. რა გინდა?

– ჩამოხვედი? – ჰკითხა ლენუკამ და კოტემაც იფეთქა:

– მაგიტომ გამაღვიძე, ქალო? იმიტომ, რომ ეს სისულელე გეკითხა? ვერ ხედავ, რომ ჩამოვედი? ჭკუიდან გინდა, შემშალო? გეუბნები, დაღლილი ვარ-მეთქი და თავს მარტო იმიტომ არ მანებებ, რომ ჩემი ხმის გაგონება გინდა და ჩემს აქ ყოფნაში დარწმუნდე? სულელი ხარ?!

– სულელი შენ თვითონ ხარ და ნუ ღრიალებ, თუ ღმერთი გწამს. მე აქ ვნერვიულობ, არ ვიცი, სად ხარ და რას აკეთე, ჩემს ზარებს არ პასუხობ... მერე მოულოდნელად ჩამოდიხარ და არც კი მაგებინებ. ქურდივით იპარები კაბინეტში... ეს ნორმალურია? შენ აიტანდი ჩემგან ასეთ საქციელს?

– მე არ ვიცი, შენგან რას ავიტანდი, მაგრამ, ახლა ნამდვილად ვერ გიტან, ცუდი სიზმრიდან გადმომხტარი ალქაჯივით რომ დამაცხერი თავზე.

– მე ვარ ალქაჯი და ცუდი სიზმრიდან გადმომხტარი? – შეიცხადა ლენუკამ, ქმარს მივარდა და ხელები გამეტებით წაუშინა მხრებსა და ზურგში – იდიოტო! ეგოისტო... ნამდვილი ურჩხული ხარ!.. ვერ გიტან, რომ იცოდე, როგორ ვერ გიტან!..

კოტეს მოთმინების ფიალა აევსო. ორივე ხელი დაუჭირა, მაგრად შეანჯღრია და გაბოროტებულმა დაუყვირა:

– ჰოდა, ძალიანაც კარგი, თუ ვერ მიტან, მშვიდად შევძლებთ, გავშორდეთ ერთმანეთს.

– რა თქვი? – ლენუკას თითქოს ცივი წყალი გადაასხეს, გაშეშდა და ქმარს მიაშტერდა.

– არაფერი, – ჩაილაპარაკა კოტემ. თბილი პლედი გვერდზე მიაგდო და ოთახიდან უკანმოუხედავად გავარდა. ცოლიც უკან გაეკიდა.

– სად მიდიხარ?

– ტუალეტში! იქაც არ მომასვენო! – უყვირა კოტემ და კარი მიიჯახუნა.

ხმაურზე მარიკა გამოვიდა სამზარეულოდან.

– რა მოხდა, რატომ ჩხუბობთ?

– ეს შენი საქმე არ არის, შედი და გაიკეთე ის, რაც გევალება! – უხეშად შეუყვირა ლენუკამ. ნირწამხდარი მარიკა უსიტყვოდ შებრუნდა სამზარეულოში. ლენუკამ სიგარეტს მოუკიდა და სააბაზანოს კართან ჩასაფრდა...

***

... დიანამ ჩანთა იატაკზე დადო და ყურადღებით მომზირალ ლინას გაუღიმა.

– აბა?! – მოუთმენლად ჰკითხა მეგობარმა.

– რა – აბა?! ჩამოვედი.

– ვხედავ. კარგად დაისვენე?

– არაჩვეულებრივად. იცი, რა მაგარი იყო? გული ვიჯერე თხილამურებით სრიალით... თოვლი, სიმშვიდე – აშკარად ძალიან მჭირდებოდა ეს ყველაფერი.

ლინამ თავი გადააქნია:

– არ მჯერა, რომ მარტო იყავი.

– დაიწყე ისევ... რატომ გგონია, რომ გატყუებ. მაინც, ვისთან ერთად უნდა ვყოფილიყავი?

– არ ვიცი და მაგიტომაც მაინტერესებს.

– მარტო ვიყავი.

– სულ მარტო? – თვალები მოჭუტა ლინამ და გადაიკისკისა.

– ჰო, სულ მარტო და, ტყუილად იცინი, რომ იცოდე.. ჩემზე უკეთესად ხარ ინფორმირებული იმაზე, რომ აქ ტომასისა და ალექსანდრეს გარდა არავის ვიცნობ შარვლიანს.

– ეგ მართალია, მაგრამ, იქნებ, იქიდან ჩამოვიდა ვილაც და ეს რამდენიმე დღე ერთად გაატარეთ?.. – მრავალმნიშვნელოვნად ჩაიცინა ლინამ.

– იქიდან? ანუ, ლონდონიდან? სისულელეა. მე არ მყავს ბოიფრენდი, ამაზე ხომ ვილაპარაკეთ ერთხელ უკვე.

– ჰო, მაგრამ...

– არა, ლინა, „მაგრამ" არა! სიმართლე ეს არის. მე, ალბათ, ხვალ ლონდონში გავემგზავრები, ჩემებთან.

– უკვე? აბა, რომ მითხარი, ჩამოვალ და ერთი კვირა დავრჩებიო?

– არ შემიძლია. დედაჩემმა დამირეკა. სასწრაფოდ უნდა ავიღო ბილეთი და ამ ღამესვე თუ იქნება რეისი, წავალ, – გადაჭრით თქვა დიანამ.

ლინას თვალები გაუფართოვდა:

– ასე რატომ ჩქარობ? დარჩი კიდევ რამდენიმე დღე.

– ვერა. დედაჩემმა დამირეკა-მეთქი. თუ მალევე არ გავემგზავრები, თვითონ ჩამოვა.

– ჩამოვიდეს, მერე.

– არა, ლინა, არა... არ მინდა, ყველაფერი გავართულო და გავაფუჭო. აჯობებს, წავიდე.

– ალექსანდრეს არ ნახავ?

– ალბათ, არა, – დიანა ადგა და ფანჯარასთან მივიდა. ერთხანს ლინასკენ ზურგით იდგა და ქუჩაში იყურებოდა. მერე ერთბაშად შემობრუნდა. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, რამე სერიოზულ გადაწყვეტილებას რომ მიიღებს ადამიანი:

– არ ვნახავ ალექსანდრეს, მისთვისაც ასე აჯობებს.

– ცუდია. იცი, როგორ განიცდიდა ეს რამდენიმე დღე? ტომასმა მითხრა, ღამითაც დგებოდა და ოთახში დაბორიალობდაო. იქნებ, გენახა?

– რისთვის? ტყუილი იმედი რომ მივცე? აზრი არა აქვს.

– ესე იგი, მასთან ყველაფერი დაამთავრე?

– არც არაფერი დაწყებულა, ლინა... მე არ ვამბობ, რომ ალექსანდრეს საერთოდ ვშლი ჩემი ცხოვრებიდან, უბრალოდ, ახლა მივდივარ. მაგრამ, ხვალ რა იქნება, არ ვიცი და არც არავინ იცის.

– რომ ადგეს და ლონდონში ჩამოვიდეს?

– მაგიტომაც გეუბნები – ხვალისას ვერაფერს გეტყვი-მეთქი...

– მე? მე რა ვქნა? მეც აღარ შევხვდე ტომასს?

– ეგ რა შუაშია. თუკი მოგწონს, შეხვდი, რა პრობლემაა.

– მაშინ, ახლა გავიქცევი, სულ ცოტა ხნით. შენც ხომ არ წამოხვიდოდი? ბარში მელოდება.



– ლინა, როგორ ფიქრობ, იქ სანდრო არ იქნება? მირჩევნია, ბილეთი შევუკვეთო და ცოტა დავიძინო.

***

... ლინა ბარში შესვლისთანავე გაქანდა ტომასისკენ და კისერზე ჩამოეკიდა მისი უჩვეულო აქტიურობით გაოგნებულ ბიჭს.

– რა მოხდა? – ჰკითხა დაბნეულმა და სანდროს გადახედა.

– დიანა ჩამოვიდა, – წამოსცდა ლინას და მაშინვე დანაშაულზე წასწრებული ბავშვივით გაწითლდა, – ანუ იმის თქმა მინდოდა, რომ დიანა მიდის, ლონდონში ბრუნდება.

– მოიცა, მოიცა, ხომ თქვი, ჩამოვიდაო? – გამოერკვა სანდრო, – ჩვენ კი გვეუბნებოდი, სახლიდან გარეთ არ გამოდისო. ეს როგორ გავიგო? სად იყო წასული?

– შემეშალა. უნდა მეთქვა, რომ მიემგზავრება... დავიბენი. ვღელავ შენ გამო, – ნათქვამის გამოსწორება სცადა ლინამ.

– ჩემ გამო? – ეჭვით ჩაეკითხა ბიჭი – ლინა, რაღაცას არ მეუბნები.

– სწორედ მაგ რაღაცის სათქმელად გამოვიქეცი – შენი ნახვა არ უნდა.

– რა?!

– ჰო, მე ვკითხე, წასვლის წინ ალექსანდრეს ხომ არ ნახავ-მეთქი და, არაო. ბილეთი უნდა შევუკვეთო და დავიძინო გამგზავრებამდეო.

– ესე იგი, ხვალ მიდის?

– შეიძლება დღეს ღამეც... სანდრო, არაფერს იზამ?

– რა ვქნა? – ხელები გაშალა სანდრომ. ერთიანად გაფითრებულს შესამჩნევად უკანკალებდა ნიკაპი.

– მიდი მასთან. შენ თვითონ... – გამოსავალი იპოვა ტომასმა, – ახლავე წადი. ჩვენც გამოგყვებით, მაგრამ არ შემოვალთ. მარტო ელაპარაკე. ყველაფერი უთხარი.

– რა ყველაფერი, ტომას? – სასოწარკვეთილი გაშალა ხელები სანდრომ.

– ყველაფერი – რომ გიყვარს, რომ მის გარეშე ცხოვრება არ შეგიძლია... რაღა გაქვს დასაკარგი?

სანდრო შეყოყმანდა. ეტყობოდა, საკუთარ თავში რაღაცას ებრძოდა.

– კარგი, წავიდეთ!..

***

ლენუკა წარბშეკრული მიაჩერდა ქმარს. რამდენიმე ღრმა ნაფაზი დაარტყა და დაელოდა, რას იტყოდა კაცი.

– რას მიყურებ, ლენუკა, რა გითხარი ამისთანა? თუ ვერ მიტან და გძულვარ, გაგშორდები-მეთქი. ვიფიქრე, გაგიხარდებოდა.

– სულ გაგიჟდი, ხომ? შენ, ისე, მართლა სანდროსთან იყავი? არ მატყუებ?

– შენი მოკლე ჭკუით, სად ვიქნებოდი? – დასცინა კაცმა, – ოხ, ლენუკა, ლენუკა! ზიხარ სახლში მარტო, სიგარეტს სიგარეტზე აბოლებ და თითხნი შეთქმულების თეორიებს. საქმე რომ არაფერი გაქვს, იმის ბრალია ეგ ყველაფერი.

– მერე, რატომ არ მაქვს საქმე?

– მე მეკითხები? როდესმე რამის კეთება დაგიშალე? – გაიოცა კოტემ, – თუმცა, ახლა მაგაშიც არ არის საქმე. ფაქტია, რომ ჩვენ ერთმანეთის აღარ გვესმის. ორ კვირაზე მეტია, ერთმანეთი არ გვინახავს და როგორ შევხვდით? – ჩხუბითა და სკანდალით.

– შენი ბრალია ეს, შენი... – ასლუკუნდა ლენუკა, – ქურდივით შემოიპარე საკუთარ სახლში და კაბინეტში დაიძინე, რომ საერთოდ არ დაგენახე.

– შენი გაღვიძება არ მინდოდა...

– ტყუი! ჩემი ნახვა არ გინდოდა... გაყრაზეც ტყუილად არ დაგიწყია ლაპარაკი. მართლა სულელი ხომ არ გგონივარ? ვხვდები, ჩემი მიტოვება გაქვს გადაწყვეტილი. მაგრამ ამას ასე ადვილად ვერ შეძლებ. მე არ წავალ შენგან, არასოდეს...

– ლენუკა...

– დიახ, არ წავალ! იმიტომ კი არა, რომ შენი სიყვარულით ვგიჟდები, ჩემი დამცირებისა და შეურაცხყოფის მოყენების უფლებას არ მოგცემ. არავინ ხარ ფულის გარეშე და, თუ მე მიმატოვებ, შენს ფულებსაც დაემშვიდობები – ყველაფერს წაგართმევ, ეჭვი არ შეგეპაროს ამაში.

– არც მეპარება, – ამოიოხრა კაცმა, – მაგრამ, ზოგჯერ თავისუფლება გაცილებით ძვირფასია, ვიდრე სახლები და აგარაკები.

– ჰო?! რაღაც, უცნაურად ალაპარაკდი თავისუფლებაზე. ჯერ ის მითხარი, ვინ არის ის კაცი, რომლისთვისაც რაღაც გაქვს გადასახდელი თუ ვალი დასაბრუნებელი... იმან ხომ არ მოგაგნო ევროპაში და იმიტომაც ხომ არ ჩამოქანდი ასე სასწრაფოდ?

– ვინ კაცი, რას ბოდავ? – გაფითრდა კოტე.

– ის, ვისი დანახვაც გაშინებს თურმე... – აღარ შეეპუა ლენუკა, – თქვი, რა საიდუმლოს მალავ კიდევ?..

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ფლორის სამყაროში

რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

> ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.
>
> **გოეთე**

კითხვა: როგორი განათება და ტემპერატურა სჭირდება კალიზიას?

პასუხი: კალიზიას კაშკაშა სინათლე უყვარს. მისთვის იდეალურია დილის ან საღამოს მზე რამდენიმე საათით. კარგია ოთახის ტემპერატურა, 18-24 გრადუსი. ზამთარში კი 10 გრადუსზე ნაკლები ტემპერატურა მას საფრთხეს შეუქმნის.

კითხვა: როდის ყვავილობს კამელია?

პასუხი: ამ მარადმწვანე ბუჩქს დიდი და სხვადასხვა ფერის ყვავილები აქვს, რომლებიც ზამთრის მიწურულს ან ადრიან გაზაფხულზე იწყებენ გაშლას. მისი კოკრები კი შუა ზაფხულსა და ადრეულ შემოდგომაზე ვითარდება. კოკრების შესანარჩუნებლად საჭიროა, მცენარე არ გამოაშროთ. სითბოში ეს მცენარე ფორმასაც კარგავს და მისი ყვავილობაც ხანმოკლე ხდება.

კითხვა: იოლია თუ არა ცირტომიუმის გაზრდა?

პასუხი: ის ნაკლებად ჭირვეული მცენარეა. მისთვის მთავარია, სინათლე და წყალი არ მოაკლოთ. ზრდის დროს ნიადაგი ტენიანი უნდა ჰქონდეს, ზამთარში კი მიწის შეშრობას დაელოდეთ. რამდენიმე კვირაში ერთხელ კი მორწყეთ ბალანსირებული თხევადი სასუქით.

კითხვა: როგორ ეგუება იაპონური არალია ზამთარს?

პასუხი: იაპონური არალია იოლი მოსავლელი მცენარეა. ის კარგად იტანს ზამთრის სიცივეს, თუმცა, გაითვალისწინეთ, რომ ოთახის არალია არ ყვავის. მხოლოდ მოზრდილმა არალიამ შეიძლება იყვავილოს თეთრი ყვავილებით.

კითხვა: როდის გავამრავლო პატარძალა?

პასუხი: პატარძალას გამრავლება გაზაფხულზე შეგიძლიათ. 3-4-სანტიმეტრიანი სიგრძის მცენარე წყალში დაფესვიანებული ყლორტებით გამრავლდება. „გამოზამთრებული" მცენარე შეგიძლიათ შემდეგ გადაჭრათ, ოღონდ, ზამთარში სინათლე და სითბო არ მოაკლოთ.

კითხვა: ჩემი ფალენოპსისი თითქოს ლპობას იწყებს. რისი ბრალია?

პასუხი: ალბათ, მცენარეს მორწყვისას, ყვავილები და ფოთლები დაუსველეთ – ლპობას ეს გამოიწვევდა. ზრდის პერიოდში უხვად მორწყეთ, მაგრამ, ზამთარში სიმშრალე უყვარს და წყალი აუცილებლად შეუმცირეთ. მას რბილი წყალი მოსწონს.

კითხვა: აგლაონემას ფოთლები დაეწვა. რა არის ამის მიზეზი?

პასუხი: მცენარეს ფოთლები მცხუნვარე მზის გამო დაეწვებოდა. მიაქციეთ ყურადღება, სად გიდგათ და როგორ სინათლეშია. მოარიდეთ მცხუნვარე მზეს და ამყოფეთ ოთახის ნორმალურ ტემპერატურაზე, 18-24 გრადუსზე.

კითხვა: როგორ მოვუარო ბილბერგიას?

პასუხი: ეს მცენარე რთული მოსავლელი არ არის. უყვარს სინათლე და წყალი. მას მცირე ზომის ქოთანიც კარგად ჰყოფნის, მაგრამ, თუ გადარგვა დასჭირდება, მათთვის განკუთვნილ სპეციალურ მიწაში უნდა გადარგათ.

კითხვა: სახლის პირობებში ვზრდი ბანანს. მაინტერესებს, შესაძლებელია თუ არა, რომ ნაყოფი გამოიღოს?

პასუხი: სახლის პირობებში გაზრდილი პალმა მხოლოდ თქვენს ინტერიერს დაამშვენებს. მისგან ნაყოფის გამოღებას არ ელოდოთ, რადგან ბანანი ნაყოფს მხოლოდ მაღალი ტემპერატურისა და მაღალი ტენიანობის პირობებში ისხამს.

მოამზადა
თეონა გოზალიშვილმა

ადვოკატი გირჩევთ

რუბრიკას უძღვება ადვოკატი ირაკლი გაბრიჭიძე

> *უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
>
> **ანატოლ ფრანსი**

კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, აქვს თუ არა გამომძიებელს პირისთვის ბრალის წაყენების უფლება და რა შემთხვევებში წარედგინება მას ბრალი?

პასუხი: განგიმარტავთ, რომ პირის ბრალდება მხოლოდ პროკურორის უფლებამოსილებაა. პირს ბრალი წაეყენება, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული.

კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, აღკვეთის ღონისძიების სასამართლო სხდომიდან რა მაქსიმალური ვადით შეიძლება, შეეფარდოს ბრალდებულს პატიმრობა წინასასამართლო სხდომამდე?

პასუხი: გაცნობებთ, რომ, ზოგადად, ბრალდებულის პატიმრობის ვადა წინასასამართლო სხდომამდე არ უნდა აღემატებოდეს მისი დაკავებიდან 60 დღეს.

კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, ვის შეიძლება შეეფარდოს აღკვეთის ღონისძიების სახედ „სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა"? რას გულისხმობს აღკვეთის ღონისძიების ეს სახე და როგორ ხორციელდება მისი აღსრულება?

პასუხი: განგიმარტავთ, რომ ბრალდებული, რომელიც არის სამხედრო სავალდებულო, საკონტრაქტო ან სამხედრო სარეზერვო სამსახურის მოსამსახურე, სასამართლოს განჩინებით შეიძლება, გადაეცეს სამხედრო ნაწილის, შენაერთის, სამხედრო დაწესებულების სარდლობის მეთვალყურეობაში. სარდლობის მეთვალყურეობა გულისხმობს შეიარაღებული ძალების წესდებით გათვალისწინებული ზომების მიღებას ბრალდებულის სათანადო ქცევის და, გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში გამოცხადების უზრუნველსაყოფად. ამ აღკვეთის ღონისძიების მოქმედების პერიოდში, ბრალდებული არ უნდა დაინიშნოს გუშაგად და სხვა პასუხსაგებ განაწესში. მას უნდა ჩამოერთვას მშვიდობიან დროში იარაღის ტარების უფლება; არ გაიგზავნოს მარტო ნაწილის გარეთ სამუშაოდ, არ გათავისუფლდეს ნაწილიდან და იმყოფებოდეს სამხედრო მეთაურებისა და უფროსების მეთვალყურეობის ქვეშ. სამხედრო ნაწილის, შენაერთის, სამხედრო დაწესებულების სარდლობას უნდა განემარტოს იმ ბრალდების არსი, რომელთან დაკავშირებითაც შერჩეულია ეს აღმკვეთი ღონისძიება. სასამართლოს განჩინება აღკვეთის ამ ღონისძიების შერჩევის, შეცვლისა თუ გაუქმების შესახებ, სავალდებულოა სამხედრო ნაწილის, შენაერთის, სამხედრო დაწესებულების სარდლობისთვის. მეთვალყურეობის დაწესების შესახებ სამხედრო ნაწილის, შენაერთის, სამხედრო დაწესებულების სარდლობა ატყობინებს პროკურორს ან სასამართლოს. სამხედრო მეთაური, რომელიც მეთვალყურეობს ბრალდებულს, ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეატყობინოს გამომძიებელს, პროკურორს, სასამართლოს ამ ბრალდებულის არასათანადო ქცევის შესახებ, რომლის თავიდან ასაცილებლადაც შერჩეულ იქნა აღკვეთის ეს ღონისძიება. ამ შემთხვევაში, პროკურორის შუამდგომლობით უნდა შეირჩეს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიება.

რით შეიძლება დავაზიანოთ ჩვენი ავტომობილი

ქართულ საავტომობილო ბაზარზე მანქანის მოვლის უამრავი საშუალება იყიდება, ეგრეთ წოდებული, „ლუბრიკანტები“. რამდენად კარგია ესა თუ ის გამწმენდი ან გამაძლიერებელი საშუალება, ამაზე საავტომობილო ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი მევლუდ მელაძე გვესაუბრა: ავტონაწილების მაღაზიაში უამრავი დანამატი იყიდება: ზეთი,

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
> **მიხაილ შუმახერი**

ანტიფრიზი, შუშის საწმენდი, პოლირების კრემები და სხვა, მაგრამ, მძღოლების უმრავლესობამ არ იცის, რა არის კარგი და რა ცუდი. ვთქვათ, მაღაზიაში ან ბაზრობაზე შევედით და იქ გამყიდველი „გვაბოლებს“, რომ, თუ ზეთში ამ „რაღაცას“ ჩაამატებ, ის იქ რაღაც რკინას შეავსებს და ზეთი არ დაიქცევაო, ის ცდილობს, ათასგვარ სისულელეში დაგვარწმუნოს, თან, ისეთ რაღაცას გვეუბნება, რისი გადამოწმების საშუალებაც არ გვაქვს. ჩვენც, გვჯერა, რომ ეს სითხე ძრავას „მოუხდება“, ანუ, გამოდის, რომ მხოლოდ „იმედი“ ვიყიდეთ. ჯერ ერთი, შეცდომაა, როდესაც ავტომობილის მიერ გავლილი კილომეტრების მიხედვით წყვეტენ ხელოსნები, მინერალური ზეთი სჭირდება ავტომობილს, ნახევრად სინთეტიკური თუ სინთეტიკური. იცოდეთ, რომ, ნებისმიერ შემთხვევაში და ნებისმიერ ძრავაში, ყოველთვის სინთეტიკური ზეთის ჩასხმა ჯობია. რაც უფრო ძვირად ღირებულ ზეთს ჩაასხამთ ძრავაში, მით უფრო დიდხანს და „ჯანმრთელად” იმუშავებს ის. მინერალურ ზეთში ბევრი არასაჭირო მინარევია, რის გამოც ის იოლად შავდება, იოლად ფუჭდება და ძრავას უხეშად ფხაჭნის. სინთეტიკურში კი ყველაფერი ხელოვნურია, რაც ნიშნავს, რომ არასასარგებლო მინარევებისგან მთლიანად გაწმენდილია და, შესაბამისად, ის ძრავას არ აზიანებს. მართალია, სინთეტიკური ზეთი ძვირია, მაგრამ, ძრავის დაზიანებას ან მინერალური ზეთისთვის რაღაც უაზრო ხსნარების დამატებასა და ფულის ტყუილად გადაყრას, ჯობია, სინთეტიკური ზეთი გამოვიყენოთ.

რაც შეეხება დანამატებს: ავტომობილი იმ დონემდე არ უნდა მივიყვანოთ, რომ ძრავიდან ხმები გვესმოდეს და სიჩქარის კოლოფი ჩხრიალებდეს, რაღაცეები ღმუოდეს; მაგრამ, თუ ასეთი რამ უკვე ხდება, მაშინ დანამატები და რაღაც სიახლეები აღარ გვიშველის, ეს იმას ნიშნავს, რომ ის დეტალი შესაცვლელია. რაღაც ასეთმა დანამატებმა, შესაძლოა, ხმა დროებით მიაჩუმოს, მაგრამ, საბოლოოდ, არაფერს შეცვლის, გატეხილ რკინას ვერ აღადგენს. აქ კიდევ ერთი მომენტია: როდესაც ძვირად ღირებულ ზეთს ძრავაში პირველად ვასხამთ, შესაძლოა, ის მალე გაშავდეს და ზეთის კლებაც კი დაიწყოს, მაშინ, როცა მსგავსი არაფერი მოსდიოდა მინერალურ ზეთზე. ასეთ დროს ამბობენ ხოლმე, ზეთი არ ვარგოდაო, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. ძვირად ღირებულმა ზეთმა მთელი ის ნაგავი და ჭუჭყი მოაშორა ძრავას, რისთვისაც დამატებით ხსნარებს ვიყენებთ ხოლმე, ანუ, სინთეტიკური ზეთი ამ ხსნარებს შეიცავს, ესე იგი, მან თქვენი ძრავა გაწმინდა, „სალნიკებთან“ და „კოლიცოებთან“ დაგროვილი ნაგავი მთლიანად გამოასუფთავა, რაც რეზინების გაჭედვასა და ზეთის კლებას იწვევს. ასეთ დროს გირჩევთ, ზეთი გამოცვალოთ და ძრავაში ისევ ძვირად ღირებული, სინთეტიკური ზეთი ჩაასხათ. რაც შეეხება საწმენდებსა და სითხეებს, ნებისმიერ შემთხვევაში, ეს პრიორიტეტი უკვე დამკვიდრებულ ბრენდებს მიანიჭეთ. შეიძლება, ვიღაც ჯერ კიდევ უცნობმა ფირმამ ძალიან კარგი პროდუქცია გამოუშვას, მაგრამ, მაინცდამაინც ჩვენ და ჩვენი მანქანა რატომ უნდა ვიყოთ საექსპერიმენტო თაგვების როლში?! გარდა ამისა, არსებობს საპრიალებლები, ტორპედოს გასაშავებლები, სალონში კარგი სურნელის დამყენებლები, ბორბლებისა და ბამპერის გასაშავებლები. შეიძლება, გამყიდველმა ძალიან ბევრი რამე გვითხრას, მაგრამ, ეს საშუალებები მხოლოდ ხელოსანმა უნდა შეიძინოს, რადგან, სახლის პირობებში ავტომობილისთვის პოლირების გაკეთება თითქმის შეუძლებელია. იმ ხსნარების გარდა, პოლირებას უამრავი ხელსაწყო სჭირდება, ანუ, იმისთვის, რომ მანქანა გავაპრიალოთ, მხოლოდ ხსნარი არ გვეყოფა.

– რა უნდა გაკეთდეს, რომ ავტომობილმა იპრიალოს და რა ჯდება ეს?

– ეს ჯდება დაახლოებით 80 ლარი – საშუალო ფასს ვამბობ; თან, გააჩნია, ვინ აკეთებს. რაც უფრო ძვირად ღირებული ხსნარებით აპრიალებ ავტომობილს, უფრო დიდხანს ძლებს. ავტომობილს პოლირება მაქსიმუმ ორჯერ უკეთდება, რადგან მეტჯერ უკვე მთლიანად დავაზიანებთ საღებავს. იმისთვის, რომ მანქანამ კარგად იპრიალოს, ჯერ ნულოვანი ზუმფარით „შკურკავენ“ და მერე აპრიალებენ საპრიალებლით. „გაშკურკვა“ თითქმის აუცილებელია იმ შემთხვევაში, თუ მანქანა თბილისშია შეღებილი (აქაური პულვერიზატორები საღებავს ცუდად აფრქვევს და ზედაპირზე ხორკლებს აჩენს). რეალურად კი ასეთი გაკეთებული პოლირება სწორი არ არის, რადგან ასე ავტომობილს საკუთარი ხელით ვაზიანებთ. მხოლოდ ცოტა ხნით გვეყოლება ლამაზი მანქანა, რამდენიმე თვეში კი იმაზე უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდება, ვიდრე პოლირებამდე იყო. ზუმფარის მაგივრად, წესით, უნდა იყენებდნენ პოლირების საშუალებას, რომელიც ქვიშასავითაა, უფრო სწორად, „რაქშა“ რომ არის, სახეხი, დაახლოებით იმ შემადგენლობისაა, ანუ, მანქანის ზედაპირი ჯერ ამით უნდა გაიხეხოს და შემდეგ გადაეცვას ლაკი.

რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი
მევლუდ მელაძე

ჟურნალი „თბილისელები“ გირჩევთ:
** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*
გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!

მოამზადა
სალომე გველესიანმა

ვეტერინარის რჩევები

კითხვა: თუ შეიძლება, მითხრათ, რას იწვევს ძაღლის გადასუქება?

პასუხი: ძაღლის გადასუქება ბევრ რამეს იწვევს. მაგალითად, ნივთიერებათა ცვლის დარღვევას, ბეწვის ცვენას, ღვიძლის ფუნქციების დარღვევას, საჭმლის მომნელებელი სისტემის მწყობრიდან გამოყვანას. ძაღლი არ უნდა გადაასუქოთ. სიმსუქნე არც ძაღლის და არც ადამიანის ჯანმრთელობას არ უხდება.

კითხვა: რა ითვლება ტაქსას ჯიშის ძაღლებში ყველაზე ხშირ და სერიოზულ დაავადებად, ან რა აქვთ მათ სუსტი?

პასუხი: ტაქსას ჯიშის ძაღლებს, როგორც ასეთი, რაიმე განსხვავებული დაავადება არ აქვთ. ამ ჯიშის ძაღლები ხშირი ტრავმებით გამოირჩევიან, რადგან დაბლები არიან და დივანზე ახტომა-ჩამოხტომის დროს, სახსრებს იზიანებენ. სხვა მეტი არაფერი.

კითხვა: თუ არის შესაძლებელი ოსტეოქონდროზის მკურნალება ძაღლებში?

პასუხი: ოსტეოქონდროზს სისტემატური მკურნალობა უნდა. გამაგრება უნდა აუცილებლად ხონდროროიცინებით, კალციუმის შემცველი ვიტამინებით. ასე რომ, ოსტეოქონდროზი განკურნებადია.

კითხვა: მაინტერესებს, რა გამოვლინება აქვს ძაღლებში სიმსივნეს?

პასუხი: დედალ ძაღლებში ძირითადად ძუძუს სიმსივნეები ფიქსირდება, ხოლო მამლებში შეიძლება, სათესლე ჯირკვლის სიმსივნეც იყოს, კანის სიმსივნეც და ასე შემდეგ. დიაგნოზი, თუ რა სახის სიმსივნესთან გვაქვს საქმე, იგივენაირად ისმევა როგორც ადამიანებში.

კითხვა: მაინტერესებს, ძაღლებში თუ კეთდება კატარაქტის ოპერაცია?

პასუხი: კატარაქტის ოპერაცია ძაღლებში, რა თქმა უნდა, კეთდება, მაგრამ არ არის გამართლებული. ამიტომ, უმჯობესია, თუ ამ ოპერაციას ცხოველს არ გაუკეთებთ. საერთოდ, კატარაქტა ასაკობრივია და ყალიბდება დაახლოებით, 7-8-9 წლის მერე. როგორც ადამიანებში, ისეთივე დისკომფორტი აქვთ ძაღლებსაც კატარაქტის დროს, რადგან ნელნელა მხედველობა უქვეითდებათ.



რუბრიკას უძღვება
ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი
ზაქრო ბაჯიაშვილი

> ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.
> **ჯეიმს დუგლასი**

მოამზადა
მარიკა ხიდურელმა

მაფიის შვილობილი

● გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28-48(727)

– კალმარო, შენ ხარ? – მოესმა ოთახში შესულ კალმარს ქალის სასიამოვნო ხმა.

– შენ გარდა ვერავინ იგებს ჩემს მოსვლას, – თქვა კალმარმა და სავარძელში მოკალთებულ ნონა ბუთბას მიაპყრო მზერა, რომელიც „ნაგანის“ ცილინდრს ატრიალებდა.

– კარგი მასწავლებელი მყავდა და ამიტომ, – მიუგო გოგონამ.

– მე კი – კარგი მოსწავლე, – თქვა კალმარმა და დაამატა: – რას იტყვი ჯაფარიძეზე?

– როგორც მამაკაცს, ვერ დაიწუნებ, არც საქციელი ეშლება. პრისტუპნიკს არ ჰგავს.

– პრისტუპნიკია, წყალი არ გაუვა. გადავამოწმე და ზუსტად ვიცი, მაგრამ...

– რაში გეპარება ეჭვი?

– ხომ არ „დაავერბოვკეს“.

– რატომ ფიქრობ ასე?

– იმიტომ, ჩემო გოგონა, რომ დიდ საქმეს მოვკიდეთ ხელი და, თუ ზუსტად არ გვეცოდინება, ვისთან გვაქვს საქმე, ყველას გაგვაბამენ.

– არა მგონია, რომ ნასედკა იყოს.

– ნუ ჩქარობ, ნონა. ხომ გახსოვს, რას გასწავლიდი? – ნაჩქარევ დასკვნებს ნუ გამოიტან. იმიტომ მიგამაგრე მასთან, რომ კარგად დააკვირდე და გაშიფრო, ხოლო, თუ ნასედკაა, დაბრიდო.

– რუზგენას დაბრედას როდის მიბრძანებ? ერთი სული მაქვს, სანამ მაგ ბოზს შუბლში ტყვიას დავახლი და მამაჩემის აბაროტს ავუღებ, – თქვა ნონა ბუთბამ და „ნაგანის“ ცილინდრი დაატრიალა.

– მაგის დროც მოვა. მანამდე კი თვინიერი გოგონას როლის თამაში განაგრძე და თავი არ გაამჟღავნო.

– არ გავამჟღავნებ, – მტკიცედ თქვა გოგონამ.

– ჯერ კიდევ საჭიროა ეგ ბოზი, – დიდი ძალა ჰყავს და, რომ მოვიშოროთ, საქმე ჩაგვეშლება. თანაც, ჯერ კიდევ ადრეა შენთვის ჩოჩიანის ადგილის დაკავება.

– გეთანხმები, – მიუგო ნონამ კალმარს და დაამატა: – კალმარო, ჩოჩიანმა მამაჩემი რატომ მოკლა?

– კონკურენციის გამო. დომარისა და დაურის სახელები მთელ აფხაზეთში ჰქუხდა, რუზგენს კი პირველობა უნდოდა, მამაშენს თბილისში შეხვედრა დაუნიშნა და ვერაგულად მოკლა.

– ბიძაჩემიც რუზგენმა მოკლა?

– აი, ეგ კი მეც არ ვიცი, თუმცა, არაა გამორიცხული. ლოგიკურად რომ ვიმსჯელოთ, დაურიც რუზგენის მოკლული უნდა იყოს, მაგრამ, მკვლელად ჯონდო სარია გამოაცხადეს.

– ყველა იმას ამბობს, ჯონდოს ტყუილად დააბრალესო, – თქვა ნონამ.

– ვიცი, მაგრამ, სწორედ სარია და ბიცოლაშენი დახოცა ბიძაშენმა; სარიას ტყვიით კი დაურია მოკლული. თუ ეს ასე არ იყო, მაშინ, ვერ ვხვდები, ვინ და როგორ შეძლო ამ სცენის დადგმა.

– როგორც ვიცი, ბიცოლა პატიოსანი ქალი იყო და არ იბოზებდა, თანაც, ბიძაჩემის შიშით ვინ გაბედავდა, მის ცოლს შეხებოდა.

– ეგ მეც გამიგია. თუმცა, ვინ იცის? – მხრები აიჩეჩა კალმარმა, – ნონა, ჩემო გოგონა, ნუ ფიქრობ მაგაზე. მთელი ყურადღება გივი ჯაფარიძეზე გადაიტანე და კარგად დააკვირდი. შენი შეფასება ჩემთვის უმნიშვნელოვანესია და შენს დასკვნას უნდა დავეყრდნო.

– ვეცდები, კალმარო.

– კარგი, ახლა წადი და გამოიძინე. ხვალ დილის ცხრა საათზე გივი ჯაფარიძე აეროპორტში დაგელოდება.

– ნახვამდის.

– ნახვამდის, ჩემო გოგონა, – კალმარმა ნონა ბუთბა კონსპირაციული ბინიდან გაისტუმრა. ერთი საათის შემდეგ კი პოლკოვნიკ პატარიძეს ფუნიკულიორის პლატოზე საკუთარ მანქანაში შეხვდა და ჰკითხა:

– რა ქენი, გამიგე, რაც მინდოდა?

– მხოლოდ ბინის ტელეფონის ნომერი. თუმცა, ნომრის მიხედვით ვაჟა ზვიადაურის საცხოვრებელი რაიონის დადგენაც იოლია. აი, ნომერი, – პოლკოვნიკმა კალმარს ქაღალდზე მიწერილი ნომერი მისცა.

– ცოტაა. მე ბინის მისამართი მჭირდება.

– ტელეფონების წიგნში არც ნომერია დაფიქსირებული და არც მისამართი. ესეც ძლივს გავიგე. კოტე სოხაძე რესტორანში დავპატიჟე და, ტუალეტში რომ გავიდა, ბლოკნოტი გავუჩითე. კინაღამ „დავიწვი“, – თავი იმართლა კადრების განყოფილების უფროსმა.

– ფრთხილად იმუშავე, – შეუღრინა პატარიძეს კალმარმა, – მზად იყავი. მაქსიმუმ სამ კვირაში უსერიოზულესი დავალება უნდა შეასრულო და არ ჩაიჯვა.

– რა დავალება?

– ყველაფერს თავის დროზე გაიგებ, ახლა კი თავისუფალი ხარ.

– ნახვამდის, – თქვა ყურებჩამოყრილმა პატარიძემ და მანქანიდან გადასვლა დაპირა. კალმარმა კი ცინიკურად გაუღიმა, ხელი გაუწოდა და უთხრა:

– ნახვამდის, პოლკოვნიკო. მომავალ შეხვედრამდე!

***

რუზგენ ჩოჩიანისგან წამოსულმა გივი ჯაფარიძემ რამდენიმე მანევრი გააკეთა და რომ დარწმუნდა, არ „აძოვებდნენ“, ჯერ ვაჟა ზვიადაურს ელაპარაკა, შემდეგ კი კონსპირაციულ ბინაში მივიდა და უთხრა:

– როგორ ხარ, შე ძველო?

– შენ?

– ჯიგრულად.

– დააკონკრეტე.

– ხვალ დილით დუშანბეში მივფრინავ.

– მეორე ზახოდზე, ხომ?

– თანაც, როგორზე!

– მაინც?

– ნახევარი მილიონის ტავარი უნდა წამოვიღოთ.

– ყოჩაღ! უკვე თბილა.

– ჯერ ადრეა. არ მენდობიან.

– რას გულისხმობ?

– მეთვალყურე მომიჩინეს.

– მეთვალყურე?

– ჰო. თანაც, როგორი!

– როგორი?

– ჰოლივუდის კინოვარსკვლავს ჰგავს, ისეთი გოგოა.

– ქალია?

– დომარ ბუთბას ქალიშვილი.

– რას მელაპარაკები!

– აბა?! თურმე, ქალი-რემბოა და ტყვიას ტყვიაში ავჯენს.

– საიდან სადაო?

– რუზგენ ჩოჩიანს მოუწყვია უმაღლესში და ოთხი ენა იცის.

– რემბო?

– მთის სოფელში გაიზარდა და ბავშვობაში დაამუღამაო.

– ბანდაში რას აკეთებს?

– ერთი შეხედვით, რუზგენის უერთგულესი ადამიანია და მის პირად ბრძანებებს ასრულებს, თუმცა, მთლად მასე არა მგონია.

– მაინც, რას ფიქრობ?

– ჯერ არ ვიცი, უნდა დავაკვირდე.

– ლოგინში გაარკვევ, – გაეცინა ზვიადაურს.

– გამორიცხულია.

– რატომ?

– ქალწულია.

– დასკვნა გიჩვენა?

– ამას დასკვნა არ სჭირდება.

– პატიოსან ქალს ბანდიტებთან რა საქმე აქვს?

– ვფიქრობ, რომ რაღაც მისია აკისრია, მაგრამ, რა – არ ვიცი.

– ხომ არ ართულებ?

– არა.

– ვერსიები?

– თავად ნონაა ჩოჩიანზე მიჩენილი.

– როგორ? ვის მიერ?

– იმის, ვისაც მისი კონტროლი უნდა.

– თუ ჩოჩიანმა შვილივით უპატრონა, ასეთ რამეზე რატომ მოაწერდა ხელს?

– მიზეზი ექნება.

– რა მიზეზი?

– არ ვიცი, მაგრამ, მასე ვფიქრობ. მოკლედ, ეგ გოგო საგულისხმო ვინმეა და ყურადღებით უნდა ვიყოთ. ამ სუსტი არსების მიღმა დაუნდობელი პიროვნება იმალება.

– ხომ არ ნერვიულობ?

– ვნერვიულობ.

– ნერვიულობ?

– რა თქმა უნდა, – გაეღიმა ჯაფარიძეს, – ვგრძნობ, რომ თეა ძალიან ნერვიულობს ჩემ გამო და მეც გადმომედო.

– მაგაზე ნუ იღელვებ, შენები კარგად არიან.

– მიხედე, იცოდე. წავედი, ცოტას წავუძინებ – ცხრაზე აეროპორტში უნდა ვიყო.

– ნახვამდის, – ზვიადაურმა ჯაფარიძე კონსპირაციული ბინიდან გაისტუმრა, ცოტაც მოიცადა და სახლში წავიდა.

ღამის 3 საათი იყო, როდესაც ბინაში შევიდა და ტანსაცმლიანად საწოლზე მიეგდო. ის-ის იყო, უნდა ჩაეთვლიმა, რომ ტელეფონმა დარეკა.

– გისმენთ, – უპასუხა პოდპოლკოვნიკმა.

– გამარჯობა, ამხანაგო ვაჟა, – მოესმა ზვიადაურს მამაკაცის ხმა და მიხვდა, რომ ვიღაც ატყუებდა, რადგან ამ დროს მას არავინ ურეკავდა ხოლმე კოლეგების გარდა, თანაც ისინი შეთანხმებული პაროლით იწყებდნენ საუბარს.

– გაგიმარჯოს.

– კარგად მომისმინეთ, ღია ტექსტით უნდა გელაპარაკოთ.

– წადი, შენი დედაც! აღარ გამაღვიძო, თორემ, გამოგიჭერ და ფეხებით დაგკიდებ! – უღრიალა ზვიადაურმა და ყურმილი დაკიდა, თან მოუთმენლად დაელოდა მორიგ ზარს.

ორიოდე წუთის შემდეგ ტელეფონმა კვლავ დარეკა. ზვიადაურმა კარგა ხანს არ აიღო ყურმილი. შემდეგ ჩაახველა და ნამძინარევი ხმით უპასუხა:

– გისმენთ.

– ამხანაგო ვაჟა, არ დაკიდოთ, მართლა საქმე მაქვს თქვენთან.

– მეტი საქმე არ გაქვს?

– ამხანაგო ვაჟა, სასწრაფო შეტყობინებაა და ღია ტექსტით უნდა მოგახსენოთ.

– გიჟი ხარ?

– არა, მაიორი ფურცელაძე „კაგებედან“.

– გისმენ, მაიორო ფურცელაძე, – ამოიხვნეშა ზვიადაურმა, ვითომ გიჟს ელაპარაკებოდა.

– ამხანაგო ვაჟა, სასწრაფოდ გადაეცით გივი ჯაფარიძეს, რომ ფსკერზე დაწვეს. ჩვენ მას ვერ ვუკავშირდებით.

– კარგი, ფურცელაძე, გადავცემ. ღამე მშვიდობისა, – მიუგო ზვიადაურმა უცნობს, ყურმილი დადო და ჩაილაპარაკა: – „მაგრად არ ენდობა გივის ვიღაცა და ამოწმებს. მაგრამ, ჩემი ტელეფონი საიდან?.. არა უშავს, გივი არ გაიშიფრება“.

ყურმილი დაკიდა კალმარმაც, რომელმაც ზვიადაურს ქუჩის ტელეფონიდან დაურეკა და ჩაილაპარაკა: „ნუთუ მართლა სუფთაა ჯაფარიძე და „ძაღლების” საფარქვეშ არ მუშაობს? ვნახოთ. ამას მაქსიმუმ ერთ თვეში გავარკვევ“.

***

დუშანბე-სოჭი-ბათუმის მეორე ვოიაჟს მესამე მოჰყვა და ნარკოტიკების ტრასა „ამუშავდა“. რუზგენ ჩოჩიანი სიხარულით მეცხრე ცაზე იყო და გივი ჯაფარიძე ძალიან დაიახლოვა. პოდპოლკოვნიკი ვერც ნონა ბუთბამ გაშიფრა. მეტიც, მას ჯაფარიძისადმი სიმპათიები გაუჩნდა და ცდილობდა, თავი მოეწონებინა მისთვის. თუმცა ჯაფარიძე შეგნებულად იჭერდა მასთან დისტანციას და ამით მეტ ინტერესს უღვივებდა თავმოყვარე გოგონას.

– ნონა, ჩემო კარგო, თავი არ დაკარგო და უფრო ყურადღებით იყავი, – უთხრა კალმარმა ერთ-ერთ კონსპირაციულ შეხვედრაზე ნონა ბუთბას. გოგონამ კი მიუგო:

– ხომ იცი, როგორ პატივს გცემ?

– ვიცი.

– ისიც ხომ იცი, რომ ჩემი გაცურება არაა ადვილი?

– ეგეც ვიცი.

– ჰოდა, დამიჯერე – გივი ჯაფარიძე სუფთაა და გამორიცხულია, რომ „ძაღლებზე” მუშაობდეს.

– დარწმუნებული ხარ?

– თავს დავდებ.

– თავს გაუფრთხილდი და ნაჩქარევ დასკვნას ნუ გამოიტან.

– ყველაფერი კარგად გავაანალიზე.

– მაინც ნუ იჩქარებ. ყველაფერი ერთ კვირაში გაირკვევა და მერე ვილაპარაკოთ.

– ერთ კვირაში მეოთხე ზახოდზე მივემგზავრებით.

– ვიცი, მაგრამ, შეიძლება პაეზდკა არ შედგეს.

– კი მაგრამ, რატომ?

– ვფიქრობ, რომ ზუსტ ინფორმაციას მივიღებ და იმიტომ.

– რა ინფორმაციას?

– ამას მაშინ გეტყვი, როცა მივიღებ. ახლა კი წადი და ყურადღებით იყავი, – კალმარმა ნონა ბუთბა კონსპირაციული ბინიდან გაისტუმრა, ერთი საათის შემდეგ კი პოლკოვნიკ პატარიძეს ჩვეულ ადგილზე შეხვდა და უთხრა:

– მზად ხარ დავალების შესასრულებლად?

– კი.

კალმარმა პატარიძეს საშუალო ზომის ხვეული გადასცა, ათიოდე წუთი ელაპარაკა და ბოლოს უთხრა:

– რამე რომ შეგეშალოს, ყველანი დავიწვებით, ყველაზე მეტად კი შენ დაზარალდები.

– გასაგებია.

– აბა, შენ იცი, წარმატებას გისურვებ.

პატარიძე კალმარს გამოემშვიდობა და ტაქსით სახლში გაემგზავრა. შემდეგ თავის კაბინეტში ჩაიკეტა და კალმარის მიცემული ყუთი გახსნა. პოლკოვნიკმა შიგთავსი ფრთხილად ამოალაგა და დილამდე უკირკიტებდა, მერე ყველაფერი კვლავ ყუთში ჩააბრუნა, შეფუთა და სამსახურში წაიღო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების განყოფილების უფროსი დილის ცხრის ნახევარზე მივიდა სამსახურში. სანამ კაბინეტში შევიდოდა, მას მინისტრის მოადგილე კოტე სოხაძე შეხვდა.

– ცხრაზე თათბირია და არ დააგვიანო, – უთხრა კოტემ პოლკოვნიკს და გზა განაგრძო.

პატარიძე კაბინეტში ჩაიკეტა, ყუთიდან ორი ცალი წებოვანი, საშლელისოდენა პლასტმასისგან დამზადებული მოწყობილობა ამოიღო და ჯიბეში დამალა, ყუთი კი სეიფში ჩაკეტა და კაბინეტის კარი გააღო. ცხრას რომ ხუთი წუთი აკლდა, კაბინეტიდან გამოვიდა და ოპერატიულ თათბირზე გაემართა.

ზუსტად ცხრა საათზე მერაბ გამრეკელი კაბინეტში შევიდა, თითოეულ თანამშრომელს ხელი ჩამოართვა და თათბირი დაიწყო.

პატარიძე დაძაბული იყო და მუხლები უკანკალებდა. თან, მალულად უყურებდა ვაჟა ზვიადაურს, რომელიც ჩუმად იჯდა და ხმას არ იღებდა. პატარიძემ მთელი ნებისყოფა მოიკრიბა, ჯიბიდან ჯერ ერთი მოწყობილობა ამოაცურა და ჩუმად მიაკრა მაგიდის ქვეშ, შემდეგ მეორე და, უცებ დამშვიდდა...

– ამხანაგებო, თათბირი დასრულებულია, თავისუფლები ხართ! – გამოაცხადა მერაბ გამრეკელმა და დაამატა: – პოდპოლკოვნიკი ზვიადაური დარჩეს. საქმე მაქვს!

ყველანი რომ წავიდნენ და მინისტრის კაბინეტში ვაჟა ზვიადაური და მერაბ გამრეკელი დარჩნენ, გენერალმა პოდპოლკოვნიკს უთხრა:

– საქმე როგორ მიდის, ვაჟა?

– კარგად, ამხანაგო გენერალო. გივი ხვალ მეოთხე ვოიაჟს ატარებს, – ცხელა. უკვე მივუახლოვდით მიზანს და ოპერაცია გადამწყვეტ ფაზაში შედის. – მიუგო გამრეკელს ზვიადაურმა.

– ესე იგი, მეტი თავსატეხი გაგვიჩნდება და მეტი მობილიზება გვმართებს.

– სრულად მობილიზებულები ვართ, ბატონო მერაბ. ყველა ჩემმა თანამშრომელმა იცის, თუ როდის, რა უნდა გააკეთოს და ისეთი ქსელი გავაბით, რომ ბანდის ვერც ერთი წევრი ვერ დააღწევს თავს სასჯელს. ისე მოულოდნელად და სუფთად ავყრით, რომ დახვეულებასაც ვერ მოასწრებენ.

– ეს ყველაფერი ყოველგვარი მსხვერპლის გარეშე უნდა მოხდეს.

– თავისთავად.

– მე სხვა რამეს ვგულისხმობ.

– რას? – ვერ მიხვდა ზვიადაური.

– მორფინას.

– თქვენ, ალბათ, მორფინას თავიდან მოშორებას და ნარკოარხის ხელში ჩაგდებას გულისხმობთ.

მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.

ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.

– კი, – დაუდასტურა მინისტრმა და ჰკითხა, – ამ მომენტს როგორ გაანეიტრალებთ?

– ეს ეპიზოდი ჩვენი ოპერაციის ყველაზე ბუნებრივი და დამაჯერებელი მომენტია და ჩოჩიანს მორფინას მკვლელობას ავაცილებთ.

– როგორ?

– მორფინას თურქი ჩამოჰყვება, ვითომდა სტუმრად და მორფინა გულაობის დროს დაიღუპება.

– ვითომ და თურქი ნარკომოვაჭრე, გასაგებია, რომ ჩვენი თანამშრომელი იქნება. მაგრამ, მორფინას დაღუპვის მომენტი ვერ გავიგე, – სიტყვა გააწყვეტინა გენერალმა ზვიადაურს.

– მორფინა იახტაზე გულაობისას, შუა ღამით, შუა ზღვაში მთვრალი ჩავარდება და დაიხრჩობა. სინამდვილეში კი მას ჩვენი მყვინთავები გაიყვანენ სამშვიდობოზე. გვამს, რა თქმა უნდა, ვერ იპოვიან და მორფინა ამგვარად გავა თამაშიდან.

– გონებამახვილურია, – გაეცინა მინისტრს, – შემდეგ?

– შემდეგ, თურქ ნარკომოვაჭრეებთან დამაკავშირებელი მთვარი რგოლი გივი გახდება. თურქი თვითონ მოითხოვს ამას და რაც მთავარია, თანხის გადახდას ვალუტით, ანუ ამერიკული დოლარებით შესთვაზებს მომწოდებლებს.

– დოლარებით რატომ? – თქვა გამრეკელმა.

– ეს უმნიშვნელოვანესი მომენტია, ბატონო მერაბ. სწორედ ამაზე ჩავავლებთ ჩოჩიანს.

– უფრო კონკრეტულად?

– ახლავე, ამხანაგო გენერალო, – გაეცინა ზვიადაურს, – ასეთი თანმიმდევრული ჯაჭვი აეწყობა: თურქი იტყვის, რომ თითქოს თურქები მორფინასგან დოლარებზე ყიდულობდნენ ნარკოტიკებს და მიღებულ წესს ვერ შეცვლიან. როდესაც გივი ნარკოტიკების დიდ პარტიას ჩოჩიანის ხალხთან ერთად ბათუმში ჩაიტანს, წინასწარი შეთანხმებისამებრ, თურქი იქვე ჩაუთვლის მათ ვალუტას და ნარკოტიკებს მიიღებს, ვითომდა თურქეთში გასატანად.

– ანუ, – კვლავ სიტყვა გააწყვეტინა მინისტრმა ზვიადაურს, – მორფინას მსგავსად გივი არ იქნება ნარკოტიკების ჩამტანი თურქეთში?

– რა თქმა უნდა, არა და აქაა სწორედ ჩვენს ოპერაციაში მეორე ძაღლის თავი დამარხული, – გაეცინა ზვიადაურს, – ამ მომენტს თურქი იმით ახსნის, რომ ნარკოტრასაზე მორფინას გარდა, უცხო კაცის გამოჩენამ შესაძლოა, ეჭვი გამოიწვიოს და ნარკოკანალი გაიშიფროს. ერთი სიტყვით, საჭიროა, რომ ფული, ანუ ვალუტა და დიდი რაოდენობით ნარკოტიკები ჩვენს ტერიტორიაზე დავაფიქსიროთ. სწორედ ამ დროს დაადგება მათ ჩვენი ოპერატიული რაზმი და ატყდება ურთიერთსროლა. თურქს და გივის დავხოცავთ. დანარჩენებს კი ფაქტებზე ავყრით. როდესაც ჩოჩიანის ხალხს დოლარებსა და ნარკოტიკებს ხელში დავუჭერთ და ბრალდებას წავუყენებთ, ისინი ჩოჩიანზე გაგვიყვანენ და რუზგენსაც ჩავავლებთ. აი, ასე გავახვევთ მათ ბადეში.

– გენიალურია, – გაეცინა მერაბ გამრეკელს, – ნარკოტიკებზე თხუთმეტწლიანი პატიმრობაა. დიდი რაოდენობით სავალუტო სპეკულაციაზე კი – დახვრეტა და სწორედ დახვრეტის შიშით ამოიდგამენ ენას ჩოჩიანის ხალხი და თავის შეფს ჩაგვაბარებენ.

– თქვენ აბსოლუტურად მართალი ბრძანდებით, ბატონო გენერალო, – ღიმილით მიუგო გამრეკელს ზვიადაურმა, – დახოცილი თურქი და გივი ავტოპროფილაქტიკაში ჩანახშირდებიან და ამგვარად, გავლენ თამაშიდან. ყველაფერი კანონიერად გაფორმდება. პათანატომი დასკვნას დაწერს. პროკურატურა კი „დააპეჩატებს“ და არავის ეცოდინება, რომ ორი დანახშირებული გვამი, სინამდვილეში, პროზექტურიდან წამოღებულ უპატრონო მიცვალებულებს ეკუთვნის.

– სწორია. მარტო ჩვენ უნდა ვიცოდეთ ამ საქმის რეალური არსი, რომ ინფორმაციამ არ გაჟონოს, – თქვა გამრეკელმა, – გივისთან მორიგი კონტაქტი გქონდა?

– ამაღამ უნდა შევხვდე.

– ჩემგან მოკითხვა გადაეცი და უთხარი, რომ ძალიან ფრთხილად იმოქმედოს.

– გადავცემ. მეტი კითხვები აღარ გაქვთ, ბატონო მერაბ?

– ჯერჯერობით, არა. შეგიძლია, წახვიდე, – მიუგო გამრეკელმა ზვიადაურს და კაბინეტიდან გაისტუმრა.

როგორც კი მინისტრისა და ვაჟა ზვიადაურის საუბარი მოისმინა, ვახტანგ პატარიძემ, ყურსასმენები მოიხსნა, ფარულჩანაწერიანი კასეტა სპეცაპარატურიდან ამოიღო და პიჯაკის ჯიბეში შეინახა. შემდეგ, მოსასმენი სპეცაპარატურა სეიფში ჩაკეტა და ჩაფიქრდა. ოციოდე წუთი გაუნძრევლად იჯდა. ბოლოს შიდა ტელეფონზე დარეკა და მინისტრის თანაშემწეს უთხრა:

– გენერალი დაკავებული ხომ არ არის?

– არა, ბატონო ვახტანგ, შეგაერთოთ? – მიუგო გამრეკელის თანაშემწემ.

– თუ არ შეწუხდებით.

ათიოდე წამის შემდეგ მერაბ გამრეკელმა პატარიძეს უპასუხა:

– გისმენ, ვახტანგ.

– მერაბ კონსტანტინოვიჩ, თუ ძალიან არ გჭირდებით, შეგიძლიათ, სახლში გამიშვათ დღეს?

– ხომ მშვიდობაა, ვახტანგ?

– მშვიდობაა, მშვიდობა. უბრალოდ, ტანში მამტვრევს. როგორც ეტყობა, გავცივდი წუხელ. ერთი სული მაქვს, დავწვე და თბილად დავიძინო.

– თათბირზე მეც შეგატყვე, რომ კარგად ვერ იყავი. წადი, გამოშუშდი. შეგიძლია, ხვალაც არ მოხვიდე.

– დილამდე კარგად ვიქნები და თათბირზე აუცილებლად მოვალ. გმადლობთ, ამხანაგო გენერალო.

– რის მადლობა. გამოჯანმრთელებას გისურვებ. ნახვამდის.

– ნახვამდის, მერაბ კონსტანტინოვიჩ, – მიუგო გამრეკელს პატარიძემ და ყურმილი დაკიდა. შემდეგ სამინისტროდან გამოვიდა და სამსახურებრივი მანქანით სახლში გაემგზავრა. მძღოლი გაუშვა და ბინაში ავიდა.

ნახევარიოდე საათის შემდეგ ვახტანგ პატარიძეს ცარიელ ბინაში კალმარი ესტუმრა. ახალმოსული სავარძელში მოკალათდა და მასპინძელს ჰკითხა:

– ხომ მარტონი ვართ აქ?

– კი.

– საუბარს ხომ არ იწერ?

– გიჟი ვარ? რაში მჭირდება?

– ვინმეს ელოდები?

– არა. ჩემები ხვალ ჩამოვლენ.

– რატომ დამიძახე?

ვახტანგ პატარიძემ ორკასეტიან მაგნიტოფონში ფარულჩანაწერიანი კასეტა ჩართო და კალმარს უთხრა:

– მოუსმინე და გაიგებ.

– წესიერად მელაპარაკე! – შეუღრინა კალმარმა მასპინძელს და მინისტრის ხმას რომ მოჰკრა ყური, პატარიძეს ჰკითხა:

– მერაბ გამრეკელია?

– ეგ და ზვიადაური, – მიუგო პატარიძემ და ორივე ჩანაწერის მოსმენას შეუდგა.

ფარული ჩანაწერი რომ მოისმინა, გაფითრებულმა კალმარმა სიგარეტს ხელის კანკალით მოუკიდა. გააბოლა, წამოდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა. ბოლთის ცემა რომ დაასრულა, სახე წამოეჭარხლა და ცივი ხმით ჩაილაპარაკა:

– კიდევ კარგი გავშიფრე, თორემ ყველაფერი წყალში ჩაიყრებოდა.

– როგორი ნამუშევარია? – ჰკითხა პატარიძემ კალმარს და თვითკმაყოფილმა ჩაიცინა.

– ყოჩაღ, უმაღლესად შეასრულე, – გაუ-

ნათელმხილველი - ნელი ბიჩიკაშვილი

თუ ბევრი გასაჭირი დაგატყდათ თავს, როგორიცაა უბარაქობა, ბედის ჩაკეტვა, უშვილობა, ჯადოს ზემოქმედება, ნარკომანია, ლოთობა, კაზინოდამოკიდებულება და სხვა. მიმართეთ ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს! ქალბატონი ნელი იმ ერთეულთა შორისაა, ვისაც შეუძლია უზუსტესად იწინასწარმეტყველოს თქვენს თავს დატეხილი უბედურების მიზეზი და ამ მიზეზის განეიტრალება მოახდინოს... ქალბატონმა ნელიმ ბევრ უშვილო წყვილს აჩუქა შვილის ყოლის ბედნიერება....

ჩაწერა ხდება წინასწარ.

ტ: 214-20-65 (ბინა). 593-30-65-51, 599-20-37-64, 597-10-23-37.

ღიმა კალმარმა მასპინძელს, შემდეგ კი კოპებშეკრულმა დაამატა, – სიტყვა არავისთან დაგცდეს. გასაგებია?

– რა, გიჟი ვარ?

– აი, ეს შენ, – კალმარმა დაბალ მაგიდაზე ხუთი ათასი დოლარი დაუგდო პატარიძეს, – ბევრად მეტს მიიღებ, თუკი დამემორჩილები. გასაგებია?

– კი.

– მე წავედი. შენ კი ახლა ტელეფონი გამორთე და დაიძინე. ხვალ დილით კი სამსახურში დაბრუნდი. მუშაობა განაგრძე და არაფერი შეიმჩნიო.

– რას აპირებ, კალმარო?

– რას გულისხმობ?

– ჩანერგილ აგენტებზე გეკითხები. რას უპირებ?

– არაფერს.

– არაფერს?

– შენი აზრით, რას უნდა ვუპირებდე?

– იცოდე, არ მოკლათ. ეს ამბავი მაინც გასკდება და ყველას მოგვსპობენ. არავინ გვაპატიებს მილიციის ოფიცრის მკვლელობას.

– არც მიფიქრია, – მხრები აიჩეჩა კალმარმა, – უბრალოდ, რუზგენს ვეტყვი, რომ მასთან საქმე აღარ დაიჭიროს. დანარჩენზე კი ფეხებს ვერავინ მოსჭამს და ვერც ჩვენ მოგვწვდებიან.

– ბრძენი ხარ კალმარი, – გაეღიმა პატარიძეს.

– ვიცი, – ღიმილითვე მიუგო კალმარმა და წამოდგა. წამოდგომა დააპირა მასპინძელმაც. მაგრამ, კალმარმა უცებ მაყუჩიანი პისტოლეტიდან ორი ტყვია ესროლა პატარიძეს. ერთი თვალში მოარტყა, მეორე შუბლში და სავარძელში დატოვა.

კალმარმა ჯერ მკვლელობის იარაღს კარგად გაუწმინდა კორპუსი და პისტოლეტი დაბალ მაგიდაზე დადო. მაგიდიდან ხუთი ათასი დოლარი აიღო და ჯიბეში შეინახა. ბოლოს ცხვირსახოცი შემოიხვია ხელზე და კარი გააღო. გარეთ გავიდა. მანამდე კი პატარიძის ბინის ტელეფონი გამორთო და უჩუმრად დატოვა იქაურობა.

– ეს ერთი, – ჩაილაპარაკა კალმარმა, თან პიჯაკის ჯიბეზე დაირტყა ხელი, სადაც ფარულჩანაწერებიანი კასეტა ედო, რომელიც პოლკოვნიკ ვახტანგ პატარიძის ბინიდან წამოიღო და მანქანა ადგილიდან დაძრა.

კალმარმა ერთ-ერთ მყუდრო ქუჩაზე გააჩერა მანქანა და ტელეფონის ჯიხურიდან ნონა ბუთბას დაურეკა.

– გისმენთ, – მოესმა კალმარს ქალის სასიამოვნო ხმა.

– როგორ ხარ, ჩემო გოგო?

– კარგად. შენ?

– მეც კარგად. რამდენ ხანში შეგიძლია, შემხვდე?

– ნახევარ საათში. მოხდა რამე?

– შენთვის სიურპრიზი მაქვს.

– ცუდი თუ კარგი?

– რა თქმა უნდა, კარგი.

– მოვდივარ.

– გკოცნი, – მიუგო კალმარმა ნონა ბუთბას და ყურმილი დაკიდა. შემდეგ ჯიხურიდან გამოვიდა. ფეხით განაგრძო გზა და თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ პლეხანოვის გამზირზე მდებარე კონსპირაციულ ბინაში პირველი მივიდა.

თხუთმეტ წუთში ნონაც მოვიდა და კალმარს ჰკითხა:

– აბა, რა სიურპრიზი გაქვს ჩემთვის?

– დაჯექი და მომისმინე.

გოგონა სავარძელში ჩაეშვა და კალმარს უთხრა:

– გისმენ.

– შენი აზრი მაინტერესებს გივი ჯაფარიძეზე.

– ხომ გითხარი უკვე.

– გაიმეორე.

– გივი ნამდვილი მამაკაცია და თავისი საქმე არ ეშლება. რატომ მეკითხები?

– არ შეეშლებოდა, მე რომ არ გამეშიფრა, – ჩაეცინა კალმარს და ირონიით დაამატა, – სიყვარული ბრმაა, ჩემო გოგონა. კაცი არ გინახავს და ძალამ გაგაბითურა.

– რას გულისხმობ? – კოპები შეკრა ნონა ბუთბამ.

– იმას, რომ გივი ჯაფარიძე ნაბოზარია და ძაღლებზე მუშაობს.

– ხომ არ გეშლება?

– მე არასდროს არაფერი მეშლება, – ღიმილით მიუგო კალმარმა გოგონას. მიუახლოვდა. დაიხარა, რომ თავზე ეკოცნა. მაგრამ, უცებ ორპირა, ალესილი ხანჯალი მზის ნნულში გაუყარა. მთელი ტანით მიაწვა და ნახევარიოდე წუთს დაელოდა. თან, მარცხენა ხელი პირზე ააფარა.

გოგონამ გაფართხალებაც ვერ მოასწრო, ისე დალია სული. კალმარი გასწორდა და ცხვირსახოცით ხანჯლის ტარი გაწმინდა. შემდეგ მოკლულ ნონა ბუთბას შეავლო მზერა და თქვა:

– ესეც მეორე. ახლა დანარჩენებს მივხედავ...

კალმარი ქუჩაში გავიდა და თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ, უკვე რუზგენ ჩოჩიანის სახლისკენ მიემართებოდა მანქანით. „ჟიგული“ მან საკმაოდ მოშორებით გააჩერა. გზა ფეხით განაგრძო და ჩოჩიანის სახლში საიდუმლო გვირაბით შევიდა. ამ გვირაბის არსებობა მხოლოდ მან და ჩოჩიანმა იცოდნენ. გვირაბის გათხრა და შენიღბვა კალმარის იდეა იყო და რუზგენ ჩოჩიანმა სწორედ მისი რჩევით გაათხრევინა გვირაბი ორ მუშას. შემდეგ ეს მუშები დახოცა და გვირაბშივე დამარხა.

– რა მოხდა, კალმარო? სასწრაფოდ რამ მოგიყვანა? – ჰკითხა რუზგენ ჩოჩიანმა კალმარს.

– გივი ჯაფარიძე სადაა?

– ერთ საათში მოვა.

– ესე იგი, ხუთზე.

– არ იტყვი, რა მოხდა?

– ჯაფარიძე და მორფინა ნაბოზრები არიან, – კბილებში გამოსცრა კალმარმა.

– რას ბოდავ!

– სიტყვები შეარჩიე, რუზგენ, – კალმარმა კასეტა ამოაცურა ჯიბიდან. მაგიდაზე დადო, – აი ფაქტი.

– რა ფაქტი?

– რა და, მთელი ეს ნარკოტრანზიტი ძაღლების კონტროლით ხორციელდებოდა. ამ კასეტაზე მერაბ გამრეკელისა და ვაჟა ზვიადაურის საუბარია ჩაწერილი. თუ დროზე არ მოვიშორებთ ჯაფარიძეს და მორფინას, მთელ თქვენ „შაიკას“ აყრიან

– მომასმენინე.

– ჯერ მე მომისმინე.

– გისმენ.

– ახლავე გაგზავნე ხალხი სოჩაში და მორფინა მოიშორონ. ჯაფარიძე რომ მოვა,

გაკოჭონ და სარდაფში ჩააგდონ. ჩვენ მივხედავთ.

– ხომ არ გეშლება?

– რუზგენ, დრო არ ითმენს. ჩქარა ქენი, თორემ ერთ-ერთიც რომ ხელიდან წაგვივიდეს, ცუდად გვექნება საქმე.

– ახლავე ვეტყვი ბიჭებს, – თქვა ჩოჩიანმა და წამოდგა.

– სუფთად იმუშაონ. როგორც კი მორფინას გაასაღებენ, ეგრევე უკან დაბრუნდნენ. მანამდე კი დაგირეკონ და გაგაგებინონ, რა ქნეს.

ჩოჩიანი რომ გავიდა, კალმარმა ფრანგული კონიაკი დაისხა. მოწრუპა და სიგარეტი გააბოლა. რუზგენი ნახევარი საათის შემდეგ დაბრუნდა და კალმარს უთხრა:

– უკვე გაემგზავრნენ. ყველაფერი რიგზეა. ჯაფარიძეს კი ელოდებიან და გაკოჭავენ.

– ძალიან კარგი. ახლა კასეტა ჩართე და მოუსმინე.

რუზგენ ჩოჩიანმა რომ სრული ჩანაწერი მოისმინა, სახეწამოჭარხლებული წამოხტა სავარძლიდან და თქვა:

– ნაბოზრები. ხედავ, რას გვიპირებდნენ. კიდევ კარგი, რომ ყველაფერი გავიგეთ.

– შენ კი არ გჯეროდა.

– მაგარი ხარ, კალმარო. მაინც, როგორ მოახერხე ეს?

– მაგარი ვარ, – მრავალმნიშვნელოვნად თქვა კალმარმა.

– ვაჟა ზვიადაური ვინაა?

– ორგანიზებულ დანაშაულთან მებრძოლი განყოფილების უფროსი.

– ეგეც დასაბრედია. ნაბოზარი. რა ჩათლახურად მოუფიქრებია ყველაფერი.

– ეგ მოგვიანებით. ჯერ ამ ნაბოზრებს მივხედოთ.

– არც მერაბ გამრეკელს ვაცოცხლებ. მაგისი დროც მოვა. მაგრად ვყავარ გამწარებული.

– მაგაზე მერე ვილაპარაკოთ. წადი, გაიგე, რა ხდება. თუ ჯაფარიძე უკვე გაკოჭილი ჰყავთ, სარდაფში ჩააგდონ და არავინ გაეკაროს. მე და შენ მივხედოთ.

ჩოჩიანი წავიდა. ათ წუთში დაბრუნდა და კალმარს უთხრა:

– ყველაფერი რიგზეა. ჩავედით.

კალმარი და ჩოჩიანი საიდუმლო კიბით ჩავიდნენ სარდაფში. სარდაფი ისე იყო მოწყობილი, როგორც საწამებელი საკანი და რუზგენ ჩოჩიანის „გალავარეზები“ ხშირად იყენებდნენ მას დანიშნულებისამებრ. იქვე იდგა ჩაბეტონებული რკინის სანოლი. მასზე გატაცებულ ადამიანებს აწვენდნენ და ხელბორკილებით აბამდნენ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

როგორ დაჭერინა ცოლმა ქმარი 11 მილიონი მანეთის გატაცების გამო

უპრეცედენტო ძარცვა

დილის 11 საათი სრულდებოდა, როდესაც მოსკოვის სისხლის სამართლის სამძებროს სამორიგეოში ტელეფონმა დარეკა.

– კაპიტანი ბიტოვი გისმენთ, – უპასუხა „მურის“ მორიგემ.

– ავტოინსპექტორი, ლეიტენანტი მარკოვი ვარ. ქუჩიდან გირეკავთ. მორზეს შესახვევში მდებარე შემნახველ სალაროში ნიღბიანი ბანდიტები შეიჭრნენ. ხალხი მძევლად აიყვანეს და ვერტმფრენს ითხოვენ გასაქცევად. ჩემი მეანყვილე ხესთანაა ჩასაფრებული. ორნი ვერ გავუმკლავდებით და მაშველი ძალა გამოგზავნეთ! – მოესმა ბიტოვს მამაკაცის აღელვებული ხმა.

მორიგე კაპიტნისთვის იმდენად დაუჯერებელი იყო ეს ინფორმაცია, რომ ლოთის ბოდვად მიიჩნია და შეუღრინა:

– წადი და გამოიძინე, თორემ, თხუთმეტი დღით ჩაგაყუდებ! – შემდეგ ყურმილი აპარატზე დადო და გაეცინა.

მორზეს შესახვევში მდებარე შემნახველი სალარო ყველაზე დიდი ფინანსური დაწესებულება იყო მოსკოვში სახელმწიფო ბანკის შემდეგ და იქ ათეულობით ადამიანი იყრიდა თავს. თორმეტსექციიანი, უზარმაზარი ფართობი სამი მხრიდან ბეტონის ყრუ კედლებით იყო დაცული, შესასვლელი კი შემინული ჰქონდა და მას ორი უიარაღო მორიგე მილიციელი იცავდა. სალაროში 35 თანამშრომელი მუშაობდა. ყოველ სექციაში ერთი ცეცხლგამძლე სეიფი იდგა. სარდაფში კი უზარმაზარი სეიფი იყო დამონტაჟებული. სარდაფში ჩასასვლელი კიბეები სალაროს გამგის კაბინეტში მდებარეობდა. შენობაში იყო განთავსებული ორი ტუალეტი და ექვსი კაბინეტი.

– დაკავებაზე გავდივართ! ჩქარა, ბიჭებო, ჩქარა! – მოესმა კაპიტან ბიტოვს. სამორიგეოდან გაიხედა და კოლეგებს მოჰკრა თვალი, რომლებიც „მურის“ შენობიდან სწრაფად გადიოდნენ.

– ვანია, რა ხდება? – გასძახა ბიტოვმა მაიორ ივანე სუროვს, რომელიც სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა გასასვლელისკენ.

– ძარცვაა. შემსალაროს ბანდიტები დაესხნენ თავს. მოლარის სიგნალი მოვიდა და მორზეს შესახვევში მივდივართ, – მიაძახა მორიგეს კოლეგამ და გაიქცა.

ამ დროს კვლავ ავტოინსპექტორმა მარკოვმა დაურეკა ბიტოვს. კაპიტანმა მისი ხმა იცნო და უთხრა:

– გამაგრდით, ლეიტენანტო. მაშველი ძალა ხუთ წუთში მოვა!

1973 წლის 25 აპრილს, დილის 10 საათსა და 50 წუთზე, შემნახველ სალაროში რვა ნიღბიანი ადამიანი შეიჭრა. ორ მათგანს ავტომატები ჰქონდა, დანარჩენ ექვსს კი – პისტოლეტები. ამ დროს დაწესებულებაში 67 ადამიანი იმყოფებოდა. მოლარე კლარა სოკოლოვამ შეიარაღებული მძარცველები რომ დაინახა, სასიგნალო ღილაკს თითი მიაჭირა და შეტყობინება გაგზავნა მილიციაში. მძარცველებმა ხალხს იატაკზე დაწოლა უბრძანეს, მოლარეებს კი სეიფების გახსნა და უფლის გამოტანა მოსთხოვეს. ერთ-ერთი უიარაღო მილიციელი კი ქუჩაში გაუშვეს და უთხრეს, რომ მას შინაგან საქმეთა სამინისტროში დაერეკა და ვერტმფრენის გამოშვება მოეთხოვა, რათა მძარცველები გაქცეულიყვნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნიღბიანები ხალხის დახოცვითა და სალაროს აფეთქებით იმუქრებოდნენ. დაბნეულმა მილიციელმა ბანდიტების მოთხოვნა ავტოინსპექტორ მარკოვს გადასცა, ანუ, სწორედ მან დარეკა „მურში“.

11 საათსა და 20 წუთზე შემნახველი სალარო შეიარაღებულმა მილიციელებმა ალყაში მოაქციეს. შემთხვევის ადგილზე უამრავი მოქალაქე შეიკრება; ასევე, მივიდნენ მოსკოვში აკრედიტებული უცხოელი ჟურნალისტები, რომლებიც ფოტოებს იღებდნენ და თან ინფორმაციის მოპოვებას ცდილობდნენ.

11 საათსა და 25 წუთზე ამ შემთხვევის შესახებ მაშინდელ შინაგან საქმეთა მინისტრს, ნიკოლაი შჩოლოკოვს შეატყობინეს.

– შტურმით აიღეთ შენობა! მძარცველები ან შეიპყარით, ან გაანადგურეთ! – ბობოქრობდა გენერალი.

როდესაც შჩოლოკოვს მოახსენეს, რომ შემნახველ სალაროში ასზე მეტი მძევალი იმყოფებოდა და ყველაფერ ამას უცხოელი ჟურნალისტები აშუქებდნენ, თქვა:

– გაარკვიეთ, რა სურთ მძარცველებს! ყველაფერს შეჰპირდით, მაგრამ, არცერთი არ გაგექცეთ. სუფთად იმუშავეთ. უცხოელ ჟურნალისტებს კი საბაბი არ მისცეთ, რომ ხალხის ხოცვაში დაგვადანაშაულონ. იმოქმედეთ!

ნიღბიან მძარცველებთან მოსალაპარაკებლად, პოლკოვნიკი ზახაროვი უიარაღოდ, ზუსტად 12 საათზე შევიდა შემნახველ სალაროში. ნახევარი საათის შემდეგ კი უკან დაბრუნდა და შემთხვევის ადგილზე მისულ „მურის“ უფროსს მოახსენა:

– ამხანაგო გენერალო, მძარცველები ვერტმფრენ „მი-12-ს“ ითხოვენ – მოედანზე დასვით და ჩვენ წავიყვანთო. რვანი არიან და ოც მძევალს გამოვიყვანთო. თან, ასაფეთქებლები აქვთ და, ასე თქვეს, თუ წინააღმდეგობის გაწევას დაიპირებთ, ყველაფერს ავაფეთქებთო. რა ვქნათ?

მოსკოვის შემსახველ სალაროში ძარცვველ მძარცველთა განდამ 103 ადამიანი მძევლად აიყვანა

– დრო უნდა გავწელოთ. შედით და უთხარით, რომ ვერტმფრენის საკითხს განვიხილავთ. უკვე ყველაფერი მოფიქრებულია: 3 საათისთვის სპეციალურად აღჭურვილ ვერტმფრენს მოედანზე დავსვამთ და მძარცველებს გავუშვებთ. სასიგნალო მოწყობილობით მის გადაადგილებას დავაკვირდებით. დაშვების ადგილზე კი მათ სპეცჯგუფი დახვდება და აიყვანენ.

ზახაროვი კვლავ შემნახველ სალაროში შევიდა, ათ წუთში უკან დაბრუნდა და გენერალს უთხრა:

– ასე თქვეს, 3 საათს წამიც რომ გადასცდეს, ყველაფერს ავაფეთქებთო.

– არ გადასცდება, – თქვა გენერალმა და საათს დახედა, – პირველს ხუთი უკლია. ორ საათში სპეცვერტმფრენიც მოფრინდება.

ზუსტად 3 საათზე სალაროს წინ შეპირებული ვერტმფრენი დაჯდა. პოლკოვნიკი ზახაროვი სალაროში შევიდა, რომ მძარცველებისთვის ეთქვა – გამოსულიყვნენ. მაგრამ, გაოგნდა – სალაროში არც ნიღბიანი მძარცველები იყვნენ და არც ფული. იქ მხოლოდ 103 მძევალი იმყოფებოდა. როდესაც სალაროში შესულმა მილიციელებმა იქაურობა დაათვალიერეს, დაადგინეს, რომ ნიღბიანი ბოროტმოქმედები ტუალეტამდე გათხრილი გვირაბით გაპარულიყვნენ, რომლის სიგრძე 109 მეტრი იყო და ვარდების ქუჩაზე, ერთ-ერთი ძველი სახლის სარდაფში ამოდიოდა. შემნახველი სალაროს ყველა სეიფი აბსოლუტურად ცარიელი აღმოჩნდა, საერთო ჯამში კი 11 მილიონ 290 ათასი საბჭოთა მანეთი იყო გატაცებული...

13 წლის შემდეგ

მორზეს შესახვევში მომხდარი ძარცვა იმდენად არაორდინარული და უპრეცედენტო იყო, რომ დამნაშავეების კვალს „კაგებემაც“ კი ვერ მიაგნო. ამ საქმეზე საუკეთესო საბჭოთა მაძებრები მუშაობდნენ: ჩატარდა კომპლექსური და მრავალჯერადი ექსპერტიზები; გამოიკითხა ათასობით ადამიანი; ფეხზე დააყენეს აგენტურული ქსელი, თუმცა, შედეგი ვერ მიიღეს და ძალოვან სტრუქტურებს კი მინიმალური ხელჩასაჭიდიც არაფერი არ გააჩნდათ. ეს საქმეც, ისევე, როგორც უამრავი სხვა საქმე, შეიძლება ითქვას, შემთხვევით გაიხსნა. ყველაფერი კი ერთი ინციდენტით დაიწყო: 1986 წლის 23 მაისს, მოსკოვურ კოოპერატივ „ზოლოტოე რუნოში“ ანა კაშია ქმარს, კოოპერატივის თავმჯდომარე ომარ ლომიძეს მიუვარდა და ის საყვარელთან თავისავე კაბინეტში ინტიმურ ურთიერთობაში ამხილა. ცოლქმრული ჩხუბის დროს ქალმა ქმარს წამოაძახა: „გათახსირებულო, ხომ ხარ ღირსი, რომ თერთმეტი მილიონის ძარცვისთვის ციხეში ლპებოდეო... “ ეს სიტყვები კოოპერატივის რამდენიმე თანამშრომელმა გაიგონა, „კაგებეს“ ყურამდეც მივიდა და 56 წლის ლომიძეს კუდზე დაასხდნენ. შესაბამისად, ამოინია მისი დოსიე, გაანალიზდა უამრავი ინფორმაცია და ძიებამ ძარცვაში ლომიძის მონაწილეობის შესახებ ირიბი სამხილები მოიპოვა. დადგინდა, რომ 1973 წელს ომარ ლომიძე მოსკოვის გვირაბმშენში ინჟინრად მუშაობდა და სწორედ მის მიერ იყო დაპროექტებული 109 მეტრი სიგრძის გვირაბი. სამთვიანი ძიებისა და ფარული თვალთვალის შემდეგ, 1986 წლის 29 აგვისტოს, უშიშროების კომიტეტმა მოსკოვსა და თბილისში რვა ადამიანი აიყვანა. ომარ ლომიძის გარდა, დაპატიმრებულები იყვნენ ლომიძის მოადგილე ვარლამ ადეიშვილი, თადარიგის მაიორი უშანგი კოდუა, გეოდეზიის ინსტიტუტის დირექტორი მერაბ კაშია, ტანვარჯიშის მწვრთნელები, ძმები ანზორ და ნოე ფირცხალავები, აგრონომი ჯიმშერ ჯიბუტი და მაღაზიის გამგე რევაზ ტაბიძე. რვავე დაპატიმრებულმა აღიარა ჩადენილი დანაშაული და დაადასტურა, რომ მორზეს შესახვევში განხორციელებულ ძარცვას ერთი წელი ამზადებდნენ. როგორც გაირკვა, გვირაბის გათხრას 9 თვე მოანდომეს, ცეცხლსასროლი იარაღები იმ პერიოდისთვის კაპიტანმა უშანგი კოდუამ გამოიტანა მოსკოვის ერთ-ერთი სამხედრო ნაწილიდან, სადაც ის შეიარაღების უფროსის მოადგილე იყო, ძარცვის მერე კი უკანვე დააბრუნა. როგორც გაირკვა, გატაცებულ თანხას 1985 წლამდე ინახავდნენ და მხოლოდ თორმეტი წლის მერე, „პერესტროიკის“ დროს გაინაწილეს. სწორედ ამ ფულით გახსნა ომარ ლომიძემ კოოპერატივი „ზოლოტოე რუნო”, დანარჩენებმა კი თავიანთი წილი საჭიროებისამებრ გამოიყენეს. ამ რეზონანსული საქმის განაჩენი მხოლოდ ერთი წლის შემდეგ, 1987 წელს გამოიტანეს: რვავე მძარცველს 15-15-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს და მთელი ქონება ჩამოართვეს.

ნიკა ლაშაური

რატომ წაუკიდა მამაკაცმა ცეცხლი რძალს და რა ვერ აპატია მას

56 წლის ეთერ ქ-შვილი საავადმყოფოში მეორე ხარისხის დამწვრობით, შოკურ მდგომარეობაში მყოფი მიიყვანეს. ქალს, როგორც თავისა და სახის არეში, ასევე მთელ ტანზე აღენიშნებოდა დამწვრობები. მდგომარეობა უკიდურესად მძიმე იყო, თუმცა, სამედიცინო ჩარევის შემდეგ, მისი მდგომარეობა გაუმჯობესდა და დაზარალებულის გადარჩენა მოხერხდა. ოჯახის წევრების განცხადებით, ეთერ ქ-შვილის დაწვა მისმა მეზობელმა და ნათესავმა, გურამ ქ-შვილმა სცადა.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და დაიწყო გამოძიება. დაიკითხნენ დაზარალებულის ოჯახის წევრები – მეუღლე და დისშვილი, რომელთა დაკითხვის შემდეგ გამოძიებისთვის დანაშაულის დეტალები გახდა ცნობილი. სამართალდამცველების მიერ მოპოვებული ინფორმაციით, ეთერ ქ-შვილს ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე დაწყებულ ჩხუბში მეზობელმა ბენზინი გადაასხა და მისი დაწვა სცადა.

როგორც საქმის მასალებით გახდა ცნობილი, ეთერ ქ-შვილი და გურამ ქ-შვილი ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობდნენ. მათ ნათესაური კავშირიც ჰქონდათ – ქალი მამაკაცის ბიძაშვილის მეუღლე იყო. რძალსა და მაზლს ერთმანეთთან წლების განმავლობაში ჰქონდათ დაძაბული ურთიერთობა, რაც უბნის ინსპექტორისა და მთელი სამეზობლოსთვის კარგად იყო ცნობილი. გურამ ქ-შვილი რძალს წლების წინ სახლის გაქურდვას არ პატიობდა, რაშიც მის შვილს ადანაშაულებდა. ეთერ ქ-შვილს შვილი ციხეში ჰყავდა გარდაცვლილი და მაზლს ხშირად სთხოვდა, ჩემი გარდაცვლილი შვილის სახელს შეურაცხყოფას ნუ აყენებ, მას შენი სახლის გაქურდვასთან კავშირი არ ჰქონიაო. ამის მიუხედავად, მათ შორის უთანხმოება და დაძაბული ურთიერთობა იყო. დაპირისპირებულთა მეზობლების განცხადებით, ეთერ ქ-შვილი სახლის გაყიდვასაც კი აპირებდა, რომ სადმე შორს გადასულიყო საცხოვრებლად, თუმცა, ვერც სახლის გაყიდვა შეძლო და ვერც გურამ ქ-შვილთან დაძაბულობის განმუხტვა. მოწმემ, ლეილა ს-ძემ, რომელიც ინციდენტის თვითმხილველი გახდა, განაცხადა, რომ იმ დღეს, როდესაც გურამ ქ-შვილმა დანაშაული ჩაიდინა, ეთერ ქ-შვილი ჩხუბში გურამის მეუღლემ გამოიწვია.

ამონაწერი მოწმის ჩვენებიდან: „ეთერ ქ-შვილი ჩემი დეიდაა. შვილის გარდაცვალების შემდეგ მისი მემკვიდრე მე გავხდი. დეიდასა და მის ქმარს, რომელიც ინვალიდია, მე ვუვლიდი და, შესაბამისად, მათ სახლში ხშირად ვიყავი. იმ დღეს, როდესაც კონფლიქტი მოხდა, დეიდას დილით ვესტუმრე. ძალიან აღელვებული იყო და, მითხრა: გურამმა და მისმა ცოლმა მეზობლის პირით შემომთავაზეს – შენს სახლს ჩვენ ვიყიდით, მის სანაცვლოდ კი სოფლის ბოლოს, ბარაკებში გიყიდით ოთახს; შვილი არ გყავთ და მეტი ფართი რად გინდათო. მას შემდეგ, რაც გურამ ქ-შვილმა დეიდაჩემისგან უარი მიიღო, გადაწყვიტა დაენგრია ძველი ღობე და ახალი ღობის გაკეთება დეიდაჩემის კუთვნილ მიწაზე დაეწყო. სწორედ ეს გახდა წლების წინ დაწყებული კონფლიქტის გაგრძლების მიზეზი. დეიდა და გურამი ნაჩხუბრები იყვნენ. იმ დღეს დეიდაჩემს ჩხუბი მოუხდა გურამის ცოლთან. მათ ჩხუბს შემთხვევით შეესწრო გურამი, რომელიც იმ დროს დაბრუნდა სახლში, როცა ქალები ერთმანეთთან კამათობდნენ და თვითონაც ჩაერთო ჩხუბში. მე ვცადე რძლისა და მაზლის გაშველება, მაგრამ, ვერ შევძელი. მერე დაახლოებით ათი წუთით შევედი სახლში, რომ ბიძაჩემისთვის მიმეხედა, რომელიც ძალიან ავად იყო და ამ დროს ეზოდან წივილ-კივილის ხმა შემომესმა. ეზოში რომ გამოვედი, დავინახე, რომ დეიდაჩემი მშენებარე ღობესთან ეგდო მიწაზე და ტანზე ცეცხლი ეკიდა. საშინელი დასანახი იყო ეს სცენა, სახლისკენ რომ მივიხედე, დავინახე, ბიძაჩემიც გამოვიდა. არც კი ვიცი, ინვალიდმა კაცმა ეზომდე გამოსვლა როგორ შეძლო. ქალი ჩემი და თავისი ქმრის თვალწინ იწვოდა. ცეცხლის ჩაქრობას ცდილობდა გურამის მეუღლე, რომელსაც ხელში წყლით სავსე ვედრო დავუნახე. იქვე იყო გურამიც, რომელსაც შეშფოთებული სახე ჰქონდა, მაგრამ, არაფერს აკეთებდა ქალის გადასარჩენად. არ ვიცი, როგორ მოვახერხეთ მე, მისმა ცოლმა და ერთმა შემოსწრებულმა მეზობელმა ცეცხლის ჩაქრობა. ჩვენ წყალი დავასხით დეიდაჩემს, გურამის ცოლმა კი საწოლის გადასაფარებელი დაიფარა და ამით აპირებდა ჩაქრობას. დეიდაჩემს ცეცხლი ისე ჰქონდა მოდებული, შვიდი-რვა წუთი მაინც ვერ ვაქრობდით. ბოლოს, როგორც იქნა მოვახერხეთ, მაგრამ, ეთერი საშინელ მდგომარეობაში იყო. მეზობლის მანქანით გადავიყვანეთ საავადმყოფოში, სადაც მას ოპერაცია გაუკეთდა.”

მამაკაცი შვილმკვდარი ქალის შემვიწროებას მუდმივად ცდილობდა

სამართალდამცველებმა გურამ ქ-შვილი დააკავეს. მან ჩადენილი დანაშაული აღიარა და განაცხადა, რომ ეთერ ქ-შვილს ცეცხლი აღელვების გამო წაუკიდა. ამონაწერი დაკავებულის ჩვენებიდან: „ქალის დაწვა ნამდვილად არ მინდოდა, ვიფიქრე, შევაშინებდი. წლების განმავლობაში არ ველაპარაკებოდი, მაგრამ, ვერ ისვენებდა – სულ ჩხუბში მიწვევდა. იმ დღეს სახლში სწორედ მაშინ დავბრუნდი, როცა ეთერი ჩემს ცოლს ეჩხუბებოდა. საშინელი სიტყვებით ლანძღავდა ჩემს ქალიშვილს: მაგის სიცოცხლეს ჩემი მკვდარი შვილი მირჩევნიაო, ამბობდა. გასათხოვარი გოგო მყავს და მეზობლებისგან მქონდა გაგონილი, რომ მასზე ძალიან ცუდ ჭორებს ავრცელებდა. ემოციური კაცი ვარ და ამას ძალიან განვიცდიდი. სახლში ბენზინით ვვაჭრობ. ღობესთან კანისტრებით მეწყო ბენზინი. ავიღე ერთი კანისტრა და ზედ გადავასხი ეთერს – ვიფიქრე, შევაშინებდი. ისე გამამწარა, აღარც მახსოვს, როგორ მივაგდე ანთებული ასანთი. ჩემი ცოლი უკვე სახლში იყო და ცეცხლის დანახვაზე გარეთ გამოვარდა. ცეცხლი ისე გახელდა, ვეღარ ვაქრობდით. სამი ქალი ცდილობდა მის ჩაქრობას.”

გურამ ქ-შვილმა თავი დამნაშავედ ცნო სასამართლო პროცესზეც. დაზარალებულის ოჯახი მის მკაცრად დასჯას მოითხოვდა. სასამართლომ არ გაიზიარა ბრალდებულის დაცვის შუამდგომლობა აფექტური მდგომარეობის შესახებ და გურამ ქ-შვილს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ეკა ბარაბაძე

ძვალ-სახსართა პათოლოგიების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა; მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით; წონის დაკლება თვეში 5-18 კილოგრამამდე, დიეტების, აკრძალვებისა და ვარჯიშების გარეშე, მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით; ასევე, სიმაღლეში ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსის განმავლობაში 3-5 სანტიმეტრის მომატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით; ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა – დანიშნულებით+ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

599-91-37-65 – ქ-ნი ქეთევანი; 2-47-58-83 – ოფისი.

კატამ „ჩაუშვა“

ბილი კრაიდერი

ბენმა მაშინ გადაწყვიტა ამ სახლის გაქურდვა, როცა დარწმუნდა, რომ მისი მფლობელები ქალაქში არ იმყოფებოდნენ. მას ამაში დარწმუნების თავისი, ორიგინალური მეთოდი ჰქონდა და კვალიფიციური დამხმარეებიც ჰყავდა – ესენი იყვნენ კატები; დიახ, არც მეტი და არც ნაკლები – ოთხფეხა და კუდფუმფულა კატები... ეს პირველი სახლი არ იყო, რომელიც ოსტატურად გაძარცვა. ერთი შეხედვით, განსაკუთრებულს არაფერს აკეთებდა, მაგრამ, წარმატება ყოველთვის გარანტირებული ჰქონდა. მთავარი კოზირებიც და ოპერაციის სასურველი შედეგით დასრულების გარანტებიც კატები იყვნენ – სწორედ ისინი დებდნენ უტყუარ ინფორმაციას ოჯახის მატერიალური კეთილდღეობისა და სახლის მობინადრეების არყოფნის შესახებ. ბენი ხშირად სეირნობდა მდიდრების უბანში და, რომელი სახლის წინაც დაინახავდა კომპანია „კატების ბედნიერების“ მინი-ვენს, სწორედ იმ სახლს ამოიღებდა მიზანში. ახლა, რაში იყო საქმე: კომპანია „კატების ბედნიერება“ კატების მდიდარ პატრონებს სთავაზობდა სრულ და კომფორტულ სერვისს იმ პერიოდში, როცა ისინი სახლში არ იქნებოდნენ, ანუ, მივიდოდნენ კატასთან, დაბანდნენ, აჭმევდნენ, დაუსუფთავებდნენ იქაურობას და წავიდოდნენ. კომპანიის მომსახურებით მხოლოდ შეძლებული მოქალაქეები სარგებლობდნენ, რადგან, სერვისი იაფი ნამდვილად არ ღირდა. წარმოიდგინეთ, როგორი უზრუნველი ცხოვრება უნდა ჰქონოდა ადამიანს, რომ თავისი ძვირფასი კატუნიასთვის სასათბურე პირობები შეექმნა მაშინაც კი, როცა თავად სახლში არ იმყოფებოდა. მოგეხსენებათ, კატები, ძაღლებისგან განსხვავებით, ცუდი დარაჯები არიან, ჰოდა, ბენიც არაჩვეულებრივად იყენებდა კატების ამ ფრიად „დასაფასებელ“ თვისებას. თვითონ ძაღლი ჰყავდა, ბულდოგი და, როცა საქმეზე მიდიოდა, მანქანაში ტოვებდა. მაგრამ, სწორედ იმ დღეს, როცა ერთ-ერთი სახლის გაქურდვა გადაწყვიტა, ძაღლს რაღაც უცნაური დაემართა – ვერაფრით ვერ გამოიყვანა სახლიდან და, შესაბამისად, ვერც მანქანაში ჩასვა. გაბრაზდა, მაგრამ, ამ დეტალისთვის ყურადღება არ მიუქცევია – იფიქრა, ძაღლსაც აქვს ხასიათიო და მაინც ხალისით გაემართა საქმეზე... მანქანა ერთი ქუჩის მოშორებით გააჩერა და ჯერ დაზვერვაზე წავიდა... სანამ გასაძარცვად შეგულებულ სახლს მიუახლოვდებოდა, გვერდით საპატრულო მანქანამ ჩაუარა... სასწრაფოდ ბოლომდე ჩამოიფხატა შუბლზე ქუდი, რომ სახე უკეთესად დაემალა, თავის დაქნევით მიესალმა და ნაბიჯი შეანელა. ჯერ-ჯერობით ყველაფერი წესისა და რიგის მიხედვით მიდიოდა. სახლს მიუახლოვდა და ჭიშკარი შეათვალიერა: გალავანი მაღალი არ იყო. ორ ადგილას კი მის პატრონებს პატარა აბრა-განცხადება გაეკრათ: „ფრთხილად, სახლში ავი კატაა!“ გაეცინა. ჩვეულებრივ, ცოტა სხვანაირი შინაარსის აბრები ხვდებოდა: „ფრთხილად, ეზოში ძალიან ავი ძაღლია“, ან – „სახლს კამერებით ვიცავთ“; აქ კი – ავი კატააო... მსგავსი გაფრთხილება ჯერ არსად ენახა. ბენს სერიოზულად არ მიუღია ეს განცხადება. ავი კატა დაუპატიჟებელ სტუმრებს მშვიდად არ მიიღებდა. საუბარი იყო კომპანია „კატების ბედნიერების“ თანამშრომლებზე. ბენი უკან, მანქანასთან დაბრუნდა. ნელი მოძრაობით წამოვიდა და გასაძარცვ სახლს უკნიდან შემოუარა. გალავნის გადასალახავად სულ ორი ნახტომი დასჭირდა. მხიარული აზრები მოსდიოდა თავში. ისიც კი იფიქრა, „კატების ბედნიერებას“ რეკლამა ხომ არ გავუკეთო, ისე კარგად მეხმარება მუშაობაშიო... დაავიწყდა, დილით, სახლიდან ახლად გამოსულმა, როგორი გამეტებით შეიგინა, როცა გზაზე შავმა კატამ გადაურბინა. ცრუმორწმუნე რომ ყოფილიყო, შეიძლება, იმ დღეს ხელიც კი აეღო სახლიდან გამოსვლაზე.

ფანრის წვრილი შუქით ჯერ შესასვლელი გაანათა... ალღოს არ უმტყუნია – სახლიდან ბევრი რამ იყო წასაღები, განსაკუთრებით კი ტელევიზორი მოეწონა. ამას, ალბათ, ჩემთვის დავიტოვებო, – გაიფიქრა. გასაწევი მინის კარი-ვიტრაჟის სიახლოვეს კატისთვის მოწყობილი, კომფორტული კალათა-სათბურა იდო. იქვე იყო წყლისა და საკვების ჯამი. ყველაფერი იდეალურ წესრიგში გახლდათ – „კატების ბედნიერება“ ფულს ტყუილად არ იღებდა... მაგრამ, თავად კატა არსად ჩანდა. ბენს ნაკლებად აღელვებდა ეს ამბავი. ერთბაშად, წარწერა გაახსენდა – „ამ სახლს იცავს ავი კატა“ – და გაიცინა. მაინც, როგორი უცნაურები და გულუბრყვილოები არიან ადამიანები, რას აღარ მოიგონებენო, – გაიფიქრა. ყველა ოთახი რომ შემოიარა და მოსაპარი ნივთები შეაგროვა, გარაჟის კარს დაუწყო ძებნა – ყველაფერი ერთიანად უნდა გაეტანა, მერე ნელ-ნელა ჩაეწყო მანქანაში, მაგრამ, ჯერ მანქანა უნდა შემოეყვანა... ესეც ადვილად მოახერხა. უხმაუროდ გახსნა კარი – ამისთვის სპეციალური ხელსაწყო ჰქონდა. კატა ისევ არსად შეუნიშნავს. თავისი მანქანა უკუსვლით შეაყენა გარაჟში და ნივთების გამოტანა და მათი საბარგულში ჩაწყობა დაიწყო: პორტატული კომპიუტერი, მაგნიტოფონი, მუსიკალური ცენტრი, სამკაული, რამდენიმე სამშვენისი, ტელევიზორი, რომელსაც აუცილებლად თავისთვის დაიტოვებდა... კიდევ იყო რამდენიმე ნივთი, მალევე რომ გაყიდდა და კარგ ფულსაც მისცემდნენ... კმაყოფილმა კიდევ ერთხელ დაათვალიერა ოთახები. გარაჟსა და მისაღებ ოთახებს შორის პატარა ტუალეტი და ვიწრო დერეფანი იყო – გარაჟიდან სახლში შესულს, შეგეძლო, ხელები დაგებანა ან შხაპი მიგეღო და ისე შესულიყავი ბინაში. გადაწყვიტა, ცოტა მოწესრიგებულიყო. დროც ჰქონდა. არ ჩქარობდა. უკვე კარგადაც ჩამობნელდა გარეთ... ხელისცეცებით მოძებნა ონკანი და, ის იყო, წყალი უნდა მოეშვა, რომ, რაღაც ბანჯგვლიანი და მძიმე, პირდაპირ მკერდზე მიახტა. შეშინებაც ვერ მოასწრო წესიერად, რომ კატის ბასრი კლანჭები სახეში ჩაესო. მთელი ხმით იბღავლა, ორივე ხელით მოიგლიჯა კატა სხეულიდან, კედელს მიანარცხა და გარაჟისკენ გაიქცა. მანქანა სწრაფად გამოიყვანა გარაჟიდან და გზაზე გავიდა... პირველივე განათებულ მოსახვევში სარკეში ჩაიხედა... სისხლიანი ნაკვალევი აშკარად ამხელდა მომხდარს. შეიგინა და სიჩქარეს მოუმატა, თან, კატას აგინებდა. ახლა მთავარი იყო, სახლამდე მიეღწია – იქ სახეს მოიბანდა, რამდენიმე დღეში კი ნაკაწრებიც მოურჩებოდა... ერთი კვარტლის შემდეგ, პირდაპირ გზაზე, საპატრულო მანქანა შენიშნა. სიჩქარეს უკლო. ისე უნდა ჩაევლო, რომ პოლიციელებს მისი დაკაწრული სახე არ შეენიშნათ. როგორც კი ოდნავ მიუახლოვდა, სრულიად მოულოდნელად, კატის ავბედითი ჩხავილი გაიგონა, მერე კი მძიმე და ბანჯგვლიანი გორგალი კისერზე დაახტა და ბრჭყალები ჩაასო... ბენმა საჭეს ხელები უშვა, მანქანა ინერციით გავარდა წინ და საპატრულო მანქანას შეასკდა...

როცა ხელბორკილებს ადებდნენ, ბენმა უკან მოიხედა – შეიძლება, თავისი დამტვრეული მანქანის დანახვა სურდა, მაგრამ, დაინახა (ან, იქნებ, მოეჩვენა) მანქანის საბარგულზე ჩამომჯდარი კატა, რომელიც იცინოდა... „ფრთხილად, სახლს იცავს ავი კატა!“ – გაახსენდა წარწერა აბრაზე და ამოიოხრა, მაგრამ, უკვე გვიან იყო...

თარგმნა
ნინო ნულუკიძემ

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც); შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი; გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან; ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ და სწრაფად გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა; „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა; ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა. საჭირო გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლოესი აპარატურით, ანონიმურობის დაცვით, მყარი, 100-პროცენტიანი შედეგით.

599-90-54-78; 2-34-02-38. – ოფისი. ქ-ნი მარიამი

აკე და ანას დუეტმა მაყურებელი ჯერ კიდევ „X ფაქტორიდან“ მოხიბლმა, სულ ახლახან კი, ისინი „ბრავოს“ ფინალისტები გახდნენ, თუმცა ეს მათთვისაც საკმაოდ მოულოდნელი იყო. ადამიანს არა მხოლოდ ამ მშვენიერი წყვილის ნამღერის მოსმენა სიამოვნებს, არამედ მათი ყურებაც, რადგან ძალიან უხდებიან ერთმანეთს.

რაზე აქვთ კონფლიქტი აკეს და ანას და როგორ გადაწყვიტეს „ბრავოს“ ფინალისტებმა დუეტში სიმღერა

აკე: თავიდან რომ გავიგეთ მარიკოს ვხვდებოდით, ვიფიქრეთ: უეჭველი ვერ გადავალთ და მოდი, „აიპადისთვის“ მაინც დავაგროვოთ ხმები-მეთქი. ბოლო წამებამდე არ ვფიქრობდით, რომ გადავიდოდით.

ანა: ნერვიულობის შეგრძნება იმდენად არ მქონდა, რამდენადაც შიშის. მაგრამ გაგვიმართლა და გადავედით ფინალში. ლობისტი გვყავს ძალიან მაგარი. მანამდე არ ვიცნობდით, ყველაფერი გააკეთა. თან, თურმე, ძალიან რთულია, ვოვა ასეთ რაღაცეებზე დაითანხმო. მაგრამ, ჩვენ გამო წავიდა ამ საქმეზე და გაყო თავი შარში.

აკე: თან, ვინც ვიყავით იქ, არავის არ იცნობდა. სულ სხვა განზომილებაშია, სპორტი მაინც სულ სხვა რამ არის.

– რამე შეიცვალა ამ კონკურსების შემდეგ, შემოთავაზებების მხრივ?

– რაღაც ლაივები არის ხოლმე. თუმცა, ადრეც ვუკრავდი ბენდებში.

ანა: ჩემთვის შეიცვალა, აკეს ცხოვრება ეს არის: ბენდი, მუსიკა. მე ამიყოლია, ჩამითრია და დავიკარგე, ველარ გამოვდივარ. ხატვას ცოტა მივუშვი ხელი, მეშინია უკვე. თუმცა, აუცილებლად დავუბრუნდები.

– შენი ამღერება აკეს დამსახურებაა?

– ძალიან ადრე ვმღეროდი და მერე რაღაც კომპლექსები გამიჩნდა. ახლა აკემ ისევ ამომაღებინა ხმა, მისი დამსახურებაა.

აკე: „მაგთიფანში“ მე, გიორგი ბერიძემ, თორნიკე ყიფიანმა, ანრი ლუდუშაურმა, ანუ ვინც ვიყავით გამარჯვებულები, ვიფიქრეთ: ხომ არ გავიდეთ „X ფაქტორშიო“, მაგრამ მე მარტო არ მინდოდა გამოსვლა. ბიჭებმა – ყველანი გავდივართო და მე ანას ვუთხარი: წამოდი, ჩვენც წავიდეთ-მეთქი. ამდენი წელია, ერთად ვართ, მაგრამ კონკრეტული რაღაც სიმღერები არ გვქონია არჩეული.

ანა: ისე, მანამდე მხოლოდ აკეს სიმღერებს ვმღეროდით ერთად, ვიდრე ქავერებს. მოკლედ, არჩევანი არ დამიტოვა. მაშინ ვერ ვაცნობიერებდი, რაზე მივდიოდი, თორემ...

– თან, ახალი დანიშნულები იყავით, მალევე დაქორწინდით და ეიფორიული მომენტიც გექნებოდათ.

– კი, აფორიაქებული პერიოდი გვქონდა.

– აკეს მუსიკაში უფრო დიდი გამოცდილება აქვს და ხომ არ არის მკაცრი შენ მიმართ?

– პირიქით, მე ვარ საკუთარი თავის მიმართ ძალიან კრიტიკული.

აკე: ანას გამბედაობა აკლია.

ანა: გამბედაობაც მაკლია და მუშაობაც საკუთარ თავზე.

აკე: იმ ფონზე, რომ რამდენიმე თვეა, დაიწყო სიმღერა, ძალიან მაგარია. სამწუხაროდ, საქართველოში ბევრს არ ესმის, რომ მშვიდად იმღერო – კარგია.

– ამეცადინებ ანას?

– ერთმანეთს ვამეცადინებთ.

ანა: აკე მკაცრია – „ანა, დაჯექი, იმეცადინე, ისწავლე ტექსტი!“

– იმან, რომ აკე მომღერალია, მუსიკოსი, თქვენს ურთიერთობაზე გარკვეული გავლენა მოახდინა?

– როგორ არა, სულ ვოცნებობდი, ხელოვანი ქმარი მყოლოდა. სხვათა შორის, ორი ხელოვანის ერთად ცხოვრება ძალიან კარგი აღმოჩნდა. ერთი ჭკუისები ვართ, ვუგებთ ერთმანეთს ყველაფერში. რა თქმა უნდა, განსხვავებული აზრიც გვაქვს რაღაცეებზე, განსხვავებულებიც ვართ, მინუსი და პლუსი გამოვდივართ, ვიდრე პლუსი და პლუსი. მე მინუსი ვარ, ეს – პლუსი, პრინციპში, სულერთია.

ანა: „საკმაოდ მოკლე დროში მოხდა ეს ყველაფერი. ამის მერე 5 წელი ვიყავით შეყვარებულები, დიდი გამოცდილების მქონე წყვილი ვართ“

– დიდი ხანია, იცნობთ ერთმანეთს?

– შვიდი წელია. ბათუმში გავიცანით ერთმანეთი, როდესაც მას კონცერტი ჰქონდა.

აკე: სხვათა შორის, მე და ნიკა კიკნაძეს ერთად გვქონდა ბენდი, ერთად ვუკრავდით. ჩვენს კონცერტზე ანა იყო მოსული. მერე სოციალური ქსელის დახმარებით გვქონდა ერთმანთთან ურთიერთობა, საერთო მეგობრები გვყავს. ერთ დღესაც მეგობრები მწვანე კონცხზე წავედით, თან ჩვენი ინსტრუმენტები წავიღეთ, იქ გავიცანი და მანდ დაიწყო ყველაფერი. შემდეგ თბილისში ჩამოვედი, მე და თორნიკე ყიფიანი ერთად ვუკრავდით ბენდში. რუსთავში გვქონდა კონცერტი და იქ გამოვუტყდით ერთმანეთს სიყვარულში.

აკე: „იცოდა, რომ ასეთი არეული ვიქავი. ჩემთან ვიკრიბებოდით ხშირად მეგობრები და სულ არეულ-დარეული იქო სახლი“

ანა: ასე, არ მახსოვს, როდის გაჩნდა ჩვენს შორის გრძნობა. მწვანე კონცხზე რომ ვიყავით, უკვე მოხიბლული ვიყავი. რუსთავის კონცერტზე კი დავრწმუნდი, რომ მიყვარდა. საკმაოდ მოკლე დროში მოხდა ეს ყველაფერი. ამის მერე, 5 წელი ვიყავით შეყვარებულები. დიდი გამოცდილების მქონე წყვილი ვართ.

– ჯვარიც დაიწერეთ?

აკე: კი, ყაზბეგში გერგეთზე. ჯვრისწერა ჩვენს ხუმტურებზე გავაკეთეთ, ნიშნობა უფრო ტრადიციული იყო. გვინდოდა, ჯვრისწერაზე ახალგაზრდები ვყოფილიყავით: მე, ანა, მეგობრები წავედით. სამ-სამი მეჯვარე გვყავდა და ძალიან კარგად, მხიარულად ჩავატარეთ ყველაფერი.

– ჩაცმის სტილიც ძალიან კარგი გაქვთ. გიხდებათ და უხდება სცენას.

ანა: ჩაცმა მეხება მე. მომწონს სხვანაირი რაღაცეები, აკეც დავიყოლიე, მომყვება. არ მიწევს წინააღმდეგობას და სანამ გამომდის, კარგია.

აკე: ადრეც ასე ვიყავი. სკოლის ბანკეტზე მე და ჩემი მეგობარი ისე მივედით, „ჩანგალზე დაპატიჟებული“ ვეგონეთ ხალხს. ჩაცმულობა არ არის ჩემთვის პირველი, თუმცა ახლა საჭიროა. ადრე კიდევ უფრო სხვანაირად ვიცვამდი. ახლა წლები მომემატა, ოჯახი მაქვს. ცოლი მოვიყვანე.

– რაში არ ემთხვევა თქვენი გემოვნება?

ანა: ყველაფერში ემთხვევა, უბრალოდ, სახლის საქმეებში არ მეხმარება. ხანდახან, თუ ძალიან ვთხოვ რაღაცას, მაშინ შეიძლება, დამეხმაროს. თვითონ კი არ მიხვდება: ვაიმე, ახლა ჩემი ანა მოვა, დაღლილი იქნება – არა.

აკე: გათხოვება გინდოდა?

ანა: მინდოდა, ვიფიქრე შემეხიდებოდი, მაგრამ, ტყუილი აღმოჩნდა ჩემი იმედები. როცა საჭიროა, ყველაფერი ახსოვს, ფიქრობს, მაგრამ, თუ არ უნდა, შანსი არ არის, არ გააკეთებს.

აკე: შენ, როცა რაღაც არ გინდა, მე ხომ არ გაძალებ.

– საქმეები ვერ გადაინაწილეთ?

ანა: მე კი გადავანაწილე, მაგრამ ვისაც მოვალეობა მივანიჭე, არ ასრულებს. ისე, სამზარეულოში მეხმარება. ისეთ კარგ რაღაცეებს აკეთებს.

აკე: როდესაც უნივერსიტეტში ჩავაბარე, მარტო ვიყავი და მიწევდა რაღაცეების კეთება. არეული რომ არის სახლში რაღაცეები, აქედან არის. იცოდა, რომ ასეთი არეული ვიყავი. ჩემთან ვიკრიბებოდით ხშირად მეგობრები და სულ არეულ-დარეული იყო სახლი.

ანა: მაშინაც მე ვულაგებდი. ერთ რამეზე გვაქვს კონფლიქტი: ტელეფონსა და კომპიუტერში თამაშობს 24 საათის განმავლობაში. ვეტერანი გეიმერია, მინდა, საერთოდ არ ითამაშოს და ცოტა შემეხიდოს.

აკე: ძალიან გემრიელ კერძებს აკეთებს, ეგზოტიკურს. იგონებს ხოლმე, თავისი რეცეპტები აქვს, თავისი გაფორმებებით, ყველაფრით.

– რას აპირებთ „ბრავოს“ შემდეგ?

– „ბრავომდე“ გვინდოდა მოგზაურობა, მაგრამ აღარ გამოგვდის, ჩაგვეშალა „ბრავოს“ გამო. მე, ანას და ჩვენს მეგობარ მუსიკოსებს გვინდოდა, ევროპაში მოგზაურობა და თან, სხვადასხვა ქალაქში დაკვრა, მაგრამ ვერ მოვახერხეთ და უჩვენოდ წავიდნენ.

ანა: ყველაფერი წინ გვაქვს, შენ არ იდარდო, აკე. ყველგან გვინდა მოგზაურობა – ჯერ ევროპა, შემდეგ აღმოსავლეთი, რომელიც ძალიან მიტაცებს.

ნათია უტიაშვილი

ბაში-აჩუკის მეგობარი ქალი
მალის დედა-ქალაქი
ხილი
იზა-ბელას ლვინო
აკვია-ტებული ჩვევა
აფრიკის ქცეყანა
ირანის შაკი-ტოლი, მსგავსი
ყოფილი ბელადი მწერალი ჟორჟ....
ტანზა-ნიაშია (....)-ეს-სალამი
კათოლიკური საგალობელი
იდუმალი ამგები ერთად
მცირე ფასის
ქართული ეკლესიის პირველი წმინდანი
რემბრ-ანდტის ნახატი
დრაი-ზერის რომანის გოგონა
სენაკის სოფელი ვერდის ოპერა
სიმონა ძალაძის ცოლი
სამარე
მოლო-დინი
კომში დასავ-ლეთში
ბანქოს თამაში მეფე ქალი
კაუზა
თამბაქო
პატარა თხა
„გამზრ-დელის" (.....)-ბეგი
ბაირონის ასული ტარიელ-ის ბინა
სიმეგბიანი საკრავი აფრიკის ქვეყანა
ასი=-ასი ასლამაზი ასი კაბა აცვია
დუტა დიმა
ალექ-სანდრია ქალიან ბევრი
ცნობილი რუსი მეკარე
სირიის პრეზი-დენტი
რუსული თვით-მფრინავი
გიგანტების ჭიდაობა
გერმან. მწერალი
(.....) ლოლა-შვილი
არგენტ-ინელი ფეხბუ-რთელი
დაბლობი ხელო-ვნური ქსოვილი
ხორ-ვატიის პორტი
ძველად ყანდიც ერქვა
ლეკი თავადი ...და საკ-ონსულო
ქალაქი საქართველოში
რაჭის სოფელი
უძველესი „ქაღალდი"
ფული ბანკში ნესტანის მამიდა
მაღაზია (.....) პარი
საწინააღმდეგო მიმარ-თულების
სახაზო ქონგრესი ცისარი ყვავილი
შუშა
ბუნება
რუსი მხატვარი
ბის-მარკის სახელი
ჩვენს ქალებსაც ჰქვიათ
ნიადაგი
ხალხი
სლავი მრწამსი აფერუმ!
(.....) კალან-დაძე
სიცრუე
ცხენის სტიგული
პატარა ლია
ფაფუკი
წვიმის საშველი
მჭევრ-მეტყველი
ვიბრაცია
სპორ-ტული მოედნის ატრიბუტი
ნორჩი
ჩვენი ოპერა
ლომის კიდური
სანოტო ნიშანი სახოტბო ლექსი
ღამის ქუდი
ფრენის სიტყვა
(.....) კაპრიო შექსპირ-ის მეფე
მიცვალ-ებულის გახს-ენება
მრგვალი რიცხვი
თავის-უფალი
რუმი-ნეთის ქალაქი
ქვეყნის ნაწილი
ქალაქი იტალიაში
რიო-დე ჟანეიროს სტადიონი
სერგოს მამა პარუნ (.....)
ინდური კაბა
სასრ-ულეთი
პატარა თითი
ჭაბუკი ლამპ-რით
დიდი ჩაქუჩი
ოსეთი ოსურად

																									3													
																									3													
																						2			3													
																						1	2		2	1	3											
																			2			1	5	4		7	4	1		1	8							
						1	2	2	2	2	3	2	2	2	2	3		2	2	5	3	5	5	6	12	20	6	6	6	5	8	5	8	6					
					1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	3	1	1	2	11	13	6	1	1	1	1	1	6	22	12	2	1	1	4	1	1	1	1
				6																																			
				6																																			
			1	3																																			
			3	2																																			
			5	1																																			
				6																																			
			4	2																																			
				2																																			
			5	4																																			
			5	6																																			
			5	8																																			
	6	1	5	8																																			
	9	1	6	8																																			
		13	2	8																																			
	1	5	3	6																																			
		1	4	4																																			
				8																																			
				9																																			
				10																																			
				11																																			
			4	5																																			
			4	5																																			
			3	3																																			
			3	3																																			
			3	3																																			
			3	2																																			
			2	2																																			
			2	2																																			
			3	3																																			
12	5	5	5	4																																			

სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

ადვილი ამოცანა

5		8		7		4		9
7		2				6	8	
	6		8		2		7	
8	1		9			7		2
	7	3		6		5		4
6			1		7		3	
	5		3	2			9	6
2		9		8			5	
	8		5		9		4	7

რთული ამოცანა

8					3			4
	9		7				2	
	3			5		9		7
3	6	5		1				
	7	1		3		2	9	6
9								1
7			5					9
	4			8			1	
5								2

ისწავლეთ ხატვა ზღვიურ ფრინველთან ერთად

1. თავით დაიწყეთ ჩიტის ხატვა



2. მიახატეთ ნისკარტი და თვალი



3. დაასრულეთ თავის ხატვა

4. მიახატეთ ტანიც



5. შემდეგ – ფრთა

6. ბოლოს – ფეხები და ჯუდი

7. დაასრულეთ ნახატი

8. გააფერადეთ

თაბუკაშვილის №36
ტელ.: 272 9191
ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია

იპოვეთ 10 განსხვავება

დაეხმარე გზის გაკვლევაში

ხელნაკეთი ნაძვის ხე

შეგიძლიათ, ნაძვის ხე ბავშვებს დაამზადებინოთ. ამისთვის დაგჭირდებათ: მწვანე ქსოვილი (სასურველია სქელი), მუყაო, ძველი ღილები, მძივები, თასმები და საახალწლო „წვიმის“ დეტალები.

თექისგან გამოჭერით ნაძვის ხე, დააკარით მუყაოს ორივე მხრიდან და დააწებეთ ღილები, თასმები და საახალწლო „წვიმები“ ისე, როგორც ფოტოზეა ნაჩვენები ან, შეგიძლიათ, თქვენი გემოვნებით მორთოთ. თუ პატარა ატლასის ლენტსაც მიამაგრებთ როგორც საკიდს, დიდ ნაძვის ხესაც დაამშვენებთ თქვენი ხელნაკეთი სათამაშოთი.

რიცხვრებუსი

7,,, 1,,, ,,0

მგელი და ვირი

(იგავ-არაკი)

ერთხელ მგლების ხროვის მეთაურმა განიზრახა თანამოძმეებში თანასწორობის კანონები დაეწესებინა, რათა ნადავლი თანაბრად გაეყოთ. ამაზე ვირს გაეცინა, კუდი ოინბაზურად მოუქნია და მგელს უთხრა:

– ურიგოდ არ ბრძანებ, მგელთა ხელმწიფევ, მაგრამ გუშინ რომ საკუთარ ბუნაგში ნადავლი შეითრიე, ისიც უნდა გამოიტანო და ყველას თანაბრად გაუნაწილოო?

მგელს ეს ამბავი არ ეჭაშნიკა და კანონებიც მყისვე გააუქმა.

ხშირად თვით კანონმდებელიც არ იცავს წესსა და კანონს.



რატომ ჩაუტეხა კბილი მიქაელ მთავარეპისკოპოსმა ვახტანგ გორგასალს

მეხუთე საუკუნის 30-იან წლებში გარდაიცვალა ქართლის მთავარეპისკოპოსი ბასილი პირველი და მის ადგილას არჩილ პირველმა დაადგინა მობიდანი.

მობიდანი წარმოშობით სპარსი ყოფილა. ის თავს აჩვენებდა მართლმადიდებლად, სინამდვილეში კი, როგორც მემატიანე წერს, „მოგვი იყო“ და „წესთა შემშლელი“. ამას ფარულად აკეთებდა და ვერ შეატყვეს მეფემ და მისმა ძმ. თვითონაც, მეფისა და ხალხის შიშით, ვერ აცხადებდა თავის ნამდვილ რწმენას, თუმცა, ფარულად წერდა „საცთურით სავსე წიგნებს“, რომლებიც შემდგომად დაწვა მიქაელ მთავარეპისკოპოსმა.

არჩილ მეფის შემდეგ მისი ვაჟი, მირდატი გამეფდა. მას ცოლად ჰყავდა რანის (ალბანეთის) ირანელი მმართველის, ბარზაბოდის ასული – საგდუხტი.

მეფე-დედოფალს პირველად ეყოლათ ასული – ხუარანძე. ოთხი წლის მერე გაჩნდა უფლისწული, რომელსაც სპარსულად უწოდეს ვარან-ხოსრო-თანგ, ქართულად – ვახტანგ.

მეფე მირდატი რომ გარდაიცვალა ვახტანგი 7 წლის იყო. მცირეწლოვანი ვახტანგის სახელით ქვეყანას მართავდა საგდუხტ დედოფალი. დედოფლის აზრით, მთავარსარდლის გარეშე დარჩენილ ქართლს ხიფათი ელოდა ბარზაბოდისგან, მისი მამამთილისა და ქმრის მიერ სპარსთა წინააღმდეგ ბრძოლის გამო და ასევე, მის მიერ ქრისტიანობის მიღებისთვის. ამიტომ, საგდუხტ დედოფალმა მოიწვია ერისთავები, სპასპეტი და მათ ჩააბარა შვილები. თავად კი გაემგზავრა ქვეყნიდან და ეახლა მამას ბარდავში (ძველი ალბანეთის ერთ-ერთ დედაქალაქში, დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, მტკვრისა და ტერტერას შესართავთან). სთხოვა, სპარსელების წინაშე ეშუამდგომლა, რათა არ გამოელაშქრათ ქართლზე და არ დაეწყოთ ქრისტიანთა დევნა. ბარზაბოდი დათანხმდა. თუმცა, მოითხოვა, ქართლშიც ემოქმედათ მაზდეანთა მოგვებს და მათთვის ხელი არავის შეეშალა.

ბარზაბოდმა ცეცხლის მსახურნი წარმოგზავნა მცხეთას, ბინქარანის ხელმძღვანელობით.

ბინქარან მოგვი ხალხის გადაბირებას ცდილობდა ცეცხლის მსახურთა რელიგიის მხარეზე. დედოფალი საგდუხტი წუხდა, რადგან ბევრი ცდუნდა სპარსთა სარწმუნოებისგან. მან საბერძნეთიდან მოიწვია მღვდელი, სახელად მიქაელი და დაადგენინა ეპისკოპოსად, რადგან მობიდან მთავარეპისკოპოსი გარდაიცვალა, რომელიც წინ აღუდგა ბინქარან მაცდურს და ქართველებს ჭეშმარიტ სარწმუნოებას ახსენებდა. ამ დროს მთავარეპისკოპოსი იყო ჯერ იოველ პირველი, მერე კი გლონოქორ პირველი.

მიქაელ ეპისკოპოსის მოღვაწეობამ შედეგი გამოიღო. შემდგომში ის დაადგინეს ქართლის მთავარეპისკოპოსად.

დაახლოებით 452 წელს, როცა ვახტანგ მეფე ათი წლის იყო, ჩრდილოეთ კავკასიიდან ოსები გადმოვიდნენ ქართლში და მოაოხრეს. კასპიდან ტყვედ წაიყვანეს მეფის სამი წლის და – მირანდუხტი.

ქართველები შურისძიებისთვის ემზადებოდნენ და უცდიდნენ, როდის გაიზრდებოდა მათი მეფე.

მაშინ ჯერ კიდევ არ იყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია აღიარებული და არ არსებობდა კათალიკოსის ტახტი.

ვახტანგ მეფეს მიქაელ ეპისკოპოსი ზრდიდა და ასწავლიდა ქრისტეს სჯულს.

გადასაჭრელი იყო ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი – ქართულ ეკლესიას სჭირდებოდა ავტოკეფალია.

ბიზანტიას დაკავებული ჰქონდა სამხრეთ-დასავლეთ და დასავლეთ საქართველოს გარკვეული ტერიტორიები. ვახტანგ პირველმა სპარსულ ჯართან ერთად, ან სპარსული ჯარის პარალელურად, ისარგებლა რა მომენტით, შეუტია ბიზანტიას და გამოიხსნა ტერიტორიების დიდი ნაწილი.

მიქაელ მთავარეპისკოპოსს რომ ამცნეს მეფის პასუხი, მან დასწყევლა გორგასალი და ქართული ჯარი

პონტოს ზღვისპირა ქალაქთან, ალბათ, ტრაპიზონთან, მან გაიცნო მღვდელი პეტრე და ბერი სამუელი. პეტრე გრიგოლ ღვთისმეტყველის საფლავზე იყო ნამოღვაწარი და მისი მიმდევარი გახლდათ. პეტრე და სამუელი ძალიან დაუახლოვდნენ მეფეს. მათი ლოცვის ძალით ვახტანგ მეფეს გამოცხადებაც ჰქონდა.

ბიზანტიის იმპერატორი იძულებული გახდა, ზავი ეთხოვა იბერთა მეფისგან. ამ დროს ქართველი ხელმწიფე 22 წლის იყო. ეს მოხდა 463–464 წლებში. ვახტანგ გორგასალმა ტყვეები დაუბრუნა ბიზანტიელებს. ჯუანშერის თქმით, ეს იყო 780 000 ადამიანი, რაც შესაძლოა, გადაჭარბებულია. შეიძლება, ეს არა მარტო ქართველების, არამედ სპარსელების მიერ აყვანილი ტყვეებიც იყვნენ. ბიზანტიის კეისარი ლეონ პირველი ნავით, მცირე დაცვის თანხლებით, მოადგა ნაპირს და შეხვდა ქართველ ხელმწიფეს.

ზავის პირობებით, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი პროვინციები არსიანის ქედამდე, ესე იგი, ჭოროხის აუზი და ზღვამდე, ქართლის სახელმწიფოს საკუთრებად გამოცხადდა. ამ დროისთვის, უკვე დაქვრივებული ვახტანგ მეფე დაინიშნა იმპერატორის ასულ ელენეზე. მას შემდეგ, რაც მეფე იქორწინებდა კეისრის ასულზე, აფხაზეთსაც მდინარე კლისურამდე (კელასურამდე) დააბრუნებდა ბიზანტია, ოფიციალურად, სადედოფლოს მზითვად.

გარდა ამისა, ბიზანტიის იმპერია და ეკლესიები აღიარებდნენ ქართლის ეკლესიის ავტოკეფალიას. ეს დიდი მიღწევა იყო. ქართულ ეკლესიას სათავეში ჩაუდგებოდა კათალიკოსი. იმ დროს წოდება – კათალიკოსი აღნიშნავდა ბიზანტიის იმპერიის გარეთ არსებული ავტოკეფალური ეკლესიის მეთაურს. მანამდე ქართლის ეკლესიის მწყემსმთავრებს მთავარეპისკოპოსები ერქვათ და ისინი ანტიოქიის საპატრიარქოს ექვემდებარებოდნენ.

ქართლის კათალიკოსად ვახტანგ მეფემ ითხოვა მღვდელი პეტრე, რომელიც მას ეხმარებოდა დიპლომატიურ საქმიანობაში. კათალიკოსთან ერთად, ვახტანგ მეფემ ითხოვა 12 ეპისკოპოსის გამოგზავნაც. შესაძლოა, პეტრეს კათალიკოსის რანგში აყვანა ბიზანტიელებსაც აწყობდათ, რადგან დიდი წვლილი შეიტანა ქართველი და ბიზანტიელი მეფეების მოლაპარაკება-შერიგებაში.

ვახტანგ მეფე მობრუნდა ქართლში. დედოფლის მოყვანა და კათალოკოს-ეპისკოპოსთა ჩამოყვანა გაჭიანურდა, ვინაიდან ქართლზე სპარსელების შეტევა მზადდებოდა, ხოლო ბიზანტიას კი ხაზარებთან ჰქონდა ბრძოლები.

ქართლის ეკლესიას კვლავ მართავდა მიქაელი. ბინქარანი დააპატიმრეს და საპყრობილეში ჩააგდეს.

ვახტანგ მეფე ირანის შაჰის მოკავშირედ გაემგზავრა ინდოეთში საბრძოლველად. მანამდე მეფემ დედასთან და ხვარანძესთან ერთად, მოილოცა იერუსალიმი და შემდეგ ანტიოქიაში გაემგზავრა. იერუსალიმში მას იქაურმა პატრიარქმა გადასცა ტერიტორია ჯვრის მონასტრის ასაშენებლად.

ინდოეთიდან დაბრუნებულმა ვახტანგ მეფემ წერილი გააგზავნა კონსტანტინოპოლში და კათალიკოსისა და ეპისკოპოსების სწრაფად გამოგზავნა მოითხოვა.

რომ გაიგო მიქაელ მთავარეპისკოპოსმა, მეფეს კათალოკოსის დასმა განუზრახავსო, ეწყინა, გაბრაზდა და შეუთვალა: „შენ დაგიტევებია ქრისტე და ცეცხლის თაყვანისმცემელი გამხდარხარ“. ეტყობა, ძალიან ემოციური ადამიანი იყო.

გორგასალმა შეუთვალა: „ქრისტეს ერთგული ვარ, ღმერთმა იცის, თუმცა ელჩი მყავს გაგზავნილი კათალიკოსისა და ეპისკოპოსების მოსაყვანად.“

მიქაელ მთავარეპისკოპოსს რომ ამცნეს მეფის პასუხი, მან დასწყევლა გორგასალი და ქართული ჯარი. მეფემ, როგორც ჭეშმარიტმა ქრისტიანმა სიმდაბლე გამოიჩინა და მთავარეპისკოპოსის სანახავად წავიდა – მიქაელი ხომ ქართლის მღვდელმთავარი და მისი გამზრდელი იყო. ჩამოხტა ცხენიდან და სახედარზე მჯდომ მთავარეპისკოპოსს მიუახლოვდა, რათა მთხვეოდა ხელზე... შესაძლოა, რომ მეფეს

(გაგრძელება 69-ე გვერდზე)

ექიმი-კოსმოენერგეტიკოსი ნატო ობოლაშვილი-ხარებავა განაგრძობს ადამიანების დახმარებას

ბევრ ქვეყანაში აღიარებული, საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე, ცნობილი ექიმი-კოსმოენერგეტიკოსი, „ტაროს“ კარტის უბადლო მცოდნე, ასტროლოგი და ნათელმხილველი ნატო ობოლაშვილი-ხარებავა კვლავ თბილისშია და განაგრძობს ადამიანების დახმარებას უნიკალური ნიჭისა და შესაძლებლობების წყალობით. გაითვალისწინეთ, რომ მასთან მიღება ხდება წინასწარი ჩაწერით.

საკონტაქტო ტელეფონები:
2 52-40-14; 599 64-16-16; 599 11-95-16.

როგორ ირჩევდნენ აცტეკები ქურუმებს და რას დაარქვეს მათ „ყვავილების ომები“

აცტეკები უიტსილოპოჩტლის მსხვერპლად შესაწირი ადამიანებით რეგულარულად უზრუნველყოფისთვის ურიცხვ ომს აწარმოებდნენ. მაგრამ, რადგანაც რეალური მტრები არ კმაროდა, შემოიღეს ეგრეთ წოდებული „ყვავილების ომები“ – მოკავშირე ქალაქების არმიები ისე ერკინებოდნენ ერთმანეთს, რომ, არც ურთიერთსიძულვილს განიცდიდნენ და არც არავითარ პოლიტიკურ ამოცანებს წყვეტდნენ ერთმანეთში. ამ რიტუალური ომების ერთადერთი მიზანი იყო აუცილებელი რაოდენობის (ზოგჯერ მრავალი ათასი) ტყვეთა ხელში ჩაგდება, რომლებსაც მსხვერპლშეწირვებისთვის იყენებდნენ; გარდა ამისა, ბრძოლის ველზე დაქცეული სისხლიც მსხვერპლშეწირვად ითვლებოდა. „ყვავილების ომისათვის“ სპეციალური ტერიტორიები გამოიყოფოდა, სადაც ხდებოდა ჯარების განლაგება და იწყებოდა ბრძოლა წინასწარ შეთანხმებული წესებით. ამ ომებმა ასეთი რომანტიკული სახელწოდება იმიტომ მიიღო, რომ აცტეკები ადამიანთა გულებს ყვავილებს ადარებდნენ.

ტყვედ აყვანილებს აცტეკები ამწყვდევდნენ და საჭიროების მიხედვით „ხარჯავდნენ“; ასევე იქცეოდნენ აცტეკთა მონათესავე ტომები. ბერნალ დიასი წერდა, რომ ტლაშაკალაში (ქალაქი-სახელმწიფო, რომელიც აცტეკებს ექვემდებარებოდა) არაერთხელ ჰქონდა ნანახი ხის გალიები, რომლებშიც დამწყვდეული იყვნენ მსხვერპლად შესაწირი კაცები, ქალები და ბავშვებიც.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ტყვეები, რომლებიც მსხვერპლად უნდა ყოფილიყვნენ შეწირული, როგორც წესი, არ ცდილობდნენ გაქცევას და არც მათი ოჯახის წევრები ცდილობდნენ მათ გამოსყიდვას. წარჩინებული მებრძოლისთვის გაქცევა ან გამოსყიდვა დიდ სირცხვილად ითვლებოდა. მას ან ომიდან უნდა მოეყვანა ტყვეები, ან თვითონ უნდა ჩავარდნილიყო ტყვედ და შეეწირათ მსხვერპლად – ეს სასახელო საქმედ ითვლებოდა; ამასთანავე, სამსხვერპლოზე სიკვდილი, მათი აზრით, უზრუნველყოფდა მსხვერპლად შეწირულის ღვთაებასთან შეერთებას იმქვეყნიურ ცხოვრებაში. ცნობილია შემთხვევები, როცა ტყვეებს ათავისუფლებდნენ ხოლმე, მაგრამ ისინი უარს ამბობდნენ თავისუფლებაზე და ითხოვდნენ, რომ მსხვერპლად შეეწირათ.



ერთხელ, მეზობელ კოლუაკანთან აცტეკების სამხედრო კონფლიქტის დროს, აცტეკთა ბელადი იუტსილიუიტლი და მისი ქალიშვილი აიყვანეს ტყვედ. მათი ნათესავები ცდილობდნენ, გამოესყიდათ ისინი და კოლუაკანელებიც თანახმა იყვნენ ამაზე, მაგრამ, ტყვეებმა განაცხადეს, რომ არ სურდათ უიტსილოპოჩტლის ნების წინააღმდეგ წასვლა და თვითონვე გაიპეს მკერდი იმ ადგილას, სადაც გულია. ქრონიკოსებს სხვა მსგავსი შემთხვევებიც აქვთ აღწერილი, მაგალითად, ტლიშკალის ბელადი – ტლაუიკოლი ტყვედ აიყვანეს აცტეკებმა და თავიანთ არმიაში შესთავაზეს ერთ-ერთი რაზმის მეთაურობაც, მაგრამ, ერთ-ერთი ლაშქრობიდან გამარჯვებით დაბრუნებულმა, მოითხოვა, იგი ღმერთებისთვის შეეწირათ.

თამაშის დამთავრების შემდეგ მოთამაშეთა ნაწილს სწირავდნენ თავიანთ ღმერთს. მაგრამ, მკვლევრები ვერ შეჯერდნენ მართლაც დასკვნაზე, კერძოდ, ვის კლავდნენ: გამარჯვებულებს, დამარცხებულებს თუ ერთ-ერთი გუნდის კაპიტანს

გარდა „ყვავილების ომებისა“ აცტეკებში შეჯიბრების კიდევ ერთი სახეობა იყო გავრცელებული, რომლის შედეგების მიხედვით, ადამიანებს, სავარაუდოდ, მსხვერპლად სწირავდნენ. ეს იყო ბურთით თამაში. რომელიც ერთობ პოპულარული იყო მთელ სამხრეთ ამერიკაში. დღემდეა შემორჩენილი მრავალი სტადიონის ნანგრევები, სადაც აცტეკთა გუნდები ქვის რგოლებში ბურთის ჩაგდებაში ეპაექრებოდნენ ერთმანეთს. ამ თამაშით გატაცებული იყო მაიას ტომიც. მოიპოვება ცნობები (თუმცა, არცთუ მთლად უეჭველი), რომ თამაშის დამთავრების შემდეგ მოთამაშეთა ნაწილს სწირავდნენ თავიანთ ღმერთს. მაგრამ, მკვლევრები ვერ შეჯერდნენ ერთიან დასკვნაზე, კერძოდ, ვის კლავდნენ: გამარჯვებულებს, დამარცხებულებს თუ ერთ-ერთი გუნდის კაპიტანს. იმის გათვალისწინებით, რომ აცტეკები სამსხვერპლოზე სიკვდილს დიდ პატივად მიიჩნევდნენ, გასაკვირი არ უნდა იყოს, თუკი გამარჯვებულები იქნებოდნენ მსხვერპლად შეწირულნი.

აცტეკებში უაღრეს პატივად და ღირსებად ითვლებოდა ქურუმთა თანამდებობა, რომლებიც ქვეყნის ასეულობით ტაძარში ყოველდღიურად პირადად ატარებდნენ სისხლიან რიტუალებს. უმაღლეს ქურუმს მისი დამსახურების მიხედვით ირჩევდნენ და დიდ პატივს სცემდნენ აცტეკები. ბერნარდინო სააგუნი წერდა:

„არჩევნების დროს ყურადღებას არ აქცევდნენ განსწავლულობას, მხედველობაში იღებდნენ მხოლოდ ჩვეულებებსა და საქმეებს, დოქტრინებსა და კარგ ცხოვრებას. თუ ქურუმებს ყველაფერი ეს გააჩნდათ, თუ უმწიკვლო ცხოვრებას ეწეოდნენ და ყველა წეს-ჩვეულებას იცავდნენ, მათგან ირჩევდნენ იმას, ვინც განსაკუთრებით თავმდაბალი, მშვიდობისმოყვარე, პატივსაცემი და კეთილგონიერი იყო და არა ქარაფშუტა; ვინც სერიოზული, მკაცრი, წეს-ჩვეულებების აღსრულებაში ბეჯითი, მშვიდი, გულმოწყალე, თანამგრძნობი, ყველას მეგობარი, ღვთისმოსავი და ღვთისმოშიში იყო. ამ ქურუმებიდან საუკეთესოებს ირჩევდნენ უმაღლეს ქურუმად, რომლებსაც უწოდებდნენ „კეტსალკოატლის მიმდევრებს“...

მოამზადა
რევაზ ტომარაძემ

წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი ამოცანა

3	9	7	2	4	8	6	1	5
6	4	1	9	7	5	3	8	2
2	5	8	3	6	1	4	9	7
9	3	2	6	1	4	7	5	8
1	8	6	7	5	3	9	2	4
4	7	5	8	9	2	1	3	6
5	2	4	1	3	7	8	6	9
8	6	3	4	2	9	5	7	1
7	1	9	5	8	6	2	4	3

რთული ამოცანა

4	2	5	8	3	9	7	6	1
8	7	6	1	5	4	3	9	2
9	3	1	6	2	7	4	5	8
5	9	3	4	7	8	2	1	6
2	1	4	5	6	3	9	8	7
6	8	7	9	1	2	5	4	3
7	4	9	2	8	6	1	3	5
1	6	2	3	9	5	8	7	4
3	5	8	7	4	1	6	2	9

„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: 1. პომადაში. 2. ოცი ერთდოლარიანი კუპიურა. 3. ალექსანდრე დიუმა-შვილმა – „ქალი კამელიებით“. 4. იური დოლგორუკი (გრძელხელება). 5. თავშესაფარი დაბომბვის დროს. 6. „გეკაჩეპე“. 7. საიდუმლო სერობის. 8. მაინის ფრანკფურტი. 9. ჩარლზ დარვინი. 10. სიმინდისგან. გადააყენეს ხრუშჩოვი.

როგორი იყო შეყვარებული ნუგზარ კვაშალი და საიდან გამოუგზავნა მან 80 წერილი და 90 მისალოცი ბარათი მეუღლეს თბილისში

1973 წელს იქორწინა ნუგზარ კვაშალმა ჩიქოვანთა გვარის უმშვენიერეს წარმომადგენელზე, ქალბატონ თინათინზე. მას შემდეგ 41 წელი გავიდა. საკუთარ სიყვარულის ისტორიაზე, ქორწილის ამბებსა და მათი სიყვარულის ყველაზე ტკბილ ნაყოფზე, შვილიშვილ ანაზე გვესაუბრება დღევანდელ ინტერვიუში ნუგზარ კვაშალი.

ნუგზარ კვაშალი: განსხვავებული არ ვიყავი არავისგან. ყველა ლამაზ ქალს ვუყურებდი და რატომღაც ყველა მინდოდა, ცოლად მომეყვანა – მანამ, სანამ სიყვარული მოვიდოდა. ჩემი მომავალი მეუღლე გავიცანი ქობულეთში, 1971 წელს. მაშინ მე ოცის ვიყავი, თინიკო – ცხრამეტის. ჩვენი შეხვედრები გაგრძელდა თბილისშიც, მერე ვიჩხუბეთ კიდეც. 1-2 თვე არ გვინახავს ერთმანეთი და შერიგება მინდოდა. ამიტომ 8 მარტს, მშობლები წასულები იყვნენ სახლიდან, დავურეკე და ოჯახში მივიწვიე.

– მოვიდა?

– მოვიდა. ჩემი მეგობარიც იყო ჩვენთან ერთად და მითხრა, მოდი, რაღას უცდი, დავსხდეთ და წავედითო. მაშინ მოდაში იყო

გაპარვები. ჩვენ რომ გავპარულიყავით, ამისთვის ჩემს მომავალ მეჯვარეს, თემურ გორგოძეს მამამისის მანქანის მოპარვა მოუწია. „გაზ 21-ით" გავიპარეთ. უკვე ღამე იყო, წავედით ბორჯომში თემურის ახლობელთან.

– ამასობაში თბილისში რა ხდება?

– რა და, თინიკოს მშობლებს კაცი გამოუგზავნიათ ჩემებთან და ჩემებსაც მოუხსენებიათ, ბორჯომში მიდიან აქა და აქო.

– მერე რა მოიმოქმედეს?

– რა და მილიცია ჩვენზე ადრე მივიდა იქ და გველოდა. ბორჯომისკენ გადავუხვიეთ თუ არა, მთა დაგვხვდა ჩამოქცეული. მუშაობდა ორი დიდი გრეიდერი და გვითხრეს – გზა კიდევ 2 საათი იქნება ჩაკეტილიო. ჩვენდაუნებურად გადავრჩით. ამიტომ, გეზი ვიცვალეთ, მივტრიალდით და წავედით თემურის ბებიასთან ბაღდათში. თემურს გზა აერია და შუაღამისას საღორიის ტყეში ამოვყავით თავი. მოკლედ, თემურის ბებიას ღამის ოთხ საათზე დავადექით. დილის 5 საათიდან შეიქნა ამბავი, გაფართხალდნენ წიწილები, დაიკლა გოჭი, ხაჭაპურები, ყველაფერი. ამასობაში ჩვენზე ძებნაა გამოცხადებული – თბილისსა და ბორჯომს შუა გვეძებენ.

– თბილისში როდის დაბრუნდით?

– 2 დღეში. ჩემი სიმამრი და სიდედრი ერთი თვე არ მელაპარაკებოდნენ.

– რა მაინტერესებს, ბატონო ნუგზარ. კარგი ბიჭი, პოპულარული, კარგი ოჯახისშვილი, ცისფერთვალება... რატომ ურეკავდნენ პოლიციას, ვერ ვხვდები?

– მე ახლა ბიჭები მყავს და ჩემს მეგობრებს, რომელთა გოგოებიც იპარებოდნენ, ისინიც ზუსტად ასევე იქცეოდნენ, როგორც ჩემი სიმამრი მოიქცა. მერე, რა თქმა უნდა, ყველაზე საყვარელი სიძე ვიყავი, ვმეგობრობდით კიდეც. ძალიან კარგი კაცი იყო ჩემი სიმამრი, ძმაკაცი იყო ჩემი, – ტარიელ ჩიქოვანი, ღმერთმა აცხონოს. მეუბნებოდა ხოლმე: ვერ გაუგებ შენ ვერასოდეს გოგოს მამასო.

მოკლედ, ერთ თვეში შევრიგდით და დაინიშნა ქორწილი. ჩვენი ქორწილის თარიღია 1973 წლის 21 აპრილი. ქორწილი მაშინ რესტორნებში არ იმართებოდა, როგორც ახლაა. მაშინ ქორწილი იმართებოდა სახლებში. ახლა რომ სხედან ცალ-ცალკე მაგიდებთან, ეს ქორწილი არაა, უბრალოდ რაღაც შეხვედრაა. თამადა სადღაც ცაკლე ზის, ყველა მაგიდას თავის თამადა უჩნდება, თამადის ინსტიტუტიც უკვე თითქმის იკარგება. ქორწილებმაც ფერი იცვალა.

– თქვენი ქორწილი როგორი იყო?

– ჩემი ქორწილი იყო მაყრიონით და მრავალჟამიერით. ჩემი როკმენები ერთად ისხდნენ, ეს ჯაგა-ჯუგა ბიჭები. „როკენროლი" რომ დავუკარით, ბაბუაჩემმა მკითხა: ბაბუ, გიტარები ვერ ააწყვეთო? იმას ეგონა, ასეთ მუსიკას იმიტომ ვუკრავდით, გიტარები გვქონდა აშლილი.

– დოლ-გარმონიც უკრავდა?

– არა, არა, რა დოლ-გარმონი, ჩვენ სხვა თაობა ვართ. ჩვენს ქორწილში სულ სხვა ჟანრის სიმღერები ისმოდა. მახსოვს, რობერტი იყო ბარძიმაშვილი, ჩვენი ანსამბლის წევრები. ისმოდა როგორც ხალხური, ისე თანამედროვე სიმღერები. რაც შეეხებათ მეჯვარეებს, 2 მეჯვარე მყავდა. ერთი თემური, რომელმაც თინიკო მომატაცებინა *(იცინის)* და მეორე მეჯვარე – ლევან სიხარულიძე.

– თამადად ვინ გყავდათ?

– ერთ დღეს თამადობა მამაჩემის ბიძაშვილმა ნოე კვაშალმა გასწია. უძლიერესი პიროვნება იყო, როგორც სმით ისე სიმღერით, თამადობით, ტრადიციებით. მეორე დღეს ჩვენი თამადა იყო მამაჩემის კოლეგა, კარლო გოგოტიშვილი. სახლში იმიტომ კეთდებოდა ქორწილი, რომ ყველა სტუმარი, ვისაც კი პატიჟებდი, იმსახურებდა პატივს შენს ოჯახში წვევისა. სტუმრებს უმასპინძლდებოდი დედის, ბებიის მომზადებული კერძებით. ეს ძალიან დიდი პატივისცემაა.

– რამდენკაციანი ქორწილი გქონდათ, სახლში როგორ დაეტიეთ?

– ხომ არ გექნებოდა ოჯახში 200, ან 250 სკამი. ამიტომ მოგვქონდა გაქირავებიდან გრძელი სკამები იყო – ერთ მხარეს რომ ადგებოდი, მეორე მხარე ჩავარდებოდა, რკინის ფეხებით, გაზეთებშემოკრული. ჭურჭლით მეზობლები ამარაგებდნენ ერთმანეთს. მაშინ მეზობლობაც სხვანაირი იყო, ნათესაობაც. ჩამოდიოდნენ, ღამე 15 კაცი ჩვენთან დარჩა სახლში, იმიტომ რომ, მოეხმარნენ ალაგება-დალაგებაში. ვისაც სანოლი არ ეყო, იატაკზე გაუშალეს. წყლის დასალევად რომ ვდგებოდი, ფეხს ვაბ-

როდის გვიხსნიან გუდაურის 2014-2015 წლის სეზონი

გუდაურში 2014-2015 წლის სეზონისთვის სამზადისი დაწყებულია. მთის კურორტების განვითარების კომპანიისა და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინიციატივით, გაიმართა მედიატური, სადაც ჟურნალისტებს ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაგვათვალიერებინეს. კურორტი დამსვენებლებს განახლებულ, გაფართოებულ და ქვებისგან გაწმენდილ სასრიალო გზებს სთავაზობს; თუმცა სიახლე მხოლოდ ეს არაა, მთავარი სამუშაოები ხელოვნურ გათოვლიანებასთან დაკავშირებით მიმდინარეობს. სამთო-სათხილამურო კურორტის მოყვარულებს ამ სეზონზე განსაკუთრებით გაუმართლათ – ისინი ამინდზე დამოკიდებულები აღარ იქნებიან და ნებისმიერ დროს შეეძლებათ სრიალი. ეს პროექტი ორ ფაზას მოიცავს: პირველი ეტაპის ფარგლებში 2014-2015 წლის სეზონის გახსნას გუდაური გათოვლიანებული, სასრიალო ტრასით შეხვდება – ეს მიდამოები უკვე თოვლის გამომფრქვევი დანადგარებით მთლიანდაა აღჭურვილი; მეორე ეტაპი გულისხმობს 2015 წლის ბოლოსთვის ხელოვნური წყლის რეზერვუარის მშენებლობასა და გათოვლიანების სისტემის დამონტაჟებას „მინდვრის ტრასაზე“. 2014-2015 წლის სეზონზე დამსვენებელს საშუალება ექნება, ისარგებლოს ახალი სასტუმროებითა და კვების ობიექტებით. განახლებული კაფე-ბარი „ვიტამინი“, სასტუმროები – „მარკო პოლო“ და „დეკა“ დამსვენებელს ელიან. როგორც მთის კურორტების განვითარების ორგანიზაციაში აცხადებენ, ამინდის მიუხედავად, 2014-2015 წლის სეზონი 20 დეკემბერს გაიხსნება. იტალიური თოვლსაფრქვევი დანადგარი წელს გუდაურში ღრუბლის მაგივრობას გასწევს.

„სეზონისთვის კურორტი მზადაა. ბუნებრივი თოვლის მოსვლის შემთხვევაში, მაქსიმუმ სამ დღეში, როგორც გუდაურის, ასევე, დიდველის გახსნაც შეგვიძლია. სარემონტო სამუშაოები მთავრდება საბაგიროებზე და სათხილამურო ტრასებზე, ამჟამად მიმდინარეობს გათოვლიანების სისტემის მონტაჟი. ტრასების გასათოვლიანებლად დაგვჭირდება 12-13 დღე. ამის მიხედვით, შემიძლია, გითხრათ, რომ სეზონი მაქსიმუმ 20 დეკემბერს გაიხსნება. კურორტ დიდველზე ვაყენებთ ღამის განათებას, ვამონტაჟებთ მონიტორებს და ვაკეთებთ საბავშვო პარკს. დამსვენებელი ერთი აბონემენტით ისარგებლებს ორივე კურორტზე: გუდაურსა და დიდველზე. მოლაპარაკებები მიმდინარეობს აზერბაიჯანულ მხარესთან ერთიან სააბონენტო სისტემაზე, რაც გულისხმობს იმას, რომ ევროპიდან ჩამოსულ ტურისტს აზერბაიჯანსა და საქართველოში ერთი აბონემენტით სარგებლობის საშუალება ექნება,“ – განაცხადა მთის კურორტების განვითარების კომპანიის ხელმძღვანელმა, სანდრო ონოფრიშვილმა.

იჯდებდი ხოლმე. იყო ასეთი სიყვარული და ურთიერთობები. რომელიც დღეს, სამწუხაროდ, აღარ არის.

მაშინ მხოლოდ ხელი მოვაწერეთ. ტრადი-

ციასავით იყო, რომ ლენინის მოედანზე 5 წრე უნდა დაგერტყა პი-პი-პი სიგნალებით. იმ პერიოდში ბრძანება იყო გამოსული, ღრეობები აიკრძალოსო. მანქანების ნაკადი რომ სიგნალებით დადის, ესეც ღრეობად ითვლებოდა. მე და ჩემმა მეუღლემ 8 მთავრობა გამოვიცვალეთ და ჯერჯერობით, ერთად ვართ. ისე, ჯობდა, 8 ცოლი გამომეცვალა და ერთი მთავრობა ყოფილიყო *(იცინის)*... არ ვიცი... არ ვიცი.

– ქორწილმა და ლამაზმა დღეებმა გაიარა და...

– დაიწყო თანაცხოვრება და სულ გასტროლებზე ვარ. ჯერ ვიყავი ლენინგრადში, ფეხმძიმედ დავტოვე, გაგრაში ჰყავდათ თინიკო მშობლებს. ჭამდა დღეში 3 კილო მანდარინს თავის ქერქიანდად. პირველი ბიჭი რომ გაჩნდა, ჰგავდა იაპონელ ჩანკაისის, ჰქონდა სიმსუქნისაგან წვრილი-წვრილი თვალები და იყო მანდარინისფერი... რატომღაც *(იცინის)*. მერე იყო ექვსთვიანი გასტროლი ამერიკაში. ამ განშორებებსაც თავისი ხიბლი აქვს. 41 წელია, დაქორწინეული ვარ და აქედან, ალბათ, 20 წელი გასტროლებზე მაქვს გატარებული. ასე, მისვლა მოსვლაში სიყვარული უფრო ახლდებოდა, იცვლებოდა, იწრთობოდა... თან, ჩამოდიოდა ხოლმე თინიკო ჩემთან ისეთ ქვეყნებში სადაც მისვლა-მოსვლა არ ჭირდა. კოლუმბიაში მირეკავდა, მეც ვურეკავდი არგენტინიდან. მახსოვს, ლათინური ამერიკიდან გამოვუგზავნე ზუსტად 80 წერილი. წერილის კითხვასაც თავისებური ხიბლი ჰქონდა. ლენინგრადიდან ბარათებს ვუგზავნიდი; ერთზე ეწერა: როგორ ხარ, მეორეზე – მიყვარხარ... ასე, 90 ცალს ჩავყრიდი და ვუშვებდი თბილისში თინიკოსთან. დარეკვასაც თავისი ხიბლი ჰქონდა, რომ დაგიძახებდნენ: „ტბილისი ვოსმაია კაბინა“. დღეს ეს აღარაა.“ კი, ბევრი კარგი რამ გააკეთა მობილურმა და ნანოტექნოლოგიებმა, მაგრამ თვითონ სიყვარული გააცივა. მე ასე მგონია.

– როგორი დიასახლისი დადგა 19 წლის თინიკო?

– საჭმლის გაკეთება არ იცოდა. არც ვთხოვდი, იმიტომ რომ, აქ დედაჩემი და იქ დედამისი ისეთი მზარეულები იყვნენ... ამიტომ თინიკოს რატომ უნდა გაეკეთებინა სადილი?! ჩვენ ბავშვს დავუტოვებდით ბებიაჩემს და დილიდან საღამომდე ვსეირნობდით, ხან „პაეზდკებში“ მივდიოდით. ასე იყო. ახლა რომ იგივეს აკეთებენ ჩვენი შვილები, ჩვენ არ გვიკვირს. მერე წლების განმავლობაში საჭმელების გაკეთებაც ისწავლა და არაჩვეულებრივი მეოჯახეც დადგა. ჩვენ 41 წელი ერთად ვართ, გვიყვარს ერთამანეთი. გვყავს 2 ვაჟი – 40 და 36 წლისები. 2009 წლის 19 სექტემბერს მოგვევლინა პატარა ანა, ჩემი შვილიშვილი, რომელიც დღეს უკვე ხუთი წლისაა. მისი დაბადებით ჩემი ცხოვრება შეიცვალა შვიდიათასს ცხრაასი გრადუსით. ანა ჩვენი სიყვარულის ნაყოფია და იმედი გვაქვს, რომ ჩემი და თინიკოს სიყვარულის ხე კიდევ ბევრ ნაყოფს მოისხამს.

ᲔᲙᲐ ᲡᲐᲚᲐᲦᲐᲘᲐ

ᲚᲐᲨᲐ ᲭᲠᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲜᲐᲢᲠᲔᲑᲐ

ჩემო ლაშიკო, გენაცვალოს დედა... 13 დეკემბერს შენი დაბადების დღეა – 21 წლის გახდებოდი, ჩემო ვაჟკაცო! გაუსაძლისია უშენოდ ცხოვრება. ძალიან გვენატრები შენს ძმას, მამას... მუხლმოდრეკილი ავალ შენს საფლავზე და აგინთებ სანთელს – მეტი რაღა დამრჩენია და, ვილოცებ შენი სულის საცხონებლად, ჩემო იმედო! ძალიან მიჭირს უშენოდ ცხოვრება, შვილო. პატარა ბიჭს მოგისწრაფეს სიცოცხლე, ჩვენო მოუშუშებელო ტკივილო! უფალმა დაამკვიდროს შენი სპეტაკი სული სასუფეველში!

ᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲔᲓᲘᲙᲝ

როგორ გადაარჩინა ეკატერინე გაბაშვილმა განადგურებას ახლად დაბადებული ნაძალადევის უბანი

ვაკე, საბურთალო, ვერა, ოქროყანა, სოფელი თხინვალა – გაბაშვილების მამულების ნუსხაში შედიოდა. გაბაშვილების საცხოვრებელი სახლი რუსთაველზე, როგორც მაშინ უწოდებდნენ გოლოვინის გამზირზე, მეცნიერებათა აკადემიის შენობის ადგილას იდგა. ამ სახლში ცხოვრობდა გლახაკთა ქომაგი, დღესაც საყვარელი, გამორჩეული, ცნობილი მწერალი ეკატერინე გაბაშვილი. გაბაშვილი მისი მეუღლის გვარი გახლდათ. თვითონ თარხნიშვილის ქალი იყო, დაბადებული 1851 წელს ქალაქ გორში.

ეკატერინეს მამა – რევაზ თარხნიშვილი (თარხან-მოურავი) ლიბერალურ თავად-აზნაურობას განეკუთვნებოდა. დამთავრებული ჰქონდა პირველი გიმნაზია. იყო სასამართლოს მდივანი, შემდეგ – ვექილი. დედა – სოფიო ბაგრატიონი-დავითაშვილისა, კეთილშობილი ქალბატონი, ადრეულ ასაკში გარდაიცვალა. ეკატერინე მაშინ 5 წლის გახლდათ. ამის შემდეგ ეკატერინესა და მისი ძმის აღზრდა დიდედა ბაბალემ (დედის მხრიდან) იტვირთა. ის მეტად ანჩხლი და მძიმე ხასიათის ქალბატონი ყოფილა. წინააღმდეგი იყო ქალის ფართო განათლებისა. მიაჩნდა, რომ ეკატერინესთვის მხოლოდ წერა-კითხვის შესწავლა და დიასახლისობა საკმარისი იყო. სულ სხვა აზრის გახლდათ ამასთან დაკავშირებით, ეკატერინეს მამა, რომელიც არ შეეპუა სიდედრის აზრს და 7 წლის ეკატერინე გორში, პოლკოვნიკ ფავლენიშვილის ქვრივს მიაბარა სასწავლებლად. მან ერთი წლის განმავლობაში მხოლოდ წერა-კითხვა და რამდენიმე ლოცვა შეასწავლა გოგონას. ამის შემდეგ პატარა კატო თბილისში ჩამოიყვანეს და ჯერ გერმანულ სკოლაში მიაბარეს, ხოლო, როდესაც 12 წლის შეიქნა, მადამ ფავრის ცნობილ პანსიონში განაგრძო სწავლა. იმ დროისთვის ეს მეტად ცნობილი პანსიონი გოლოვინის პროსპექტზე მდებარეობდა.

1868 წელს ეკატერინე გორში ბრუნდება. უსახსრობისა და უცხოეთში გამგზავრებისთვის საჭირო სახსრების უქონლობის გამო, მან უმაღლესი განათლება ვერ მიიღო, თუმცა ეწეოდა თვითგანათლებას. 17 წლის ასაკში ეკატერინემ მასწავლებლობა დაიწყო. ღარიბ ბავშვებს უსასყიდლოდ ასწავლიდა წერა-კითხვას.

ერთ დღეს, თბილისში ყოფნისას, წერეთლის ოჯახში „კაცია ადამიანის" საჯარო კითხვაზე, რომელსაც ქართველი საზოგადოების საუკეთესო ნაწილი ესწრებოდა, ეკატერინემ გაიცნო ილია ჭავჭავაძე და ალექსანდრე გაბაშვილი. ეკატერინე მაშინვე მოიხიბლა ალექსანდრეს საქმიანი კილოთი. ისინი დაახლოვდნენ. მალე მათი ურთიერთობა სიყვარულში გადაიზარდა. სიყვარულით შეიქმა მათი ოჯახიც... ალექსანდრესა და ეკატერინეს 11 შვილი შეეძინათ – 7 ვაჟი და 4 ქალი. ჩანს, ისეთი არ აღმოჩნდა გათხოვილი ქალის ცხოვრება, როგორც ეს გათხოვებამდე წარმოედგინა ეკატერინე გაბაშვილს. მომავალში ის დაწერს: „დღიდან გათხოვებისა, დაიმარხა მთელი ჩემი ოცნებანი, კეთილშობილური ზრახვანი. ოცი წლის განმავლობაში გამუდმებულმა მშობიარობამ, მათმა აღზრდამ, ნამეტნავად სიკვდილმა, ერთობ გამანადგურა."

შვილები გაზარდა... ამის პარალელურად, ეწეოდა საზოგადო საქმეს. 1895 წელს, თბილისში, თავის სახლში მან მოაწყო ქალთა ხელსაქმის (ჭრა-კერვის) ხუთწლიანი სკოლა, რომელსაც 15 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა. სკოლა შეწირულობით არსებობდა და ასწავლიდნენ ზოგადსაგანმანათლებლო საგნებსაც. „მე, იმ ვიწრო კედლებს შუა, რომელსაც ოჯახის დიასახლისობას უძახიან და რომელიც შთანთქავს ხშირად დედაკაცის სულიერ არსებობას, პატარა ჭუჭრუტანა გავუკეთე და იქიდან მუდამ ყურს ვუგდებდი და თვალს ვადევნებდი ჩემი ქვეყნის საზოგადო ზრდასა და მსვლელობას," – ამბობდა ის. სკოლაში მოღვაწეობის გარდა, ეკატერინე გაბაშვილი გახლდათ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, აწყობდა საქველმოქმედო ბაზრობებს, მონაწილეობდა ბიბლიოთეკის გახსნაში, წერდა მოთხრობებს. ეკატერინე გაბაშვილის პოპულარობას ხელი შეუწყო საბავშვო ჟანრის შემოქმედებამ, რომელიც გამთბარია ბავშვების უსაზღვრო სიყვარულით. მოთხრობაში მწერალს მრავალი აღმზრდელობითი ამოცანა აქვს დასმული და გადაჭრილი. ეკატერინე გაბაშვილის სახელთანაა დაკავშირებული ერთი მეტად მნიშვნელოვანი ლიტერატურული ჟანრის, მცირე მოთხრობის, ანუ ნოველის დამკვიდრება ქართულ მწერლობაში.

1911 წლის პირველ მაისს, ცნობილ ქართველსა და საზოგადო მოღვაწეს სალიტერატურო და საზოგადო მოღვაწეობის 40 წლის იუბილე გადაუხადეს. პირადად აკაკიმ გამოიყვანა ამ საღამოზე ეკატერინე საზოგადოების წინაშე. იყო ტაში, მადლიერების გამომხატველი სიტყვები, მილოცვები... სწორედ ამ საღამოზე მიიღო დიდმა მწერალმა ერთი განსაკუთრებული წერილი, რომლის საშუალებითაც ეკატერინე გაბაშვილს ულოცავდა თბილისის დუმა, სათათბირო, თბილისის ქალაქის თავი და თვით გენერალი, კნიაზი არღუნსკიც (ნიკოლოზ არღუთაშვილი). ბოლოში კი აღნიშნავდნენ, რომ კნეინა ეკატერინე გაბაშვილს, დიდი წვლილი მიუძღვის თბილისის განაშენიანებაში. ეკატერინე დაანბნია ამ წერილის შინაარსმა. იკითხა კიდეც, მე რა წვლილი მიმიძღვის ქალაქის განაშენიანებაშიო. მის კითხვას ასეთი პასუხი მოჰყვა: სწორედ ეკატერინე გაბაშვილის დამსახურებაა, რომ თბილისში არსებობს ახალი უბანი – ნაძალადევი, როგორც ხშირად ვუწოდებთ ხოლმე შინაურულად, ნახალოვკასო.

საქმე ისაა, რომ ნაძალადევი, სახელწოდებიდანაც ჩანს, რომ ნაძალადევად, ყოველგვარი კანონის დარღვევით იყო დასახლებული. ეს დასახლება თბილისში სამსახურის საძიებლად ჩამოსულთაგან დაარსდა, თუ გაჩნდა. „ნახალოვკა" შენდებოდა მახათას მთის ძირიდან და თავდაპირველად, მის მოსახლეთა რაოდენობა 10-12 კომლს შეადგენდა. ბუნებრივია, ქალაქის მთავრობას არ გამოპარვია ამ დასახლების შესახებ და სასწრაფოდ პოლიცია მიავლინა იმ მიდამოებში. პოლიციელებს მოსახლეობა ხელკეტებითა და ცულებით შეიარაღებულები დახვდნენ, გვარიანად მითეთქვეს პოლიციელები და უკუაქციეს. რა თქმა უნდა, ამ ამბავს რეაგირება მოჰყვებოდა. სასწრაფოდ ჩატარდა საქმის განხილვა, რომელზეც უნდა გადაწყვეტილიყო ნახალოვკელთა ბედი. სადავო არაფერი იყო – ეს ხალხი უნდა აეყარათ და ამ გადაწყვეტილებას ხმასაც მისცემდნენ ქალაქის მთავრობის მაშინდელი მესვეურები. ხმის მიცემისას, ფეხზე ადგა ერთ-ერთი „ხმოსანი" და განაცხადა: ერთ პატარა მოთხრობას წავიკითხავ, მომისმინეთ და ამის შემდეგ მივიღოთ გადაწყვეტილებაო. მან წაიკითხა ეკატერინე გაბაშვილის მოთხრობა „მშიერაძის ოჯახი", რომელშიც აღწერილი იყო უსახლკარო ოჯახის ამბავი, რომელთაც საკუთარი ძალებით შეიჭედეს მცირე ზომის ქოხი. მოთხრობის დედააზრი კი ის იყო, რომ, როცა ადამიანები კარგები და კეთილები არიან, პატარა ქოხშიც ბედნიერად ცხოვრობენ. მოთხრობის დასრულების შემდეგ, დავა აღარ გაგრძელებულა, ყველამ ერთხმად მიიღო გადწყვეტილება – ჯანდაბას, ნუ ავყრით ამ საწყალ ხალხს. დავადგინოთ სიმბოლური თანხა იმისთვის, რომ მათ სახლის აშენების ნებართვა იყიდონო. ასეც მოხდა. ამის შემდეგ სწრაფად გაიზარდა თბილისის ეს ყველაზე მუშური უბანი. ასე რომ, ეკატერინე გაბაშვილს ნამდვილად მიუძღვის გადამწყვეტი როლი ნაძალადევის არსებობაში.

ისტორიამ გვიჩვენა, რომ სწორედ ეს უბანი შეიქმნა იმ რეჟიმის მესაფლავე, რომელმაც თავის დროზე მას არსებობის უფლება მისცა...

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, ეკატერინე გაბაშვილს მამულები ჩამოერთვა. მისი ვაჟი – რევაზი ემიგრაციაში წავიდა, თვითონ მწერალი არ დაუპატიმრებიათ – „მაგდანას ლირჯას" ავტორი ცნობილი პიროვნება იყო. ის ხალხს უყვარდა და მთავრობას ესმოდა, რომ მისი სამაგალითო დასჯა, წითლების რეპუტაციაზე ცუდად აისახებოდა. ესმოდათ ისიც, რომ უკვე მოხუცებული ეკატერინე გაბაშვილი მათთვის ზიანის მომტანი ვერ იქნებოდა. თვალს ხუჭავდნენ იმაზეც, თუ როგორ ამკობდა კარგა-გვარიანად, მთავრობის სახლის წინ გამოსული 86 წლის ეკატერინე გაბაშვილი საბჭოთა ხელისუფლებას.

ასაკის მომატებასთან ერთად, სმენის პრობლემამაც იჩინა თავი. ხშირად ხედავდნენ, როგორ ლაპარაკობდა საკუთარ სიჩუმეში ჩაძირული, ეკატერინე გაბაშვილი გამოცდილი სიმართლით.

საკუთარი სახლის მეორე სართულზე ერთ ოთახში შეყუჟეს ის რძალთან და მცირეწლოვან შვილიშვილთან ერთად, სახლის დანარჩენ ნაწილში კი სხვები შეასახლეს. ახლა ის ხალხის მტრად ითვლებოდა... ეკატერინე გაბაშვილი გარდაიცვალა 1938 წლის 7 აგვისტოს. ეკატერინეს გარდაცვალებისთანავე, მისი შვილიშვილი და რძალი შორეულ აღმოსავლეთში განანესა მთავრობამ. ცნობილი მწერალი დასაფლავებული იყო ვაკის სასაფლაოზე, შემდეგში მისი ნეშტი დიდუბის პანთეონში გადაასვენეს.

ეკა სალაღაია

როგორ გავაწყოთ ახალი წლის სუფრა და რა ფერებში მოვრთოთ საახალწლოდ ბინა და ნაძვის ხე

ყველა ემზადება ახალი წლის შესახვედრად, რომელიც სულ მალე შემოაბიჯებს სამყაროში. ალბათ, ყველას გაინტერესებთ, რა ტენდენციებია მოსალოდნელი და როგორ უნდა შევხვდეთ დამდეგ ახალ წელს. რა ფერებში გავაწყოთ საზეიმო სუფრა, რა დეტალებს მივაქციოთ ყურადღება, რათა ხის სტიქიის თხის, იგივე ცხვრის, 2015 წელიწადს, შესაბამისად მომზადებული დავხვდეთ. ამ თემებთან დაკავშირებით რჩევა-რეკომენდაციები ვთხოვეთ, ასტროლოგს, ბატონ მიხეილ ცაგარელს. იმედია, ამის გათვალისწინებით, ნამდვილად ფეხბედნიერი იქნება ჩვენთვის მომავალი წელი.

მიხეილ ცაგარელი: ახალი, 2015 წელი, 19 თებერვალს დაიწყება და ის ხის სტიქიის, მწვანე ფერის, ინ ენერგიის, ჩინურად – თხის, ხოლო იაპონურად – ცხვრის ზოდიაქოს წელიწადია. წლის რიცხვია - 3. კარგი იქნება, თუ ახალი წლის დაწყების წინ, ჩვენებურად – 31 დეკემბერს და შემდგომ – 19 თებერვალს, აანთებთ მწვანე, ყვითელ ან წითელი ფერის სანთელს. აზრობრივად კი ეცადეთ, ამ ანთებული სანთლის ალს გაატანოთ ყველა ის უსიამოვნო განცდა და მოგონება, რაც წინა წელს გქონდათ. თხოვეთ, მისი ცეცხლის სინათლის ფონზე, თქვენს მფარველ ანგელოზებს, რომ მომავალი 2015 წელიწადი იყოს ფეხბედნიერი, სიყვარულით აღსავსე და წარმატებული. ამ ანთებული სანთლით შეხვდით ახალ წელს, ოღონდ არ ჩააქროთ, სანამ თავად არ ჩაიწვება.

– როგორც ასტროლოგები გვეუბნებით, ნამდვილი, ახალი, 2015, თხის წელი 19 თებერვალს დგება, ანუ, 31 დეკემბერს, ჯერ კიდევ ცხენის წელიწადია. ამ მხრივ რა გავითვალისწინოთ?

– დიახ, 31 დეკემბერს, რადგან, ჯერ კიდევ გრძელდება ცხენის წელიწადი, მას უნდა შევხვდეთ, ისევე მხიარულად, როგორც შარშან დავხვდით – იუმორით, აქტიურად და ცეკვა-თამაშით. თუ სახლში ხვდებით ახალი წლის დადგომას, მაშინ კარგი იქნება, ბავშვებთან ერთად შეხვდეთ, რადგან ცხენი ბავშვების მფარველია. ასევე, მისაღებია შუშხუნებისა და სხვა ხმოვანი ინსტრუმენტების გამოყენება. 19 თებერვალს კი, როცა წლის მბრძანებელი ხდება თხა, რომელსაც ზედმეტი ხმაური არ უყვარს, უმჯობესია, უფრო თავშეკავებული შეხვდეთ მას.

– წელს რომელი კერძები უნდა იყოს მეტად წარმოდგენილი, რომელი საკვები იკრძალება საახალწლოდ, რა ფერებში გავშალოთ სუფრა, გავაწყოთ ნაძვის ხე და გამოვეწყოთ ახალი წლის შესახვედრად?

– 31 დეკემბერს, სადღესასწაულო-საახალწლოდ გაწყობილ მაგიდაზე უნდა დაალაგოთ ის, რაც თხას და ასევე, ცხენსაც უყვარს. დაალაგეთ ორივე მბრძანებლის ფიგურები, რათა ამით პატივი სცეთ ორივეს, ხოლო, 19 თებერვალს კი მაგიდაზე მხოლოდ თხის სიმბოლოს ფიგურა დატოვეთ. წლის ძირითადი ფერია მწვანე, შემდგომ კი ლურჯი, ყავისფერი, ყვითელი, ოქროსფერი ან კრემისფერი. სახლის გაფორმებისას, შეგიძლიათ, ცოტა წითელი ტონიც შეიტანოთ. ასევე, ამ ფერის გამოყენება, მცირე დოზით, შეგიძლიათ ჩაცმულობასა და აქსესუარებში. კარგი იქნება, თუ ზემოთქმული წლის ფერებში იქნება გადაწყვეტილი საზეიმო სუფრა. შეარჩიეთ მწვანე, ლურჯი, ყავისფერი, ყვითელი ან ოქროსფერი ჭურჭელი. თუმცა, შეგიძლიათ, გამოიყენოთ თეთრი ჭურჭელიც, რადგან ეს ნეიტრალური ფერია. რადგან ხის სტიქიის წელიწადია, კარგი იქნება, თუ მაგიდის გასაწყობად, ხის ნაკეთობებსაც გამოიყენებთ. აქვე გეტყვით, რომ თუ ნაძვის ხეც ბუნებრივი იქნება, ესეც კარგია, თუ არადა, ხელოვნურის გვერდით დადეთ ხის ტოტი ან ჩიჩილაკი. ნაძვის ხის სათამაშოებიც უნდა იყოს იმ ფერის, რაც წლის ფერად აღიქმება. ახლა დავუბრუნდეთ მაგიდას – საკვებ რაციონში უნდა ჭარბობდეს ეროვნული კერძები, მაგალითად: საცივი, გოზინაყი, ჩურჩხელა, ხაჭაპური და ასე შემდეგ; ასევე, რძის ნაწარმი, ნამცხვრები, შვრია, ხილი და ბოსტნეული; სასმელებიდან: თეთრი ღვინო, ლიმონათი და მინერალური წყალი. კარგია ასევე, ბევრნაირი სალათის მომზადება. არ დაგავიწყდეთ ეგზოტიკური ხილიც: მანგო, ანანასი, ბანანი და ასე შემდეგ. იკრძალება ცხენისა და ცხვრის ხორცისგან დამზადებული კერძები. ხორცეულისგან გამოიყენეთ ძროხის, ღორისა და ქათმის ხორცი.

– ამბობენ, 2015 წლის იღბლის ელემენტი უკავშირდება ცეცხლს. ამის გასაძლიერებლად როგორ მოვიქცეთ?

– დიახ, მომავალი წლის იღბლის ელემენტი ცეცხლის სტიქიაა. ამიტომ, სანთელთან ერთად, სახლში, საახალწლო ღამეს გამოიყენეთ, ეგრეთ წოდებული, ბუნგალოს შუშხუნები და მოანყვეთ ფოიერვერკები. ასევე, ახალი წლის დადგომამდე მოიშორეთ ყველა ის საგანი, რომელიც თქვენში უიღბლობასთან ასოცირდება.

– საახალწლოდ შერჩეულ ტანსაცმელსა და აქსესუარებზე რას გვეტყვით?

– გაითვალისწინეთ, ნუ შეხვდებით ახალ, თხის იგივე ცხვრის წელიწადს, თხის ან ცხვრის ბეწვის ქურთუკებში ან ამ მასალისგან დამზადებული სხვა აქსესუარითა და ტანსაცმელ-ფეხსაცმლით. სასურველი და კარგია, ახალი წლის ღამეს ხის მასალისგან დამზადებული სამკაულების – ბეჭდის, სამაჯურის, ყელსაბამის და სხვა აქსესუარების გაკეთება. თმის ვარცხნილობა კი მეტად უნდა შეესაბამებოდეს ცხვრის სტილს, ამიტომ დახვეული თმით დახვდით მას. მინდა, აქვე ისიც გითხრათ, რომ 2015 წლის დასაწყისშივე, ანუ 31 დეკემბერს, საღამოს, ადამიანები იგრძნობენ შინაგან სურვილს, ცხოვრებაში ცვლილებები შეიტანონ. სხვათა შორის, ეს სურვილი სპონტანურად არ გაჩნდება, ის წარმოიქმნება მარსისა და იუპიტერის, ასევე მზისა და ურანის პლანეტარული ენერგიების ზეგავლენის შედეგად. პლანეტა ვენერა, 3 იანვარს გადაინაცვლებს მერწყულის ზოდიაქოში და ამით ჩვენში შემოიტანს მეტ ოპტიმიზმსა და რწმენას იმისა, რომ ყველა ჩანაფიქრი, აუცილებლად ახდება.

ნონა დათეშიძე

(64-ე გვერდიდან)

რატომ ჩაუტეხა კბილი მიქაელ მთავარეპისკოპოსმა ვახტანგ გორგასალს

უნდოდა მთხვეოდა მღვდელთმოძღვრის ფეხს. შესაძლოა, მაშინ ასეთი წესიც იყო.

სახედარზე მჯდომი მთავარეპისკოპოსის წინ დახრილ გოლიათური აღნაგობის მეფეს მიქაელმა მოულოდნელად ფეხი მოუქნია და კბილები ჩაუმტვრია.

შესაძლოა, მიქაელ მთავარეპისკოპოსი ასაკის გამო სრულ გონებაზე ველარ იყო. მეფისთვის (თუნდაც ჩვეულებრივი ადამიანისთვის) ასეთი შეურაცხყოფის მიყენება გაუგონარი თავხედობაა.

მეფემ აიტანა შეურაცხყოფა, თუმცა მკაცრად უთხრა: „ეს ამპარტავნობისგან მოგვიდა. თუ რამე დავაშავე, არ გაქვს ასეთი საქციელის უფლება... მაშინ გამოჩნდა სივერაგე შენი, როცა გაიგე ქართლში შენზე აღმატებული მწყემსმთავრის მოყვანის გეგმის შესახებ. შურმა აღგაგზნო. შენ მიემსგავსე იუდას, რომელსაც შურდა პეტრესი. ვერცხლისმოყვარე ხარ, როგორც ქრისტეს მეგვადრუცე იუდა. მე მიგავლინებ კონსტანტინოპოლში და პატრიარქი გაგასამართლებს.“

გააგზავნეს მიქაელი კონსტანტინოპოლში, მეფემ ელჩს მოტეხილი კბილიც თან გაატანა. კონსტანტინოპოლის პატრიარქმა წმიდა გენადიმ ჩამოართვა მიქაელს ეპისკოპოსის ხარისხი: „შენ სისხლი დააღვრევინე ადამიანს და მეფე შეურაცხჰყავი. სიკვდილით დასჯის ღირსი ხარ, რადგან მეფეთა მორჩილება ღვთისგანაა დადგენილი“. მიქაელი კონსტანტინოპოლის აკემიტთა (მღვიძარეთა) მონასტერში გამოკეტეს.

ბიზანტიის იმპერატორმა და კონსტანტინოპოლის პატრიარქმა „წარავლინეს პეტრე მღდელი და სამოელ მონაზონი ანტიოქიას“ და მისწერეს ანტიოქიის პატრიარქს:

„თავიდან, წმიდა ნინოს მიერ ქართლის გაქრისტიანების დროს, დადგინდა ქართლში ეპისკოპოსი. მაგრამ, მაშინ სპარსელებსა და ბერძნებს შორის დიდი ომები იყო და საქმე ვერ დასრულდა ჯეროვნად, როგორც არის განწესებული მოციქულთა კანონის შესაბამისად“. ყველა დამოუკიდებელ სახელმწიფოს აქვს უფლება, ჰქონდეს დამოუკიდებელი, ავტოკეფალური ეკლესია, თუ მის ტერიტორიაზე ნაქადაგები აქვს მოციქულს.

ამგვარად, ბიზანტისის იმპერატორმა და კონსტანტინოპოლის პატრიარქმა აღიარეს ქართლის მწყემსმთავრის ტახტი მოციქულთა დაარსებულად და ავტოკეფალურად. შესაბამისად, ანტიოქიის პატრიარქმა მარტირიუსმაც აღიარა და აკურთხა პეტრე კათალიკოსად, მასთან ერთად თორმეტი ეპისკოპოსიც და გაამგზავრა კონსტანტინოპოლში. კონსტანტინოპოლიდან დიდძალი საჩუქრებით დატვირთულნი, კეისარმა და კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ისინი გამოაგზავნეს საქართველოში. მათ თან წამოჰყვათ დიდი მზითევითა და ამალით იმპერატორის ასული.

გიორგი მახოგონაშვილი

ნინი წიკლაური საზოგადოებამ წლების წინ, მუსიკალური შოუებით გაიცნო და შეიყვარა. ქართულ ტელესივრცეში თითქმის არ ყოფილა, არცერთი მუსიკალური კონკურსი, რომელშიც მას მონაწილეობა არ მიუღია. ახლა კი GDS-ზე პროექტის, „ერთი-ერთში“ მონაწილეა და ლორდის ერთი ერთში შესრულებით ბოლო გადაცემის ლიდერიც გახდა. ნინი, გარდა იმისა, რომ უნიჭიერესი მომღერალია, ძალიან პოზიტიური ადამიანია, რასაც, ალბათ, მაყურებელი ისედაც კარგად გრძნობს.

ვისი განსახიერებისას იყო ნინი წიკლაური „ფხიზელი მთვრალი“ და ვის შესწირა მან ქერა თმა

ნინი წიკლაური: წინა გამოსვლებს როცა ვუყურებ, ვერ ვიტყვი, რომ რამე დავაკელი. თუმცა, ძალიან მეშინოდა, ვაითუ ლორდი ისე ვერ განვასახიერო, როგორც საჭიროა-მეთქი. რაც მოხდა, ამას ნამდვილად არ ველოდი. ჩემი აზრით, ეს იმან განაპირობა, რომ ლორდი ძალიან ახლოს არის ჩემთან მუსიკალურად, ვიზუალურად და, საერთოდ, ყველაფრით. ძალიან ბევრი ვიშრომე, რომ ის ხასიათი მეპოვა, რა ხასიათზეც თვითონ იყო იმ დროს და შედეგმაც არ დააყოვნა. სანამ სცენაზე გავიდოდი, პროდიუსერს ვუთხარი, დღეს ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, რა ქულებს დამიწერენ-მეთქი, რადგან, მე თვითონ უკვე იმდენად „ვკაიფობდი“ ამ ნომრით, ამ გოგოთი, რომ შეფასება აღარ იყო მთავარი. ამას გულწრფელად ვამბობ. რეპეტიციის დროს მონაწილეები ფეხზე ამდგრები უკრავდნენ ტაშს, იმდენად ერთი ერთში იყო ეს ყველაფერი. სხვათა შორის, ჩემი ქერა და ხუჭუჭა თმა ლორდს შეეწირა *(იცინის)*. ამისთვის შევიცვალე თმის ფერი, მაგრამ, მომეწონა და, მგონი, ჯერჯერობით ასე მექნება *(იცინის)* – ცოტა ხანს ლორდი ვიქნები. მართლა შევძვერი მაგ გოგოს ტყავში, ზუსტად განვიცადე ყველა ის ემოცია, რაც მან „გრემის“ დაჯილდოებაზე განიცადა. რომ გამოვედი, მართლა წარმოვიდგინე, რომ „გრემზე“ ვიყავი. თან, ეს პერფორმანსი და დადგმა ისეთი იყო, რომ თავი საქართველოში არ მეგონა. ალბათ, ზუსტად იმან, რომ თავი იქ, ამერიკაში, „გრემის“ დაჯილდოვებაზე წარმოვიდგინე, განაპირობა ეს შედეგი.

ჩემს ოჯახში კაცი არ ცხოვრობს და, არ ვიცი, კაცები როგორ იქცევიან

– გარდასახვის მომენტში რა არის შენთვის მთავარი სირთულე?

– ყველაზე დიდი სირთულე არის ის, რომ დაიჭირო მომღერლის ხასიათი კონკრეტული სიმღერის შესრულების მომენტში. როგორც კი ამას მოახერხებ, ეგრევე ხდები „ის.“ მაგალითად, ლორდი მღერის არაფხიზელ მდგომარეობაში. სარკის წინ ვიდექი და ვფიქრობდი: „არ ვენევი, არ ვსვამ, რაღაცეებს არ ვყნოსავ და, რა ვქნა?“ – ეს ყველაფერი ისე უნდა მეთამაშა, გამეთავისებინა, რომ არაფხიზელს დავმსგავსებოდი, რათა ჩემი არაადეკვატური ქცევები ყოფილიყო გამართლებული. ფხიზელი სახით რომ გამოვსულიყავი და ისეთი რაღაცეები გამეკეთებინა, იფიქრებდნენ, ეს მართლა ვერ არისო და ცუდი იქნებოდა. ამიტომ, კარგად გავაცნობიერე, რომ მისი არაადეკვატურობა იყო არაფხიზელი მდგომარეობის ბრალი და, წარმოვიდგინე, რომ მეც ამ მდგომარეობაში ვიყავი. „ფხიზელი მთვრალი“ ვიყავი – ეს მარტო ლორდზე განვიცადე.

– არის ვინმე ისეთი, ხელს რომ აჭერ ლოტტერონს და ფიქრობ: „ნეტავ, ის არ ამომივიდეს,“ ან – პირიქით?

– ამის მერე არ ვიცი, ვინ მინდა, რომ ამომივიდეს, უკვე მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ ლორდის შემდეგ კაცის ამოსვლა, მიუხედავად იმისა, რომ „სიმფლი რედი“ ჩემი საყვარელი ჯგუფია, დიდად მესიამოვნა-მეთქი, ვერ ვიტყვი. კაცი მაინც რთული გასაკეთებელია. ქალი ვარ და, რაც უნდა ბევრი ვუყურო და ვიფიქრო, ბოლოს და ბოლოს, ფიზიკურად ქალის აღნაგობა მაქვს. რთულია კაცის მანერები გააკეთო, თან, ჩემს ოჯახში კაცი არ ცხოვრობს და, არ ვიცი, კაცები როგორ იქცევიან *(იცინის)*. ალბათ, ისევ ჩემს მეგობრებს უნდა დავაკვირდე.

– მეგობრებთან კონკურენციის პირობებში ყოფნა რთული არ არის?

– ხმამაღლა და თამამად ვამბობ, რომ კონკურენტად არცერთს არ აღვიქვამ, არა იმიტომ, რომ ჩემი თავი უკონკურენტოდ და ყველაზე მაგრად მიმაჩნია, არამედ იმიტომ, რომ სულ ერთად ვართ, ერთად ვრეპეტიციობთ, ერთად მივდივართ და მოვდივართ და ეს მომენტი არ მაქვს. სხვა პროექტებშიც, არასდროს არავისთვის არ შემიხედავს კონკურენტის თვალით და ზუსტად ეგ არის ჩემთვის ცხოვრებაში პლუსი – არასდროს ვცდილობ, ვიღაცას შევეჯიბრო.

– რა ხდება პროექტის კულუარებში? სამზადისს სახალისო მომენტები არ ახლავს თან?

– ზოგადად, უცნაური იუმორი მაქვს. საერთოდ, ანეკდოტებზე გვიან მეცინება. არ ვიცი, რაჭველივით რატომ მომდის, როცა გაქანებული მთიელი ვარ *(იცინის)*. აბსოლუტურად ყველა ხუმრობაზე მგონია, რომ მართლა მეუბნებიან. თუ ხუმრობით მეტყვიან – „ვაიმე, რას ჰგავხარ, არ გიხდება ეს ზედა“ – მგონია, რომ მართლა მითხრეს და ვზივარ გაბღვერილი სახით. ვფიქრობ, რატომ მითხრეს ასე და ამაზე იხოცებიან სიცილით. მიღებენ მობილურებით, როგორ ვიგრუზები და ვიბერები. რაღაცას რომ მოყვება რომელიმე, მეუბნება – „ნი, შენ მოიცადე ცოტა ხანს, ჯერ მაინც ვერ გაიცინებ და მერე აგიხსნი ყველაფერს“, მოკლედ, კულუარებში ძირითადი თემა არის ჩემი უცნაური იუმორი. მერე მაგაზე იგება ხოლმე მთელი სასაცილო მომენტები. გარდა ამისა, მეორე ლაივზე, დაიანა როსის განსახიერებისას, ლიფი არ უნდა მცმოდა, მაგრამ, გახდა დამავიწყდა. რომ გამოვედი, მგონი, სახეზე მეხურა, იმსიმაღლეზე მქონდა აწეული *(იცინის)*. რატომღაც, არავინ არ მივაქციეთ ყურადღება და, ვინც იცოდა, რომ არ უნდა მცმოდა, გადაყირავდნენ სიცილით ჩემს დანახვაზე. ზოგადად, გარდასახულებს ლაპარაკიც გვიჭირს – დაიანა როსზე იმხელა კბილები მქონდა, პირში ჰაერი არ შემდიოდა. ამ დროს სიმღერაც ძალიან რთულია, ფაქტობრივად, სხვისი პირით მღერი.

„ფხიზელი მთვრალი“ ვიყავი – ეს მარტო ლორდზე განვიცადე

– პროექტის გარდა, რით ხარ დაკავებული?

– ვმუშაობ კულტურის სამინისტროში, „ანაბანაში“ 4-5 წლის ბავშვებს ვამეცადინებ ვოკალში, რეკლამებს ვახმოვანებ ხოლმე და ორ ბარში ვმღერი საღამოობით.

– „დასვენება“ და „გართობა“ არ არის შენს ლექსიკონში?

– ეგენი არ არსებობს ჩემს ცხოვრებაში. შაბათ-კვირასაც იმავე დატვირთვით ვმუშაობ, როგორც სხვა დღეებში – ასე სჭირდება ჩემს ოჯახურ სიტუაციას. რთულია, ხშირად დაღლილი ვარ და ძილი არ მყოფნის ხოლმე. მეუბნებიან, „ერთი ერთშისთვის“ როგორ მეცადინეობო. ბევრჯერ გამიჩერებია მანქანა და იქ მისწავლია ტექსტი, რადგან, ძალიან პატარა სახლი მაქვს, შუქს ვერ ვანთებ, ჩემები რომ არ გავაღვიძო და ამიტომ ვმეცადინეობ მანქანაში *(იცინის)*. თუმცა, რასაც ვდებ, იმას ვიღებ.

– პირად ცხოვრებაში რა ხდება?

– პირად ცხოვრებაში არსებობს „ის“ – „ის აქ არის“ *(იცინის)*. არსებობს ადამიანი, თუმცა, არ მიყვარს ჩემს პირადულზე საუბარი და, ამის გამო, ხან ვის გამაყოლეს ცოლად და ხან – ვის. ვისთანაც კი დუეტი შევასრულე, ყველასთან დამაქორწინეს. არსებობს ადამიანი, რომელიც ჩემი მეორე ნახევარია, მავსებს და მათბობს, მაგრამ, ყოველ წუთს და წამს წერენ ათასგვარ სისულელეს და, არ ვიცი, ჩემს ნათქვამ სიმართლეს რამდენი სისულელე მიებმება, ამიტომ, „სიყვარულსა მალვა უნდა, როგორც ცხენსა ნაპარავსაო“ *(იცინის)*...

– ტრადიციების მოყვარული ხარ?

– კი. ვარ, მართლა. კაი „გრუზინი“ გოგო ვარ *(იცინის)*. ამიტომ, მაქსიმალურად ვცდილობ, სანამდეც შემიძლია, შევინახო; კი არ დავმალო – შევინახო. დამალვა რომ მინდოდეს, საერთოდ არ ვიტყოდი. პირიქით, ამ ყველაფრით ძალიან ბედნიერი ვარ, უბრალოდ, ვცდილობ, ჩვენს სიყვარულს ზედმეტი ენები ავაცილო; ბოროტსაც ვერ ვიტყვი, უბრალოდ – ზედმეტი. მერე, ხომ იცი, ნათქვამია, „შეძახილმა ხე გაახმოო“ და, ამიტომ, დროებით არაფერს ვამბობ.

– რამდენად სერიოზული ურთიერთობაა ეს?

– სერიოზულია, რადგან, მე ვერ ვერთობი ფლირტებით, მოკლემეტრაჟიანი ურთიერთობებით და არასდროს არ ვიწყებ ეგრეთ წოდებულ „კურორტნი რომანებს“. მიმაჩნია, რომ ბევრჯერ ვერ გეყვარება. ვერც სხვის და ვერც ჩემს გრძნობებზე ვერ ვითამაშებ, ამიტომ, სანამ არ დავრწმუნდები, რომ ის არის, ვინც მინდა, რომ სულ მყავდეს გვერდით, არანაირი რეაგირება არ არის ჩემი მხრიდან. ახლა დავრწმუნდი ამაში და ამიტომ თამამად ვამბობ ამ ყველაფერს.

– შენი ასეთი რთული გრაფიკი არ არის პრობლემა თქვენს ურთიერთობაში?

– ჩემი რეჟიმი ძალიან მაბრკოლებს და, ამიტომ ვცდილობ, დროის დანაკლისი დიდი სიყვარულით შევავსო. ჯერჯერობით ვახერხებ და მერე ვნახოთ.

ქეთი კაპანაძე

არაჯანსაღი კონკურენცია და შოთა ჟვანიას მიერ წამოწყებული ომი პირადი ანგარიშსწორების საფუძველზე

სატრანსპორტო კომპანია CAREXPRESS FORWARDER 2007 წელს დაფუძნდა. ის ერთი წელია, უკონკურენტოდ მუშაობს ტრანსპორტის ლოგისტიკის სფეროში. ამ მცირე დროში კომპანიამ ბაზრის 80 პროცენტის მოპოვება შეძლო. ის ემსახურება ავტომობილების საკონტეინერო გადაზიდვებს იაპონიიდან საქართველოში და ამ მიმართულებით CAREXPRESS FORWARDER პირველია ქვეყნის ბაზარზე. კომპანიის წარმატებით მუშაობაზე უამრავი ფაქტორი მეტყველებს, მათ შორის: კლიენტის მომსახურების მაღალი ხარისხი, მუშაობის გამოცდილება სხვადასხვა საერთაშორისო მიმართულებით, სანდო პარტნიორობა, მაღალკვალიფიციური პერსონალი და ხარისხის მუდმივი შიდა კონტროლი. კომპანია მომხმარებელს საშუალებას აძლევს, თვალყური ადევნოს ტვირთების გეოგრაფიულ კოორდინატებს და აწარმოოს ჩანაწერები შესრულებული სამუშაოების მიხედვით.

ბოლო პერიოდში, CAREXPRESS-ის თანადამფუძნებელმა შოთა ჟვანიამ, რომლის კომპანიაც კონკურენციას უწევს CAREXPRESS FORWARDER-ს, არაკეთილსინდისიერი თამაში წამოიწყო. ომი, რომელიც რამდენიმე კვირის წინ დაიწყო, აბსურდული ბრალდებებისა და არაადეკვატური მხილებების ფონზე მიმდინარეობს. კონკურენტის მიერ წამოწყებული დაპირისპირება CAREXPRESS FORWARDER-ის სახელის შელახვას ისახავს მიზნად. „უკანონო გადარიცხვები“, „ფულის გათეთრება“ და „შეთქმულების თეორია“ საუკეთესო გზაა კონკურენტის ჩასაძირად.

CAREXPRESS-ის დირექტორი შოთა ჟვანია, ცოლ-ქმრის – დავით ჯეჯელავასა და თამარ გვარაძის უკანონო საქმიანობის შესახებ პირადი „ფეისბუქის“ გვერდიდან იუწყება; იქვე საუბრობს დავით ჯეჯელავას მიერ თამარ გვარაძის კომპანიაში გადარიცხულ მილიონობით დოლარზე, მაგრამ, შოთა ჟვანიას ყურადღებიდან რჩება რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალი, რომლებსაც მისი ბრალდებების უტყუარობაში ეჭვი შეაქვს:

1. დავით ჯეჯელავა და თამარ გვარაძე ქორწინებაში არ იმყოფებიან, მათ მხოლოდ საერთო შვილები ჰყავთ;

2. კომპანია CAREXPRESS FORWARDER 2007 წელს დაარსდა და არა 2014 წელს – ამ ინფორმაციას შოთა ჟვანია ავრცელებს ერთ-ერთ საინფორმაციო სააგენტოსთან საუბრისას;

3. თუ დავით ჯეჯელავას მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, როგორც შოთა ჟვანია ამბობს, იმავე დანაშაულისთვის სისხლის სამართლის საქმე უნდა იყოს აღძრული თამარ გვარაძის მიმართაც. თამარ გვარაძესთან დაკავშირებით კი სამართალმდაცველებს არანაირი ბრალდება არ გააჩნიათ.

რამდენიმე დღეა, შოთა ჟვანია საეჭვო წარმომავლობის ინტერნეტ-პორტალებისა და სპეციალურად შეძენილი მედიასივრცის გამოყენებით ინტენსიურ დარტყმას აყენებს მთავარ კონკურენტს – CAREXPRESS FORWARDER-ს. მას არ შესწევს ჯანსაღი კონკურენციის უნარი და ამიტომ, სხვადასხვა ხრიკით ცდილობს კომპანიის ჩაძირვას. მისი მთავარი მიზანი კომპანიის სახელის შელახვა და ყოფილ ცოლ-ქმართან პირადი ანგარიშსწორებაა... ზუგდიდიდან ახალჩამოსული შოთა ჟვანია დავით ჯეჯელავასთან თავდაპირველად რიგით თანამშრომლად მუშაობდა, მაშინ დავითი CAREXPRESS-ის ერთპიროვნული მმართველი იყო. შოთა ჟვანიამ, შანტაჟის შედეგად, კომპანიის 49 პროცენტი გადააფორმებინა დავითს თავის სახელზე: ის დავითს ფოტოებით ემუქრებოდა და ჰპირდებოდა, რომ, თუ კომპანიის წილს მიიღებდა, მაშინ ფოტოებსაც გაანადგურებდა. მიუხედავად თავისი სურვილის დაკმაყოფილებისა, სწორედ ეს სურათები გახდა დავით ჯეჯელავას ოჯახის დანგრევის მიზეზი. თამარ გვარაძემ, უკვე მარტომ, 2007 წელს დაარსებული საკუთარი კომპანია ისევ აღადგინა და დაარქვა CAREXPRESS FORWARDER. შესაბამისად, ამ კომპანიასთან დავით ჯეჯელავას არანაირი შეხება არ აქვს, რაც შოთა ჟვანიას ბრალდებებს ნათლად გამორიცხვას. ამ ეტაპზე, შოთა ჟვანიას წილი CAREXPRESS-ში დაყადაღებულია სასამართლოს მიერ, რადგან დავით ჯეჯელავამ შეიტანა სარჩელი უსასყიდლოდ გადაფორმებული წილის დაბრუნებასთან დაკავშირებით.

კიდევ არსებობს პირადი მიზეზი, რის გამოც შოთა ჟვანია დავით ჯეჯელავას უპირისპირდება. ეს საკითხი შოთა ჟვანიას პირად ცხოვრებას ეხება და ამიტომ ამ საკითხის განხილვისგან ამ ეტაპზე თავს ვიკავებთ, თუმცა, ბოლოს ყველაფერს მაინც პირად ანგარიშსწორებამდე მივყავართ და არა ჯანსაღ კონკურენციამდე...

მომხდართან დაკავშირებით განცხადებას აკეთებს CAREXPRESS FORWARDER-ის დამფუძნებელი თამარ გვარაძე: „უპირველეს ყოვლისა, მადლობა მინდა გადავუხადო, ყველა პარტნიორ ორგანიზაციას, რომლებიც ჩვენთან, CAREXPRESS FORWARDER-თან თანამშრომლობენ.

ბოლო პერიოდში სრულიად უსაფუძვლოდ ვრცელდება დაუსაბუთებელი ინფორმაციები, თითქოს CAREXPRESS FORWARDER გაკოტრების ზღვარზეა და ვეღარ ემსახურება თავის მომხმარებლებს. ეს არ შეესაბამება სიმართლეს. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ჩვენი კომპანია წარმატებით განაგრძობს ფუნქციონირებას, რომელიც ორიენტირებულია განვითარებასა და წინსვლაზე.

რაც შეეხება კომპანიის მიმართ ცრუ ინფორმაციას, ის მიზანმიმართულად ვრცელდება კონკურენტი ფირმებისა და კერძო პირების მიერ, რათა კომპანიას სახელი შეელახოს. ამ ფაქტთან დაკავშირებით, უახლოეს მომავალში მივმართავთ სასამართლოს, კერძოდ, საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების გავრცელების შედეგად მოყენებული ზიანის ასანაზღაურებლად“.

ნინო სანეგლიძე

მრავნოული აზრები

ავრელიუსი: ნურასოდეს დაივიწყებ, რომ, რაც იყო, იგივე იქნება მარად.

ელიოტი: ერთი შეცდომის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია მეორის ჩადენა.

აკაკი: მხოლოდ ის არ წამოჰკრავს ფეხსა და არ გადაუხვევს, ვინც მკვდარსავით გაშხვართულია და ნებიერ ძილს ეძლევა. უმჯობესია, კეთილ გზაზედ უნებურად რამდენჯერმე დაეცეს კაცი და ბოლოს მაინც მიაღწიოს იმ წმინდა მიზნამდე, ვიდრე უწმინდურ გზაზედ ფეხმარჯვედ იყოს და ან სულ არ ინძრეოდეს, იწვეს ნებიერად.

როლანი: მთელი ცხოვრებისეული სიხარული შემოქმედებაშია. შექმნა – ნიშნავს, მოკლა სიკვდილი.

ბელინსკი: ადამიანს ეშინია მხოლოდ იმის, რაც არ იცის. ცოდნა ამარცხებს შიშს.

ლაროშფუკო: ადამიანებს იშვიათად თუ ჰყოფნით საიმისო ჭკუა, რომ სასარგებლოს გმობა არჩიონ სახიფათო ქებადიდებას.

პლატონი: ძველი ჭეშმარიტებაა, რომ თანასწორობა ბადებს მეგობრობას.

სენეკა: კარგად ლაპარაკს ის ასწავლის, ვინც კარგად კეთებას ასწავლის.

ეზოპე: ბევრი რამ ვისწავლე ჩემი მასწავლებლებისგან; კიდევ უფრო მეტი – ჩემი ამხანაგებისგან, მაგრამ, ყველაზე უფრო მეტი – ჩემივე მოწაფეებისგან.

მონტენი: დამცინავი დუმილი ყველაზე უფრო დამამცირებელი პასუხია.

ვოლტერი: ვინც ზღუდავს თავის მოთხოვნილებებს, ის მუდამ მდიდარია.

კარნეგი: ადამიანი, რომელიც მდიდარი კვდება, სირცხვილში კვდება.

ბეკონი: არ შეიძლება, ქონების მოხვეჭა იყოს კაცობრიობის არსებობის კეთილშობილური მიზანი.

კამიუ: სიმართლე იდუმალი და მოუხელთებელია, მისი ხელახლა მოპოვებაა საჭირო.

კონფუცი: ის, ვინც ლამაზად ლაპარაკობს და მიმზიდველი გარეგნობა აქვს, იშვიათად არის ჭეშმარიტად ადამიანური.

ტოლსტოი: სიკეთის რომ ირწმუნო, მისი კეთება უნდა დაიწყო.

ვედენსკი: მოვლენა არ ემთხვევა დროს, დრომ შეჭამა მოვლენა და მისგან ძვლებიც კი აღარ დარჩა.

ციცერონი: კეთილ თვისებებს ჩრდილივით მოსდევს დიდება.

პლუტარქე: ვისაც დაცინვის ეშინია, ის უფრო მეტად მხდალია, ვიდრე ის, ვისაც მტრის ეშინია.

როულენდი: ქორწინება ისეთი სასწაულია, რომელიც, კოცნასაც კი, სიამოვნებისგან მოვალეობად აქცევს.

თუ გაგოიცნობთ

1. იაპონელი გეიშების მაკიაჟში მრავალი ტრადიციული ელემენტი შედის, მაგალითად, ხის ნახშირი – წარბებისთვის, ცვილი – თმის დასაყენებლად. **დაასახელეთ, რაში უმატებენ გეიშები შაქარს.**

2. მხატვარი ენდი უორჰოლი ცნობილია ერთნაირელემენტებიანი საგნების კოპირებით, თუმცა, მისი ერთ-ერთი ნახატი 2009 წელს აუქციონზე 43,8 მილიონ დოლარად გაიყიდა, რაც ნახატის „ღირებულებაზე" 219-ჯერ მეტია. **რა ეხატა სურათზე?**

3. 1845 წელს მან დაწერა წერილი: „ძვირფასო მარი, მე იმდენად მდიდარი არ ვარ, რომ მიყვარდეთ ისე, როგორც ეს მე მინდა; თუმცა, არც ისე ღარიბი, რომ, ისე გიყვარდეთ, როგორც თქვენ გინდათ". სამი წლის შემდეგ წერილის ადრესატი ტუბერკულოზით გარდაიცვალა და წერილის ავტორმა დაწერა თავისი ყველაზე ცნობილი ნაწარმოები. **ვინ?**

4. ვლადიმირ მონომახის ვაჟის მმართველობა ვლადიმირ-სუზდალის მთელ მიწებზე ვრცელდებოდა, თუმცა მას არ შეუწყვეტია თავდაუზოგავი ბრძოლა კიევის ტახტზე ასვლისთვის. ამიტომაც შეარქვეს მემატიანეებმა მას მეტსახელი. **დაასახელეთ, რომელი.**

5. 2006 წლის დასაწყისში ბრუკლინის ხიდის რემონტის დროს მუშებმა აღმოაჩინეს სათავსო, რომლის მშენებლობა 1950 წელს დამთავრდა, მაგრამ ამ დროისთვის უკვე საჭიროც აღარ იყო. **რისთვის იყო სათავსო განკუთვნილი?**

6. როგორც ამ კომიტეტის წევრები ამბობდნენ, მათი ძირითადი შეცდომა იყო ის, რომ, როდესაც ხალხს მიმართეს, აუსხნეს მხოლოდ ის, თუ რა მდგომარეობაშია ქვეყანა და არ მოუწოდეს მათ, რომ დაეცვათ საბჭოთა ხელისუფლება. **დაასახელეთ ამ კომიტეტის სახელწოდების ცნობილი აბრევიატურა.**

7. იმ ცნობილი მოვლენის ამსახველი ტილოების შემსწავლელმა მკვლევრებმა, 1000 წლიდან 1750 წლამდე შექმნილ სურათებზე დაკვირვებით დაადგინეს, რომ ამ დროის განმავლობაში ნახატზე ულუფების ზომა 69 პროცენტით გაიზარდა, თეფშების ზომა კი – 66 პროცენტით. **რომელი მოვლენის ამსახველი ტილოები შეისწავლეს მათ?**

8. 1949 წელს, როდესაც „დროებითი დედაქალაქის"კონცეფციამ გაიმარჯვა, უპირატესობა ამ წოდებისთვის პატარა ბონს მიენიჭა და არა მილიონიან ქალაქს, რომელსაც ხანდახან „გერმანულ მანჰეტენს" ეძახიან. **დაასახელეთ ქალაქი.**

9. ამ ინგლისელი მეცნიერის ფუნდამენტური ნაშრომი გარკვეული დროიდან დადგა ეჭვის ქვეშ, რამაც დიდი მსოფლიო რეზონანსიც გამოიწვია და ზოგიერთ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მისი სწავლება დღესაც აკრძალულია. სამაგიეროდ, ყველა დარწმუნებულია მის პირველ აღმოჩენაში, რომელიც ჭიაყელას მიერ ნიადაგის განოყიერებას ეხება. **დაასახელეთ ეს მეცნიერი.**

10. 1963 წელს, ლენინგრადში, ნევის პროსპექტზე, გაიხსნა კაფე „საოცრება", რომლის სტუმრებს სთვაზობდნენ ერთ-ერთი მცენარისგან დამზადებულ ნამცხვრებს, კანფეტებსა და ღვინოსაც კი. კაფემ მხოლოდ ერთი წელი იმუშავა და არსებობა შეწყვიტა ქვეყნის პირველი პირის გადაყენებისთანავე. **რისგან ამზადებდნენ პროდუქტებს „საოცრებაში"?**

პასუხები იხილეთ 65-ე გვერდზე

პოპულარულ ცდომილებათა ლექსიკონი

ნიუ-იორკში დგას თავისუფლების ქანდაკება

ცნობილი თავისუფლების ქანდაკება არ დგას ნიუ-იორკის მიწაზე (არც ქალაქის და არც შტატის). თავისუფლების კუნძული (ლიბერთ აილენდი, ადრე კი – მოდლო აილენდი) მხოლოდ გეოგრაფიულად ეკუთვნის ნიუ-იორკის შტატს და არა ადმინისტრაციულად.

ამასთანავე, ამ ცნობილ ქანდაკებას ოფიციალურად სხვა სახელი ჰქვია – „თავისუფლება, სამყაროს მანათებელი" (ყოველ შემთხვევაში, ასეთი სახელწოდებით აჩუქეს ის ამერიკელებს 1888 წელს).

ხილის ჭამის შემდეგ წყლის დალევა არასასურველია

ხშირად შეიძლება, გაიგონოთ მზრუნველი დედიკოსგან გაფრთხილება: „შვილო, ვაშლი შეჭამე და ნუ სვამ ამდენ წყალს, თორემ მუცელი აგტკივდება".

ეს შიში არასწორია. როგორც გერმანიის კვების ინსტიტუტის თანამშრომლები ამტკიცებენ, წყალი ძალიან მშვიდობიან დამოკიდებულებაშია ხილთან. ამასთანავე, რაღაც ახსნა მაინც შეიძლება, მოეძებნოს ამ შეხედულებას. საქმე ის არის, რომ ადრე ადამიანები სვამდნენ გაუსუფთავებელ მტკნარ წყალს, რომელშიც ბევრი მიკროორგანიზმი იყო. ეს ბაქტერიები ხილის წვენთან შეხებისას დუღილს იწვევდა კუჭში, რის შედეგადაც, ადამიანებს ეწყებოდათ მუცლის ტკივილი და ფაღარათი. თანამედროვე პირობებში წყალი კარგად იწმინდება და ასეთი ფაქიზობა ამოძირკვულია.

შამათი ორ სვლაში



წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:
1. ლa3-F8!
შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა

ქმარი გვიან დაბრუნდა სახლში და დასაწოლად ემზადება, იხდის... ცოლი უყურებს და ეკითხება:

– ზურგზე რა გჭირს, ვინ დაგიჩხაპნა?

– წარმოიდგინე, მოვდივარ და აივნიდან ზურგზე კატა არ დამეცა... არ გჯერა?

– როგორ არა. პომადითაც მიუწერია – „ეს მე ვარ, შენი ფისო“...

***

მაფრთხილებდნენ, ქუჩაში არ ვყოფილიყავი, თორემ შემომთავაზებდნენ ალკოჰოლს, სექსს და ნარკოტიკებს... მაგრამ სად არის ეს ხალხი?

***

გუშინ მე და ჩემმა შვილმა ლამაზი ფისუნია დავხატეთ. დილით კართან ზუსტად ისეთი ფისო დაგვხვდა. დღეს აუცილებლად დავხატავთ სახლს ზღვის ნაპირას, მაგარ მანქანას... და ზამთარი მოდის – კოტეჯსაც მთაში.

***

– მე ძალიან ხშირად მადარებენ ღმერთს, რომ მხვდებიან წამოიყვირებენ ხოლმე: „ღმერთო ჩემო, ეს შენ ხარ?!“

***

– იცი, რაზე ვოცნებობ, სმას რომ თავი დავანებო...

– მერე, შენც მოინდომე და დაანებე თავი...

– მერე ოცნების გარეშე როგორ ვიცხოვრო...

***

ხვდება სამი მამაკაცი ერთმანეთს – ფრანგი, გერმანელი და რუსი.

– შეხვალ ჩვენთან რესტორანში, ერთ ბოკალ შამპანურს შეუკვეთავ, მეორეს უფასოდ მოგართმევენ, – თქვა ფრანგმა.

– ჩვენთან შეხვალ ბარში, ერთ კათხა ლუდს შეუკვეთავ, მეორე კათხას უფასოდ მოგიტანენ, – თქვა გერმანელმა.

– ეე, ეგ რა არის, ჩვენთან მიხვალ დისკოთეკაზე, ერთ არაყს დალევ, შემდეგ გაჭმევენ, გასმევენ, მერე აგარაკზე მიყავხართ, იქ სექსი, რა თქმა უნდა, უფასოდ. დილით სახლშიც მანქანით მიგიყვანენ და ფულიც შეიძლება, მოგცენ...

– არ არსებობს, ტყუილი იქნება...

– ნაღდია, ჩემმა დამ მომიყვა...

***

– ძვირფასო, შენს საფულეში ფული ვნახე და ჩემი გოგოები რესტორანში დავპატიჟე...

– არა უშავს, ეს შენი ბეჭედი დავალომბარდე და აღარ დამჭირდა...

***

კაცი სამსახურში დააწინაურეს, იმ დღესვე ლატარიაში საკმაო თანხა მოიგო და სახლში მხიარული შეძახილით შევიდა.

– ჩუმად! დედაჩემი გარდაიცვალა... – შეეგება ცოლი.

კაცი სასწრაფოდ შევარდა აბაზანაში, კარი ჩაკეტა და:

– არის, გასამდა, გასამდა!

***

– შვილო, შენს ოთახში პრეზერვატივი ვიპოვე...

– კარგი, ბებო...

– რა, ბებო?!

– ბებო იმიტომ, რომ გუშინ მე ვერ ვიპოვე.

***

თუ პრობლემები არ გაქვს, გაისინჯე, პულსი თუ გაქვს?

ანეკდოტი ყობა ბერიკოლიანზე

მეგრელმა იყიდა კორპუსში ბინა და კარის მეზობელს მიადგა. დააკაკუნა და ლამაზმა, წითელპომადიანმა, ქერა ქალმა გააღო კარი. მეგრელი მიესალმა:

– გამარჯობა, ქალბატონო, მე თქვენი ახალი მეზობელი ვარ.

– ზემოდან თუ ქვემოდან?

მეგრელი გაოცდა:

– რა გეჩქარებათ, ქალბატონო, ჯერ გავიცნოთ ერთმანეთი...

რაღომ დასია ნიაზ დიასამიძემ მიმლიოთეკაში გაზეთები

ნიაზ დიასამიძე დედას პირველი კლასის მეგობრის, გუგული დიასამიძის ძმა იყო. რომელიც თითქმის მათი ტოლი იყო. ნიაზი ხშირად მოსულა ღამით ჩვენს ოჯახში, „ბიძინა მასწ“.-თან. ვითომდა სკოლის წლების გასახსენებლად და ბავშვობის მეგობრის „ჟორჟოლას“ მოსაკითხავად, მაგრამ იცოდა, რომ „ბიძინა მასწ“ ისე არ გამოუშვებდა... მას განსაკუთრებული რიდი ჰქონდა მამაჩემის, დედასთან კი დასავით შეხუმრებული იყო. მის ენამოსწრებულ რაიმე გამოთქმაზე არც დედა რჩებოდა ვალში.

– კარგი რა, იუზგარ! ერთი სიტყვა მაინც შემარჩინე, – ამბობდა ნიაზი.

ერთხელ ნასვამი ნიაზი მისულა დედასთან ბიბლიოთეკაში და უთხოვია, წინა დღის გაზეთ „თბილისის“ მთელი შეკვრა მომიტანეო. დედას გაკვირვებია:

– რად გინდა, ბიჭო, მთელი შეკვრა?

– წადი, მომიტანე, რასაც გეუბნები, თორემ ამ ჩემანალა პროფესორებს ოფოფებს დავუფრთხობ.

დედას შეეშინდა, მართლა არ აეტეხა ნიაზს ხმაური და გამოუტანა გაზეთების შეკვრა.

ნიაზმა აიღო გაზეთები და ხმამაღალი დედის გინებით დაიწყო მათი დახევა წვრილწვრილ ნაჭრებად. ხალხი გაგიჟდა, ყველა მოტრიალდა ნიაზისკენ, დედა დაიბნა, არ იცოდა, რა ექნა. როცა გუშინდელი გაზეთების მთელი დასტა ნაკუწებად აქცია, ცოტა დამშვიდდა და დედას მიმართა:

– ჟორჟოლ, ბოდიში. პრაფესორებო, ბოდიში, რომ მოგწყვიტეთ წიგნებს! – რევერანსი გაუკეთა გაოცებულ მკითხველებს და გაემართა გასასკვლელისკენ. გაკვირვებულმა დედამ გამოაცილა და ჰკითხა:

– ბიჭო, რამ გადაგრია ამ გაზეთებში რა წერია ისეთი?

– რა წერია და ჩემი მეუღლესთან განქორწინების განცხადება გამოუქვეყნებიათ. დავდივარ ყველა ბიბლიოთეკაში და ვსპობ, არ მინდა, რომ ეს ინფორმაცია შთამომავლებს დარჩეთ.

მაშინ მართლაც იყო ასეთი წესი, რომ განქორწინების განცხადება გაზეთ „თბილისში“ უნდა გამოქვეყნებულიყო. ნიაზმაც ასე გამოხატა მეუღლესთან დაშორების გულისტკივილი.

გია ფერაძის მოგონებებიდან

ეკონომისტის ლექსები

ყველასათვის ცნობილია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ნიკო კეცხოველი, ძალიან მფარველობდა და ჰპატრონობდა ნიჭიერ სტუდენტებს და ყველანაირად უწყობდა ხელს წინსვლაში. მას არც ნოდარ დუმბაძის ნიჭი გამორჩენია მხედველობიდან და, ერთ დღესაც, უთხრა, ხომ არ ჯობია, ფილოლოგიის ფაკულტეტზე გადახვიდეო.

– თქვენ, პატივცემულო რექტორო, იმიტომ მოგეწონათ ჩემი ლექსები, ეკონომისტის დაწერილი რომ არის, თორემ, ფილოლოგის დაწერილი რომ იყოს, ალბათ, ყურადღებასაც არ მიაქცევდითო, – ხუმრობით უპასუხა მომავალმა მწერალმა.

მოამზადა
მაია დანელიამ

რა კავშირი აქვს საქართველოს ლეგენდარული მეფის – არტურის მახვილთან და სად ნახა გია ბულაძემ შემთხვევით უძველესი იბერიული ციხესიმაგრე

მინი დოსიე:
ეროვნება – ქართველი.
პროფესია – მხატვარი.
საცხოვრებელი ადგილი – თბილისი.
სამუშაო ადგილი – ილიაუნი. პროფესორი.
ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

გია ბულაძე: რანი ვიყავით და რანი ვართ... ერთხელ ბარსელონაში ვიყავი შვილთან ერთად და ჩემი საყვარელი მხატვრის, მიროს მუზეუმის სანახავად მივდიოდით. დაკეტილი დაგვხვდა... ქვემოთ, ქალაქში უნდა ჩამოვსულიყავით და, სრულიად შემთხვევით, საბაგირო გზამ ზევით წაგვიყვანა. აღმოვჩნდით ციხესიმაგრის ნანგრევებში, რომელიც იბერიული აღმოჩნდა. საერთოდ არ ვიცოდი, იქ თუ ციხესიმაგრე იყო. მას სახელად ჰქვია ლეია. კოლხურად ჟღერს, ხომ?! უცებ ვიგრძენი, რომ იქ ტყუილად არ აღმოვჩნდი – ჩვენი უძველესი წინაპრების გამაგრებულ ქალაქში. გაოგნებული ვიყავი. ვუყვებოდი ჩემს ქალიშვილს, როგორები ვიყავით ჩვენ, იბერიელები და რამხელა სივრცეებს მოვიცავდით აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე, ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე და, იმის საშუალებაც გვქონდა, ასეთი უმშვენიერესი ქალაქები გვეშენებინა. საოცარი სიამაყის განცდა დამეუფლა... მივყევი და გავყევი... ქალაქისკენ უკვე ფეხით დავიწყეთ ჩამოსვლა ამაღლებული გრძნობით, რომ ვნახე ლეია, ჩემი ჯიშისა და გენის ბრწყინვალე ნაშთი... ერთ-ერთ ქუჩას დავადექით და უცებ გავიგონეთ ქართული საუბარი – ვიღაცეები ერთმანეთს საქმეებს ურჩევდნენ... შემძრა. არ შევიმჩნიეთ, რომ ჩვენც ქართველები ვიყავით. რამდენიმე ცუდად ჩაცმული ახალგაზრდა, აშკარად არასახარბიელო მდგომარეობაში, ერთმანეთთან საკმაოდ მძიმე საუბარში იყო გართული... ღრუბლებიდან ეგრევე დედამიწაზე დავეშვი – ჩემ თვალწინ გათამაშდა იბერიული ჯიშის მთელი ტრაგედია. რა მოხდა, სად წავედით?.. აქ, შეიძლება, ბევრი იფილოსოფოსო, მაგრამ, ფაქტია, რომ ვიყავით უდიდესი პოტენციალის, უდიდესი კულტურის მქონე ერი და, გარეგანი თუ შინაგანი ფაქტორებით, ამ ყველაფრის დაკნინება მოხდა. ის „აღმოსავლეთის იბერია," რასაც ჩვენ პორტუგალიელები გვიწოდებენ და მეუბნებოდნენ, თქვენ ხართ იბერია მეორეო, რაზეც ვპასუხობდი: არავითარი იბერია მეორე, ჩვენ ვართ იბერია პირველი-მეთქი, ფაქტობრივად, იყო დიდი კულტურის გამაერთიანებელი. ეს კულტურა კი იდგა უდიდეს პიროვნულ თავისუფლებასა და ღირსებაზე. მე არ ვარ ფილოლოგი და, შეიძლება, შეცდომას ვუშვებ, მაგრამ, მინდა, კიდევ ერთი საინტერესო ფაქტის შესახებ ვთქვა: გახსოვთ, რა ჰქვია მეფე არტურის მახვილს? – ესკალიბური. თუ ამ სიტყვას კარგად გავშიფრავთ, ნიშნავს – „ხალიბთაგან ჩამოტანილი." ხომ არის ეს სასწაული?! ვინ არის ხალიბი, თუ არა ჩვენი, იბერიული ჯიშის ტომი, რომელთანაც დაკავშირებულია ფოლადის დნობის საიდუმლო?! კელტების ყველაზე დიდი გმირი, მეფე არტური, ფლობდა ხალიბური ფოლადის მახვილს, რომელიც ლეგენდარულ მახვილად იქცა. შეიძლება, ეს ზედმეტ პატრიოტიზმად ჩამითვალოს ვინმემ, მაგრამ, „კალიბ" – ესეც ქართული სიტყვაა – „ყალიბიდან" მოდის, ანუ, „ესკალიბური" ნამდვილად ნიშნავს „ხალიბების ნაქონს..."



პომიდორი მექსიკურია, „ბატონი" – ფრანგული... და, ასე იქმნება „ბიგმაკი". ის ვერასოდეს იქნება კულტურა, როგორიც არის ხაჭაპური. ქართველობაც, უპირველესად, სულის მდგომარეობაა და არა მხოლოდ გენეტიკა

– სიამაყე მომემატა, ბატონო გია – ჩვენ მარტო ღვინის ქვეყანა კი არა, ფოლადის მდნობელთა უძველესი ერიც ვყოფილვართ.

– უძველეს ტექსტებში როგორ ვართ დაფიქსირებული? – ბიბლიურ ტექსტებს ვგულისხმობ – უძველეს მამათა ჩამონათვალში უდიდესი როლი აკისრია ერთ მამას – კაცობრიობის ერთ-ერთ გმირს – თუბალტაენს. ვინ არიან ეს თობალები? იგივე თუბალები – უძველესი ქართული ტომი, რომლებიც, ასევე დაკავშირებულები არიან ფოლადის ნიმასთან, ფოლადის წარმოებასთან. ორი უდიდესი წყარო – ლეგენდა და ძველი აღთქმა – ადასტურებს ძველი იბერიული გენის კავშირს ფოლადთან და ლითონის წარმოებასთან, ანუ, ინდივიდუალიზმის, უდიდესი შინაგანი წრთობის ჩამოყალიბებას, რაც გვქონდა იბერიელებს, იგივე ქართველებს.

ეროვნული ცნობიერება იბადება მხოლოდ მაშინ, როცა საერთო წარსულის განცდა გვაქვს. შანსი არ არის, ეროვნებას ვერ მოკლავს ვერანაირი მტერი გარედან, თუ შენ არ დაგავიწყდა შენი წარსული. ამიტომ არ მეშინოდა არასდროს, როცა „მაკდონალდსს" აშენებდნენ, რომ „ბიგმაკი" ჩაანაცვლებდა ხაჭაპურს, ერთი წუთითაც არ მიფიქრია ამაზე. ხაჭაპური ჩვენი იდენტობის სიმბოლოა. შეიძლება, არ გიყდებოდე მასზე და ყოველდღე არ ჭამდე, მაგრამ, ის მაინც ჩვენი კულტურის ნაწილია... „ბიგმაკი" კი ცივილიზაციის სიმბოლოა, ერთგვარი კონგლომერატი, ნაკრები სხვადასხვა ცივილიზაციებისა: პომიდორი მექსიკურია, „ბატონი" – ფრანგული... და, ასე იქმნება „ბიგმაკი". ის ვერასოდეს იქნება კულტურა, როგორიც არის ხაჭაპური. ქართველობაც, უპირველესად, სულის მდგომარეობაა და არა მხოლოდ გენეტიკა. თუ ამ სულის მდგომარეობას აქვს უნარი, სწორად დაანახვოს წარსული და იმასაც ხედავდეს, რა დავკარგეთ, რა გვაქვს მოსაპოვებელი, რაზე უნდა გავაკეთოთ სწორება, მაშინ თავსაც შევინარჩუნებთ როგორც ერი და შევქმნით მომავალზე ორიენტირებულ სახელმწიფოსაც. რატომ გვებრძვიან შიგნიდანაც და გარედანაც? – იმიტომ, რომ ეს იდენტობა დაგვაკარგვინონ. თუმცა, ესეც ბუნებრივია, რადგან, სრულიად საპირისპირო იმპულსებით მოძრაობენ ისეთი ქვეყნები, როგორებიც, მაგალითად, ჩრდილოეთის მხრიდან გვყავს მეზობლად. ისინი არც თავის მეობასა და ინდივიდუალობას უფრთხილდებიან და, ყოველთვის ეცდებიან, ჩვენც დაგვაკარგვინონ ეს ყველაფერი. სწორედ ამაშია ჩვენი ყოფისა და ისტორიის ტრაგედიაც და დრამატულობაც, მაგრამ, იმდენად დიდია ჩვენი როლი კაცობრიობის სულიერი კულტურის ისტორიაში, როგორც უწინ, ძველ სამყაროში, რომ, შეუძლებლად მიმაჩნია, საქართველო წაიშალოს. თუმცა, სერიოზული პრობლემის მქონე ნაცია ვართ: ასეთ მცირერიცხოვან ერს ერთ მხარეს ჰყავს ბოროტი გენიის სიმბოლო – სტალინი და, მეორე მხარეს – შოთა რუსთაველი – უდიდესი ჰუმანისტი. როგორ მოთავსდა ამ მცირე მასშტაბის გენში ბოროტი გენის აღმატებითი ხარისხიც და უკიდეგანო ჰუმანიზმი და სიკეთე... – არ არის სასწაული?! გვყავს მოღალატე ადამიანების მთელი კოჰორტა, სერგო ორჯონიკიძითა და ფილიპე მახარაძეებით და, ასევე, გვყავს ექვთიმე თაყაიშვილიც – კაცი, რომელსაც აბარია უდიდესი სიმდიდრე და, მიუხედავად იმისა, რომ შიმშილით კვდება, იქით ამატებს საგანძურს – ეს დიაპაზონია ჩვენი განსაკუთრებულობა, ჩვენში ყოველთვის ყვაოდა ინდივიდუალური ინიციატივა. ნაკითხული მაქვს ინგლისელი მკვლევრის მიერ ქართველი ერის დახასიათება. დეივიდ ლენგი წერდა, ქართველი – ეს არის ინდივიდუალისტური უპასუხისმგებლობის ნაციაო, მაგრამ, ეს ინდივიდუალიზმი მომხიბლავია თავისი არტისტულობითო. ამის მაგალითია ილია ჭავჭავაძე, ზვიად გამსახურდია, როცა ერთი ადამიანი იღებს საკუთარ თავზე ერის გაძღოლას. დიდი იბერიული სული თითოეულ ქართველშია დამარხული და ის მაინც ეძებს გმირსა და ლიდერს. ყოველთვის უნდა გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ და გახსნილიც იყო სიახლეებისთვის. დავით აღმაშენებელი მოქმედებდა ინდივიდუალურად, იყო პატრიოტულად ეგოისტური და, ასევე, გახსნილი იმ სიახლეების მიმართ, რაც იმ დროისთვის ყველაზე პროგრესული იყო. ამის დასტურია იყალთოს აკადემია. დარწმუნებული ვარ, დიდგორის ომის დროსაც, დავით აღმაშენებელმა უნიკალური, თანამედროვე სტრატეგიული მიგნებები გამოიყენა. ცოტამ თუ იცის ერთი ტრაგიკომიკური ამბავი ერეკლე მეფეზე, რომელსაც უნდოდა, ეყიდა საჰაერო ბურთი და ამ მიზნით ფრანგ ინჟინერსაც კი დაუკავშირდა. მაშინ ჯერ დირიჟაბლი არ იყო და, ვიღაც ალბათ იფიქრებს, რომ ერეკლე მეორეს ფრენა მოუნდა. არა! ერეკლეს, ამ ტრაგიკულ პიროვნებას, ამ საშუალებით უნდოდა, მტრის სტრატეგიული განლაგება დაენახა ზემოდან. როგორი პროგრესული მეფე გვყავდა, ხედავთ?! ერთი პერიოდი ვაპირებდი კიდეც, დამეხატა, როგორ აშენებს ფრანგი ინჟინერი ერეკლესთვის საჰაერო ბურთს. ამდენი სპარსია შემოსული ქვეყანაში, შესეულნი არიან კახეთს და, ამ დროს, საჰაერო ბურთითა და კალათით, მათ თავზე გადაუფრენდა ერეკლე მეფე ჭოგრიტით – ხომ წარმოგიდგენიათ, ეს როგორ შთაბეჭდილებას მოახდენდა სპარსელებზე?! აი, ამაშიც კი ჩანს, როგორები ვართ ჩვენ და როგორ მუშაობდნენ ჩვენი ლიდერები.. გამაოგნებელია მათი პროგრესულობა. ვაჟა-ფშაველა ნიცშესა და შოპენჰაუერზე მსჯელობდა... ამავდროულად, ის ვერ ვისწავლეთ, როგორ მოვექცეთ ერთმანეთს და როგორ მოვიქცეთ ქუჩაში – პარადოქსულია ეს ყველაფერი...

ვაპირებდი კიდეც, დამეხატა, როგორ აშენებს ფრანგი ინჟინერი საჰაერო ბურთს ერეკლესთვის

ნინო წულუკიძე

მსახიობი ხატია ბრაჭული სერიალ „ჩემი ცოლის დაქალების“ ახალ სეზონზე გამოჩნდა და მსუბუქი ყოფაქცევის გოგოს როლის შესრულებით, უცებ შეძლო საზოგადოების ყურადღების მიპყრობა. თუმცა, ყველა შეფასება სასიამოვნო ნამდვილად არ ყოფილა. რეალურ ცხოვრებაში, ხატია ძალიან პოზიტიური, გულახდილი და გულწრფელი ადამიანია, რითაც გარკვეულწილად, ჰგავს კიდეც თავის პერსონაჟს. შეუქმნა თუ არა თამუნას განსახიერებამ მსახიობს უსიამოვნება, რა საერთო აქვს მასთან და რა ხდება მის რეალურ ცხოვრებაში, ამას მისგან შეიტყობთ.

რით ჰგავს ხატია ბრაჭული საკუთარ გმირს - თამუნას და რა ხდება მის ცხოვრებაში რეალურად

– ხატია, მსუბუქი ყოფაქცევის გოგო რომ უნდა განგესახიერებინა, არ დაგაფიქრა?

– მე ვარ მსახიობი და მსახიობმა ყველანაირი როლი უნდა ითამაშოს. თუმცა, ვიფიქრე, რომ ამას ბევრი უარყოფითი გამოხმაურება მოჰყვებოდა და ასეც მოხდა. მაგრამ, ჩემი პროფესია ასეთია, როგორც პიროვნება კი, აბსოლუტურად სხვა ვარ. შესაბამისად, ეს შეფასებები პირადად მე არ მეკუთვნის.

– კონკრეტულად, რა უარყოფით გამოხმაურებას გულისხმობ?

– ჩემი გმირი ძალიან სწრაფად გახდა რეიტინგული. ქუჩაში რომ გამოვედი, ყველა მხრიდან ცუდი კომენტარი მოდიოდა: „ეს ლარად მომცემ?“, „ბოზი თამუნა“ და ასე შემდეგ. ბევრი არასასიამოვნო რამ მესმოდა. მართალია, ეს ჩემს პიროვნებას არ ეხებოდა და აქ პერსონაჟი იგულისხმებოდა, თუმცა, ბუნებრივია, არ მსიამოვნებდა, მაგრამ ჩემთვის ვაგრძელებდი გზას. ვისთვის რა უნდა მეთქვა. ყველას თუ მოუსმინე, გარეკავ. თუმცა, მერე, როგორც კი შეიცვალა გმირის ცხოვრება, ასეთი დამოკიდებულება აღარ ყოფილა. თუმცა, ჩემს დანახვაზე, მაინც მესმის ხოლმე: „ბოზი თამუნა“. ადამიანები გაიგივებენ შენს გმირთან. ხშირია არასასიამოვნო შეძახილები, ჩურჩული, ჭორაობა. მაღაზიაში ერთმა კონსულტანტმა მითხრა: ცხოვრებაშიც მართლა ასეთი ხარო?

გამიკვირდა, გავვოცდი და ალბათ, არასასიამოვნო სახეც მქონდა. ვუთხარი: ვგავარ ასეთს-მეთქი და მერე შეასწორა: „არა, მე და ჩემს შვილს განსაკუთრებულად გვიყვარხარ და მაინც, ცხოვრებაში არ გადმოგაქვთ გმირის ხასიათებიო,“ – უპასუხოდ დავტოვე. ასეთ ადამიანს რა პასუხი უნდა გასცე. ეს თავიდან არასასიამოვნო იყო, თუმცა, მერე მივეჩვიე. ზოგი პირიქითაც არის, მაგალითად, ტაქსიში ჩავმჯდარვარ და უთქვამთ: „თქვენ ის მსახიობი არ ხართ,“ „გოგონა გარეუბნიდან“? „ვაიმე, ძალიან მომწონხართ, ახლაც“. ერიდებათ და ვერ ასახელებენ ამ გმირის სახელს. რამდენიმე დღის წინ, მე და ჩემი მეგობრები ვისხედით კაფეში, შემოვიდა რამდენიმე კალათბურთელი ბიჭი. ცოტა ხანში მოვიდნენ, შოკოლადი ხომ გიყვართო და მაწვდიან შოკოლადს. გიცანით და არ ვიცოდით, რა გზით გაგვეცანითო. ეს ჟესტი ძალიან სასიამოვნო იყო. სახალისო მომენტებიც ხშირია და რა თქმა უნდა, სასიამოვნო. თუმცა, ისიც კი, როცა ხედავ, რომ ვიღაც შენ მიმართ უარყოფითად არის განწყობილი, სტიმულს გაძლევს.

– ახლობლებთან და ოჯახის წევრებთან ამან გარკვეული უხერხულობა შეგიქმნა?

– ჩემი ოჯახის წევრები შეგნებული ადამიანები არიან და ამიტომ, ამას პრობლემა არ შეუქმნია. ნერვები მეშლება, როცა მეზობლები ან ნათესავები მეკითხებიან: „ვაიმე, დედაშენი და მამაშენი ამას როგორ იტანენ?“, „ვაიმე, ხატია, როგორ დათანხმდა ამას?“, „ვაიმე, ხატიას სულ ასეთ როლებს რატომ სთავაზობენ?“

– სხვაგან სად გქონდა ესეთი როლი?

– სპექტაკლში ვითამაშე საყვარლის როლი. თუმცა, არ მესმის ასეთი დამოკიდებულება, რა გავაკეთე ისეთი? მით უმეტეს, თამუნა უფრო ტრაგიკული გმირია. ჩვენს რეალობაშიც ცხოვრობენ ასეთი ადამიანები და პირადად მე, მათ მიმართ სიბრალულის გრძნობა მაქვს და არა ის, რომ დავცინო და მათკენ ხელი გავიშვირო.

– ჰგავხარ რაიმეთი შენს პერსონაჟს?

– თამუნას პირველივე დანახვისას უჩნდება ადამიანების მიმართ სიმპათია. მეც ასეთი ვარ. ადვილად შემიძლია ადამიანის მოწონება და შეყვარება, მაგრამ მარტივადვე შემიძლია დავიწყება. მეც მასავით გულღია და მიამიტი ვარ. თამუნას მსგავსად, მეც თბილი ვარ. ეს დადებითი თვისებები გვაერთიანებს. განსხვავებას რაც შეეხება, მე არასდროს მივმართავ ამ გზას. თუმცა, თამუნას სიძლიერე მომწონს, სიყვარულის გამო უარი თქვა არასწორ გზაზე. რაც შემეხება მე, არ მაქვს ნიღაბი, არ ვარ ორპირი – სხვანაირი ვარ: ძალიან თბილი, მხიარული, მეგობრული და მეოცნებე. მხოლოდ რეალურ რამეებზე ვოცნებობ და ვცდილობ, ეს მიზნად ვაქციო. გულში წყენის ჩადება არ ვიცი და შემიძლია, ადამიანს ადვილად ვაპატიო. ძალიან მიყვარს გართობა. არ ვარ ბოროტი და სულ მინდა, რომ ყველას ვუყვარდე. როცა ვიგებ, რომ ვინმე ჩემზე ცუდს ამბობს, სულ მაინტერესებს, რატომ, როცა მე მისთვის არაფერი დამიშავებია.

„ეს ლარად მომცემ?“, „ბოზი თამუნა“ და ასე შემდეგ. ბევრი არასასიამოვნო რამ მესმოდა

ნერვები მეშლება, როცა მეზობლები ან ნათესავები მეკითხებიან: „ვაიმე, დედაშენი და მამაშენი ამას როგორ იტანენ?“

– მიუხედავად დრამატიზმისა, თამუნას ხაზი ძალიან სასაცილოა, როგორია გადაღების პროცესი?

– გადაღების დროს, ბევრი სახალისო მომენტია. თავიდან ბაქარი ცოტა მორიდებულად იყო. მასზე უფროსი ვარ, თან გამომწვევად მეცვა და დამფრთხალი იყო. მკერდთან უნდა ჩამოესვა ხელი და მხარზე მირტყამდა *(იცინის)*. ლიფონავა ეუბნება, – ბიჭო, ჩამოუსვი ხელი, მერე მე ვასწავლე – აი, ასე გააკეთე-მეთქი და ბოლოს, გამოვიდა. კოცნის სცენა რომ იყო, თავი უკან გასწია ერთ-ორ დუბლზე და ამაზეც ძალიან ბევრი ვიხალისეთ. ბუბა ძალიან საყვარელია. კიდევ, დედამთილი რომ მჩეჩავს, მაგ მომენტში, ფრჩხილი მომხვდა და სისხლი მომდიოდა, ძლივს შევიხრაცე. მსხვერპლი ვარ *(იცინის)*. ისე ვიცინოდით, რომ ძლივს ვიღებდით. სასაცილო მომენტი ქუჩაშიც ხშირია. მეკითხებიან ხოლმე სერიალის ფრაზებით: „შოკოლადი გიყვარს?“, „გევიხადი?“, „როის მუშაობ?“, „შვილო, მართლა ბოზი ხარ?“. ეს ფრაზები ხალხმა უცებ აიტაცა.

– დარჩება შენი პერსონაჟი სერიალში?

– ამას ბევრი მეკითხება, თუმცა, მეც არ ვიცი. ისე, როგორ ფიქრობთ, ასე ადვილად დამთმობს ბაქარი ან მე დავკარგავ ბაქარს?

– სხვა თემებასაც შევეხოთ. შენი ფოტოები, რომელიც მიხეილ სააკაშვილთან გაქვს გადაღებული, მითქმა-მოთქმის საფუძველი გახდა.

– ამ თემაზე აღარ ვლაპარაკობ. ყელში ამომივიდა, ამას რომ მოჰყვება ხოლმე უარყოფითი რეაქციები. მასთან მართლა ვიყავი ლანჩზე და ამის შემდეგ აგორდა უამრავი ჭორი. ხან რომელი პოლიტიკოსის საყვარელი ვარ, ხან რომლის. თან, საინტერესო ის არის, რომ იმ მთავრობისაც ვიყავი და ამ მთავრობისაც ვარ. მსახიობი ვარ, პოპულარული, ბევრი ლაპარაკობს და უკვე ჩვეულებრივად ვიღებ ამ ამბავს. უბრალოდ, ისეთი სიახლეები რომ მესმის ჩემს შესახებ, მეც რომ არ ვიცი, მეცინება. თურმე, შვილი მყავს მიტოვებული და ასე შემდეგ.

– რეალურად რა ხდება შენს ცხოვრებაში?

– შეყვარებული არ მყავს. ერთი ადამიანი მომწონს. თუმცა, მან ეს არ იცის.

– საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანია?

– კი *(იცინის)*.

– მისი მხრიდან თუ გრძნობ საპასუხოდ რამეს?

– მე ბევრი მამაკაცისგან ვგრძნობ სიმპათიას. რაც შეეხება იმ კონკრეტულს, ვერ გეტყვი, რომ დიდად, თუმცა, ცოტა რაღაცას ვგრძნობ. მაგრამ, ეს სერიოზული არ არის. უბრალოდ, დაინტერესებული ვარ. თუმცა, შესაძლოა, სხვა გამოჩნდეს და ის მომეწონოს, ამიტომ არ ვჩქარობ.

– ზოგადად, შენი მოხიბვლა რთულია? რთული ხარ ურთიერთობებში?

– რთული არ ვარ. არ ვარ ეჭვიანი, პრეტენზიული, მაგრამ, მაქვს ჩემი მოთხოვნები, რაც უნდა შესრულდეს. როგორი ტიპი ვარ იცი, ურთიერთობაში? – „როგორც მე მინდა“. ნამდვილ მამაკაცთან კი რთულია, როგორც შენ გინდა, ყოველთვის ისე მოიქცე. ჩემი მოხიბვლა და დაინტერესება მარტივია, თუმცა მერე უკვე ამ ყველაფრის შენარჩუნებას და ურთიერთობის გაგრძელებას, ბიჭები ვეღარ ქაჩავენ. არ ვიცი, ეს ჩემი თუ მათი სისუსტეა, მაგრამ ასეა. ძალიან ბევრ წვრილმანს ვაქცევ ყურადღებას. ჩემ მიმართ ნაკლები ყურადღება და უკვე მავიწყდება ის ადამიანი. თუ ვატყობ, რომ ჩემთან არ არის გულწრფელი და სერიოზული, მაშინვე ვასრულებ მასთან ურთიერთობას. ჯერ ასაკი მინყობს ხელს და ყველაფერი წინ მაქვს. ამიტომ არ ვჩქარობ. თუმცა, ჩემი გული ახლა გახსნილია და ვნახოთ, ვინ დაიპყრობს *(იცინის)*.

ქეთი კაპანაძე

ყოველთვის ყველაზე დაბალი ფასი!

ულიმიტო

ბილაინ მიქსი

20 ₾

- ულიმიტო ზარები ადგილობრივ ქსელებზე
- ულიმიტო SMS-ი
- ულიმიტო ინტერნეტი

ჩვენ ვამარცხებთ ფასებს!

აქტივაციის კოდი

***110*250#**

11 01 01

www.beeline.ge

ბილაინი®